საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№2 (93)

26 იანვარი - 1 თებერვალი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

17 სახეზეა ტერორი პატრიარქის წინააღმდეგ

გამოუცხადებელი ომის ქრონიკა



**გაზაფხულზე სააკაშვილის მიერ საომარი მოქმედებების განახლების საფუძველს ამერიკის მიერ საქართველოს გამალებული შეიარაღების პროცესი იძლევა...**

იმით, რომ საქართველოს მაღალტექნოლოგიურ შეიარაღებას აწვდის, ვაშინგტონი რუსეთს მის სამხრეთ საზღვრებთან აღიზიანებს და ისეთი სამხედრო კონფლიქტის რისკზე მიდის, რომელმაც ის შეიძლება თავის მთავარ ბირთვულ მეტოქესთან უშუალო კონფრონტაციაში ჩაითრიოს...

2

# ვაშინგტონი საქართველოს ახალი კონფლიქტებისთვის აიარაღებს

## საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი ანზორ მაისურაძე ადასტურებს



ეს მე მითხრა ჩემმა თანამშრომელმა: **როცა პარლამენტის წევრებს გადავხედე, ასე მეგონა, ჩემს სეიფში შევიხედე.** 6

## რურუების კლანი – სააკაშვილის „კომბალი“ ავტორიტარიზმის განსამტკიცებლად

12



## ამერიკული ოცნების ქართული კოშმარი

11



აქ ჩვენებურები მუშაობენ მოხუცის, ბავშვის მომვლელად, ძაღლების გამსეირნებლად, დამლაგებლად; ბენზინგასამართ სადგურებზე, საპარიკმახეროში, სხვის სახლში, მშენებლობაზე — „შავ მუშად“, ტვირთების გადამტანად...

# ნოდარ დუმბაძის ოჯახს კოტეჯი წაართვეს 7

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გამოუცხადებელი ომის ქრონიკა

## ვაშინგტონი საქართველოს ახალი კონფლიქტებისთვის აიარაღებს

**25 იანვარს 7 წელი შესრულდა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტის პოსტზე პირველი ვადით ინაუგურაციიდან. მისი საპრეზიდენტო „შვიდწლედის“ შეფასება მიკერძოებულად რომ არ ჩაგვითვალოთ, თქვენ წინაშეა ანალიტიკური მასალა, გავლენიანი დასავლური გამოცემიდან OEN (opednews.com), რომლის წაკითხვის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის იმედი არა მარტო შეგერყევათ, არამედ, შეიძლება გაგიქრეთ საერთოდ.**

**„სააკაშვილის შვიდწლედის ბოლოს საქართველო კვლავ ომის ზღვარზე დგას ჩვენი ხელისუფლებისა და მისი პატრონის — აშშ-ის ადმინისტრაციის მონდომებითა და წყალობით.**

**უკვე არავის ახსოვს, რომ ჩვენ ამერიკის პარტნიორ ქვეყნად ვიყავით ოდესღაც მიჩნეული. დღეს კლიენტად მოგვიხსენიებენ, „ამერიკული პოლიტიკის ყველაზე სახელგანთქმულ კლიენტად მსოფლიოში, კოსოვოს პრემიერ-მინისტრთან და ე. წ. პრეზიდენტ შაჰიმ ტაჩისთან ერთად“. კლიენტი და ისიც — სხვასთან ერთად.**

**გვექცევიან კიდეც, როგორც კლიენტს — სხვისი ხელების შემყურეს და სხვის თვალებში შემციცინეს, რომელიც ვალდებულია და ასრულებს კიდეც სხვის ნებას — იყოს რუსეთის მუდმივი გამღიზიანებლის როლში სამხრეთ კავკასიაში. ერთი ომი ხომ გადავიტანეთ, ახლა მეორე ომისთვის გვამზადებენ: „აშშ თბილისს ზუსტად იმ შეიარაღებას მიაწვდის, რომელიც თბილისს სამხრეთ-ოსეთზე ახალი თავდასხმისთვის და რუსეთთან ახალი ომისთვის სჭირდება“. ანალიტიკოსები წუხან იმის გამო, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ დეკლარირებულმა რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვამ არაფერი შეცვალა საქართველოს მთავრობისადმი ვაშინგტონის მხარდაჭერაში. შეიარაღებული ძალების მხარდაჭერაზეა ლაპარაკი.**

**მათ მიაჩნიათ, რომ „7 წლის ცვალებადი, მეგალომანური, ავანტიურისტული, დიქტატორული და მომაკვდინებელი მართვის შემდეგაც სააკაშვილი ისევ რჩება ვაშინგტონის პოლიტიკური ისტებლიშმენტის განსაკუთრებულ, განებივრებულ ფავორიტად“. ფავორიტი პრეზიდენტი და კლიენტი ქვეყანა! — ესაა ჩვენი უბედურება.**



„რუსულ საინფორმაციო მედიაში ამ ბოლო დროს დეტალურად აღწერენ აშშ-ის გეგმებს, რომელთა მიზანი საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ათობით მილიონი ღირებულების ანტისაზენიტო და ანტისატანკო შეიარაღებით უზრუნველყოფაა.

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „იტარ-ტასი“ და „რუსეთის ხმა“ შეიარაღების პაკეტის შესახებ ინფორმაციას რუსეთის სპეცსამსახურებსა და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჩინოვნიკებზე დაყრდნობით ადასტურებენ.

ოფიციალური პირი მეორე წყაროდან შეიარაღების გაყიდვის ვარაუდს შემდეგი განცხადებით გამოეხმაურა:

**„ჩვენ ღრმად ვწუხვართ იმის გამო, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ დეკლარირებულმა რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვამ არაფერი შეცვალა საქართველოს მთავრობისადმი ვაშინგტონის სამხედრო მხარდაჭერაში“.**

2008 წლის რუსულ-ქართულ-ოსურ ომს წინ უძღოდა სამხრეთ-ოსეთის დედაქალაქ ცხინვალისთვის 1 აგვისტოს ქართული არტილერიის მიერ გახსნილი ცეცხლი, რის შედეგადაც 6 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის იყო აქ დისლოცირებული რუსი მშვიდობისმყოფელიც.

**ეს შეტევა მოხდა სულ რაღაც რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც 1000-მა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა, მედესანტემ და სხვა სახის შენაერთების მოსამსახურემ საქართველოში ორკვირიანი წვრთნა დაასრულეს (Immediate Response 2008), რომელიც ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში ჩატარდა.**

ექვსი დღის შემდეგ სააკაშვილის რეჟიმმა წამოიწყო სრულმასშტაბიანი შეტევა სამხრეთ ოსეთზე, რომელიც დროში პეკინის ოლიმპიური თამაშების ცერემონიის გახსნას დაემთხვა.

**ამერიკული ჯარი და აღჭურვილობა საომარ ზონაში რჩებოდა იმ ხუთდღიანი საბრძოლო მოქმედებების დროსაც, რომლებიც რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარეობდა და რომლებიც მას შემდეგ დაიწყო, რაც რუსეთმა ქართველების შეტევისას რუსი მშვიდობისმყოფელებისა და სამხრეთ-ოსეთის მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვაზე მოახდინა რეაგირება.**

აშშ-ის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა, შინ დააბრუნა 2000 ქართველი სამხედრო, რომლებიც ერაყში იმყოფებოდნენ. ქართული ჯარი იმ მომენტისთვის, აშშ-ისა და ბრიტანეთის ჯარის შემდეგ, მესამე ყველაზე დიდი კონტინგენტი იყო ერაყში.

**ომის დასრულებიდან ხუთი დღის შემდეგ ჯო ბაიდენი, იმ დროს სენატორი და სენატის საგარეო ურთიერთობათა თავმჯდომარე, ხოლო დღეს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოში სასწრაფოდ გაემგზავრა, რათა მხარი დაეჭირა სააკაშვილისთვის და „საგანგებო დახმარების“ სახით აშშ-ის კლიენტი ქვეყნისთვის 1 მილიარდი დოლარი შეეთავაზებინა.**

მოგვიანებით, იმავე თვეში, აშშ-მა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, უშუალოდ აფხაზეთის სამხრეთით და არც თუ ძალიან შორს რუსეთის სასაზღვრო ზოლიდან, სარაკეტო ნაღმმტყორცნი „მაკფოლი“ (ნაწილი იმ საბრძოლო სისტემისა, რომელიც ინტერცეპტორების გაშვებისთვისაა შექმნილი), „მაუნთ უითნი“ (აშშ-ის მეექვსე ფლოტის ფლაგმანი) და სანაპირო დაცვის კატარღა გააგზავნა. თუ ვაშინგტონის ინფორმაციას ვენდობით, ეს მძიმედ შეიარაღებული საბრძოლო გემები ჰუმანიტარულ ოპერაციაში მონაწილეობდნენ. **რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აშშ საქართველოში იარაღის შეტანაში დაადანაშაულა.**

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ნიუ იორკის კოლუმბიის იურიდიული სკოლის კურსდამთავრებული **მიხეილ სააკაშვილი, ხელისუფლებაში 7 წლის წინათ იმ არაკონსტიტუციური გზით მოვიდა, რომელსაც ის და მისი თაყვანისმცემლები დასავლეთში „ვარდების რევოლუციად“ მოიხსენიებენ.**

ის რჩება ამერიკული პოლიტიკის ყველაზე სახელგანთქმულ კლიენტად მსოფლიოში, კოსოვოს პრემიერ-მინისტრთან და ე.წ. პრეზიდენტ ჰაშიმ ტაჩისთან ერთად. **ამ უკანასკნელს ამას წინათ ევროპის საბჭოს ანგარიშში ბრალი დასდეს საზარელი კრიმინალური ბანდის ლიდერობაში. ეს ბანდა ვაჭრობდა ნარკოტიკებით, იარაღითა და ადამიანის ორგანოებით, რომელიც ამ მიზნით მოკლული, სულ ცოტა, 500 სერბისა და სხვა მოქალაქეებისგან მოიპოვეს. იმპერია შეიძლება შეფასდეს იმ სატრაპებით, რომლებსაც აიარაღებს და ათამამებს.**

სააკაშვილის პიროსის მცდელობების შემდეგ, რომელთა მიზანი სამხრეთ-ოსეთში შეჭრითა და მოგვიანებით აფხაზეთზე თავდასხმის მეშვეობით, იმ ორი ბოლო წინააღმდეგობის მოსპობა იყო, რომელიც მისი ქვეყნის ნატოში გაწევრებას წინ ეღობებოდა (ეს ბოლო ორი წინააღმდეგობა გადაუწყვეტელი ტერიტორიული კონფლიქტები და ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარის დისლოცირება იყო, რადგან იმ დროს სამხრეთ-ოსეთსა და აფხაზეთში მცირერიცხოვანი რუსული ჯარი იყო განლაგებული). ნატო და აშშ სასწრაფოდ გამოეშურნენ სამხრეთ კავკასიაში თავისი ფორპოსტის მხარდასაჭერად.

სექტემბრის შუა რიცხვებში ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოფ სხეფერი და მისი ჩრდილოატლანტიკური საბჭო (იმ მომენტისთვის 26-ვე წევრი ქვეყნის მუდმივი წარმომადგენელი ელჩები) საქართველოში ჩამოვიდნენ და მასპინძელი ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მეგზურობით საჰაერო და სახმელეთო ჯარების ბაზების ინსპექტირება ჩაატარეს.

ამ მოგზაურობისას **აშშ-ის მიერ კონტროლირებადმა ბლოკმა ხელი მოაწერა ჩარჩო ხელშეკრულებას ნატო-საქართველოს კომისიის შექმნის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა ყოველწლიური ეროვნული პროგრამა საქართველოს ნატოში შემდგომი ინტეგრაციისთვის, რაც წარმოადგენდა განსაკუთრებულ ზომას, რადგან კვეცდა ალიანსში გაწევრებისთვის კანდიდატებისთვის დადგენილ სტანდარტულ ეტაპებს.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ ფაქტზე სპეციალური განცხადებით მოახდინა რეაგირება, სადაც განაცხადა:

**„იმის ნაცვლად, რომ სააკაშვილის მარცხიანი მცდელობისგან, რომლის მიზანიც (სამხრეთ-ოსეთთან) მრავალწლიანი კონფლიქტის ძალადობრივი გზით გადაწყვეტა იყო, სერიოზული დასკვნები გამოეტანა, ნატო ისევ ადასტურებს თავის მხარდაჭერას მისი (სააკაშვილის) დეზინფორმაციული კამპანიისადმი და მას ქვეყნის სამხედრო ინფრასტრუქტურის აღდგენას ჰპირდება“.**

**პენტაგონმა საქართველოში გააგზავნა შემფასებელთა გუნდი, რომელსაც უნდა განესაზღვრა, რა როლი შეიძლება შეასრულოს აშშ-მა,** ▶

### ჯიმი ჯალიაშვილი:

## ეჭვი არავის ეპარება, რომ ამერიკა სააკაშვილს იარაღს აწვდის

— ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სააკაშვილის რეჟიმს იარაღს აწვდის, და ეს ოფციალურადაც ბევრჯერ დაიწერა. ვფიქრობ, მიმართულება არასწორია, რადგან რეგიონშიც ძალიან დაპირისპირებული სახელმწიფოები არიან და მათთან ახლოს ვართ. საერთოდ ფეთქებადი ადგილია. ახლა შეუძლებელია, ვინმემ გათვალოს, რა მოხდება და როგორ, მაგრამ მე მაქვს ერთი მოსაზრება, რომ, **თუ შეიარაღებამდე მივიდა საქმე, ვფიქრობ, ეს იქნება ამ სახელმწიფოს წაშლა რუკიდან. ჩვენ ვერ გავაცნობიერეთ ელემენტარული რამ, რომ ასეთი თამაში და მილიტარისტული განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ აქეზებს რუსეთს.** დაწყებული ევროპიდან დამთავრებული აზიის ბევრი ქვეყნით, მას აქვს მხარდაჭერის იმედი, სხვადასხვა ურთიერთობებია მათ შორის და ასეთ შემთხვევაში ჩვენი მხრიდან დიდი შეცდომა იქნება რუსეთთან დაჭიდება. თუ აქ კონფლიქტი განახლდა, რაზეც, დიდი ხანია, უკვე მიმდინარეობს საუბარი, აშშ და ნატო ვერ შეძლებენ ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას, ვერც ჩაერევიან ამ კონფლიქტში იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასწაული მოხდა და ნატოს წევრი გავხდით.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**რუსეთთან აგვისტოს სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, ქვეყნისა და სამხედრო აღმშენებლობის პროცესში.**

შეფასების შემდეგ პენტაგონის ოფიციალური პირები განიხილავენ იმას, თუ **როგორ შეძლებს შეერთებული შტატები საქართველოს რეკონსტრუქციის, მათ შორის, შეიარაღებული ძალების აღდგენის მხარდაჭერას.**

თვის ბოლოსკენ დელეგაცია, რომელსაც სათავეში ფრენკ ბოლანდი, ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დირექტორატის ხელმძღვანელი ედგა, ქვეყნის თავდაცვის სისტემისა და შეიარაღებული ძალების უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებთან შესახვედრად და ნატოში ინტეგრაციისთვის ქვეყნის შემდგომი ეტაპის მოსამზადებლად საქართველოს ეწვია.

ერთი თვით ადრე, სულ რამდენიმე კვირაში ომის დასრულებიდან, თავდაცვის მდივნის მოადგილემ პოლიტიკის დარგში, ერიკ ედელმანმა სენატის შეირაღებული ძალების კომიტეტს განუცხადა: **„საქართველოს, ისევე, როგორც ნებისმიერ სუვერენულ ქვეყანას, უნდა ჰქონდეს თავდაცვისა და განახლებული აგრესიის შეკავების უნარი; ამიტომ არ უნდა დაისვას არც ერთი კითხვა იმის შესახებ, უნდა გაუწიოს თუ არა საქართველოს სამხედრო დახმარება შეერთებულმა შტატებმა ან ნატომ, ან ნატოს ნებისმიერმა წევრმა ქვეყანამ“.**

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მხარი დაუჭირა ბაიდენის მოწოდებას საქართველოსთვის 1 მილიარდი დოლარის დახმარების არასამხედრო დანიშნულების გასაწევად, რაც, როგორც იმ დროს აღინიშნა, „ბევრად მეტია იმ 63 მილიონ დოლარზე, რომელიც ვაშინგტონმა საქართველოს შარშან გადასცა. თუ ერაყს არ ჩავთვლით, ეს დახმარება საქართველოს, ისრაელისა და ეგვიპტის შემდეგ, ამერიკული საგარეო დახმარების ყველაზე დიდ რეციპიენტად ხდის“.

საქართველოს მოსახლეობა 4,6 მილიონია, ხოლო ეგვიპტისა — 80 მილიონი.

რუსი სამხედრო ექსპერტის — ვიქტორ ბარანეცის თქმით, **„საქართველო ყიდულობს ანტისაზენიტო და ანტისატანკო იარაღს, რადგან 2008 წლის ომმა აჩვენა, რომ ეს ქართული არმიის სუსტი წერტილია“.**

**მოკლედ, აშშ თბილისს ზუსტად იმ შეიარაღებას მიაწვდის, რომელიც თბილისს სამხრეთ ოსეთზე ახალი თავდასხმისთვის და რუსეთთან ახალი ომისთვის სჭირდება.**

7 წლის ცვალებადი, მეგალომანიური, ავტანტიურული, დიქტატორული და მომაკვდინებელი მართვის შემდეგაც, სააკაშვილი ისევ რჩება ვაშინგტონის პოლიტიკური ისტებლიშმენტის განსაკუთრებულ, განებივრებულ ფავორიტად.

1 დეკემბერს, ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის (ეუთო) სამიტზე, ყაზახეთში, რომლის მსვლელობისასაც იგი პრივატულად შეხვდა სააკაშვილს, ჰილარი კლინტონი მხარს უჭერდა „საქართველოში ეუთოს მნიშვნელოვან წარმომადგენლობას“. 1998 წელს და მანამდე, სანამ შემდგომი წლის მარტში ნატო იუგოსლავიის წინააღმდეგ ომს დაიწყებდა, მისი ქმრის ადმინისტრაცია ეუთოს კოსოვოს მისიას, რომელსაც სათავეში ცნობილი უილიამ უოლკერი ედგა, იმისთვის იყენებდა, რომ იუგოსლავიის 78-დღიანი დაბომბვებისა და სერბეთისთვის კოსოვოს წართმევისთვის წინაპირობა მოემზადებინა. 3 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოში აშშ-ის ელჩის — ჯონ ბასის სიტყვა. იგი ადასტურებდა, რომ **„შეერთებული შტატები ისევ მტკიცედ უერთგულებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ძლიერი სამხედრო ურთიერთობები გვაქვს, ვთანამშრომლობთ თავდაცვის დარგში და მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს თავდაცვისა და სხვა სამინისტროებთან, რათა განვამტკიცოთ საქართველოს თავდაცვისუნარიანობა“.**

სამი დღის შემდეგ ბასი კრწანისის საწვრთნელ ცენტრს ეწვია და „ასევე მოინახულა მოდელირების ცენტრი და ადგილზე დაესწრო წვრთნებს“.

ამერიკის ელჩი, როგორც წესი, ესწრება აშშ-ის საზღვაო ქვეითების კორპუსის მიერ ავღანეთისთვის გაწვრთნილი ქართული სამხედროების გაცილებისა და დახვედრის ცერემონიებს.

**რეალურად პენტაგონმა საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა 2002 წელს დააფუძნა. თავდაპირველად ამ პროგრამას „მწვანე ბერეტები“, შემდეგ საზღვაო ქვეითები ხელმძღვანელობდნენ და ბოლოს, სამი წლის შემდეგ, შეიქმნა Georgia Sustainment and Stability Operations Program.**

აშშ-ის საზღვაო ქვეითების კორპუსის ხელმძღვანელის რანგში გენერალი ჯეიმს ქონვეი 2009 წლის აგვისტოში საქართველოს ეწვია, რათა მასპინძელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ახალი წვრთნების ინაუგურაცია ჩაეტარებინა. მაშინ Associated Press-ი იუწყებოდა, რომ, **როდესაც ჰკითხეს, გამოდგება თუ არა ეს წვრთნები „რუსეთთან კიდევ ერთი ომის შემთხვევაში“**, მან უპასუხა: **„ზოგადად, კი“.**

გასულ სექტემბერს სააკაშვილმა ქუთაისში, ახალ სამხედრო ბაზაზე, ახალი საწვრთნელი ბაზის კურსდამთავრებულ კადეტებს სიტყვით მიმართა:

**„ვინმემ შეიძლება თქვას: ჩვენ ასე ბევრი პრობლემა გვაქვს, ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, ახლა არ არის სადღაც საბრძოლველად წასვლის დრო, მაგრამ ზუსტად ამ პრობლემის გამო, ჩვენ საბრძოლო გამოცდილება გვჭირდება... და ეს (ავღანეთი) ბრძოლისა და ომის უნიკალური სკოლაა“.**

9 დეკემბერს Associated Press-მა საქართველოს ვიცე-პრემიერთან, გიორგი ბარამიძესთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც წერდა, რომ მან **„ვაშინგტონში, მიმდინარე კვირას ობამას ადმინისტრაციასთან (ნატოში სრული გაწევრების) საკითხი წამოაყენა“.** შემდგომ განაცხადა: **„საქართველო უკვე ისე მოქმედებს, თითქოს ის ნატოს წევრია“.**

იმავე დღეს სენატორებმა: ჯინ შაჰინმა და ლინდსი გრეჰემმა, საქართველოს საკითხებში ატლანტიკური საბჭოს თანათავმჯდომარეებმა, შექმნეს და სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს წარუდგინეს კანონპროექტი სათაურით — **„რეზოლუცია, რომელიც გამოხატავს სენატის პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი და იმ სიტუაციისადმი, რომელიც შეიქმნა საქართველოს საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებთან დაკავშირებით“.** დოკუმენტი აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთს **„რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებად მოიხსენიებდა“.**

მეორე დღეს შაჰინმა და გრეჰემის კოლეგა სენატორმა ჯონ მაკეინმა ილაპარაკეს კონფერენციაზე, რომლის სახელდებაც იყო „ტრანსატლანტიკური კონსესუსი რუსეთთან დაკავშირებით“. კონფერენცია გაიმართა პოლ ნიცეს სახელობის მოწინავე საერთაშორისო კვლევების სკოლაში, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში. აქ მან საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის განახლება და გაზრდა მოითხოვა და განაცხადა:

**„ორი წლის განმავლობაში, ძირითადად, რუსეთისადმი პატივისცემის ნიშნად, საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების მიყიდვა დაშვებული არ იყო. ეს ვითარება უნდა შეიცვალოს. სულ ცოტა, ჩვენ საქართველო უნდა მოვამარაგოთ წინასწარი შეტყობინების რადარებით, სხვა საბაზისო სიმძლავრეებით, რათა განვამტკიცოთ მისი თავდაცვისუნარიანობა.**

ჩვენი მოკავშირეები ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ევროპაში საქართველოს პრეცედენტად განიხილავენ, რომელიც აჩვენებს, დაიცავს მათ შეერთებული შტატები თუ არა. რუსეთი საქართველოს, ასევე, პრეცედენტად მიიჩნევს — რამდენად შეუძლია მას, დაუსხლტეს პასუხისმგებლობას საქართველოსთან დაკავშირებით და, თუ აქ ის ამას მოახერხებს, მოახერხებს ნებისმიერ სხვა ადგილასაც. საქართველოს ნატოში მისწრაფების მხარდაჭერა ჩვენი მთავრობის პოლიტიკაა“.

მოგვიანებით რობერტ პშელმა, მოსკოვში ნატოს საინფორმაციო ოფისის ახალმა დირექტორმა, წარსულში ნატოს სპიკერის მოადგილემ დაადასტურა, რომ **„ნატო გააგრძელებს აღმოსავლეთით გაფართოების პოლიტიკას“** და **„ნატო-საქართველოს კომისია განაგრძობს მუშაობას“.**

დეკემბრის შუა რიცხვებში აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ, საქართველოს ვიცე-პრემიერი და სახელმწიფო მინისტრი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს ნატოში გაწევრების დასაგეგმად ერთმანეთს ვაშინგტონში შეხვდნენ. გიორგი ბარამიძემ შემდგომში განაცხადა, რომ **„ვერშბოუსთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის აქტიურადაა ჩართული ნატოს გაფართოების საკითხებში და პირადად უზრუნველყოფს ალიანსში საქართველოს გაწევრებას“.**

ბარამიძე, რომელიც ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში სწავლობდა და 2004 წელს თავდაცვის მინისტრი იყო, ასევე შეხვდა აშშ-ის სენატის წევრებს, ზემოთ ნახსენებ კანონპროექტთან დაკავშირებით.

**ამერიკული ჯარი რუსეთთან 2008 წლის ომის მსვლელობისას საქართველოში იმყოფებოდა და მოგვიანებით, იმავე თვეში, ამერიკული საბრძოლო გემები ქვეყნის პორტში იყვნენ დისლოცირებული, ხოლო რუსეთის შავი ზღვის ფლოტი იქვე, სამიზნე დისტანციაზე, იდგა.**

აქამდე არასდროს მომხდარა ისე, რომ მსოფლიოს ორი მთავარი ბირთვული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები ომის მსვლელობისას საბრძოლო ხაზის საპირისპირო მხარეს აღმოჩენილიყვნენ.

იმით, რომ საქართველოს მაღალტექნოლოგიურ შეიარაღებას აწვდის, ვაშინგტონი რუსეთს მის სამხრეთ საზღვრებთან აღიზიანებს და ისეთი სამხედრო კონფლიქტის რისკზე მიდის, რომელმაც ის შეიძლება თავის მთავარ ბირთვულ მეტოქესთან უშუალო კონფრონტაციაში ჩაითრიოს“.

**რიკ როზოფი**




## რამაზ კლიმიაშვილი:

# გაზაფხულზე სააკაშვილის მიერ საომარი მოქმედებების განახლების საფუძველს საქართველოს გამალებული შეიარაღების პროცესი იძლევა

— მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ამერიკის შეერთებული შტატები უარყოფს საქართველოს იარაღით მომარაგების ფაქტს, ეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს. ამ თემაზე საქართველოში უკვე ხელისუფლების წარმომადგენლებიც საუბრობენ. რაც შეეხება იმას, მოსალოდნელია თუ არა გაზაფხულზე საომარი მოქმედებების განახლება, გეტყვით, რომ 90 პროცენტით, რადგან 100-პროცენტიანი ვარაუდები არ არსებობს, ეს ამერიკელების მოგონილია. **გაზაფხულზე სააკაშვილის მიერ საომარი მოქმედებების განახლების საფუძველს ამერიკის მიერ საქართველოს გამალებული შეიარაღების პროცესი იძლევა.**



საავტორო სვეტი

# მოდი ვნახოთ მგელი

**ჩვენ აქ ვსხედვართ, საგარეჯოში კი გამგეობა ტყვია-წამალს არიგებს. შესაძლოა, ვინმეს თვალწინ დაუდგა ბატალური სურათი — ტანკებისა და თვითმფრინავების ფონზე მძიმედ მოაბიჯებენ ბატალიონები და სუსხიან ქარში ამაყად ფრიალებს მთავარსარდლის ძლევამოსილი ჰალსტუხი (აქ, ალბათ, „„ბაირაღი“ უნდა დამეწერა; დავწერ კიდეც „მთავარსარდალი“ რომ შეიცვლება). მაგრამ ყველა შეცდა, ვინც მსუბუქი მილიტარისტული ფსიქოზის ხასხასა ფერებით მოხატული ეს სცენა წარმოიდგინა.**

საქმე გაცილებით მარტივადაა; საგარეჯოს რაიონში კვლავ გამოჩნდა მგლების ხროვა და ტყვია-წამალი გლეხებს მტაცებლებისგან საქონლის დასაცავად დაურიგეს. რთული სიტუაციაა კახეთის სხვა რაიონებშიც, აგრეთვე, სამეგრელოში, სადაც მხოლოდ ხობის რაიონში მგლების თავდასხმა საქონელზე 30-ჯერ დაფიქსირდა. რას ვიზამთ, საქართველოში მხოლოდ ადამიანებს არ შიათ. მგლების მასირებულმა შემოსევამ ბოლო პერიოდში რამდენიმე ათეული პირუტყვი იმსხვერპლა.

ასეთ დროს ხშირად ხმარობენ სიტყვას „უპრეცედენტო“, თუმცა პრეცედენტი ნამდვილად იყო. ძველ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, **1924-25 წლების მიჯნაზე მტაცებელთა ანალოგიური აქტიურობა დაფიქსირდა. მონადირეთა ძალისხმევის მიუხედავად, მტაცებლები თბილისის ცენტრალურ ქუჩებზეც ახერხებდნენ შეღწევას. ერთხელ მგელი მეეზოვეს თავს „ლაღიძის წყლებთან“ დაესხა,** თუმცა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ „ჰომო საპიენსმა“ იმარჯვა; ცოცხით განგმირა მგელი თუ აქანდაზით შუაზე გააპო, ამაზე ისტორია დუმს.

მაშ ასე, ჯენტლმენებო, ტყვია-წამალი დარიგებულია და, ადმირალი ნელსონი რომ იტყოდა, სამშობლო ელოდება, თითოეული თქვენგანი თავის ვალს როდის მოიხდის. კაცურად კი თქვა, არანაირი პათეტიკა და ისტერიკა. აღსანიშნავია, რომ **ბრიტანელი მეზღვაურების შავი ჰალსტუხი ორასი წლის წინათ დაღუპულ ნელსონზე გლოვის სიმბოლოა, როგორც ვხედავთ, ჰალსტუხი სამხედრო (საზღვაო) ტრადიციაში შეიძლება არა მხოლოდ სამარადჟამო სირცხვილის სიმბოლო იყოს.**

თუმცა ისევ ჩვენს მგლებს და მათთან საბრძოლველად გამგეობის მიერ აღჭურვილ გლეხებს დავუბრუნდეთ.

არაფერი არ განაწყობს ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეზე სამსჯელოდ ისე, როგორც შემართული იარაღის სიმძიმე; ლოგიკა ილვიძებს და უხერხული კითხვების დასმას იწყებს. მაგალითად, ასეთის: **შარშანდელთან შედარებით ნათესი ფართობები 11%-ით შემცირდა, მათ შორის ხორბლის ნათესები — 81%-ით (აქ და შემდგომ ნოდარ ჯავახიშვილის მონაცემებია. — ავტ.), საქონლის ხორცის მოცულობამ 10%-ით იკლო, რძის — 3%-ით, კვერცხის — თითქმის 11%-ით; ცხვრის სულადობა — 16%-ით, ღორის კი 29%-ით შემცირდა. რომელმა მგელმა შეჭამა ეს ყველაფერი? მსჯელობამ ამ თემაზე,** ოღონდაც არა სტატისტიკურ მონაცემებზე, არამედ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, **შეიძლება მიიყვანოს ადამიანი დასკვნამდე, რომ მას შიმშილისგან გაძვალტყავებულ მგელთან გაცილებით მეტი აქვს საერთო, ვიდრე იმ ვირიშვილებთან** (მოქმედება კახეთში ვითარდება. ასე რომ, შეგვიძლია ერთი-ორი იქაური ტერმინი მოვიშველიოთ), **რომლებიც სოფლის მეურნეობას ყვლეფენ და არსებობის წყაროს უსპობენ.**

ასეთი მსჯელობის შემდეგ ადამიანი, როგორც წესი ყურადღებით უყურებს თოფს და სევდიანად ფიქრობს ცხოვრების აზრზე, ტყის სიღრმიდან კი მას აკვირდება მგელი, რომელიც ჯერაც ვერ შეამჩნია; მგელი იმავე თემაზე, ოღონდაც სხვა განსაზღვრებების მოშველიებით ფიქრობს.

**ღმერთმა დაგვიფაროს მშიერი ბუნტისგან, რადგან არ არსებობს ამქვეყნად უფრო მრისხანე და დამანგრეველი ძალა, ვიდრე გამწარებული ადამიანების მასა ძველი თოფებით ან სულაც კომბლებით ხელში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, ფასების ზრდასა და, ზოგადად, იმ უბედურებას, რომელიც ქვეყანაში ტრიალებს, სწორედ აქეთკენ მივყავართ.**

ამბობენ, ბოლო დროს უკვე მოხდა რამდენიმე (ზედიზედ) შემთხვევა, როდესაც ბოროტმოქმედები ღამით მაღაზიაში შეიპარნენ და კვების პროდუქტები მოიპარეს. თუ ეს მართლაც ასეა, ეს საკმაოდ საგანგაშო სიგნალია. თუ ადამიანი სერიოზულ რისკზე სურსათის გამო მიდის, ეს მის უკიდურეს გაჭირვებაზე მიუთითებს.

ასე რომ, ვიდრე საქმე მასშტაბურ ექსცესებამდე მივა, სჯობს, დროულად გამოვავლინოთ (რაღა გამოვლენა უნდა), ვინ არის ნამდვილი მგელი, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ცხვრის ტყავში იყოს გახვეული და ჰალსტუხიც ეკეთოს, გავსკვანჩოთ და საზეიმო ვითარებაში ზოოპარკს გადავცეთ.

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაფორიზებულნი



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

ეკლესია დღეს, ფაქტობრივად, ერთადერთი ხიდია, რომელიც ჩვენ რუსეთთან გვაკავშირებს. ურთიერთობებს ეკლესიის მეშვეობით ვაწარმოებთ და ეს ხიდიც თუ ჩავტეხეთ, ძალიან რთული პროცესები დაიწყება.

*„საქინფორმი“*



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

სომხეთის ჰაერში მაღალი ტექნოლოგიების განვითარების ტალანტი ფრენს!.. ამაშია სომხეთის უნიკალურობა და სომეხი ხალხის ტალანტი... ჩვენ არა მხოლოდ აღფრთოვანებული ვართ ამით, არამედ გვინდა თქვენი გამოცდილების მიღება და გაზიარება!..

*„კვირის ქრონიკა“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

რუსეთთან ულტიმატუმის ენაზე საუბარი არ გამოვა და არც შეიძლება. თუ ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება გვინდა, ურთიერთობა უნდა მოვაგვაროთ და ასეთ შემთხვევაში მე არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა ჩვენი ტერიტორიები საკუთარი ინიციატივით დაგვიბრუნოს!

*„ასავალ-დასავალი“*



**ნოდარ ჯავახიშვილი,**
**ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი:**

მაქვს დიდი ეჭვი, რომ უშიშროების საბჭოს საიდუმლო გრიფით სააკაშვილი ყიდულობს მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებს, რათა იქ დაიბეჭდოს მისი ავადმყოფური შეფასებები და ამით მოტყუვდეს მთელი მსოფლიო. ხომ ხედავთ, რომ მთელი მსოფლიო მართლაც მოტყუებულია? ბალტიისპირელები ფიქრობენ, რომ საქართველო აყვავებულია. მოლდოველები ჩამოვიდნენ და გვითხრეს, გვასწავლეთ, როგორ ახდენთ ამ სასწაულებსო. მოკლედ, სააკაშვილმა 3 წელიწადში 60 მილიონი დახარჯა იმისთვის, რომ მსოფლიო საქართველოში მომხდარი სასწაულებით მოატყუოს.

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**ადვოკატი:**

ამ დროისთვის ჰააგის სარჩელზე ხელი მოწერილი აქვს 81 ათას 300 ადამიანს! ეს 80 ათასი კაცი გამოვა ქუჩაში და მოითხოვს დამნაშავე სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის, ახალაიების და ძმათა მათთა დაპატიმრებას!

*„ასავალ-დასავალი“*



**დიტო ჩუბინიძე,**
**ჟურნალისტი:**

იცით, რატომ აქოთდა, აყროლდა და ლაფში ამოისვარა „მწერალთა კავშირი“? იმიტომ, რომ უკაცრავად პასუხია, მაგრამ ჩვენს ბედნიერ მერს — გიგილო უგულავას, შარვალი რომ ჩახადოთ და უკანალი თვალის ერთი მოვლებით შეუთვალიეროთ, იქ ბევრი ცნობილი მწერლისა და პოეტის ნაკბენს იპოვნით... ხელისუფლებამ მწერლებსა და „მწერალთა კავშირს“ ვერაფერი დააკლო ძალით, სამაგიეროდ, მან თავის მიზანს მიაღწია ფულით!.. ვინც უგულავასგან ფული აიღო, ის ცოცხლად დაიმარხა და დამიწდა...

*„კვირის ქრონიკა“*



**მამუკა კაციტაძე,**
**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ვერონიკა ქობალიას გამინისტრება ეს უკვე მასხრად აგდება იყო და ახლა იმაზე საუბარი, რომ შეიძლება პრემიერ-მინისტრიც გახდეს, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ხალხის მწარედ დაცინვა. სააკაშვილმა ყველა ზღვარს გადააჭარბა, ხან ზღვიდან გველაპარაკება, ხან — გამოქვაბულიდან. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ „ჭამს“ ამ თავხედობებს. არც ის ვიცი, იგივე საზოგადოება ქობალიას გაპრემიერებას როგორ შეხვდება, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია.

*„რეზონანსი“*

# სააკაშვილი ერევანში, ანუ შანტაჟის მოკრძალებული ხიბლი

**გასულ კვირას მიშა და გრიშა, უკაცრავად, მიხეილ სააკაშვილი და გრიგოლ ვაშაძე ერევანს სტუმრობდნენ. ვინაიდან ქართულ საზოგადოებას ამავე პერიოდში, უპირველეს ყოვლისა, ფასების კატასტროფული ზრდა აინტერესებდა, საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ამბები მისი ყურადღების პერიფერიაზე მოექცა. არადა, სააკაშვილის ვიზიტი სომხეთში, ისევე, როგორც ოფიციალური თბილისის ბოლოდროინდელი კონტაქტები აზერბაიჯანთან, საკმაოდ საინტერესო თემაა, რადგან ჩვენს მომავალზე შეიძლება უშუალო და, მოვლენათა განვითარების ზოგიერთ ვარიანტში, არასასურველი გავლენა მოახდინოს. საინტერესოა, რას დაეძებდა ერევანში მიხეილ სააკაშვილი?**



**თუ აზერბაიჯანი ამ ენერგეტიკულ არტერიას დაეუფლება, ის სომხეთის უსაფრთხოებას უშუალო საფრთხეს შეუქმნის**

## მიშა, გრიშა და საშა

**გრიგოლ ვაშაძე ამ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ბაქოში ჩავიდა, ამ ვიზიტს წინ უძღოდა მინისტრის მონუმენტური განცხადება აზერბაიჯანული ტელეკომპანია „ANS-ის ეთერში იმის თაობაზე, რომ საქართველო მზად არის ყარაბახის კონფლიქტის მოგვარებაში შუამავლის როლი შეასრულოს. სერიოზულმა მედიამ, პოლიტიკოსებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ პასაჟს ყურადღება, უბრალოდ, არ მიაქცია; საქართველო კონფლიქტის დარეგულირებით დაკავებული ეუთოს „მინსკის ჯგუფის” შემადგენლობაში არ შედის. ამასთანავე, ის თავად იმყოფება ურთულესი კონფლიქტის ეპიცენტრში, რომლის მოგვარების პროცესში სააკაშვილის ხელისუფლება ფრიად უსუსურად გამოიყურება.**

არსებობს სხვა შემაფერხებელი გარემოებებიც, თუმცა მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს, რადგან ამ თემაზე მსჯელობა არასერიოზულია. ვაშაძის ეს განცხადება, პრინციპში, ყველაზე მეტად სახელისუფლო პროპაგანდას სჭირდებოდა, რათა სააკაშვილის ხელისუფლების ბოლოდროინდელი აქტიურობისთვის ბაქოსა და ერევანში მაღალფარდოვანი, ლამის პოეტური შინაარსი მოეძებნა. არადა, სინამდვილეში საკითხი, სავარაუდოდ, გაცილებით მარტივად და პროზაულად დგას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ოფიციალური ინფორმაცია სააკაშვილის საზღვარგარეთული ვოიაჟების შესახებ ძალიან ბუნდოვან და ზოგად ფორმულირებებს შეიცავს, ყველამ შეამჩნია, რომ მიშასა და გრიშას გარდა, ქართული დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა საშა, უკაცრავად, ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური. შესაბამისად **ლეგიტიმური გახდა ვარაუდი, რომ საუბარი სხვა ყველაფერთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო გასხვისებას შეეხებოდა, რომლის მეშვეობით სომხეთი რუსეთიდან გაზს იღებს.**

რეალური მყიდველი ორია: აზერბაიჯანული „სოკარი“ და რუსული „გაზპრომი“ (ამ უკანასკნელს, სავარაუდოდ, შვილობილი სტრუქტურები წარმოადგენენ). ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ მოედანზე თამაში რომელიმე სხვა კომპანიამ სცადოს. მართალია, დღეს მოქმედი კანონის თანახმად, **ნავთობისა და გაზის კორპორაციას გაზსადენის მხოლოდ 25%-ანი წილის გასხვისება შეუძლია, მაგრამ მომავალში ის შეიძლება შეიცვალოს** (მითუმეტეს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ფული ჰაერივით სჭირდება) **ისევე სწრაფად, როგორც არცთუ დიდი ხნის წინათ გაზსადენი სტრატეგიული ობიექტების ნუსხიდან ამოიღეს, რამაც მისი პრივატიზება შესაძლებელი გახადა.** „სოკარმა“ ცხოველი ინტერესი გაზსადენის აქციების შეძენის (ან გრძელვადიანი კონცესიური მართვის) მიმართ ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში გამოხატა.

პარასკევს, ერევანში ჩასვლამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა დაუდასტურა „Bloomberg“-ს, რომ აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა დეტალებში ჩაღრმავებისგან თავი შეიკავა. ცხადია, „სოკარის“ წარმომადგენლები ღიად არ საუბრობდნენ იმაზე, რომ, როგორც კი მილს მისწვდებიან, სომხეთს გაზს გადაუკეტავენ. თუმცა ქართულ დელეგაციასთან მოლაპარაკებების ერთ-ერთი რაუნდის შემდეგ **„სოკარის“ პრეზიდენტს როვნაგ აბდულაევს საკმაოდ საგულისხმო ფრაზა „წამოსცდა“: „ამ მილსადენის გამოყენებას შავი ზღვის ნაპირებისკენ აზერბაიჯანული გაზის ექსპორტისთვის ვაპირებთ“,** შემდეგ კი „სოკარის“ პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება. მასში ნათქვამი იყო, რომ **„აზერბაიჯანი განიხილავს მილსადენის ქართული მონაკვეთის, რომლითაც რუსეთიდან სომხეთს გაზი მიეწოდება, „AGRI“-ს პროექტის ჩარჩოებში გამოყენების შესაძლებლობას; „AGRI“ აზერბაიჯანული გათხევადებული გაზის საქართველოს გავლით, შავი ზღვით, რუმინეთისთვის მიწოდებას ითვალისწინებს“.**

როგორ უნდა გამოიყენო მილსადენი, რომელიც რუსეთიდან სომხეთში მიდის, საქართველოს პორტებში გაზის ტრანსპორტირებისთვის, ძნელი სათქმელია, თუმცა ამ გეოგრაფიულ ფანტაზიებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. **თუ აზერბაიჯანი ამ ენერგეტიკულ არტერიას დაეუფლება, ის სომხეთის უსაფრთხოებას უშუალო საფრთხეს შეუქმნის.**

აზერბაიჯანელების ხელში მილსადენმა ძველებურად რომც იფუნქციონიროს, ერევანი მაინც დარწმუნებული იქნება, რომ გადამწყვეტ მომენტში გაზს გადაუკეტავენ.

თუ მსგავსი კომბინაცია ათიოდე წლის წინათ გათამაშდებოდა, დარტყმა გაცილებით ძლიერი იქნებოდა. თუმცა დღეს სომხეთს ირანთან 2007 წელს ამოქმედებული გაზსადენი აკავშირებს, რომლითაც მოწოდებული გაზი ამ ქვეყნის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის სავსებით საკმარისია. დღეს ირანული გაზი რაზდანის თბოელექტროსადგურს მიეწოდება (მისი საკონტროლო პაკეტი რუსულ კომპანიას ეკუთვნის) იქ მიღებული ელექტროენერგიის ნაწილი (3 კილოვატსაათი ერთი კუბური მეტრი გაზის სანაცვლოდ) ირანს უბრუნდება.

ამ სქემის მოშლა სომხეთისთვის დამატებით პრობლემებს დაუკავშირდება, ამასთანავე, ის ერთ მომწოდებელზე (ირანზე) გახდება დამოკიდებული. ცხადია, ეს პერსპექტივა ერევანს არ ხიბლავს. **„საქართველოს ხელისუფლებას არ შეიძლება არ ესმოდეს, რა შედეგს მოუტანს სომხეთს მთავარი მკვებავი არტერიის დაკარგვა. რამდენად მზად არის თბილისი, უახლოესი მეზობლის წინააღმდეგ აშკა-** ▶

**შანტაჟის ელემენტი სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკაში ბოლო დროს საკმაოდ საგრძნობი გახდა**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ რად არამეგობრულ ნაბიჯზე წავიდეს"? („Deutsche Welle").

თუმცა გაზსადენის „სოკარზე" გაყიდვის შესაძლებლობა მხოლოდ ერთი ვარიანტია, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება, შესაძლოა, იყენებს იმისთვის, რომ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს თამაში შეიძლება გაუმართლებლად დიდ პოლიტიკურ რისკებს დაუკავშირდეს.

### განხეთქილების მილი

**მთელი ეს სიტუაცია იმის გამო შეიქმნა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ხელთ პრაქტიკულად არ დარჩა მსხვილი ობიექტი (გაზსადენი ერთ-ერთი მათგანია), რომლის გასხვისება რეგიონული მასშტაბის რყევას არ გამოიწვევს. პრივატიზაციის ძირითადი ეტაპი დასრულდა, უცხოური დახმარებების ნაკადმა იკლო, ხოლო საგარეო ვალმა, პირიქით — მოიმატა. ყოველივე ამის მიუხედავად, ეკონომიკის რეალური სექტორი მკვდარია, როგორც ჰანიბალის სპილო; ხელისუფლება, ერთის მხრივ, ხარჯების შემცირების, მეორეს მხრივ, დამატებითი სახსრების მოძიების აუცილებლობის წინაშე დგას.**

გაზსადენის მიყიდვა აზერბაიჯანზე, სომხეთში კიდევ უფრო გააძლიერებს განცდას, რომ ის „ალყაში მოაქციეს" (მოლოდინები შეიძლება საკმაოდ პესიმისტური იყოს და დაახლოებით ასეთ ჩარჩოში ჯდებოდეს: „დღეს მილსადენი, ხვალ რკინიგზა, ზეგ...") მსგავსი განწყობების დესტრუქციული ძალა კაცობრიობის ისტორიაში არაერთხელ გამოვლენილა, ყველაზე ცნობილი მაგალითია გერმანია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, რომელსაც „ალყაში მოხვედრის" განცდამ გზა პირველი მსოფლიო ომისკენ გაუკაფა. არის სხვა, ნაკლებად მასშტაბური მაგალითებიც. თუმცა მთავარი ისაა, რომ **სახელმწიფო, რომელიც თავს ალყაში მოქცეულად გრძნობს, ისევე, როგორც მსგავს სიტუაციაში მოხვედრილი ჯარისკაცი, გარღვევაზე მიდის. სომხეთისთვის გეოპოლიტიკური გარღვევის ლოგიკური, ნაკლებ დანაკარგებთან დაკავშირებული მიმართულება ჩრდილოეთია, სადაც მისი ყველაზე სუსტი მეზობელი — საქართველო მდებარეობს.**

ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაზსადენის გასხვისებიდან მეორე დღეს სომხეთის არმია ჩრდილოეთით დერეფნის ძალისმიერ გაჭრას დაიწყებს, თუმცა **ერევანი შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ მისთვის უპირველეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანას მის დიდ მოკავშირესთან, რუსეთთან საიმედო კომუნიკაციის უზრუნველყოფა წარმოადგენს, თუნდაც ეს საქართველოს ინტერესების ხარჯზე მოხდეს.**



# საუბარი სხვა ყველაფერთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო გასხვისებას შეეხებოდა

„ალყის განცდა" იმითაა საშიში, რომ მასში რაციონალურ გათვლებს ფსიქოლოგიური ფაქტორი ემატება, რაც მოვლენათა შესაძლო განვითარების პროგნოზირებას ართულებს.

ერთი შეხედვით, სააკაშვილი მომგებიან მდგომარეობაშია, რადგან არასახარბიელო პერსპექტივამ თითქოსდა შეიძლება აიძულოს ერევანი, მიმართოს „გაზპრომს", რათა ის პროცესში აქტიურად ჩაერიოს, გაზსადენში პოლიტიკური ფასი გადაიხადოს და მოსალოდნელი საფრთხე აარიდოს ან კიდევ სააკაშვილის ხელისუფლებისთვის მოსკოვში სხვა მნიშვნელოვანი (საბოლოო ჯამში, ლობისტური შინაარსის) მისია შეასრულოს. მეორეს მხრივ, **„სოკარი", როგორც ჩანს, მზად არის, წამგებიან გარიგებაზე წავიდეს, ოღონდ ეს მრავალტანჯული „ტრუბა" ხელში ჩაიგდოს.**

ამასთანავე, მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება თემა, რომელიც აშშ-ს არ აინტერესებს, და ამ ჩვენი მილსადენის მომავალი მათ რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნება. **როდესაც საკითხი დღის წესრიგში პირველად ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანიას პრემიერ-მინისტრობის დროს დადგა, ვაშინგტონი გასხვისებას კატეგორიულად შეეწინააღმდეგა. ამის გაკეთება თბილისელ პარტნიორებს, ფაქტობრივად, აუკრძალა და ერთგვარი კომპენსაციის სახით მილსადენის რეაბილიტაციისთვის მნიშვნელოვანი სახსრები გამოუყო.** ნებისმიერი ინტეგრაცია მიმართულებით ჩრდილოეთ-სამხრეთი (ენერგეტიკული, სატრანსპორტო თუ სხვა) შტატების გეოპოლიტიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება, რადგან რუსეთისა და ირანის დაახლოებას იწვევს და პროცესში ამიერკავკასიის მცირე სახელმწიფოების ჩათრევასაც მოასწავებს.

**მილსადენის „გაზპრომის" ხელში გადასვლა აშშ-ს გრძელვადიან ინტერესებს ეწინააღმდეგება. მაგრამ, თუ მას „სოკარი" დაეპატრონება, ეს სამხრეთ კავკასიაში ისედაც დეფიციტური უსაფრთხოების კლებას დაუკავშირდება.**

ამ ეპიკური დილემის გაჩენას წინ უძღოდა, სავარაუდოდ, სააკაშვილის ლობისტების მიერ ინსპირირებული კამპანია ამერიკულ მედიაში, რომლის ცენტრალური იდეა შემდეგი იყო: დასავლეთის მხარდაჭერის შემცირების გამო, სააკაშვილი იძულებულია, რეგიონში გააქტიურდეს. აქეთ აჰმადინეჯადს ძმობას ეფიცება, იქით ჩრდილოეთ კავკასიაში იწყებს თამაშს, რომელსაც მოსკოვი უკიდურეს გაღიზიანებამდე მიჰყავს, აგერ გაზსადენს ეთამაშება... რა ჰქნას, ის ხომ „იძულებულია". ქვეტექსტი კი მარტივია — მხარი დაუჭირეთ, მიეცით ფული და „იძულებული" (რალაც დროით მაინც) არ იქნება.

საინტერესოა, რომ მთელ ამ სიტუაციასთან დაკავშირებით „გაზპრომი" ისეთი ოლიმპური სიმშვიდით დუმს, თითქოს მილსადენი უკვე მისია, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლების ვირაჟები გაზსადენის გარშემო სხვა არაფერია, თუ არა სპექტაკლი, რომელიც მიზნად ამერიკელებისგან და აზერბაიჯანელებისგან დამატებითი ბონუსების მიღებას ისახავს.

### შანტაჟის მოკრძალებული ხიბლი

**შესაძლოა, სააკაშვილის ხელისუფლების წიაღში წარმოიდგინეს, რომ მათ მოახერხეს ერთგვარი აუქციონის მოწყობა, სადაც ყველა მონაწილეს სულ უფრო დიდი თანხის გადახდას აიძულებენ.** სინამდვილეში კი ყველაფერი ეს უფრო ჰგავს მენტალურად გაუწონასწორებელი მოზარდის ქცევას, რომელიც ხელში იღებს ძველ, ძალზე ძვირადღირებულ ლარნაკს და უფროსების გასაგონად ყვირის: „მომეცით კინოს ფული, თორემ დავამსხვრევ". გრძელვადიან შედეგებზე ასეთი ადამიანები, როგორც წესი, არ ფიქრობენ.

**გარკვეული თვალთახედვით, შანტაჟის ელემენტი სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკაში ბოლო დროს საკმაოდ საგრძნობი გახდა და ეს ეხება არა მხოლოდ სავარაუდო კომბინაციებს გაზსადენის გარშემო; სააკაშვილმა მშვენივრად გააცნობიერა, რომ ობამას ადმინისტრაციას (ამ ეტაპზე) სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნება სურს და ამ სტაბილურობისთვის შექმნილი საფრთხე, უფრო სწორად საფრთხის ილუზია, არცთუ ურიგო საშუალებაა იმისთვის, რომ ვაშინგტონისგან მხარდაჭერა მიიღო.**

ამ რაკურსით, სხვათა შორის, შეგვიძლია არა მხოლოდ მომხდარი, არამედ მოსალოდნელი მოვლენებიც განვიხილოთ. ქართველი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი, ისინი ვინც იმედებს 2012-13 წლების არჩევნებზე ამყარებენ, ირწმუნებიან, რომ შტატებისთვის მიუღებელია სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა 2013 წლის შემდეგ და ის ამას არ დაუშვებს. ძნელი სათქმელია, რას ეფუძნება ეს ცეცხლოვანი ოპტიმიზმი, თუმცა დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა. **საინტერესოა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფი აშკარად მიანიშნებს, რომ მისი გადაყენების მცდელობას ქვეყანაში მასშტაბური დესტაბილიზაცია და სისხლისღვრა მოყვება?**

**იქნებ, ვინმე სერიოზულად თვლის, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია, სენატი და კონგრესი სრული შემადგენლობით თავს მოიკლავენ იმისთვის, რომ საქართველოში დემოკრატიამ იზეიმოს, თუნდაც ეს დესტაბილიზაციის ფასად დაჯდეს, რომელიც, მოვლენათა ნებისმიერი სცენარით განვითარების შემთხვევაში, რეგიონში აშშ-ის პოზიციებს დაასუსტებს? ნეტარ არიან მორწმუნენი... ასეა თუ ისე, სააკაშვილის ხელისუფლების დღევანდელი ტაქტიკა ცხადყოფს, რომ „2013 წლის პრობლემასთან" დაკავშირებულ თამაშს, საკმაოდ დიდი ალბათობით, ის სწორედ მსგავსი ტიპის შანტაჟზე ააგებს.**

**დიმიტრი მონიავა**



## გაჟღერებულნი



**ვალერი კვარაცხელია,**
**„ნეიტრალური საქართველოს" თავმჯდომარე:**

რუსეთთან მტრობა არ ანგრევს რუსეთს. ეს ანგრევს და ანადგურებს საქართველოს. მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილი უდიდესი ბოროტება იყო ამერიკელების დავალებით დაწყებული ომი რუსეთის წინააღმდეგ. ღირსეული და ჭკვიანი პრეზიდენტი რომ გვყოლოდა, ამაში თავს არ გაყოფდა. ეს არის მიხეილ სააკაშვილის მიუტევებელი შეცდომა.

*„ასავალ-დასავალი"*



**პაატა კოღუაშვილი,**
**პროფესორი:**

2001 წელს, ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ განვაცხადე, რომ განვითარებადი ქვეყნები დამოკიდებული გახდებიან 6 ტრანსნაციონალურ კომპანიაზე. ისინი იძულებული იქნებიან, ყოველ წელს მათგან შეიძინონ თესლი. 2001 წელს, ამერიკაში ყოფნის დროს ჩემი თანდასწრებით თქვეს, რომ მიღებულია თესლი სამართავი კოდით. თესლი ჩვეულებრივად აღმოცენდება, გაიზრდება, მოისხამს ნაყოფს და, თუ ბრძანებას მისცემ, თვითლიკვიდაციას მოახდენს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსავლის მართვის სისტემა შექმნილია და, სადაც სურთ, იქ მართავენ მას. ამაზე ხმამაღლა რომ ვთქვი და დავწერე, ამერიკის საელჩოდან გამაფრთხილეს, ნუ ლაპარაკობო.

*„კვირის პალიტრა"*



**გიორგი გუგავა,**
**ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი:**

მიხეილ სააკაშვილი კავკასიის ჰიტლერად იქცა. ჩვენი მოძმე ებრაელების მიმართ მისი ანტისემიტური დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც ნაცისტურ გერმანიაში. მან ჯერ იყო და, შეიწირა ცნობილი მეცენატი ბადრი პატარკაციშვილი და მის ქონებას უკანონოდ დაეპატრონა, ხოლო შემდგომ საქართველოში პროვოკაციულად ჩამოიტყუა გავლენიანი ებრაელი ბიზნესმენები, თანხის გამოძალვის მიზნით სომალელი მეკობრეებივით დაატყვევა ისინი და ჩასვა ციხეში.

*„ახალი თაობა"*



**ლია სტურუა,**
**პოეტი:**

სიტყვა „საუცხოო" კარგად გამოხატავს ჩვენს დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან. ეს უფრო მონური ფსიქოლოგიის გამოხატულებაა, ვიდრე სნობიზმის. ევროპული ცივილიზაცია ჩვენთვის ძვირფასია, მაგრამ არავისზე ნაკლები ისტორია და ტრადიციები გვაქვს, ცხადია, თუ ჩვენსავე ხელით არ გავაცამტვერებთ და დავაკნინებთ ყველაფერს.

*„ყველა სიახლე"*



**ნუკრი ქანთარია,**
**„ქართული აკადემიის" წევრი:**

გაზაფხულამდე, სანამ კიდევ ვინმე გამოხტება და გვეტყვის, იარალი დატენილი მაქვს და უნდა გავისროლოო, მთელ ოპოზიციურ სპექტრს, აგრეთვე, საზოგადოებრივ სექტორს ორდღიან დახურულ შეკრებას ვთავაზობთ. ეს უნდა იყოს შიდაშეხვედრა და ყველამ ყველას იდეა უნდა გაიცნოს. თუ ეს აზრი ყველა ძალას ჭკუაში დაუჯდება, ამის ორგანიზებასაც ჩავუდგებით სათავეში. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, ერთი დიდი პოლიტიკური გარჩევა უნდა შედგეს.

*„ვერსია"*



**ირინა სარიშვილი,**
**პარტია „იმედის" თავმჯდომარე:**

დღეს რატომ არავის ახსენდება გია გაჩეჩილაძის, იმავე „უცნობის" მიერ საკნიდან გაჟღერებული ფრაზები, სადაც ის პირდაპირ ამბობდა — დაგვირეკა მიხეილ სააკაშვილმა და კაცურად გვთხოვა, ინაუგურაცია არ ჩამიშალოთო! ვინმეს თუ დაავიწყდა, ხალხს ახსოვს ეს და, საბედნიეროდ, სკლეროზი არ დამართნია არავის! ვიმეორებ: სააკაშვილი მიტინგების ფონზე არ დანიშნავს არჩევნებს! ის აუცილებლად დაარბევს ოპოზიციურ აქციებს შვიდი ნოემბრის ანალოგიით და შეიძლება, უფრო მძაფრადაც!

*„ასავალ-დასავალი"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ანზორ მაისურაძე: საბჭოთა კავშირი რუსთაველზე «გაუ! გაუ!»-ს ძახილს არ დაუნგრევია

**გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარი და ოთხმოცდაათიანების დასაწყისი, როცა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაშლის გარდაუვალობა ეჭვს პრაქტიკულად არ იწვევდა, ძალიან ხშირად ასოცირდება სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის განსაკუთრებულ გააქტიურებასთან. ოც წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ბოლომდე ყველაფერი გარკვეული დღესაც არ არის. მიიჩნევა, რომ სუკის ყურადღებას „ვერ გადაურჩებოდა“ როგორც აგრესიული სეპარატიზმისა თუ „თვითგამორკვევათა აღლუმის“ თვალსაჩინო პროცესები, ასევე, მათი ორგანიზატორები. ერთი სიტყვით, დახლართული სიტუაციაა. უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე იმ დროს მოვლენების შუაგულში იმყოფებოდა. უპრიანი იქნება, შევხვდეთ მას და კიდევ ერთხელ ვცადოთ, ეგებ, მისი დახმარებით ვიპოვოთ არიადნეს ძაფის გორგალი და გამოვიდეთ ამ ისტორიული ლაბირინთიდან.**



**უშიშროების აგენტურა შედგებოდა საზოგადოების იმ წევრებისგან, რომლებიც წამყვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში**

— არა მარტო ოთხმოციანი წლების ბოლოს, არამედ მთელი ოთხმოციანი წლების განმავლობაში, — **ამბობს ბატონი ანზორი,** — საქართველოს უშიშროების კომიტეტს ჰქონდა სრული ინფორმაცია იმ პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებიც ვითარდებოდა მაშინ რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ერთი ჩემი მეგობარი მუშაობდა საკავშირო უშიშროების კომიტეტის კვლევით ინსტიტუტში, რომელმაც გულახდილად მითხრა: ადრე მეგონა, რომ პარტიის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ქვეყანაში. მაგრამ, როცა წავიკითხე ის მასალები, რომლებიც კაგებედან ცეკაში იგზავნებოდა, დავრწმუნდი, რომ ყველაფერი მისხალ-მისხალ იცოდნენო. იცნობდნენ ანალიტიკურ მასალებს იმ პროცესების შესახებაც, რომლებიც შეიძლება განვითარებულიყო.

## ვინმე იფიქრებდა, რომ ნიკო მარი ან ავქსენტი ცაგარელი ჟანდარმერიის თანამშრომლები იყვნენ?

ეს მასალები, უთუოდ, დღესაც ინახება რუსეთის სპეცსამსახურების არქივებში. მე ხელი არ მიმიწვდება.

**სამაგიეროდ შემიძლია დავიმოწმო საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის სიტყვები, რომელმაც მითხრა: რატომ ამტვრევთ ღია კარს, რატომ აწყობთ მიტინგებსა და გამოსვლებს, რატომ ხმაურობთ?! დაწყნარდით, დამშვიდდით, რადგან ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ: მიიღებთ დამოუკიდებლობას, გექნებათ სრული სუვერენიტეტიო.**

ეს რომ მოვისმინე, დავრწმუნდი, რომ მოვლენების განვითარების პერსპექტივა მათთვის წინასწარ იყო ცნობილი. დრომ დაადასტურა, რომ არ ვცდებოდი.

**— მარტო ამ ერთმა განცხადებამ დაგარწმუნათ?**

— ცხადია, არა. ჩვენი კომიტეტის ცხონებულმა თავმჯდომარემ ალექსი ინაურმა ჯერ კიდევ 1988 წელს მოსკოვს შესთავაზა, ნება დაერთო, დაგვეკავებინა თხუთმეტამდე პიროვნება, დისიდენტური მოძრაობის აქტივისტები, რომლებსაც დესტაბილიზაცია შეჰქონდათ რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საკავშირო უშიშროების კომიტეტმა ამ წინადადების რეალიზაციაზე სასტიკი უარი განაცხადა და პირდაპირ უთხრა ინაურს — დროებას ალღო ვერ აუღე და ჩამორჩიო. მალე იგი პენსიაზე გაუშვეს.

**— გამომდინარე აქედან, შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი, ანუ მაშინდელი ხელისუფლება სულაც არ იყო დაინტერესებული შეენარჩუნებინა ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც თვითონ ედგა სათავეში?**

**„რატომ ამტვრევთ ღია კარს, რატომ აწყობთ მიტინგებსა და გამოსვლებს, რატომ ხმაურობთ?! დაწყნარდით, დამშვიდდით, რადგან ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ: მიიღებთ დამოუკიდებლობას, გექნებათ სრული სუვერენიტეტი“.**

— რა თქმა უნდა! დარწმუნებული ვარ, რომ არ უნდოდა. ისეთი პასიური პოზიცია ეკავა ხელისუფლებას, რომ ჩანდა, აშკარად ხელს უწყობდა ამ პროცესებს. თორემ სიტუაციის განეიტრალებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა.

საქმე ის არის, რომ **პროცესები, რომლებზეც ვლაპარაკობთ, ჩვენი კონტროლით მიმდინარეობდა.**

**— ეგაა საინტერესო...**

— ყველაფერი ვიცოდით — ვინ, რა, როგორ, რანაირად. მაგრამ არავინ ფიქრობდა რეპრესიული ღონისძიებების განხორციელებაზე. ისინი, ვინც ჩართულნი იყვნენ ამ პროცესებში, მიხვდნენ, რომ არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა (ან რა დიდი მისახვედრი ეს იყო), უფრო და უფრო თამამად და თავისუფლად მოქმედებდნენ.

**— ბატონო ანზორ, თქვენ კარგა ხნის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში მოღვაწეობდით დაზვერვის ხაზით. დამეთანხმებით, რომ სამოცდაათიან წლებში იქ განვითარებული მოვლენები ხშირად ემთხვევა მომდევნო წლებში საბჭოთა კავშირში განვითარებულ სიტუაციას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ეგვიპტეში გამალ აბდელ ნასერის კვალზე ანვარ სადათი გაპრეზიდენტდა, მკვეთრად შეიცვალა სსრკ-თან ურთიერთობა, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებაც კი იქნა დენონსირებული — ეგვიპტემ დასავლეთისკენ აიღო კურსი. ამაში გადამწყვეტი როლი აშშ-მა ითამაშა. სადათი კარგი შემსრულებელი გამოდგა. მეტი არაფერი. რამე მსგავსი ხომ არ მოხდა ჩვენთანაც?**

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1946 წლიდან ალან დალესის დოქტრინის მიხედვით, აშშ მზად იყო დაეშალა და დაენგრია საბჭოთა კავშირი. ასეც მოხდა. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ **რუსთაველზე „გაუ! გაუ!“-ს ძახილს არ დაუნგრევია საბჭოთა კავშირი. ეს გააკეთა აშშ-მა და მასთან ერთად მოქმედმა წამყვანმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა.**

**— უცნაური ლოგიკაა: ამერიკა ანგრევს საბჭოეთს, კაგებე ეხმარება ამერიკას?!**

— არ ეხმარება.

**— აბა, ჩვენი კონტროლით მიმდინარეობდა პროცესები?**

— პარტიის პოლიტიკა იყო ასეთი: ველარ გაუძლო საბჭოთა მშენებლობას, ველარ უხელმძღვანელა, ცოდნა და უნარი არ ეყო ხელისუფლებაში მყოფ ბირთვს.

უშიშროება, რომელსაც უწოდებდნენ პარტიის შეიარაღებულ რაზმს, ასრულებდა პარტიის მითითებებს. არასოდეს გადაუხვევია პარტიის ცეკას ძირითადი კურსისგან. არც მაშინ გადაუხვია.

**— იქნებ, ცვლილებების, ახალი გზით სიარუ-**

▶

# კათოლიკოს-პატრიარქმა «საქინფორმი» დალოცა

**2011 წლის 25 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმის გენერალური დირექტორი და მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი და „საქინფორმის“ დამფუძნებელი – არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე.**

პატრიარქმა დალოცა მათი მოღვაწეობა და შეხვედრის დროს აღნიშნა:

**„დიდი საქმეა, რომ ამას აკეთებთ, ნამდვილად ეროვნულია, ძალიან გამახარა თქვენმა წამოწყებამ.** მიმაჩნია, რომ იმ დროს, როცა ჩვენზე ძლიერად მოდის გლობალიზაციის პროცესი, და გლობალიზაციას, მოგეხსენებათ, აქვს სუბიექტი და ობიექტი, ამ შემთხვევაში ჩვენ, პატარა ერები, ობიექტები ვართ. და სუბიექტს უნდა, რომ გადაგვაკეთოს და ამით დაგვაკარგვინოს ჩვენი ეროვნული ფასეულობები.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ჩავიკეტოთ ჩვენს ნაჭუჭში. რაც კარგია ამ გლობალიზაციის პროცესში, უნდა მივიღოთ — ზოგადად საკაცობრიო ფასეულობები, მაგრამ ამავე დროს ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო ჩვენი ფასეულობების მიმართ.

ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა დასავლეთსა და უცხო ხალხს არ ესმით ჩვენი ფასეულობებისა. ჩვენთვის ესაა ძვირფასი, მათ კი სულ სხვა კატეგორიები აქვთ ფასეულობების. ამიტომ **თქვენი საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან ძვირფასია და ჩვენ ყველაფერში მხარში ამოგიდგებით!**

რაც შეეხება რელიგიასა და რუსეთს – ეს ცოტა ფაქიზი თემაა, ამას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა რაიმე არ გამოგვეპაროს და გავითვალისწინოთ, რომ ეკლესია დღეს, ფაქტობრივად, ერთადერთი ხიდია, რომელიც ჩვენ რუსეთთან გვაკავშირებს, ურთიერთობებს ეკლესიის მეშვეობით ვაწარმოებთ და ეს ხიდიც თუ ჩავტეხეთ, ძალიან რთული პროცესები დაიწყება. დაგლოცავთ და წარმატებებს გისურვებთ!“

**შეხვედრის დასასრულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაგმო 2011 წლის 24 იანვრის ტერაქტი მოსკოვის „დომოდედოვოს“ აეროპორტში და რუსეთის ფედერაციის ყველა მოქალაქეს ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა.**

**„საქინფორმი“**

## მოკლედ

### საუკუნის ძარცვის ორგანიზატორი დააკავეს

**საფრანგეთის პოლიციამ დააკავა 67 წლის ჟაკ კასანდრი, რომელიც დაახლოებით 30 წლის წინათ განხორციელებული ბანკ „Societe Generale“-ის გაქურდვის, შემდგომში საუკუნის ძარცვად წოდებული დანაშაულის ნამდვილი ორგანიზატორია.** დანაშაული 1976 წლის 18 ივლისს ჩაიდინა ბოროტმოქმედთა ჯგუფმა. ნიცას ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის გაძარცვის შედეგად მძარცველებმა ახლანდელი კურსით დაახლოებით 30 მილიონი ევრო გაიტაცეს. დანაშაულის სავიზიტო ბარათად იქცა წარწერა საცავის კედელზე: „იარაღის გარეშე არ არსებობს სიძულვილი და სისასტიკე“. ნამდვილ დამნაშავეს ახლაც ვერ მიაგნებდნენ, რომ არა მის მიერ ანონიმური სახელით გამოქვეყნებული წიგნი ამ დანაშაულის დეტალების აღწერით.

### იაპონია „კრიტიკულ ზღვარზე“

**იაპონიის სახელმწიფო ვალმა „კრიტიკულ წერტილს“ მიაღწია და, თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, ქვეყანას ინვესტორთა ნდობის დაკარგვა ელის.** როგორც ქვეყნის ფინანსურ-საბიუჯეტო პოლიტიკის მინისტრმა კაორუ ესანომ განაცხადა, უახლოეს პერიოდში იაპონიის სახელმწიფო ვალი საერთო შიდა პროდუქტის 200 პროცენტს გადააჭარბებს. 2010 წლის შედეგების მიხედვით, ქვეყნის დავალიანება 10 ტრილიონ დოლარს აღემატებოდა. ესანომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამჟამად იაპონიას საკუთარი დავალიანებების რეფინანსირებასთან და დეფიციტის დაფარვასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა არ აქვს, მაგრამ მინისტრის თქმით, პირობები, რომელშიც ამჟამად ცხოვრობს სახელმწიფო, შეიძლება ზუსტად ერთ ღამეში შეიცვალოს.

## საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**◀ლის მომასწავებელი იყო პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის „შენელებული მოქმედების“ პრინციპი? აკი „პერესტროიკის“ დრო იდგა?**

— უმოქმედობა სიახლეს არ ნიშნავს. უფრო იმას ჰგავს, რომ ბოლომდე გათვლილი არ ჰქონდათ ტაქტიკის საკითხები... მაგრამ ამ თემაზე საუბარი ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

**— დავუბრუნდეთ თქვენს სფეროს. პირველი მრავალპარტიული არჩევნებით მოსული საქართველოს პარლამენტის შესახებ სპეცსამსახურის ერთ-ერთმა მუშაკმა განაცხადა: ამ პარლამენტის წევრებს რომ შევხედე, ნახევარი ჩვენი აგენტები იყოო. რას გულისხმობდა ეს კაცი?**

— გულისხმობდა იმას, რაც თქვა. ეს მე მითხრა ჩემმა თანამშრომელმა: როცა პარლამენტის წევრებს გადავხედე, ასე მეგონა, ჩემს სეიფში შევიხედეო.

**— კიდევ უფრო დავიბენი, ბატონო ანზორ. გამოდის, რომ ახალი ხელისუფლების ბირთვი ჩამოყალიბდა სპეცსამსახურის აგენტებისგან, რომლებიც ემსახურებოდნენ კაგებეს, ანუ იმ სპეცსამსახურს, რომელიც ამ ახალი ხელისუფლების მთავარი მოწინააღმდეგე იყო?! მაშ, ვინ შექმნა ეს ხელისუფლება?!**

— ჩვენი, უშიშროების აგენტურა შედგებოდა საზოგადოების იმ წევრებისგან, რომლებიც წამყვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. საზოგადოების თვალსაჩინო წევრები უნდა გამხდარიყვნენ პარლამენტის წევრები, სხვა, აბა, ვინ? ზოგს ჰგონია, რომ აგენტი ნიშნავს „ჩამშვებს“, ენის მიმტანს, ხელისუფლების ლაქიას. ასეთია ობივატელის ნააზრევი.

მაგრამ, ჩვენი გაგებით, აგენტი არის ადამიანი, რომელიც ერთგულია სახელმწიფო პოლიტიკის, ქვეყნის აღმშენებლობის საქმის, სწორ რჩევებს აძლევს ხელმძღვანელობას არსებული ვითარების რეალისტურად შეფასებისა და სწორი მიმართულებით გეზის, პერსპექტივის სწორად დასახვაში, იქნება ეს სამეურნეო, სოციალური საკითხები თუ პოლიტიკის სფერო.

**— ესე იგი, აწვდის ობიექტურ ინფორმაციას?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ, უშიშროების თანამშრომლებს ხომ არ გვაქვს ის ცოდნა და გაქანება მეცნიერების ამა თუ იმ მიმართულებაში, ეკონომიკაში, ფინანსებში, რაც, მაგალითად, აქვს აკადემიკოსს? იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნების დარგებზეც.

**— იმას ხომ არ მეუბნებით, ბატონო ანზორ, რომ ამ სფეროებში გყავდათ აგენტები?**

— რა თქმა უნდა.

**— აკადემიკოსებს შორისაც?!**

— დიახ! მინდა იცოდეთ თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველებმა, რომ **ჩვენი ინტელიგენციიდან თითქმის ყველა, ხაზს ვუსვამ, თითქმის ყველა, ვინც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების რეპრესიებს გადაურჩა, თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან.**

**— დიდად სარისკო ხომ არის ამის განცხადება?**

— სიმართლეს ვამბობ.

**— უფრო ახლო წარსულში გადმოვინაცვლოთ: რა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული უშიშროებას, რა დავალებას ასრულებდით საქართველოში ეროვნული მოძრაობის პიკის პერიოდში, კონკრეტულად — 1989 წლის 9 აპრილს, როცა რუსთაველზე მიტინგი ბობოქრობდა?**

— 9 აპრილის ღამის 3 საათზე, როცა ყველანი სამსახურში ვიყავით და უნდა შეგვესრულებინა ის, რაც დავალებული გვქონდა, გადმოგვცეს ბრძანება, შინ წავსულიყავით. დავიშალეთ. წავედით. ერთ საათში კი ტრაგედია დატრიალდა.

რუსთაველზე დარჩა ერთადერთი სამსახური, რომელსაც გარე თვალთვალი ევალებოდა. სწორედ მან — ფირზე აღბეჭდა რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე პროცესები. ამ დოკუმენტურმა კადრებმა მოიარა მაშინ მთელი მსოფლიო.

**— ვინ მიიღო გადაწყვეტილება პროსპექტიდან თქვენი მოხსნის შესახებ?**

— უშიშროების ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ — კომიტეტის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ.

**— ორიოდ სიტყვა მის შესახებ...**

— პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მოიყვანეს, როგორც პარტიული კადრი, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო სახელმწიფო უშიშროება. მიმაჩნია, რომ შემთხვევითი პიროვნება იყო ჩვენს სისტემაში.

იმ პერიოდში მოსკოვიდან ჩამოვიდა საგარეო დაზვერვის ერთ-ერთი დიდი სამმართველოს — დაზვერვა ტერიტორიიდან (იყო ასეთი სამმართველო) ხელმძღვანელი, გენერალი ვიქტორ მიხეილის ძე ვლადიმიროვი, რათა გუმბარიძისთვის წაეკითხა ლექცია უშიშროების სპეციფიკური საფუძვლების შესახებ. მოვიდა ჩემთან (მაშინ მე დაზვერვას ვხელმძღვანელობდი ჩვენს კომიტეტში).

შევიყვანე გუმბარიძესთან, როგორც შეთანხმებული იყო. ორი საათის შემდეგ გაოგნებული დაბრუნდა. ხმას არ იღებდა. რა მოხდა-მეთქი? — შევეკითხე. მან სიტყვასიტყვით ასე მიპასუხა:

— Анзор, ведь он очень слабый!

— მე არ დამინიშნია, თქვენ დანიშნეთ.

**— ზვიად გამსახურდია და უშიშროება — ამაზე რას იტყვით?**

— 1992 წლის იანვრის დასაწყისში გაიმართა ოპერატიული პრესკონფერენცია ქართული და უცხოური მასმედიის წარმომადგენლებისთვის. ცეკას ყოფილი სააქტო დარბაზი სავსე იყო. ჟურნალისტების წინაშე წარვდექით საქართველოს გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი, შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე და მე, რომელიც უშიშროების მინისტრის მოვალეობას ვასრულებდი.

პირველი ასეთი შეკითხვა დამისვეს:

— გთხოვთ, გვიპასუხოთ ცალსახად, იყო თუ არა გამსახურდია კაგებეს აგენტი?

— არა, არ ყოფილა! — ცალსახადვე ვუპასუხე.

დარბაზს გუგუნმა გადაუარა...

მისი დისიდენტობის პერიოდში ჩვენი ურთიერთობა უფრო ადამიანურ ჭრილში განვითარდა, ვიდრე სპეცსამსახურისა და ანტისაბჭოთა საქმიანობაში შემჩნეულ პიროვნებას შორის. რჩევის მიცემით, დაკვალიანებით ვცდილობდით, არ გადაებიჯებინა იმ ზღვარისთვის, რომელსაც შეიძლება მისი იზოლაცია მოჰყოლოდა. ყურადღებით გვისმენდა, მაგრამ არ ასრულებდა...

**— ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა დაარბიეს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის შენობა თბილისში, ლესია უკრაინკის ქუჩაზე...**

— სანამ დარბევა მოხდებოდა, ხელმძღვანელი თანამშრომლები კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვოიციცკიმ დაგვიბარა და გვითხრა, რომ რესპუბლიკასა და **ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მიზანშეწონილი იქნებოდა ჩვენი საარქივო მასალების რუსეთში გატანა მათი დაცვა-შენახვის მიზნით. მე და კიდევ ორი თანამშრომელი ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვედით. არქივის გატანა რესპუბლიკიდან არ შეიძლება, რადგან იგი საქართველოს საკუთრებაა და XX საუკუნის საქართველოს ისტორია უმისოდ ვერ დაიწყება, — ასეთი იყო ჩემი პოზიცია.**

რახან წინააღმდეგი წავედით, ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ზაფხული იყო და უნდა მესარგებლა შვებულებით. წავედი ქობულეთში. ერთ მშვენიერ დღეს მირეკავენ და მეუბნებიან, რომ უშიშროების შენობა დაარბიესო.

დარწმუნებული ვარ, ეს გააკეთეს სპეციალურად, დაარბიეს იმიტომ, რომ მე და კიდევ რამდენიმე კაცს გამოგვცლოდა წინააღმდეგობის გაწევის საფუძველი — არქივს არბევენ და გადასარჩენია!

**— თუ დაარბიეს, რაღა იყო გადასარჩენი?**

— სადაც არქივი იყო, იქ ვერ შევიდნენ, ცხრაკლიტულში ვერც შეაღწევდნენ... ამის შემდეგ იყო, რომ **დიდი სატვირთო თვითმფრინავით — „რუსლანით“, ღამის სამ საათზე 40-50 ტონა ტომრებში ჩაწყობილი მასალები, რაც არქივში იდო და ისინიც, რაც უნდა შეგვენახა ან დაგვეწვა, გადაიტანეს სმოლენსკში.**

**— არის ახლა ჩვენს უშიშროებაში ისეთი დოკუმენტები, რომლებითაც შეიძლება ყოფილი აგენტების გაშიფვრა?**

— პირდაპირ გეტყვით, მე წინააღმდეგი ვარ ლუსტრაციის. 30-იან წლებზე უკვე მოგახსენეთ, ახლა ისიც ვთქვათ, რომ აგენტობის სისტემა მეფის რუსეთშიც მოქმედებდა. ხომ წარმოგიდგენიათ, ამ ისტორიულ პერიოდში რამდენი ადამიანი წინა თაობებიდან თანამშრომლობდა, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, მაშინდელ სპეცსამსახურებთან — ოხრანკასთან, ჟანდარმერიასთან?

**ვინმე, მაგალითად, იფიქრებდა, რომ დიდი ენათმეცნიერი ნიკო მარი ჟანდარმერიის თანამშრომელი იყო? ან თუნდაც ავქსენტი ცაგარელი, ქართველი მსახიობი და დრამატურგი, პუბლიცისტი, რომლის პიესები „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ხანუმა“ და სხვ. ქართული თეატრის ოქროს ფონდშია შესული?**

აღარ გავაგრძელებ... მაგრამ რა მოგვცა ამისმა ცოდნამ, რა შეგვმატა? არაფერი. ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ არაა საჭირო ამ ყველაფრის ქექვა.

ერთხელ ცხონებულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დამიძახა და ერთ-ერთ ადამიანზე მკითხა, — არ მითხრა, რომ ეს კაცი თქვენთან არ თანამშრომლობსო.

— რატომ მეკითხებით-მეთქი?

— იმიტომ, რომ შენზე ამბობენ, ყველაფერი იცისო.

დავუდასტურე, რომ იყო, ჩვენთან თანამშრომლობდა და მეორე დღესვე მივუტანე წერილობითი ინფორმაცია. წაიკითხა ყურადღებით. ვთხოვე, რომ არაფერი ეგრძნობინებინა იმ კაცისთვის სპეცსამსახურებთან მისი ურთიერთობის თაობაზე, და თუ რაიმე აინტერესებდა, შეეძლო დაევალებინა, იგიც აუცილებლად შეუსრულებდა.

მისაღებში რომ გამოვედი, აგერ არ დამხვდა ის კაცი?! გადამეხვია, გადამკოცნა...

**— დღეს თუა ცოცხალი?**

— კი, ცოცხალია!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## გაჟურნალზებულნი



**ვალერი გელბახიანი,**
**ყოფილი პარლამენტარი:**

საქართველოში მძვინვარებდა ფინანსური რეკეტი და შექმნილი იყო შავი ფონდები, სადაც მილიარდები იყრიდა თავს. მინდა, რომ გამოვიდეს ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და ილაპარაკოს ამ თემაზე. თქვას, ვის ჯიბეში მიდის ეს შავი ფული და ვინ მართავს ამ ფონდებს? ეს არის მსოფლიოში არნახული მასშტაბის მაფიოზური სახელმწიფო სტრუქტურა!

*„ასავალ-დასავალი“*



**გია ბურჯანაძე,**
**მსახიობი:**

დღეს ცოდნას, განათლებასა და ინტელექტს ებრძვიან. ისეთ ხელისუფლებას, როგორიც საქართველოშია, განათლება არ სჭირდება. წიგნიერი და მოაზროვნე ხალხი აშინებთ, რადგან მათ საშინელ მოქმედებას მყისვე აღმოაჩენენ და ამხელენ. გაუნათლებელს კი სამთავრობო ტელევიზიები ადვილად დააჯერებენ, რომ დღეს საქართველოში ცხოვრება ძალიან კარგია.

*„ყველა სიახლე“*



**სოსო ჯაჭვლიანი,**
**მსახიობი, რეჟისორი:**

თავიანთი ქმედებებით, პოზიცია-ოპოზიცია თესავს ღვარცოფს. ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ვინმე ცუგრუმელა არ შემოგვეპაროს. მე ძალიან მიკვირს, რა მნიშვნელობა აქვს, რუსეთი „დაგჩინჩლავს“ თუ ამერიკა?

*„კვირის ქრონიკა“*



**მერაბ სამყურაშვილი,**
**ანსამბლ „ქუჩის მუსიკოსების“ წევრი:**

მიხეილ სააკაშვილს მფრინავ ცხენს ვაჩუქებდი. თვითმფრინავს მფრინავი ცხენი არ ჯობია გადასაადგილებლად?

*„ყველა სიახლე“*



**ვაჟა ლორთქიფანიძე,**
**ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, პროფესორი:**

თუ საქართველოში მოხდება ის, რაც ტუნისში მოხდა, დარწმუნებული ვარ, ამას ამერიკაც მიესალმება და ევროპაც!.. მუდმივი მხარდაჭერის და მუდმივი პარტნიორობის იმედი არავის უნდა ჰქონდეს!

*„ასავალ-დასავალი“*



**გიორგი გაჩეჩილაძე,**
**„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი:**

160 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვით, საქართველოში კეთილდღეობაში ცხოვრობს 10 პროცენტი, მუდმივ დაძაბულობაში — 55 პროცენტი და იტანჯება — 35 პროცენტი! ანუ ჩვენი მოსახლეობის 90 პროცენტი უბედურია!!! ამ ტანჯულთა კატეგორიით კი საქართველო მესამე ადგილზეა მსოფლიოში — ჩვენ გვისწრებენ ბურუნდი და ჰაიტი!

*„ასავალ-დასავალი“*

## მოკლედ

### ობამა მეორე ვადისთვის ემზადება

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გადაწყვიტა, პრეზიდენტობისთვის 2012 წლის არჩევნებში მეორე ვადით კვლავ იყაროს კენჭი.** ამის შესახებ თეთრი სახლის პრესმდივანმა რობერტ გეიტსმა განაცხადა და დასძინა, რომ უახლოესი რამდენიმე თვე განაცხადის წარდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მოხმარდება. ობამა თავისი საპრეზიდენტო კამპანიის შტაბ-ბინას ჩიკაგოში გახსნის და საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელად თავისი ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილეს — ჯიმ მესინას დანიშნავს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დემოკრატების კანდიდატ ობამას ხელახალი კენჭისყრისთვის მთავარი არგუმენტი სადავო ჯანდაცვის რეფორმა იქნება.

### ირანის „ბირთვული საგის“ ახალი თავი

**თეირანისა და საერთაშორისო შუამავლების (რუსეთი, ჩინეთი, აშშ, საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია) მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი ირანის ბირთვული პროგრამის დარეგულირებასთან დაკავშირებით სტამბოლში იმართება.** მასში მონაწილეობენ: ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საერთაშორისო და პოლიტიკური უსაფრთხოების საკითხებში — კეტრინ ეშტონი, ზემოხსენებული ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები და ირანის დელეგაცია, რომელსაც სათავეში ირანის ნაციონალური უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს მდივანი საიდ ჯალილი უდგას. არც ანალიტიკოსები და არც მოლაპარაკებათა მხარეები ამ შეხვედრაზე დიდ იმედებს არ ამყარებდნენ.

### ნიუ იორკში 100 მაფიოზი დააკავეს

**ნიუ-იორკში გამოძიების ფედერალური ბიუროსა და პოლიციის ერთობლივი ძალისხმევით მაფიოზური დაჯგუფებების 100-ზე მეტი წევრი, მათ შორის წამყვანი კლანების ლიდერები დააკავეს.** დაკავებულები ეჭვმიტანილნი არიან ისეთ დანაშაულებებში, როგორიცაა გამოძალვა, რეკეტი, მკვლელობა, ნარკოტიკების გავრცელება და უკანონო სათამაშო დაწესებულებების ორგანიზება. დაკავებულთა უმეტესობა გამბინოს, ჟენოვეზეს, ლუკაზეს, ბონანოს, კოლომბოსა და დეკაველკანტეს კლანების წევრები არიან, ეს კლანები კი ნიუ იორკისა და მისი შემოგარენის ჩრდილოვანი ეკონომიკის „მეპატრონეებად“ ითვლებიან. ამ ოპერაციას აშშ-ში მაფიასთან ბრძოლის მთელი ისტორიის მანძილზე უდიდესი უწოდეს.

### ჩინეთის ორნიშნა ზრდა

**2010 წელს, წინა წელთან შედარებით, ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა, ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია და 10,3% შეადგინა.** მხოლოდ მეოთხე კვარტალში ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 9,8 პროცენტს შეადგენდა, რაც ანალიტიკოსების მიერ ნავარაუდევ 9,4-პროცენტიანი ზრდის პროგნოზსაც აღემატება. ეკონომიკის ესოდენ სწრაფი ზრდა ჩინეთს ინფლაციის დიდი რისკის წინაშე აყენებს. ეკონომისტების პროგნოზების შესაბამისად, 2011 წლის პირველ ნახევარში წლიური გათვლით ფასების ზრდამ, შესაძლოა, 6 პროცენტს მიაღწიოს. 2000-იანი წლების შუა პერიოდში ზედიზედ რამდენიმე წლის მანძილზე, ჩინეთის ეკონომიკა ზრდის ორნიშნა მაჩვენებელს აფიქსირებდა და 8-9%-მდე მხოლოდ მსოფლიო კრიზისისას დაეცა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვახტანგ ხარჩილავა: საქართველო «ნაცმოძრაობისა» და პირადად სააკაშვილის კოლონიაა!

**ოპოზიციურ სპექტრსა და, ზოგადად, ქვეყანაში, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი ვახტანგ ხარჩილავა.**

**— ბატონო ვახტანგ, გასულ კვირას „საერთო გაზეთის“ ფურცლებზე ორი საქართველოს შესახებ წერდით, რომელთაგან ერთში ტოტალური უმუშევრობა, შიმშილი და ტერორია, მეორეში კი — „ნაცპროპაგანდის“ მიერ შექმნილი რაღაც ვირტუალური სამოთხე, სადაც თურმე ყველა ბედნიერია და სიტყვა გაჭირვების ხსენებაც კი არ არის. პირადად ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქისთვის, სავსებით გასაგებია, ამ ორიდან რომელ საქართველოში ვცხოვრობ, მაგრამ ვერაფრით გამიგია, რატომ ეგუება და ითმენს ხალხი ამ უმსგავსობას. თქვენი აზრით, რა არის ამ საყოველთაო დუმილის მიზეზი და, საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რომელ საქართველოში ცხოვრობს დღეს ქართველი ხალხი?**

— ქართველი ხალხი, დიდი ხანია, ცხოვრობს ერთადერთ საქართველოში, რომელსაც, ამ ხელისუფლების წყალობით, უკვე აღარ ჰქვია ქვეყანა. **საქართველო არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პირადად მიხეილ სააკაშვილის კოლონია, ფერმა და სამფლობელო!** ხოლო იმ მეორე საქართველოში, რომელზეც თქვენ მიერ ნახსენებ წერილში ვსაუბრობ, რიგით მოკვდავებს, ანუ ჩვეულებრივ ადამიანებს, უბრალოდ, არ მიესვლებათ.

რაც შეეხება კითხვას, რატომ ითმენს ხალხი ამდენ უკანონობას, **ხელისუფლება, დაუფარავად გვეუბნება: მე მაქვს კონკრეტული გეგმები, მიზანი და, ვინც ამ მიზნის განხორციელებაში ხელს შემიშლის, გავანადგურებ და გადავთელავო. ეს არის კლასიკური ტერორი, რომელიც თრგუნავს ყველაფერს და სწორედ ამ ტერორის წყალობითაა, რომ ხელისუფლებას თავისი გასდის, ხალხი კი დამუნჯებულია;** ასე რომ, როცა ჩნდება კითხვა, რატომ დუმს საზოგადოება, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს ავტორიტარულ რეჟიმთან, რომელიც მზადაა, საკუთარ კეთილდღეობას შესწიროს ყველაფერი, მათ შორის ხალხიც, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მაინც არ ამართლებს ჩვენი მხრიდან პასიურობას, დუმილსა და იმ პესიმიზმს, რომელიც დღეს ესოდენ გამეფებულია საზოგადოებაში...

**— თქვენ თქვით, რომ ხელისუფლებას თავისი გასდის და ნამდვილად ასეა... არ მინდა, ბანალური კითხვა დაგისვათ, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი „ნაცების“ ძლიერებაზე მეტყველებს თუ, უბრალოდ, საზოგადოებაა სუსტი?**

— სამწუხაროა, მაგრამ ამის ახსნა ერთადერთი მიზეზით შეიძლება — ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბდით სამოქალაქო საზოგადოებად, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ერად, რომლის უმთავრესი ფუნქციაც ქვეყნის ინტერესებსა და უსაფრთხოებაზე ზრუნვაა. ასევე, **არ გაგვაჩნია კოლექტიური პასუხისმგებლობის გრძნობა ერთმანეთისადმი, ერთმანეთის ბედისადმი და თითოეული ადამიანი, ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე, ფაქტობრივად, მარტოა საკუთარ პრობლემებთან, იმის მიუხედავად, რომ მსგავსი პრობლემა, შეიძლება, მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს ჰქონდეს.** ეს იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოება დაქსაქსული და გათითოკაცებულია, ხალხი გათიშულია ერთმანეთისგან. ასეთ პირობებში კი არაფერს აზრი არ აქვს, მათ შორის დემოკრატიასაც, რაც თავისთავად ქმნის იმ მდგომარეობას, როცა ბურთი და მოედანი მთლიანად მმართველი გუნდის ხელშია, ხალხი კი ყოვლად უმწეო და უსუსურ მდგომარეობაში იმყოფება...

**— ბევრი ფიქრობს, რომ საზოგადოების პასიურობა ოპოზიციის სისუსტითაა განპირობებული. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— სიმართლე გითხრათ, მიკვირს ხოლმე, როცა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი პოლიტიკურ სპექტრს ჰყოფს ერთნაირად — ხელისუფლება და ოპოზიცია... ვერ გამიგია, რა პრინციპით ხდება ასეთი გამიჯვნა. **ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ არავითარი ოპოზიცია ქვეყანაში არ არსებობს; არსებობს მხოლოდ ხელისუფლება, ხოლო ის ფსევდოპოლიტიკური ძალები, რომლებიც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებდნენ, რეალურად იმართებოდნენ და დღესაც იმართებიან ხელისუფლების მიერ. ეს ყველასთვის ნათელია თუნდაც იგივე იპოდრომის აქციის შემდეგ, საიდანაც 300 ათასი ადამიანი, მაპატიეთ და, პანღურამორტყმული გამოაბრუნეს „გრეჩიხებმა“. ამდენად, იმის თქმა, რომ ოპოზიცია სუსტია, არ მიმაჩნია მართებულად, ვინაიდან, ვიმეორებ, ის საერთოდ არ არსებობს...**

სხვათა შორის, 2010 წელი მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ამ წელს საბოლოოდ დასრულდა ე. წ. რადიკალური ოპოზიციისა და მისი ე. წ. ლიდერების ლუსტრაცია. ახლა ისევ ჩვენ თუ არ გავისულელებთ თავს და არ მივცემთ მკვდრეთით აღდგომის საშუალებას, რასაც დღესდღეობით ერთობ შესაშური მონდომებით აკეთებს ერთი ვითომ ანტისახელისუფლო ტელევიზია. ვერავინ და ვერაფერი მათ დასამარებულ და განულებულ რეიტინგს მაღლა ვერ აწევს. ეს თვითონაც კარგად იციან და ამიტომაა, რომ ზოგი საკრებულოში შეძვრა, ზოგი — სადღაც რაღაც ალიანსში თუ გაერთიანებაში, ზოგი კურდღელივითაა გასუსული და ზოგი კიდევ საერთოდ გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან...




**— თქვენ ტელევიზია ახსენეთ. კონკრეტულად რომელ ტელეკომპანიას გულისხმობთ?**

— მე მგონი, ამას თქვენც და მკითხველიც ისედაც ხვდებით. ეს არის ტელეკომპანია „კავკასია“, კერძოდ კი დავით აქუბარდიას გადაცემა „სპექტრი“, სადაც მუდმივად არიან სტუმრად ის ე. წ. ოპოზიციონერები, რომელთა პოლიტიკური გვამები, უკვე დიდი ხანია, ყარს. ამ ტელეკომპანიამ პირნათლად შეითავსა მიცვალებულთა გამცოცხლებლის ფუნქცია, ხოლო პირადად დავით აქუბარდია კი ყოველ საღამოს, სიმართლის მთქმელის პოზიციიდან, „ბრწყინვალედ“ ატყუებს და აბითურებს ობიექტურ ინფორმაციას მოწყურებულ საზოგადოებას ტელეეკრანიდან. სხვა რა უნდა დავარქვათ იმას, რომ კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე სუბიექტებს განუწყვეტლივ ატრიალებენ და აჩვენებენ ტელევიზორში...

**— ანუ გინდათ, თქვათ, რომ „კავკასია“ რეალურად არ არის ოპოზიციური არხი?**

— მოკლედ და გასაგებად ვიტყვი, „კავკასიაც“ ზუსტად ისეთივე არხია, როგორიც „იმედი“, „რუსთავი 2“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. მათ შორის მხოლოდ ერთი განსხვავებაა — სახელისუფლო არხები გუნდრუკს უკმევენ „ნაცმოძრაობას“, ეს კი, ბოდიში და, ერთ ადგილზე ხელს აფარებს ოპოზიციას. სხვა დანარჩენში ისინი გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს და ამის ნათელი მაგალითი თუნდაც იგივე აქუბარდიას საავტორო გადაცემაა...

**— გასაგებია. თქვენ თქვით, რომ ქვეყანაში ოპოზიცია არ არსებობს. როგორ ფიქრობთ, „სახალხო კრება“ არ არის ნამდვილი ოპოზიცია?**

— ჯერ ერთი, **ვერ გამიგია, საერთოდ რატომ ჰქვია „სახალხო კრება“ ამ რაღაც მკვდრადშობილ გაერთიანებას, ორგანიზაციას, რომელიც მისმა დამფუძნებლებმა და ბურჯებმაც კი არ იციან, რა მიზანს ემსახურება,** და მეორე, რითია იგი ხელისუფლებაზე უკეთესი და მე, როგორც ამ შემთხვევაში, რიგითმა ქართველმა, რატომ უნდა მივანიჭო მას რაიმე უპირატესობა?.. დღეს რომ ბურჯანაძე გამოდის და ამაყად ამბობს, მე ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ და როგორც მოქალაქე, ისე შევედი „კრებაშიო“, მაშინ არ იყო ამ ქვეყნის მოქალაქე, როცა ერის დამღუპველ კანონებს იღებდა, როცა სანაკოევის ადმინისტრაციას კენჭს უყრიდა და ამით, ფაქტობრივად, ხელიდან გვაცლიდა ტერიტორიებს? მაშინ არ იყო ამ ქვეყნის მოქალაქე, როცა დევნილებს მოღალატეებს ეძახდა და ისედაც უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ხალხს თაგვებივით ქუჩაში ყრიდა? თუ დაავიწყდა ეს ყველაფერი? მას **შეიძლება მართლა დაავიწყდა, რადგან მისნაირებისთვის ჩვეულებრივი ადამიანების პრობლემები ღობის ჩხირია, მაგრამ სამაგიეროდ, საზოგადოებას ახსოვს ყველაფერი...**

**იგივე ითქმის ოქრუაშვილზეც და კიწმარიშვილზეც, რომლებსაც ასევე აზრადაც არ უნდა მოსდიოდეთ პოლიტიკაში ფეხის შემოდგმა. არაფერს ვამბობ, გაჩეჩილაძეზე, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც არასდროს ყოფილა აქტიურ პოლიტიკაში დიდი ფიგურა...**

**— მოკლედ, გამოდის, რომ ქვეყანაში მართლა არ არსებობს სუფთა წარსულის მქონე პოლიტიკური ძალა. თქვენი აზრით, ასეთ ვითარებაში რა შეიძლება იყოს გამოსავალი?**

— მე ვერ ვიტყვი, რომ სანდო ძალა არ არსებობს. არსებობს. უბრალოდ, დღესდღეობით არ არის სიტუაცია სათანადოდ მომწიფებული საიმისოდ, რომ ეს ძალა გამოჩნდეს. აი, მაგალითად, **მე ვიცნობ და თანაც ძალიან ახლოს, ერთ ადამიანს, ვისზეც თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი პოლიტიკური წარსულითა და ბიოგრაფიით ნამდვილად სუფთა პიროვნებააო. ეს არის ალექსანდრე ჭაჭია, კაცი, რომელსაც ვერავინ ვერაფერს წამოაძახებს. გარდა ამისა, ის არის უაღრესად განათლებული, განსწავლული და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, რაც ნათლად ჩანს მის პუბლიკაციებსა და მეცნიერულ ნაშრომებში. სამწუხაროდ, ასეთი პიროვნებები დღეს ბევრი არ არის და მით უმეტეს — პოლიტიკაში, ამიტომ ვისურვებდი, რომ ქართველ ხალხს ჰქონოდეს იმდენი ძალა და გონიერება, რომ წინ წამოწიოს და ასპარეზი დაუთმოს სწორედ ასეთ ადამიანებს.** ეს არის ჩვენი ყველაზე რეალური გამოსავალი, შანსი და, თუ ამას არ გამოვიყენებთ, მაშინ პოლიტიკაში ყოველთვის შემოძვრებიან მკვდრეთით აღმდგარი არარაობები, რომელთა წყალობითაც, ყველა ვხედავთ, სადამდეც მივიდა ეს ქვეყანა.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ როგორ ფიქრობთ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, რა მომავალი და პერსპექტივა აქვს საქართველოს?**

— გითხარით და კიდევ ვიმეორებ: წესიერი და სუფთა სინდისის ხალხი უნდა გამოვიდეს ასპარეზზე. ამისთვის კი აუცილებელია საზოგადოების აქტიურობა და თავგანწირვა, რათა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც კეთილსინდისიერ ხალხს შეეძლება ქვეყნის სათავეში მოსვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამუდამოდ დავრჩებით ამ ჭაობსა და სიბნელეში; მეტიც, საქართველო აღარ იქნება ქვეყანა და ქართველობა აღარ იარსებებს როგორც ერი, ვერ გავცდებით ოცდამეერთე საუკუნეს, იმიტომ, რომ ეს არის ამ ხელისუფლების უმთავრესი მიზანი და ამოცანა, გეგმა, რომლის ბოლომდე მისაყვანად „ნაცმოძრაობას“, სამწუხაროდ, სულ ცოტა დარჩა...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

**ის ფსევდოპოლიტიკური ძალები, რომლებიც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებდნენ, რეალურად იმართებოდნენ და იმართებიან ხელისუფლების მიერ. ეს ყველასთვის ნათელია თუნდაც იმავე იპოდრომის აქციის შემდეგ, საიდანაც 300 ათასი ადამიანი, მაპატიეთ და, პანღურამორტყმული გამოაბრუნეს «გრეჩიხებმა»**



# კორნელი კუკულაძე «პატრიოტთა ბანაკის» სასარგებლოდ გააკულაკეს

## ნოდარ დუმბაძის ოჯახს კოტეჯი წაართვეს

**2009 წელს მიღებულმა კანონმა, რომლის შინაარსიც ასეთია: თუ საგადასახადო სამსახური მეწარმეს ვალს დააკისრებს და მეწარმე დაკისრებულ ვალდებულებას ასაჩივრებს, სამართლის შემდეგ, საგადასახადოს შუძლია მოითხოვოს მეწარმის ქონების დაყადაღება, საზოგადოების გარკვეული ნაწილი განსაკუთრებით გამოუვალ სიტუაციაში ჩააგდო. რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს, ჩვენს რეალობაში ამ კანონით სასოწარკვეთილთა რაოდენობა პიკს აღწევს. ერთ-ერთ ასეთ მძიმე შემთხვევას ლანჩხუთის რაიონში, სოფელ წყალწმიდაში, მცხოვრები კუკულაძეების ოჯახი წარმოადგენს. ამ ოჯახის მდგომარეობასთან დაკავშირებით სტუდია „მონიტორმა“ გამოძიება ჩაატარა. ჩვენც სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტს, კონკრეტულად ამ გადაცემის ავტორს — ნანა ბიგანიშვილს ვესაუბრეთ.**
**მისი განცხადებით, კუკულაძეების ოჯახის გასაჭირი, კარგა ხანია, იცოდა, თუმცა პრობლემის მოგვარების იმედად მყოფი ოჯახის უფროსი კორნელი კუკულაძე საქმის გასაჯაროებას მოერიდა, მაგრამ დღეს უკვე აბსოლუტურად უსახსროდ, დაყადაღებული ქონების ამარა მყოფმა, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ხმა ამოიღო. „ადრე მეწარმე სამართალს სასამართლოთი პოულობდა, დღეს კი ეს რესურსი, 2009 წელს მიღებული კანონიდან გამომდინარე, ამოწურულია. არაერთი მსგავსი შემთხვევა ვიცი, თუმცა ჯერ ხმას ყველა არ იღებს,“ — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ჟურნალისტმა ნანა ბიგანიშვილმა.**





კორნელი კუკულაძე



ნანა ბიგანიშვილი

**— დავიწყოთ სულ თავიდან: როდის შეიქმნა შპს „ყვავილნარი“ კუკულაძეების მიერ და რა გზა გაიარა საამისოდ ოჯახმა?**

— როგორც თავად ბატონი კორნელი ყვება, მასთან თავისი მოსკოველი ჯარის მეგობარი ჩავიდა, რომელსაც ახლომდებარე ტერიტორიები დაათვალიერებინა, რუსი სტუმარი იქაური ბუნებით აღფრთოვანებულა. ჰოდა, მაშინ გადაწყვიტა ბატონმა კორნელიმაც კონკრეტული მიწის ნაკვეთის ბიზნესისთვის გამოყენება.

გადაწყვეტილება აღმასკომს მოწონებია და 6,8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი მას იჯარით გადასცეს. როგორც ჩვენი გამოძიების გმირი თავად იხსენებს, მას ხარკოვის ქარხნის დირექტორი მოუწვევია. სწორედ უკრაინიდან გამოგზავნილი მასალით აშენდა კოტეჯები. ხელშეკრულებაში კი ჩაიდო, რომ ამ ქარხნის თანამშრომლები კოტეჯებში შეღავათიან ფასებში დაისვენებდნენ. ეს იყო პირველი უკრაინული ინვესტიციის მოზიდვა ლანჩხუთში. მშენებლობა 1991 წელს დასრულდა, თუმცა ამას 90-იანი წლების არეულობები დაემთხვა, რის გამოც, კორნელი კუკულაძე, ხელშეკრულების თანახმად, მინიჭებულ ვალდებულებას — დამსვენებლების მიღებას, ვერ ახერხებდა და ხარკოველებმა ეს მოსკოვის არბიტრაჟში გაასაჩივრეს. **კორნელი კუკულაძემ მოახერხა და სუფსის ტერმინალის მშენებლობის დროს, რომელიც ამ კოტეჯების ახლოს მიმდინარეობდა, დასასვენებელი კომპლექსი აღადგინა. ამით მინდა ვთქვა, რომ მან მთელი 20 წლის მანძილზე ყოველგვარი სირთულე გადალახა და დასასვენებელი კომპლექსი ააყვავა.**

**— როდის გახდა ეს დასასვენებელი კომლექსი ხელისუფლების სამიზნე?**

— 2005 წელს, როცა პატრიოტრთა ბანაკები დაარსდა, კორნელი კუკულაძისაგან სახელმწიფომ ეს კოტეჯები პატრიოტთა ბანაკისთვის დაიქირავა. როგორც თავად ბატონი კორნელი აცხადებს, ამ ბანაკებს საქართველოს პრეზიდენტი 2-ჯერ ეწვია და მოხიბლულა კიდეც იქაურობით. ასევე, აჭარიდან ჩამოვიდა ვაშალომიძეც. მე, პირადად, მათი სურათი მაქვს ნანახი, ამ დასასვენებელ კომპლექტში სტუმრობისას გადაღებული. სეზონის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ, **2006 წლის თებერვალში, კუკულაძე ქუთაისის საოლქო პროკურატურაში დაიბარეს და მოსთხოვეს, მიწის ნაკვეთი მთლიანად სახელმწიფოსთვის დაეთმო.**

**— რის საფუძველზე მოსთხოვა სახელმწიფომ კუკულაძეს ნაკვეთის დათმობა?**

— თითქოს კუკულაძემ 1987 წელს თაღლითური გზით მოახერხა ნაკვეთის დაპატრონება, პარტიზანულად შეიჭრა ტერიტორიაზე და ჩუმად ააშენა 50-მდე კოტეჯი, სამზარეულოებით, საპირფარეშოებითა და ბარით, რათა ამ ფართობს დაპატრონებოდა. ჩვენ ამ ბრალდების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც გაგვაჩნია.

**— რამდენად შეესაბამებოდა სახელმწიფოს მიერ წაყენებული ბრალდება რეალობას?**

— როგორც ბატონი კუკულაძე აღნიშნავს, ეს იყო ცრუ ბრალდება, რადგან 1998 წელს, როცა მიწის ნაკვეთის რეფორმა გატარდა, კანონმა მას საშუალება მისცა, მიწა შეესყიდა და კერძო საკუთრებად გაეხდა, რისთვისაც მან დაახლოები 45 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა. ასე რომ, კუკულაძემ წაყენებული ბრალდება უარყო. **როცა მან სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელს სთხოვა, ნუ დამღუპავთ, მთელი 20 წლის ნაშრომს ნუ წამართმევთო, ასეთი პასუხი მიიღო. თუ ამას ნებით არ გააკეთებ, ჯერ ამ ყველაფერს წაგართმევთ და ციხეშიც ჩაგაყუდებთო. სხვათა შორის, 3 დღე ჰყავდათ კიდეც იზოლატორში.** კუკულაძის ოჯახმა გადაწყვიტა, კორნელი კუკულაძის თავისუფლების სანაცვლოდ, ეს ტერიტორია დაეთმო და კუკულაძეს ხელშეკრულება გააფორმებინეს.

**— რა თქმა უნდა, ზემოხსენებული მუქარა არ აისახებოდა დოკუმენტაციაში, რა შინაარსის ხელშეკრულება გააფორმებინეს ოფიციალურად კუკულაძეს?**

— მისგან მოითხოვეს აღიარებითი ჩვენება, რისი დოკუმენტაციაც მე გამაჩნია. შინაარსი ასეთია: მე, კორნელი კუკულაძემ, არაკანონიერი გზით მივითვისე ლანჩხუთის რაიონში, სოფელ წყალწმიდაში, სახელმწიფოს კუთვნილი 6,8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. გავაცნობიერე რა ჩემი დანაშაული, სახელმწიფოს უსასყიდლოდ ვუბრუნებ 6 ჰექტარ მიწის ნაკვეთს მასზე გაშენებული 25 კოტეჯით, ხოლო 8 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთსა და 6 კოტეჯს ვიტოვებო.

**სხვათა შორის, ჩამორთმეულ ტერიტორიაზე არსებობდა კუკულაძის მიერ საჩუქრად გადაცემული კოტეჯი (ჩუქების დოკუმენტაციის სრული დაცვით, ანუ ნოტარიულად) მისი საყვარელი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ოჯახისათვის. სახელმწიფომ არც დუმბაძეების კუთვნილი კოტეჯი დათმო, მეტიც დუმბაძეების ოჯახი იქ არ შეუშვეს.** ლადო ვარძელაშვილმა აღნიშნა — ეს კოტეჯი სახელმწიფო კუთვნილებაა, ვაპირებთ მის გარემონტებას და ნოდარ დუმბაძის სახელობის მუზეუმის გახსნასო. ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რა მუზეუმზეა საუბარი.

**— ქალბატონო ნანა, ზემოთ აღნიშნეთ, რომ ხელშეკრულებაში 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჩააწერინა კუკულაძეს სახელმწიფომ. თუკი მას 6,8 მიწის ნაკვეთის თაღლითურ მითვისებაში დასდეს ბრალი, 8 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთი რატომ „შეარჩინეს“?**

— უბრალოდ, სახელმწიფომ „კეთილი ნება“ გამოიჩინა. ეს მოხდა ერთ-ერთი ჩინოვნიკის ჩარევის შედეგად, რომელიც კორნელი კუკულაძეს დაეხმარა. თუ არ ვცდები, ამის გამო, საქმის გარჩევებიც იყო. ასე რომ, მას 0,8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი შეუნარჩუნდა.

**— თქვენს სიუჟეტში საუბარია, თუ როგორ დაწერა კუკულაძის მაგივრად ხელისუფალთა სასურველი ტექსტი ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა მაია აფხაზავამ. როგორ მოხდა ეს?...**

**— როცა კორნელი კუკულაძე აღიარებით ჩვენებას წერდა, რა თქმა უნდა, განიცდიდა და გაუჭირდა 20 წლის ნაწვალების გაჩუქება. მას ხელი აკანკალებია, მაშინ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელმა არც აცია, არც აცხელა და მათთვის სასურველი შინაარსის ტექსტი თავისი ხელით დაუწერა, შემდეგ გადაუწერა და კორნელი კუკულაძეს ხელი მოაწერინა.** პირველ ხელნაწერს ვინახავთ.

კორნელი კუკულაძე ჯერ ქუთაისის სასამართლოში მიიყვანეს. მოსამართლე დურმიშხან ჟორჟოლიანმა პროკურორის — ალექსანდრე ჭაბუკიანისა და გამომძიებლის — დავით ლეპერტის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ჯარიმა 6 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით შეუფარდა. შემდეგ, როგორც თავად მთავარი გმირი ყვება, სასამართლოდან დააბრუნეს პროკურატურის შენობაში, სადაც მათ ნოტარიუსი და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელი მაია აფხაზავა ელოდნენ.

ყველაზე საინტერესო აქ ამ ამბის მეორე ნაწილია. შენარჩუნებული 0,8 ჰექტარის მისასვლელი გზა სწორედ ჩამორთმეულ ტერიტორიაზე გადიოდა. ეკონომიკის სამინისტროში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კუკულაძეს უფლება ეძლეოდა, მისასვლელი გზა ამ ტერიტორიიდან გაეყვანა, თუმცა, როცა უკვე გზის გაყვანის სამუშაოები დაიწყეს, პატრიოტთა ბანაკის წარმომადგენლება გზის გაყვანის უფლება არაფრით არ მისცეს. ყოველ წუთს რეკავდნენ პატრულში და აფერხებდნენ მუშაობას.

**— ვინ და რა მოტივით უშლიდა ხელს ამ პროცესს?**

— რაც უნდა უცნაური იყოს ეს თქვენთვის, ამ საკითხს იმ დროისთვის შიდა ქართლის გუბერნატორად გადაყვანილი ვარძელაშვილი კურირებდა. რატომღაც მას უნდა გადაეწყვიტა, ლანჩხუთში კუკულაძე გზას გაიყვანდა თუ არა. ეს პრობლემა მთელი 2 წლის მანძილზე ვერ გადაწყდა. **ლადო ვარძელაშვილმა, რომელმაც დეტალურად იცოდა კუკულაძის მთელი ისტორია და განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ამ პიროვნებისადმი, განგვიცხადა — სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე არავის გავაყვანინებთ გზასო.** არადა, იქ სულ კერძო ტერიტორიებია და სხვანაირად გზის გაყვანა, უბრალოდ, ვერ ხერხდებოდა.

კუკულაძეების ოჯახი საბოლოოდ იმ კონდიციამდე მივიდა, რომ ეს მიწა გზის გარეშე გაეყიდა. მართლაც მან მოძებნა უკრაინელი მყიდველი, რომელთანაც ხელშეკრულებაში ჩაიწერა, თუ გზის გაყვანა არ მოხდებოდა გარკვეული დროის განმავლობაში, ბატონი კორნელი მყიდველს 100 ათას ამერიკულ დოლარს უკან დაუბრუნებდა. მართლაც ასე მოხდა და კუკულაძემ მყიდველს ეს თანხა უკან დაუბრუნა. შემდეგ კი უკრაინელ მეპატრონეს სახელმწიფომ ნება დართო, გზა უპრობლემოდ გაეყვანა.

**— როგორც ვიცით, ბატონ კორნელის მიწის ამ ნაკვეთის გაყიდვის შემდეგაც ჰქონდა პრობლემები საგადასახადოსთან. ამჯერად რა ბრალდება შეთითხნეს კუკულაძის წინააღმდეგ?**

— გაყიდვის შემდეგ, როცა კორნელი კუკულაძე საგადასახადოში მივიდა და განაცხადა, რომ მან გაყიდა დარჩენილი მიწის ნაკვეთი და იკითხა, თუ რა ევალებოდა საგადასახადოში ამ ნაბიჯის შემდეგ, საგადასახადო სამსახურის უფროსის მოადგილემ ანტონ ბარამიძემ დაარიგა, ვინაიდან 6 ჰექტარი მიწა უკან 2005 წელს მიაბრუნა და 2008 წელს დარჩენილი ნაკვეთი გაყიდა, არანაირი გადასახადი არ გეკისრებაო, ის ხომ 2 წლის განმავლობაში უკვე ფიზიკური პირი იყო. მაგრამ კუკულაძე მეორედ დაიბარეს საგადასახადოში და აღმოჩნდა, რომ საშემოსავლო მას უნდა გადაეხადა. არადა, კანონის მიხედვით, საშემოსავლოთი იბეგრება იმ შემთხვევაში, როცა 2 წელზე ნაკლებ ხანს ფლობ ფართს ან გამოიყენებ ნებისმიერი კომერციული საქმიანობისთვის. როგორც თავად მეპატრონე აღნიშნავს, მათ შემთხვევაში ორივე ვარიანტი გამოირიცხებოდა.

კუკულაძე აცხადებს, რომ ეს იყო არასწორი კონსულტაციის შედეგი; ამასთან, არც ანტონ ბარამიძე უარყოფს, რომ კუკულაძეს კონსულტაცია გაუწია, აღნიშნა, რომ კუკულაძე დაბეგრა საფინანსო პოლიციამ და მას ამ საქმესთან კავშირი არ აქვს. ასე იყო თუ ისე, საშემოსავლო გადასახადმა 570 ათასი შეადგინა. სხვათა შორის, გვაქვს ექსპერტიზის ორი დასკვნა: რადგან 0,8 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე 6 კოტეჯი არ იყო მყარად დამაგრებული, ის ვერ განიხილებდა მიწასთან ერთად. ასე რომ, შეიძლებოდა დღგ-ით დაბეგრილიყო 6 კოტეჯის გაყიდვა, ანუ დაბეგრილიყო 270 ათასი (კოტეჯების ღირებულება), და არა მთლიანად მიწა, რადგან 2008-ში დღგ-ით მიწა არ იბეგრებოდა. ბატონმა კორნელიმ ეს ფინანსთა სამინისტროში გაასაჩივრა, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ **ამას მოჰყვა კუკულაძეების მთელი ქონების დაყადაღება. სახლის უმნიშვნელო ნაწილის ქირის ფულიც კი სახელმწიფოს ანგარიშზე ირიცხება. არადა, დიასახლისი, გაქირავებული ოთახის ქირით სამ მცირეწლოვან შვილიშვილს ასაზრდოებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახის დიასახლისი ქირის 20%-ს ისედაც ბიუჯეტში რიცხავდა. უსახსროდ დარჩენილი ოჯახი საცხოვრებლად ლანჩხუთში გადავიდა.**

დღესდღეობით საქმე ქუთაისის სასამართლოშია და ვნახოთ, რა იქნება.

**კოლეგების, სტუდია „მონიტორის“ მიერ გამოძიებული საქმით ჩვენ შევეცადეთ, ჩვენი მკითხველი გაგვეთვითცნობიერებინა, თუ რა ფაშისტურ ძალებთან გვაქვს საქმე და რაზეა წამსვლელი საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ხალხის გასანადგურებლად. სამწუხაროდ, კუკულაძეების ოჯახი არც პირველია და არც უკანასკნელი, მსგავსი დაუძლეველი პრობლემის წინაშე რომ აღმოჩნდა. პატრიოტული ბანაკების დაარსებამ, ვინ მოთვლის, რამდენი მოზარდის რწმენა შეიწირა და რამდენი ადამიანის — პატიოსანი შრომა.**

**ეკა რობაქიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ხელისუფლებამ ფარმაცევტების «საწველი აპარატი» გამოიგონა

**„საქართველო და მსოფლიო“ წინა ნომერში წერდა ჩვენი „რეფორმატორი“ ხელისუფლების მორიგ „დემოკრატიულ“ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, საწყის ეტაპზე სათამაშო კლუბებსა და აფთიაქებში, შემდგომ კი ყველა სავაჭრო ობიექტზე ვიდეოთვალთვალის მოწყობილობის დამონტაჟება და შსს-სთან მათი ონლაინ კავშირის უზრუნველყოფა (დაწესებულებათა მეპატრონეების ხარჯზე) სავალდებულო უნდა გახდეს. რა ხდება ამ მხრივ ფარმაცევტულ ბიზნესში და გამოიწვევს თუ არა ეს სიახლე წამლებზე ფასების გაზრდას?**




**აფთიაქებს უკვე დაევალათ ობიექტის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოსათვალთვალო მოწყობილობის დამონტაჟება და შს სამინისტროსთან გლობალური წვდომის უზრუნველყოფა. აღნიშნული პირობის შესრულება 2011 წლის 1 თებერვლიდან მოეთხოვება მხოლოდ თბილისში მოქმედ 1227 ავტორიზებულ აფთიაქს. აღნიშნული მოთხოვნა ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე ეტაპობრივად შემოვა.**

**აფთიაქებში ვიდეოთვალთვალის დანერგვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააპროტესტეს.**

„ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ეკონომიური მდგომარეობის გამო სამედიცინო სერვისით ვერ სარგებლობს და თვითმკურნალობას მიმართავს, ვიდეოთვალების დამონტაჟება სწორი გადაწყვეტილება არაა, რადგან ეს ყოველივე გამოიწვევს ისედაც გაძვირებული მედიკამენტების კიდევ უფრო გაძვირებას,“ — განაცხადა „ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის“ ხელმძღვანელმა თინათინ ტურძელაძემ და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ჯანდაცვის მინისტრს დაეკისრება.

დეპუტატისა და კომპანია „პე ეს პე“-ს დამფუძნებელ კახა ოქრიაშვილის განცხადებით, მედიკამენტებზე ფასები გაიზრდება, მაგრამ რამდენი პროცენტით, ამის თქმა უჭირს. იგი მიიჩნევს, რომ ვიდეოკონტროლი მხოლოდ იმ აფთიაქებზე უნდა განხორციელდეს, რომლებშიც ფსიქოტროპული მედიკამენტები იყიდება.

**აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ხარისხის ვიდეოკამერები, რომლებიც აფთიაქების შიდა და გარე პერიმეტრზე უნდა დამონტაჟდეს, ბაზარზე თითქმის არაა. თუმცა ხელისუფლებას ეს, რა თქმა უნდა, არ აინტერესებს.**

ბრძანების მიხედვით, აფთიაქების მფლობელებმა თავში ქვა უნდა იხალონ და 1 თებერვლამდე კამერები კიდეც უნდა იშოვონ და კიდეც დაამონტაჟონ.

როგორც სპეციალისტმა აგვიხსნა, ერთი კამერა, რომლის დამონტაჟებასაც ჯანდაცვის სამინისტრო ითხოვს, 1300-1600 ლარი ღირს. კამერას სჭირდება ანტივანდალური ყუთი, რომლის საწყისი ფასი 200 ლარია. ამას ემატება კამერის ლინზა (200 ლარი), ინფრაწითელი ღამის განათების ფასი კი 250 ლარიდან იწყება. თითოეული ასეთი კამერა 3-ტერაბაიტიან ვინჩესტერს ითხოვს, რადგან კომპიუტერმა დაიმახსოვროს ერთი თვის ჩანაწერი, ასეთი კომპიუტერის „აწყობა“ კი მინიმუმ 3000 ლარი ჯდება. საბოლოო ჯამში, **მთლიანი კომპლექტის ღირებულება თავის დამონტაჟებით, სულ მცირე, 7000 ლარამდე ადის.**

**ახალი წესი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს პატარა აფთიაქებს და მათ მეპატრონეებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაზრიდან ისინი ნელ-ნელა გაქრება, რადგან 7 ათასი ლარი მათთვის ხშირად 5-6 თვის მოგებაა და ამ თანხის ერთიანად გადახდას, ალბათ, ვერ შეძლებენ.**

ის არგუმენტი, რომ ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა ეხებოდეს მკაცრი აღრიცხვის წამლების კონტროლს, მეტად სუსტია. ამ შემთხვევაში მსგავს მედიკამენტებზე ზედამხედველობა მათი საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვით ხდება და ვიდეოკონტროლთან კავშირი არ აქვს; ხოლო, თუ ამ ბრძანების საჭიროება საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობით აიხსნება, ამ შემთხვევაშიც მას უარყოფითი შედეგი მეტი ექნება.

**ფარმაცევტული კომპანიების მფლობელები თავს იკავებენ, აღნიშნული ბრძანება ადამიანის უფლებების თვალსაზრისით შეაფასონ, თუმცა ვერ ხედავენ ვიდეოთვალთვალის სისტემების დამატებით დამონტაჟების აუცილებლობას,** მითუმეტეს, რომ შიდა ვიდეოკონტროლი ყველა ავტორიზებულ აფთიაქს აქვს. კომპანია „ჯი ბი სი ფარმაციის“ დირექტორი ენრიკო ბერიძე აღნიშნავს, რომ დამატებით კონტროლის საჭიროებას ვერ ხედავს, მაგრამ სახელმწიფოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ ვერ წავა.

ჯერჯერობით არც ჯანდაცვის სამინისტრო და არც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს. ცნობილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ აფთიაქების მფლობელები მინისტრის ბრძანებას არ დაემორჩილებიან, ისინი პირველ ეტაპზე 1000 ლარით დაჯარიმდებიან, შემდეგ კი ჯარიმის ოდენობა გაიზრდება, განსაკუთრებით ჯიუტებმა კი, შესაძლოა, ვირის აბანოში ამოყონ თავი.

**თეო ტაბატაძე**

# მიმართეთ ზედამხედველს თქვენობით!

**ქართული ციხეები, ეს ის თემაა, რომელზე საუბარიც დაუსრულებლად შეიძლება. საპატიმროებში, საქართველოს მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილია გამოკეტილი, სადაც ადამიანის უფლებათა დამცველების შეფასებით, უმძიმესი მდგომარეობაა. პატიმრებს, რომლებსაც გაუსაძლის პირობებში უწევთ ყოფნა, ახლა ქალბატონმა მინისტრმა ახალი წესები დაუწესა.**



მიხეილ სააკაშვილი და მინისტრი ხათუნა კალმახელიძე ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. 2010 წლის 6 ნოემბერი

## რატომ დააწინაურეს არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებული გიორგი ბუფლიაშვილი

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებით, მსჯავრდებული ვალდებულია, შეასრულოს დაწესებულების ადმინისტრაციის კანონიერი მოთხოვნები, რომლებიც, კალმახელიძის ხედვით, შემდეგში მდგომარეობს: **დაიცვას საკნისა და პირადი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები; გაუფრთხილდეს დაწესებულების ქონებას; დაასუფთაოს სპეციალური საკანი რიგითობის დაცვით; არ განახორციელოს დაწესებულების მოსამსახურეთა და სხვა პირთა ღირსების დამამცირებელი ქმედებები; არ გაუწიოს წინააღმდეგობა დაწესებულების მოსამსახურეებსა და სხვა პირებს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას; არ ჩაიდინოს ქმედებები, რომელიც ემუქრება მისი ან სხვა პირების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ზრდილობიანად მოეპყროს დაწესებულების მოსამსახურეებსა და სხვა პირებს; დაწესებულების მოსამსახურეს მიმართოს თქვენობითი; შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.**

**ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მსჯავრდებულს ან საყვედურს გამოუცხადებენ, ან ნებადართული ნივთებით სარგებლობის უფლებას შეუზღუდავენ, ან, შესაძლოა, იგი ათ დღემდე ვადით სამარტოო საკანშიც გადაიყვანონ.** უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რომლებიც პატიმრებს ნივთებივით ექცევიან, შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაშიც, პატიმარმა თქვენობით უნდა მიმართოს.

**კარგი იქნებოდა, კალმახელიძეს ადამიანის უფლებათა დამცველების ხმაურიანი განცხადებების შემდეგ ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, რომლებიც არაადამიანურად ეპყრობიან მსჯავრდებულებს, მოქცევისა და მიმართვის წესები დაეწესებინა.** ამის ნაცვლად მან, გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობაზე ის ადამიანები დანიშნა, რომლებიც დიდი ხმაურის შემდეგ ახლახან გაათავისუფლა თანამდებობიდან.

ასე მაგალითად: **გიორგი ბუფლიაშვილი, რომელიც რამდენიმე თვის წინ გლდანის სამკურნალო დაწესებულებიდან პატიმრების მიმართ ღირსების შემლახველი მოპყრობის გამო გაათავისუფლეს, ახლა №8 საპატიმროს სოციალური სამსახურის უფროსია. ეს ის ბუფლიაშვილის, რომელსაც პატიმარ ტარიელ საყვარელიძის მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებდნენ და პატიმარმა, პროტესტის ნიშნად, ყური ჩამოითალა.**

მოკლედ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, როგორ ცდილობს ხელისუფლება საპატიმროებში მდგომარეობის გამოსწორებას. მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ ფაქტის გახმაურებამ, რომ თურმე **ხელისუფლება, რომელიც პატიმრებისგან ჰიგიენის დაცვასაც მინისტრის ბრძანებით ითხოვს, ისეთ ახალ საპატიმროებს ხსნის, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს.**

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა ახლადგახსნილი ქალთა საპატიმრო დაწესებულება შეაფასა და განაცხადა, რომ ქალთა №5, ნახევრად ღია და დახურულ თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტები შემაშფოთებელია და მსჯავრდებული ქალების მიმართ ღირსებაშემლახავი მოპყრობის შეწყვეტა მოითხოვა. ხატიაშვილის განცხადებით: **„რამდენიმე კვირის წინ, ბატონმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ საზოგადოებას ახალი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების გახსნის თაობაზე ამცნეს, სადაც სასჯელს მოიხდიდნენ ქალი პატიმრები, რომლებსაც ექნებოდათ ნორმალური პირობები.**

**რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ვიზიტს სახელმწიფო ტელევიზიები მთელი დღის განმავლობაში აშუქებდნენ და საზოგადოება დააჯერეს, რომ ხელისუფლებამ პატიმრობაში მყოფ ქალბატონებზე ზრუნვა დაიწყო, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელი იქნებოდა, საზოგადოება განზრახ შეცდომაში რომ არ შეეყვანათ.**

2011 წლის 12 იანვარს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა ადვოკატთა ასოციაციის წევრთა განცხადება. მასში აღნიშნულია, რომ **საკანში, სადაც სასჯელს იხდიან ქალბატონები, არ არის დაგებული ლამინატის ან ხის იატაკი და საწოლები დგას ცემენტის იატაკზე.**

**ასევე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთი თვის გახსნილ ციხეში არ მუშაობს რამდენიმე საშხაპე და არ არსებობს ტანსაცმლის გასაშრობი ადგილი. მსჯავრდებულ პატიმრებთან არის ორი შეხვედრის ოთახი, ხოლო განსასჯელებთან და ბრალდებულებთან — ხუთი, რის გამოც ადვოკატები საათობით რიგში დგანან“.**

ზაზა ხატიაშვილმა უკვე მიმართა სახალხო დამცველსა და მინსტრ კალმახელიძეს, რათა დაუყოვნებლივ შეწყდეს პატიმარ ქალთა მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობა და, თუ 10 დღის ვადაში მათი მდგომარეობა არ გამოსწორდება, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართავს ქალ პატიმართა წამების თაობაზე.

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 3[illegible] მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკული ოცნების ქართული კოშმარი





ია მერკვილაძე

**„სულიერ ღირებულებათა დაკარგვა არის ამერიკაში გადარჩენის აუცილებელი პირობა“, — წერდა ერთი ნიჭიერი მწერალი, რომელსაც პირადად გადატანილი ჰქონდა აშშ-ში ემიგრაციის მთელი უბედურება და თავისტეხა.**

**წაიკითხავთ ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ბლოგერ ია მერკვილაძის ინტერნეტში, netgazet.ge-ში, გამოქვეყნებული წერილებიდან ნაწყვეტს, რომელსაც დღეს გთავაზობთ, და უთუოდ დაეთანხმებით ამ დასკვნას. მცირე კორექტივით ოღონდ: შენს ქვეყანაში ჩამოყალიბებულმა ვითარებამ გაიძულა, აგეკრა გუდა-ნაბადი, იმ სიტუაციამ, რომელსაც ქვეშევრდომული სიბეჯითითა და მონდომებით ამკვიდრებს მშობლიური ხელისუფლება ადამიანის არსებობის ყველა სფეროში — ეკონომიკის, სოციალურ, კულტურისა და ხელოვნების სფეროებში.**

**იძარცვება ადამიანი მატერიალურად, სულიერად; იფიტება, კნინდება, სარჩოს მომპოვებელ პირველყოფილებამდე დადის, რათა გადარჩეს.**

**და მიდის, მიიკარგება იქითკენ, სადაც, სახელმწიფო პროპაგანდის მტკიცებით, ამქვეყნიური სამოთხეა: აშშ, ჩანერგილი სტერეოტიპის მიხედვით, თანაბარ შესაძლებლობათა ქვეყანაა, სადაც ყველას აქვს შანსი ბედნიერების მოსაპოვებლად.**

**მიდიან და მოიპოვებენ დავრდომილთა და მოხუცთა აყროლებული პამპერსების გამომცვლელებად, ძაღლების გუვერნანტ-გამსეირნებლებად და მათი ექსკრემენტების ამკრებებად მუშაობით. ნებისმიერ ბინძურ სამუშაოზე თანხმდებიან, რადგან იქ მათი პროფესიული ცოდნა არავის სჭირდება, გინდ ოქროს საწმისის ქვეყნიდან იყავი, გინდ პერსონალურად ამირანი, რომელიც კავკასიის მწვერვალზეა მიჯაჭვული.**

**ყორნები თავიანთიც საკმარისად ჰყავთ.**

**მიდიან და იკარგებიან საქართველოსთვის — გინდ გენოფონდის გადინება უწოდეთ, გინდ — გონებისა და ჭკუის.**

**ამერიკა, საოცნებო სამყაროა! რუსეთი არ გეგონოთ, სადაც ქუჩებში თეთრი დათვები მხოლოდ იმიტომ არ დადიან, რომ დიდი მოძრაობაა და ავტომობილების განუწყვეტელი საცობები — დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე.**

**რუსეთი ის „შავი ხვრელია“, რომელმაც შეიწოვა მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე და მუშაობის, დასაქმების ყველა პირობა შეუქმნა. ქართველებს იქ საკუთარი ბიზნესიც აქვთ და კვალიფიციური სამუშაოთიც არიან დაკავებული. იქ ნაშოვნი ფულით კი არა მარტო საკუთარ ოჯახებს ინახავენ, არამედ, შესაძლოა, ჩვენს ბიუჯეტსაც უმაგრებენ სოციალური საკითხებისთვის მოწყალებასავით გადაგდებული ხარჯების ძირსა და საფუძველს.**

**სახელმწიფოს საფუძველსაც, თუ გნებავთ.**

**აბა, გამოაძევოს ეს ემიგრანტები რუსეთმა და ნახეთ, რა ამბოხი და მიწისძვრა მოხდება საქართველოში!**

**ამერიკიდანაც აგზავნიან ფულს, რომელსაც, მართალია, სუნი არ ასდის, მაგრამ ადამიანების ღირსების აყრის ცოდვა ადევს.**

„არავისთვის არაა საიდუმლო, რომ, ფაქტობრივად, ამ ადამიანების (ამერიკაში ქართველი არალეგალების) ასი პროცენტი, დაბალკვალიფიციური საქმიანობითაა დაკავებული (მოკლებულია ყოველგვარი სამართლებრივი და სამედიცინო დახმარების საშუალებას), ისიც იმ შემთხვევაში, თუ გაუმართლათ. თუმცა ისიც, ვინც საბუთებს აკეთებს, განა იმისთვის ირჯება, რომ განათლების მიღება (მათ შორის, ინგლისური ენის შესწავლა) ან თუნდაც საკუთარი დიპლომის „ევალუაცია“ შეძლოს, კარიერა გაიკეთოს, „განუსაზღვრელი შესაძლებლობების ქვეყანაში“ თვითრეალიზება მოახდინოს, არამედ იმისთვის, რომ ოჯახის წევრები არა სკაიპით, არამედ „რეალში“ დაინახოს, სახლში ხანდახან მაინც ჩავიდეს; ოჯახის წევრები ამერიკაში ჩამოიყვანოს და ისევ ისე იმუშაოს, როგორც — მანამდე, ანუ საბუთებამდე: მოხუცის, ბავშვის მომვლელად, ძაღლების გამსეირნებლად, დამლაგებლად; ბენზინგასამართ სადგურებზე, საპარიკმახეროში, სხვის სახლში, მშენებლობაზე — „შავ მუშად“, ტვირთების გადამტანად. იმუშაოს 24 საათი, 7 დღე კვირაში. სიცოცხლის ბოლომდე. უფრო სწორად, — სანამ შეძლებს.

თავისთავად ამ პროფესიების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ **საუბარია წლების განმავლობაში „წინა ცხოვრების“ დროს მიღებული განათლების** (უნარ-ჩვევების) **ნიველირებაზე, პროფესიული თვითრეალიზაციის შეუძლებლობაზე, ტოტალურ დისკვალიფიკაციაზე; ასევე, — ამ უკანასკნელთან და კიდევ მრავალ ფაქტორთან დაკავშირებულ როგორც სომატურ, ასევე ფსიქიკურ პრობლემებზე**, მათ შორის, ემიგრაციითა და კულტურული შოკით მიღებულ მწვავე სტრესზე (ადაპტაციის სტრესი, ნევროზი, დეპრესია, პოსტტრავმატული სტრესული დარღვევა).

**ისინი ამერიკაშიც, არასრულწლოვანი თუ სრულწლოვანი შვილის სწავლის ფულსა და საქართველოში დარჩენილი ოჯახისა და ნათესავ-მეზობელ-მეგობრების რჩენაში იხარჯებიან.** საბუთებიანიც კი, საუკეთესო შემთხვევაში, 1 ან 2 წელიწადში ერთხელ 1-2 კვირით შეიძლება ჩავიდნენ სამშობლოში, როგორც აქ ამბობენ, ჭირის დღეზე, „დედ-მამის საფლავზე“. ამისთვის კი, პირდაპირი მნიშვნელობით, ნემსის ყუნწში გაძრომა უხდებათ. ყუნწგამოვლილებს კი უკვე აღარ უღირთ ის, რისთვისაც ამ აღთქმულ ყუნწში გაძვრნენ. რადგან ფასი ძალიან დიდი და არაპროპორციულია. ლამის პიროვნულად დამანგრეველი. ბევრისთვის კი სულაც არაა „ლამის“. პირადად არა ერთს უთქვამს.

**ბევრი ისეთიც ვიცი, ვისაც სამშობლოში ჩასვლისთანავე ნათესავებისა და უცნობ-ნაცნობების ლეგიონი მისწყდომია და საკუთარი თავისთვის დროზე ადრე უკან, ამერიკაში, გაქცევით უშველია. მიზეზი მარტივია: ამერიკიდან ჩამოსულს ფული ბევრი უნდა ჰქონდეს.**

სამშობლოში „დარჩენილთათვის“ კი აშშ-ის (ქვეყნის, რომლის კონსტიტუციაში ბედნიერება უფლებითი კატეგორიის ცნებადაა დაფიქსირებული) ცოდნისთვის ჰოლივუდის ფილმები, ლარი კინგის შოუ, ტრამპის სასტუმროებისა და ნიუ-იორკში დიდთოვლობის ხედების ჩვენება ჰყოფნით. ჰო, — კიდევ „თაიმს – სკვერი“, ენდი უორჰოლისა და ჯაზ-ბლუზის რამდენიმე ცნობილი სახელის ცოდნაც.

ამ დროს კი **აქ ჩვენებურებს არასრულფასოვანი კვებისა და ათასი სხვა მიზეზის გამო კბილები სცვივათ და „საბუთების გაკეთებას“ ელოდებიან, რათა პირის ღრუს ეს მნიშვნელოვანი შემადგენელი შედარებით იაფად საქართველოში შეიკეთონ და თან ემიგრაციის განმავლობაში დაგროვილ დაავადებებს ბოლოს და ბოლოს უმკურნალონ.** თუ გვიან არაა, რასაკვირველია. აქაურ ქართულ ეკლესიაში ყველა გეტყვით, რომ **ბევრი მათგანი ექიმთან წასვლის მაგივრად, საკუთარი ჯანმრთელობის პარაკლისს უკვეთავს. უფრო იაფია და დასწრებაც** (სამსახურს ვერ გააცდენენ) **არაა სავალდებულო.** ორ ადამიანს, სიმსივნით დაავადებულს, პირადად ვიცნობ. მაინც მუშაობენ, რომ სამსახური არ დაკარგონ, რათა ფული შინ გააგზავნონ. ტკივილის ბოლო წვეთს ელოდებიან...

**პარაკლისებს ასევე უკვეთავენ საქართველოში გარდაცვლილი ქმრის, ცოლის, დედის, მამის, ძმის, დის, შვილის, შვილიშვილის გამო. ამ და ოდნავ განსხვავებული წესით „დაუსწრებელ“ პანაშვიდებს, გასვენებებს** (მისამართი: მოსავლელი ადამიანის სახლი, ანუ სამსახური) **ორმოცებს, წლისთავებს და ხუთიწლისთავებსაც გადაიხდიან.** ათიწლისთავის გადამხდელს ერთს ვიცნობ, შვილზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ახლობლების დაბადების დღეებსა და ქორწილებს პანაშვიდ-წლისთავების მსგავსი წონა არ აქვს. სიკვდილი აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ვიდრე დაბადება, თუნდაც შვილიშვილის.

**სურავანდშეყრილებს ჰგვანან ხანდახან ანდა სუმოისტებს – არაჯანსაღი ცხოვრების წესითა და „ჯანკ ფუდით“ გაფუებულებს.** რამდენიმესგან ამგვარი რამაც მოვისმინე: ბოლო წელს იქნებ ჩემთვის ვიმუშაო, აქ პლასტიკური ოპერაცია გავიკეთო, სპორტზე ვიარო, ჯანსაღი, „ორგანიკი“ საკვები ვჭამო; აბა, რას იფიქრებენ, აეროპორტში ასეთ დაბერებულ-დანაოჭებულს რომ დამინახავენ? ბოლოს და ბოლოს ამერიკაში ვიყავი. სირცხვილიაო... **მოხუცებთან მუშაობის დროს ამავე მოხუცების მიერ ნაჩუქარი, ნახმარი ძველი ტანსაცმელი აცვიათ. წლები გადის და ვალებიდან მაინც ვერ ამოდიან. ამერიკელები კრედიტით ცხოვრობენ, მაგრამ „ქართული ვალი“ სულ სხვა წარმომავლობისაა.**

ცხოვრება გადის და სამეტყველო რეპერტუარი მწირდება: ყოველდღიური ვერბალური „ტექსტები“ მოსავლელი ბებია-ბაბუების დღის განრიგისა და შარდის ფერის „ჩარჩოში“ ჩასმული. მეგობართან საუბარიც ამით იწყება და ამით მთავრდება. **მათი ოჯახის წევრები კი ბინის რემონტის ხარჯთაღრიცხვის დროს „პატარა წვრილმანს“ ამატებენ, მაგალითად, ასეთს: ვარდისფერი მარმარილოს ბუხარი. ოჯახს ხომ უნდა დაეტყოს, რომ ერთ-ერთი მათთაგანი ყველაზე წარმატებულ ქვეყანაში – ამერიკაშია?**

ამერიკას არ უყვარს წარუმატებელნი. ჰო, არც სხვებს უყვართ „ეგეთები და ასეთები“. **ვალს ვალი ემატება, წელს – წელი, ჩამოცვენილ კბილს – ჩამოცვენილი კბილი, დეპრესიას – დეპრესია, დაღლილობას – დაღლილობა, გაწბილებას — გაწბილება, გახევებას – გახევება, სინანულს — სინანული. სნობობას – სნობობა.** რამდენს შემოუჩივლია ჩემთვის, განა მხოლოდ ლექსიკის, არამედ თვალსაწიერის შევიწროების სამედიცინო სიმპტომები. სამაგიეროდ, **ამერიკული ოცნება ქართულ ოცნებად ითარგმნება. ესენი კი ამ თარგმანში დაკარგული უჩინარნი არიან. ლავიაფანისთვის უინტერესონი თავიანთი ტრივიალური, არაგლამურული, „წვრილმანი“, შეწირული ცხოვრებით და ამით ბედნიერნი, კმაყოფილნი. ამ კმაყოფილების კარგად თუ ცუდად მოთამაშენი. საკუთარ თავს აჯერებენ, რომ ესაა მათი ბედნიერება, მუდმივი სიხარულის განცდა, მაგრამ... დაბლაგვებული.**

არა მარტო ლავიაფანი, არამედ საზოგადოებაც, არასამთავრობო სექტორიც, ოჯახიც დაყრუვდა და დაბრმავდა. ყველაფერი ერთი-ორი სიტყვით ისეთი ადვილი ასახსნელი გახდა. აქაც და იქაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ზუსტად სამ წინადადებაში დაეტევა: **„ქვეყანას უჭირს, ოჯახს უჭირს, აბა, სხვა რა გამოსავალია. სხვა რა ქნან. ჩვენ რა ვქნათ?“.** გაზეპირებულია „მამაო ჩვენოსავით“... გარიყულნი და გაყინულნი, რომელთა ცხოვრება, ყოველგვარი სოციალურად კრიტიკული კონოტაციის გარეშე აღიქმება, ანუ ითვლება, რომ ეს ასეც უნდა იყოს; წლების განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს; „შეწირულებმა“ კი თავიანთ თავს დააბრალონ – თავად აირჩიეს ეს გზა, ეს მათი ბედია, მათი პირადი და საზოგადო ბედნიერება ხომ ახლობლების, სამშობლოს, დემოკრატიის მშენებლობის ბედნიერება და ბიძაშვილისთვის დროზე გაკეთებული გლანდების ოპერაციით მიღებული კმაყოფილებაა.

**ცხოვრობენ სხვათა ცხოვრებით, სხვათა სიხარულებით, „არაფერი პირადი“. საქართველოში კი გზას გზა ემატება, ბინას – ბინა, რემონტს – რემონტი, ლიფტს – ლიფტი, სააგარაკე ფართობს – სააგარაკე ფართობი, ჯაკუზს – ჯაკუზი, ჯიპს — ჯიპი, საგზურს – საგზური, ოპერაციას – ოპერაცია, ფასიან განათლებას – ფასიანი განათლება, დიპლომს – დიპლომი, ქორწილს – ქორწილი, „პაეზდკას“ — „პაეზდკა“, შვილიშვილს – შვილიშვილი, პასუხისმგებლობას – პასუხისმგებლობა, საფლავს – საფლავი.** „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლისგან“ განხიბლული ჩვენი დროის გმირები, „ეკონომიკური“ განსაწმენდლის გამოცდების „ფრიადზე“ ჩამბარებელნი, ამ ქართული წარმატებისა და ეკონომიკური სასწაულის შემადგენელი უჯრედების მოლეკულები და ატომები, გამოწურული საუჯრედე სითხითა და შემოჭმული ბირთვით... საქართველოში კი, ამ „ყველაზე-ყველაზე“ ქვეყანაში სტალინის ერთი ნაშრომის სახელწოდებისა არ იყოს, „თავბუსდახვევაა წარმატებისაგან“ თავისი დეკორუფციზაცია-დეკრიმინალიზაცია-დემოკრატიზაცია-დევალვაცია-დეაქტივაცია-დემობილიზაცია-დეზორიენტაცია-დეზინფექცია და სხვა „დეებით“, მათ შორის – დეჰუმანიზაციითა და პარალელურ რეჟიმში „იზაცია“ ბოლოსართებით; მაგალითად, მოდერნიზაცია-ლიბერალიზაციის ჩათვლით...

**საქართველოში ემიგრაცია სავალუტო ერთეულებად კონვერტირდება და „გამოითვლება“. ამერიკიდან, ევროპიდან, ყოფილი სსრკ-დან გამოგზავნილი ფულით, ანუ ტრანსფერით. მითოლოგიზირებული ქვეყანა საბანკო „გაზსადენით“ სამშობლოსთანაა მიერთებული. ემიგრაცია მეწველი ძროხა – ფანტომივითაა, რომელმაც იმისთვის უნდა იარსებოს, რომ სხვას „ცხოვრება აცალოს“, ანუ აცხოვროს. ერთმა – მეორის ხარჯზე. ეს მეორე კი, რაც უფრო უტყვია, მით უკეთესი. რაც უფრო ბეჯითი და მოქნილია, მით უკეთესი. პირველი კი, რაც შეიძლება დიდი მონდომებით თავის მარჩენალს არ უნდა ამჩნევდეს.**

რუსეთის „ვსტავანიე ს კოლენ“ ნავთობდოლარებით განხორციელდა, საქართველოსი – ემიგრანტდოლარებით (ევროებით, რუბლებით). მაგრამ, თუ პირველი „სუბსტანცია“ ნახშირწყლებისა და სხვა ორგანული ნივთიერებების ნარევია, მეორე გაცილებით ფაქიზია – ადამიანის სიცოცხლე, სული და გული, ცხოვრების გზა, განუმეორებელი, წუთისოფლური, წარმავალი. საქმე აბსოლუტურად განსხვავებულ წონით კატეგორიებთან გვაქვს. **სოციალურ აზრს საქართველოში არ აინტერესებს „წარმატების“ რეალური, ადამიანური, თუნდაც მახინჯი, ნაცრისფერი სახე. რადგანაც ეს ზეიმი, კარნავალი და ცისარტყელა არაა. ეშმაკისეული დეტალები კი, როგორც არასაინტერესო ბალასტი, საზოგადოების ინტერესის სფეროს მიღმაა.** ანა ახმატოვას ლექსის — „ხელობის საიდუმლოებანი“ პროზაული ინტერპრეტაცია რომ მოვიშველიოთ: **„რომ იცოდეთ, რა ნაგვიდან იზრდება ლექსები** (კაპიტალიზაცია, უძრავ-მოძრავი ქონება, ფასიანი სასწავლებელი და ა.შ.) **უსირცხვილოდ“...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რურუების კლანი — სააკაშვილის «კომბალი» ავტორიტარიზმის განსამტკიცებლად



## კაი ბიჭობიდან კულტურის მინისტრობამდე

**საქართველოს პრეზიდენტმა ქუჩა კრიმინალური და ქურდული მენტალიტეტისგან მეტ-ნაკლებად კი გაწმინდა, მაგრამ ამ სამყაროს „ავტორიტეტებით“ ხელისუფლება დააკომპლექტა. დღეს „ქურდული გაგება“ უკვე სახელმწიფო დონეზეა აყვანილი არაერთ მიმართულებას ყოფილი „კაი ბიჭები“ კურირებენ. თუკი ადრე საძმოების სახელით „ილუნებოდა“ ფული, დღეს ამას „კანონიერად“, მაღალი კაბინეტებიდან „ატკატის“ გზით აკეთებენ.**

„ნაცმოძრაობისთვის“ არაერთხელ წამოუძახებიათ, რომ ერთ-ერთ ასეთ — „ვერელების საძმოს“ ერთ დროს კულტურის მინისტრი ნიკა რურუაც წარმოადგენდა თავის ძმასთან — გიორგი რურუასთან ერთად. არც ის არის დამალული, რომ ძმები რურუები 90-იან წლებში „მხედრიონის“ ელიტას წარმოადგენდნენ. ამის საწინააღმდეგოდ არაერთხელ თქმულა, რომ რურუები მხოლოდ ჯაბა იოსელიანთან დაახლოებული პირები იყვნენ და არა „მხედრიონის“ წევრები, მაგრამ „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე აღნიშნავს, რომ დოკუმენტურად რამდენად იყვნენ ძმები რურუები გაფორმებული „მხედრიონში“, ეს უმნიშვნელოა, რადგან ისინი ისე მჭიდროდ იყვნენ იდენტიფიცირებულნი „მხედრიონის“ ჯგუფთან, რომ გასაკვირი სულაც არ არის, თუკი უახლოეს გარემოცვას წარმოადგენდნენ ჯაბა იოსელიანისთვის.

**მამუკა გიორგაძე:**

**— ძმები რურუები მაშინდელი ხელისუფლების სხვადასხვა ჯგუფებთანაც იყვნენ იდენტიფიცირებულნი. მაგალითად, ნიკას ძმა — გიორგი რურუა ერთხანს „აღორძინების“ სიაშიც იყო. შემდეგ კანონთან პრობლემები შეექმნა და იძებნებოდა. რაც შეეხება „ვერელების საძმოს“, რომლის წევრებიც ორივე ძმა გახლდათ, „საძმო“ პირობითად ეწოდებოდა, რეალურად კი მისი წევრები, ისევე, როგორც მაშინდელ ხელისუფლებასთან დაკავშირებული სხვა ჯგუფები, ბიზნესფიგურებთან ერთად ბიზნესსა და სხვა სფეროებში გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ.**

**როგორც ხედავთ, ამჟამად კულტურის მინისტრმა, ყოფილმა მხედრიონელმა და „საძმოს“ წევრმა „მისია“ წარმატებით აღასრულა და სახელისუფლო წრეში გავლენა მოიპოვა.**

დავიწყოთ იმით, რომ, **როცა „მხედრიონის“ გარშემო მდგომარეობა დაიძაბა და ნიკა რურუამ შეატყო, „საძმოს“ საქმე ცუდად იყო, თავს უშველა.**

იგი 1994 წლის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა, 1995 წელს კი „საძმოს“ წევრები დაიჭირეს. 1998 წელს ნიკა რურუა ჯორჯიის შტატის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სკოლის სტუდენტი გახდა და 2001 წელს, სკოლის დამთავრებისას, იურისპრუდენციის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (JD) მიენიჭა.

ვიდრე ნიკა რურუა შტატებში სწავლა-განათლებითა და პრაქტიკებით იყო დაკავებული, მისი ძმა — გიორგი საქართველოში ძებნილად გამოცხადდა. **ნიკა რურუა საქართველოში 2001 წელს ჩამოვიდა და აქტიურად თანამშრომლობდა „დემოკრატიული და ლიბერალური“ რეფორმების მსურველ ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდთან, რომელსაც ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი მეთაურობდნენ.** Aარ არის გამორიცხული, ამ დროისთვის მომავალ პრეზიდენტთან ნიკა რურუას უკვე ძმის, გიორგი რურუას ამერიკიდან ჩამოყვანის გეგმაც ჩამოეყალიბებინა. **სააკაშვილის გაპრეზიდენტებისთანავე მომზადდა საბჭო, რომელიც შევარდნაძისა და გამსახურდიას ხელისუფლების გადამტერებული საზოგადოების „შერიგებას“ ემსახურებოდა. ეს ნაბიჯი ერთ-ერთი ოფიციალური გარანტი იქნებოდა, ნიკა რურუას ძმა სააკაშვილს საქართველოში დაებრუნებინა. მასაც და დასავლეთსაც მაშინ საქართველოში პოზიციების დამკვიდრება და შემდეგ გამყარება, როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა. ძმები რურუები კი ამის საუკეთესო საშუალება იქნებოდა. ერთის მხრივ, — სამართალმცოდნე, ამერიკაში განათლებამიღებული ნიკა რურუა, მეორეს მხრივ, — ქუჩური მენტალობის „მეამბოხე“ გიორგი რურუა, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, დასაყრდენ ძალას შექმნიდა ახალი ხელისუფლებისთვის.** „ხელი ხელს ბანს, ორივე კი — პირსო“, ამაზეა ნათქვამი.

ასეც მოხდა. სააკაშვილმა ნიკა რურუას ძებნილი ძმა — გიორგი დიდი ზარზეიმით ჩამოიყვანა ამერიკიდან და მისი სამართლებრივი დევნა შეწყვიტა. **სწორედ მას უკავშირებენ 200-კაციანი ზონდერბრიგადის შექმნასაც, რომელიც საკუთარი მიწა-წყლის ხალხს გადამთიელივით უსწორდება. სავარაუდოდ, ეს ის ჯგუფია, რომლითაც „ნაცმო“ ბიზნესმენებს აკონტროლებს და პოლიტიკურ პარტიებს ატერორებს.**

მანამდე კი ნიკა რურუა, პოლიტიკაში სამართლებრივი კანონების შექმნით ნიადაგს იმზადებს. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიით, საქართველოს მეექვსე მოწვევის პარლამენტის წევრი ხდება. ნიკა რურუა პარლამენტარობისას თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრად გვევლინება, ასევე, ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა.

როგორც თავდაცვისა და უშიშროების და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრი, ავტორი იყო საკანონმდებლო ინიციატივისა კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ. ასევე არის თანაავტორი კანონპროექტისა ორგანიზებულ- დანაშაულებრივი სამყაროს წევრობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ (გამოცდილება მაინც თავისას შვრება).

პრესაში იმის შესახებაც იწერებოდა, რომ **ძმებმა რურუებმა თავიანთი სფეროებიდან შიდა საკონკურენციო ბაზარზე არა მხოლოდ გავლენების მოპოვება მოახერხეს, არამედ შეძლეს, საკუთარი ტყავიც დაეცვათ ყოფილი კონკურენტი „კაი ბიჭებისგან“.**

თუკი რურუების ამ ბექგრაუნდს გავითვალისწინებთ, აღმოვაჩენთ, რომ **სააკაშვილის შიდა ფინანსური და პოლიტიკური ხერხემალი არა ვანო მერაბიშვილი, არამედ რურუების კლანია.** ბუნებრივია, მათ შორის არც ისე ჰარმონიული ურთიერთობა უნდა იყოს, როგორსაც საზოგადოებას უჩვენებენ.

რურუებ-მერაბიშვილის კლანებს შორის კონკურენციას **მამუკა გიორგაძე** ასე აფასებს:

**— ჩვენი ხელისუფლების საყრდენს წარმოადგენს არა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ჯანსაღი სახელმწიფო ცხოვრებისთვისაა საჭირო, არამედ სხვადასხვა კლანი, რომელთაც პერსონალური კლანური ინტერესები აქვთ და არავითარ შემთხვევაში — სახელმწიფოებრივი. ასეთი ერთ-ერთი კლანი, ბუნებრივია, რურუების კლანიცაა.**

**მაშინდელი „საძმოები“ რეალურად დღესაც განაგრძობენ არსებობას. უბრალოდ, დღეს მათ შეიძლება სხვა სახელები ჰქონდეთ, მაგ: ფრაქცია, ბიზნეს-სტრუქტურა და ა.შ. სახელს რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ისინი, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ სისტემის ძირითად საყრდენებს წარმოადგენენ და დაშვებული არიან შიდა კონკურენციისთვის. მართვადია დღეს ჩვენი ხელისუფლება გარე ძალების მიერ და მართვადია კლანებიც. ის კლანები კი, რომლებიც ამ მმართველი ფიგურების ინტერესებში არ შედიან, სახელისუფლო კანდიდატურებად შიდა პოლიტიკურ ბაზარზე საკონკურსოდ არც დაიშვებიან.**

**ხშირია შემთხვევები, როცა ხან ერთი კლანი გადაწონის, ხან — მეორე. ჯამში კი ყოველივეს სააკაშვილი არეგულირებს შევარდნაძესთან ერთად, ეს უკანასკნელი კი გარე ძალებთან ათანხმებს.**

დღევანდელი სახელისუფლო კლანები კი ისევე მონაწილეობენ ამ მართვად პროცესებში, როგორც რეჟისორის მიერ სხვადასხვა როლზე განაწილებული მსახიობები, სადაც ზოგს მთავარ როლზე დაამტკიცებენ, ზოგს — მეორეხარისხოვან როლზე, ზოგსაც ეპიზოდურ როლებს შეაჩეჩებენ, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე. ამ კლანის წევრებს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ ისინი, რაც უნდა მთავარ როლზე დაამტკიცონ, მაინც მსახიობებად რჩებიან და სხვის მითითებებს ელოდებიან. ეს დიდ თეატრში ბუნებრივ მოვლენად ითვლება, პოლიტიკაში კი დამღუპველია! პოლიტიკაში კი არ უნდა თამაშობდე, უნდა ცხოვრობდე. გარდა ამისა, ეს დამღუპველია როგორც სახელმწიფოსთვის, ისე თავად ამ პიროვნებებისთვის. საბოლოოდ ყველა მათგანი ძალიან ცუდად ამთავრებს.

რაც შეეხება კონკრეტულად რურუების კლანს, არ ვიცი, რომელი გარე ძალა მართავს, მაგრამ საქართველოში, ზოგადად ყველა სფეროს, ისევ და ისევ, რუსული სპეცსამსახურები წარმართავენ, რომლებიც, არაა გამორიცხული, თავის მხრივ სერიოზულ გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ორგანიზაციებსაც უთანხმებდნენ. თავად მექანიზმია მონოპოლიზებული. ამიტომაცაა „ბალანსი“ დაცული. ისინი ამ კლანებს ადგილობრივი ხელისუფლების საშუალებით არეგულირებენ, მათ ხან „ასაჩუქრებენ“ (ბიზნესებს ჩუქნიან), ხან პირიქით — წაართმევენ ხოლმე, ხანაც — მედალს ჰკიდებენ. სამწუხაროდ, დღეს ისევ საბჭოური მართველობის ხანა გრძელდება.

ჟურნალისტებს არც ის გამოჰპარვიათ, რომ ასეთი „საჩუქრით“ ნიკა რურუაც კი დააჯილდოეს. მაშინ იგი ქალაქ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში ტელე-რეჟისურის ფაკულტეტზე სწავლობდა, და სწორედ კომუნისტური წყობის „შესაცვლელად“ მონაწილეობდა ეროვნული მოძრაობის მიერ წამოწყებულ საპროტესტო საქმიანობაში. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემ- ▶



**სწორედ მას უკავშირებენ 200-კაციანი ზონდერბრიგადის შექმნასაც, რომელიც საკუთარი მიწა-წყლის ხალხს გადამთიელივით უსწორდება**

დეგ, როგორც მოხალისე, მონაწილეობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, რისთვისაც დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

თუკი იმ სისტემით ვიმსჯელებთ, სადაც ის დღეს ასე ფრთებგაშლილი მოღვაწეობს, გამოდის, რომ მას არათუ კომუნისტური წყობის გადაგდება, არამედ საკუთარი ამბიციები ამოძრავებდა. პატრიოტის ნიღბის ტარებაში კი, როგორც ჩანს, სწორედ თეატრალურში სწავლების დროს დახელოვნდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიღაბი, უკვე კარგა ხანია, გაცვდა. **საზოგადოება სწორედ რურუებს მიაწერს პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების დაშინებას, გატაცებას, რეკეტს, სხვადასხვა კრიმინალებთან კავშირს და ა. შ.**

ამ შეფასებას პოლიტიკოსებიც აკეთებენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ძალიან ფრთხილად და მოზომილად. მაგალითად, **ირინა სარიშვილი,** რომელიც თავის დროზე გიორგი ჭანტურიას სიკვდილს ძმების სახელს ღიად უკავშირებდა, დღეს მათ ასე აფასებს:

— **რურუები რომ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები არიან, ისედაც ყველამ იცის. განსხვავებული მე რა უნდა ვთქვა, მათი მემატიანე არ ვარ და არც მათი უახლესი ისტორიით ვარ დაინტერესებული.**

მსგავსი განცხადება არაერთი პოლიტიკოსისგან მოვისმინეთ, თუმცა საჯაროობას მოერიდნენ. ეს ბუნებრივიცაა. ვისაც მხოლოდ საკუთარი ამბიციები ამოძრავებს და საკუთარი ბიზნესის ბედი ადარდებს, ზედმეტ თავისტკივილს მოერიდება და ბანალური ფრაზით შემოიფარგლება, **„ის ვიცი, რაც მთელმა თბილისმა — ამ კრიმინალებზეო“.** ვფიქრობ, ამ კატეგორიის „კურდღელ“ პოლიტიკოსებს, მინიმუმ, პატრიოტობაზე მაინც არ უნდა ჰქონდეთ ამბიცია.

ჩვენთან საუბრისას კი **მამუკა გიორგაძემ** განაცხადა:

— **საქართველოში დღეს ისეთი მონოპოლიზირებელი სისტემა მოქმედებს, რომ ბევრი დედიკოს ბიჭი მინახავს კლანების სათავეში და პირიქით — ბევრი „კაი ბიჭი“ ჩასვრილი, მაგრამ აქ მთავარია ის მომენტი, რომ მათი ინდივიდუალური შეფასების საშუალება არ გვაქვს. ისინი უბრალოდ დავალებებს ასრულებენ. საქართველოში რომ თავისუფალი სივრცე იყოს, როგორც პოლიტიკაში, ასევე საზოგადოების წევრებისთვის, თითოეულ კლანს, თითოეულ პიროვნებას თავისი შესაძლებლობებით განვხილავდით.**

**ღმერთმა ქნას, საქართველოში არსებობდეს დამოუკიდებელი კლანები, თუნდაც კრიმინალური. ეს კიდევ ნაკლები უბედურება იქნებოდა ჩვენთვის, ამით ჯანსაღი, რეალური ბრძოლის შესაძლებლობა მაინც მოგვეცემოდა. ადრე თუ გვიან ისინი საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოზიციაზე დადგებოდნენ.“**

როგორც ხედავთ, დღევანდელ საქართველოში კვლავ გასული საუკუნის 90-იანი წლების კრიმინალური სისტემა მუშაობს, მხოლოდ გარეგნული იერსახის მოჩვენებითი ცვლილებებით და უკანონო კანონების დაკანონებით.

**ეკა რობაქიძე**

## როლანდ ჯალაღანია:

# საქართველოს ყველაზე დიდი მტრები მიხეილ სააკაშვილი და ედუარდ შევარდნაძე არიან



**ვაგრძელებთ რუბრიკას „შეწყალებას არ ექვემდებარება“, სადაც საზოგადოებისთვის საინტერესო პირები დაასახელებენ იმ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც, მართალია, დღეს ქვეყანას მართავენ, მაგრამ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოუწევთ სამსჯავროზე წარდგომა, რადგან ერის წინაშე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არ გააჩნია.**
**ვის არ შეიწყალებდით „ნაციონალების“ მესვეურთა და დამქაშთაგან? —**
**რუბრიკის ერთადერთი შეკითხვაა, რომელსაც ამჯერად მწერალი, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი როლანდ ჯალაღანია პასუხობს:**

— პირველ ყოვლისა, არ შევიწყალებდი ედუარდ შევარდნაძეს, რადგანაც ქვეყნის რღვევის ეს დაღმავალი პროცესი სწორედ მისი დაწყებულია; უმუშევრობა, ეკონომიკური კოლაფსი, სიღარიბე, ომი, დაკარგული ტერიტორიები – ეს ყველაფერი მის პასუხისმგებლობაზეა. **შევარდნაძის დაუსჯელობის გამო, ვერ ვეღირსეთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას და ვერც ვეღირსებით, სანამ ეგ ცოცხალი და გაუსამართლებელია.**

რაც შეეხება დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათგან **აუცილებლად სამსჯავროზე უნდა წარდგეს შევარდნაძის „პირდაპირი მემკვიდრე“ სააკაშვილი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს კაცი ვერანაირ ნაბიჯს ვერ დგამს წინ ქვეყნის ღირსების დასაცავად. მისი გაუაზრებელი, მტრული პოლიტიკის წყალობით, დღეს ყველა ჩვენზეა წამოსეული: თურქი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი. ისინი ცდილობენ, რაიმე წაგვართვან, სააკაშვილი კი ხმას ვერ იღებს.** გვართმევენ ტერიტორიებს, ტრადიციებს. სომხები საფერავს იჩემებენ, აზერბაიჯანელები — დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიას (რომ აღარაფერი ვთქვათ დაკარგულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე), თურქი მეჩეთებს გვიშენებს ბათუმში. ეს ყველაფერი ხომ სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. **სახელმწიფოს მეთაური არა მარტო ტერიტორიების, არამედ ქვეყნის ღირსების ერთგული დამცველიც უნდა იყოს. ამას კი სააკაშვილი არ აკეთებს. არ აინტერესებს ქვეყნის მომავალი. ამიტომ აუცილებლად უნდა აგოს პასუხი.**

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს დაუსჯელობის სინდრომი საქართველოში.

**ასევე, არ შევიწყალებდი მთლიანად „ნაციონალურ მოძრაობას“,** იმიტომ, რომ ამ ყველაფრის ტაშისდამკვრელი და ხელისშემწყობია, განსაკუთრებით ბოკერია-თარგამაძის ტანდემი. სწორედ ამათი მეთაურობითა და „ვაჟკაცობით“ ნადგურდება დღეს მთლიანად საქართველო. თუმცა ამ ფონზე ძნელია მესამე პიროვნების გამოყოფა და დასახელება. **მესამე ადამიანი არის განყენებული პიროვნება ამათი, მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ სახით.** პირადად ჩემთვის, ქვეყნის ყველაზე დიდი მტერი ორი ადამიანი – სააკაშვილი და შევარდნაძე არიან, რომელთა შეწყალებაც უდიდესი შეცდომა იქნება.

**ოთარ დალაქიშვილი**





## გაფრაზებული



**შალვა ნათელაშვილი, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი:**

პირდაპირ ეთერში პრეზიდენტთან დებატების სურვილი უკვე წლებია, მაქვს, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოვახერხე. სააკაშვილმა თავისი ხელით მოსპო და გაანადგურა ის საქართველო, რომელიც 2003 წელს ქართველი ხალხისგან ტაშისკვრით ჩაიბარა. დღეს მე მასთან ერთადერთი შეკითხვა მაქვს — როდის გადადგება?

*„პირველი“*



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

სააკაშვილის განცხადებები უკვე საკამათო კი არა, სასაცილო ხდება. რაღა სააკაშვილი და რაღა ბარონი მიუნჰაუზენი. იმდენ ტყუილს და სისულელეს აცხადებს ეს კაცი, რომ თავადაც იჯერებს შემდეგ. სააკაშვილი მტვერს აყრის თვალში ამერიკელებს; ეს ამერიკელიც სააკაშვილს შეჰყურებს ხბოს თვალებით და მართლა რეფორმატორი ჰგონია.

*„ახალი თაობა“*



**გენო კალანდია, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:**

ძალიან საწყენია, რომ ასე მოხდა. ძალიან საწყენია, რომ ამ სეირს უყურებს მთელი საქართველო. მე თავის დროზე საქართველოს პარლამენტში შევედი ნათხოვარი „პლაშჩით“ და იგივე „პლაშჩით“ გამოვედი, მაგრამ ბედნიერი კაცი ვარ მაინც. მე მწერალი კაცი ვარ და სხვანაირად ვერ შევძელი. ვნახოთ, ახლა მწერალთა კავშირში შესულია აუდიტი და ალბათ, ყველაფერს გაარკვევს.

*„ალია“*



**ბაკურ კვეზერელი, სოფლის მეურნეობის მინისტრი:**

ფიზიკური დეფიციტის პრობლემა არ არის ქვეყანაში არც ერთი პროდუქტის და არც არის მოსალოდნელი. დანარჩენი ინფორმაცია შეგიძლიათ კომპანიებისგან აიღოთ, რომ დარწმუნდეთ ამ ინფორმაციის სისწორეში.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ზაზა სოფრომაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრი:**

რა უნდა ვკითხოთ მიხეილ სააკაშვილს, მან ხომ ძალიან კარგად იცის, რომ ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი დაკარგა, ქვეყანაში 2 მილიონამდე ღატაკია, ყოველდღიურად იზრდება ფასები პროდუქტებზე, ქვეყნის საგარეო ვალი 9 მილიარდ ლარამდეა, ქვეყანაში უამრავი უკანონო და პოლიტიკური პატიმარია, მისი ხელისუფლება პირდაპირ ატერორებს ვეტერანებს, დევნილებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს და ამ ყველაფრის ფონზე მილიონობით დოლარებს, რომ უხდის ლობისტურ კომპანიებს, რათა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ჩამოირეცხოს ავტორიტარი მმართველის იმიჯი. ამიტომ არაადეკვატური სააკაშვილისთვის კითხვების დასმას არ ვაპირებთ, ჩვენ ვაპირებთ მის შეცვლას.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მოკლედ

### ამერიკის ბანკი კვლავ წამგებიანია

**ამერიკის უმსხვილესი ბანკი „Bank of America“ კვლავ წამგებიანია. 2010 წლის მეოთხე კვარტალში მან 1,24 მილიარდი დოლარი იზარალა და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ამჯერად ზარალი 6-ჯერ მეტია.** გასული წლის დანარჩენი კვარტლების განმავლობაში ბანკი მოგებაზე მუშაობდა. ზარალის მთავარი მიზეზი იპოთეკისა და საკრედიტო ბარათების ჩამოწერა გახდა. 2010 წელს ამისთვის ბანკს 12 მილიარდი დოლარი ჰქონდა დარეზერვებული. წარუმატებელი აღმოჩნდა ბანკისთვის ერთ-ერთი იპოთეკური კომპანიის შეძენა, რომელსაც ბალანსზე არალიკვიდური აქტივების დიდი მოცულობა აღმოაჩნდა. 2010 წელს ამერიკის ბანკის აქციების ფასი 11,4 პროცენტით დაეცა, რაც აშშ-ის ყველა წამყვან საკრედიტო დაწესებულებას შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

### 14-წლიანი ტყვეობა ტაილანდში

**ტაილანდში გაათავისუფლეს უკრაინელი ინჟინერი, რომელიც ირწმუნება, რომ 14 წელი ბანკოკის ერთ-ერთ ფაბრიკაში ტყვეობაში გაატარა. 2010 წლის შემოდგომაზე ბირმელი მამაკაცი ბანკოკის ჟანგბადის აღჭურვილობათა ქარხნიდან წავიდა.** ამავე ფაბრიკაში მომუშავე 57 წლის უკრაინელმა ანატოლი ვდოვიჩენკომ სწორედ მას სთხოვა, მიეწერა მისი ნათესავებისთვის, რომ ბანკოკში თავისი ნების წინააღმდეგ ტოვებდნენ. მიიღეს რა წერილი, უკრაინელის ნათესავებმა თავიანთი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ინტერპოლს მიმართეს. 11 იანვარს აღნიშნულ ფაბრიკას უკრაინის კონსული ეწვია და მის ხელმძღვანელს პოლიციის გამოძახებით დაემუქრა. ვდოვიჩენკო, რომელიც ფაბრიკაში სამუშაოდ 1996 წელს კონტრაქტით წავიდა, მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლეს.

### პალესტინა-ისრაელის საიდუმლო

**ყატარის ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ მის ხელთ არსებული საიდუმლო მასალების საფუძველზე განაცხადა, რომ 2008 წელს პალესტინის ავტონომიის ხელისუფლება მზად იყო, უარი ეთქვა პრაქტიკულად მთელ აღმოსავლეთ იერუსალიმზე.** პალესტინის დელეგაცია მოლაპარაკებებზე მთელ რიგ დათმობებზე მზადყოფნას აცხადებდა და მათ შორის იყო აღმოსავლეთ იერუსალიმის ტერიტორიაზე მიმდინარე მთელი მშენებლობების კანონიერების აღიარებაც. გამონაკლისს მხოლოდ არ ხომის რაიონი წარმოადგენდა. პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლებმა უკვე უარყვეს „ალ-ჯაზირას“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია და განაცხადეს, რომ ზემოხსენებული დოკუმენტების დიდი ნაწილი პალესტინის ავტონომიის დისკრედიტირების მიზნითაა გაყალბებული.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტყუილი სუფი, ორი ცალი კარტოფილი და 149 ლარი «ნაცმოძრაობის» სადიდებლად

**როგორც ჩანს, საქსტატს მათემატიკის მცოდნე არც ერთი თანამშრომელი არ ჰყავს. მან გასულ კვირას გამოაქვეყნა საარსებო მინიმუმის მაჩვენებლები, 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, და აღმოაჩინა, რომ თურმე საარსებო მინიმუმმა 149.6 ლარი შეადგინა. მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო 2010 წლის აგვისტოდან, რაც დიდწილად განპირობებული იყო სურსათზე ფასების მატებით.**





**დავსხდეთ ყველა ერთად სიბნელესა და სიცივეში, ანუ „გალაღებულ“, გაევროპულებულ, კუტუნიოსა და ბოჩელის კონცერტებით განებივრებულ საქართველოში დინჯად დავუბრუნდეთ ქვის ხანას!**

## სტატისტიკის დეპარტამენტის სახალისო არითმეტიკა მათთვის, ვისაც სააკაშვილის რეფორმების სჯერა

საქსტატის ინფორმაციით, საარსებო მინიმუმმა ოთხწევრიანი ოჯახისთვის 223.4 ლარი შეადგინა. ცხადია, რომ ამ ორგანიზაციაში ელემენტარულ არითმეტიკასთან მწყრალად არიან. თუ ერთ შრომისუნარიან ადამიანს თვეში 149 ლარი სჭირდება, 223 ლარი როგორ ყოფნის ოთხსულიან ოჯახს?!

ევროპას უნდა დავემსგავსოთ! ევროპაში კი ჩვენთან შედარებით ფასები მაღალია — ხშირად მოისმენთ ხელისუფლების მესაჭეებისგან, მაგრამ მათ რატომღაც ავიწყდებათ, რომ ევროპაში ხელფასებიც გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში.

მიუხედავად ჩემი სურვილისა, ვიყო ერთიანი ევროპული ოჯახის წევრი, თუ ეს მხოლოდ ფასების კოლოსალურ ზრდასა და ინფლაციაში უნდა გამოიხატოს, ამ ყბადაღებული ოჯახის წევრობას კავკასიაში კენტად ყოფნა მირჩევნია, რადგან დღეს მაღაზიაში 20 ლარით შევედი და, რომ გამოვედი, მეგონა, ფული დავკარგე. არ ვიცი, როგორაა ევროპაში, მაგრამ ჩვენს ჯიბეს უკვე ძალიან დაეტყო ნაცობანას, ევროპელობანას თუ სახელმწიფობანას, ან, გნებავთ, პრეზიდენტობანას თამაში, რითაც ასე უხეიროდ ერთობა ჩვენი ხელისუფლება.

**საწვავი გაძვირდა, პური, სიგარეტი, ზეთი, კარტოფილი, შაქარი, კარაქი, ხორცი, ტრანსპორტი, კომუნალური გადასახადები... კიდევ გავაგრძელოთ?**

ასეთი მკბენარა ფასების ფონზე ისღა დაგვრჩენია, გაძვირებულ საზოგადოებრივ ტრანსპორტზეც უარი ვთქვათ და ფეხით ვიაროთ, საუკეთესო დრო დადგა მოწევისთვის თავის დასანებებლად; ამ გზით დღეში 3 ლარს მაინც დავზოგავთ. მწვადისა და ხინკლის დროც წავიდა, გადავიდეთ ბალახეულზე; ბანაობაზე, კბილების გახეხვაზე, გალამაზებასა და მსგავს წვრილმანებზე ხომ საუბარიც ზედმეტია; **დავსხდეთ ყველა ერთად სიბნელესა და სიცივეში, ანუ „გალაღებულ“, გაევროპულებულ, კუტუნიოსა და ბოჩელის კონცერტებით განებივრებულ საქართველოში დინჯად დავუბრუნდეთ ქვის ხანას!**

თუ ელემენტარულ არითმეტიკას მოვიშველიებთ და დავთვლით, ცხადი გახდება, რომ 149 ლარი თვეში საკმარისია, რათა ზრდასრულმა ადამიანმა მიირთვას **ყოველდღიურად ცოტაოდენი პური და ორი ცალი კარტოფილი, მცირეოდენი ზეთი, ცოტა შაქარი; ნორმირებულად მოიხმაროს საპონი და კბილის პასტა; აანთოს ერთი ნათურა (კომპიუტერი, ინტერნეტი და მსგავსი ფუფუნება დაივიწყოს), მხოლოდ კარტოფილის მოსახარშად აანთოს გაზი. თუ ამ რეჟიმში ცხოვრებას შეძლებს, 149 ლარიდან თანხა მორჩება კიდეც. მაგალითად, 15 ლარი ტანსაცმელში (მეორადში და 1-თვიანი ძებნის შემდეგ), 7 ლარი დენის, წყლისა და დასუფთავების გადასახადი, 5 ლარი წამლები და სასწაული, 2 ლარი გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის!**

**თუ ამ ჩამონათვალში ვერ იპოვით ხორცს, რძის პროდუქტებს, ტკბილეულს, პატარა ბავშვებისთვის აუცილებელ საკვებ პროდუქტებს, ნუ გაგიკვირდებათ, მთავარია, რეიტინგებში ვიყოთ წამყვან პოზიციებზე და დანარჩენს ჩვენი ხელისუფლება არ დაეძებს.** ვფიქრობ, საკმარისი არგუმენტი მოვიყვანე, რათა დამემტკიცებინა, რომ საქსტატში ან მათემატიკა არ იციან, ან თვალში ნაცარს გვაყრიან და გვიმტკიცებენ, რომ ზრდასრულ ადამიანს თვეში 149 ლარი ჰყოფნის!

**არადა, ყველაზე ცუდი ის არის, რომ რეალურად საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედს ეს 149 ლარიც არ აქვს. შესაბამისად, ვერც 2 ცალ კარტოფილს მიირთმევს 2 დღეში ერთხელ და ვერც ჩაის გეახლებათ დილა-საღამოს. ასიათასობით საქართველოს მოქალაქე, კვების თვალსაზრისით, პურსა და წყალზეა გადასული.**

**ძალიან მინდა, ვკითხო იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ზოგიერთი ქვეყნის მესვეურებს, ვინც საქართველოს ეკონომიკური რეფორმით მოხიბლულია და „ქართული სასწაულის“ გადანერგვას ცდილობს საკუთარ ქვეყნებში — გინახავთ ადამიანი ერთ პურს სამი დღე და ზოგჯერ (თუ გაუმართლა) ერთ მოხარშულ, ან (თუ ზეთი აქვს) შემწვარ კარტოფილს მიირთმევდეს?!**

ძალიან მინდა, ვკითხო იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც სხვადასხვა რეიტინგებში წამყვან პოზიციებზე გვამწესებენ — **იცით, რა არის ტყუილი სუფი? იცით, რა არის ქართული რეალობა და სიღარიბე?**

ძალიან მინდა, იგივე შეკითხვები დავუსვა საქართველოს პრეზიდენტს, მინისტრებსა თუ ფუფუნებაში მონებივრე სხვა მაღალჩინოსნებს, რომლებიც „სხვა საქართველოში“ ცხოვრობენ. **„მათი საქართველო“ ყვავის, „ჩვენი საქართველო“ კი... არადა, ჩვენ გვინდა იმ „ზღაპრულ საქართველოში“ ცხოვრება, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ასე ლამაზად გვიხატავს ხან ამერიკიდან, ხან კიდევ — ქართული ტელეარხების ეკრანებიდან.**

საქსტატის მონაცემები არარეალურად მიაჩნიათ ექსპერტებსაც. ბატონები — გია ხუხაშვილი და დემურ გიორხელიძე თვლიან, რომ დღევანდელ პირობებში 149 ლარითაც კი შეუძლებელია თავის გატანა.

**გია ხუხაშვილი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— დღეს რამდენია საარსებო მინიმუმი, არ დამითვლია, მაგრამ 149 ლარი რომ რეალობას არ შეესაბამება, ამაში დარწმუნებული ვარ. როდესაც **საქსტატს საარსებო მინიმუმის დადგენა სჭირდებოდა, ადგა და საკვებ რაციონში კალორიების რაოდენობა შეცვალა. თუ, დავუშვათ, ადრე იყო 3000 კალორია მინიმუმი, ახლა ჩამოიყვანა 2200 კალორიაზე. ჩათვალა, რომ რიგით ქართველს ნაკლები ჭამა სჭირდება და, შესაბამისად, საარსებო მინიმუმიც ასეთი კურიოზული მეთოდით შეამცირა.** აქედან გამომდინარე, ფიქრობ, რომ რეალურად საარსებო მინიმუმი ამ ციფრზე ბევრად მაღალია, არანაკლებ 250 ლარისა, უფრო მეტი თუ არა, და ამაში ნებისმიერი მოქალაქე დამეთანხმება.

**დემურ გიორხელიძე, ეკონომიკის ექსპერტი:**

— როდესაც ქვეყანაში მაღალი ინფლაციის ფონზე ყველაფერი ძვირდება, საარსებო მინიმუმის ზრდა ბუნებრივი პროცესია. თუმცა თავისთავად ცხადია, რომ საქსტატის ეს მონაცემი არ იძლევა არც სანდოობის საფუძველს და არც იმედს, რომ მძიმე ეკონომიური ფონი, რომელიც დღეს ქვეყანაშია, 2011 წელს გაუმჯობესდება. რეალურად, ნებისმიერმა დიასახლისმა საქსტატზე უკეთესად იცის, აუცილებელი, გადაუდებელი ხარჯებისთვის რამდენი ლარია საჭირო სამ ან ოთხსულიან ოჯახში. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რომ თავისი ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობით ჯერ კიდევ არ შეესაბამება ამ მინიმალურ მოთხოვნებს, უდავოა.

**თეო ტაბატაძე**

**მთავარია, რეიტინგებში ვიყოთ წამყვან პოზიციებზე და დანარჩენს ჩვენი ხელისუფლება არ დაეძებს**



## მოკლედ

### ორი კორეა თებერვალში მოილაპარაკებს

**ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება, სამხრეთს ორ ქვეყანას შორის შექმნილი დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, თებერვლის დასაწყისში სამხედრო უწყებების მაღალჩინოსანთა დონეზე მოლაპარაკებების გამართვას სთავაზობს.** მოლაპარაკებების მოსამზადებელი რაუნდი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივით, იანვრის ბოლოსთვისაა ნავარაუდევი. ფხენიანმა სეულს შესაბამისი შეტყობინება უკვე გაუგზავნა. მოლაპარაკებების ფარგლებში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო შეიარაღებულ ძალთა სამინისტროს მეთაური, ვიცე-მარშალი კიმ იონ ჩუნი თავის სამხრეთკორეელ კოლეგას — კიმ გვან ჩჟუნს სამხედრო სფეროში მიმდინარე საკითხთა განხილვას სთავაზობს. სამხრეთი კორეა მოლაპარაკებებს დასთანხმდა.

### ევროკავშირი ბელარუსის წინააღმდეგ

**20 იანვარს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც ბელარუსის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაწესდეს და ამოქმედდეს სანქციები.** რეზოლუცია ევროკავშირის საბჭოს მოუწოდებს, პირველ რიგში, დაწესდეს აკრძალვა ვიზების გაცემაზე და ბელარუსის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის, ჩინოვნიკების, სასამართლო და უშიშროების ორგანოების წარმომადგენელთათვის დაიბლოკოს ავუარები ევროკავშირის ქვეყნებში. ევროკავშირის აზრით, სწორედ ეს პირები არიან პასუხისმგებელი დეკემბრის საპრეზიდენტო არჩევნების ფალსიფიცირებისა და ოპოზიციის დევნაზე. ევროპარლამენტის დეპუტატთა აზრით, სანქციები ძალაში დარჩება, ვიდრე ბელარუსი პოლიტპატიმრებს არ გაათავისუფლებს და ბრალდებებს არ მოუხსნის.

### აშშ სანქციებს ემხრობა

**აშშ მხარს უჭერს ევროკავშირის რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც ბელარუსის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაწესდეს სანქციები. „ჩვენ ევროკავშირის პარტნიორებთან ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციებს ვაწარმოებთ.** ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ ნაბიჯებს, რომელსაც ევროკავშირი დგამს და მზად ვართ, გადავდგათ დამატებითი ნაბიჯები იმ სანქციების აღსადგენად“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფილიპ კროულიმ. აშშ-მა ბელარუსის სანქციები ჯერ კიდევ 2006 წელს დააწესა, ორი წლის წინათ კი ეს სანქციები ნაწილობრივ გაუქმდა. ახლა სანქციებს მხარი უნდა დაუჭიროს ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებიც წელს, 31 იანვარს, ბრიუსელში შეიკრიბებიან.

### ჰაიტის დიქტატორი სამშობლოს ვერ დაეხმარა

**ჰაიტის ყოფილი დიქტატორი ჟან-კლოდ დიუვალიე ქვეყნიდან გაძევებისა და უცხოეთში ცხოვრების 25 წლის შემდეგ, 16 იანვარს მოულოდნელად დაბრუნდა ჰაიტიზე და განაცხადა, რომ დასახმარებლად ჩაფრინდა.** მაგრამ, როგორც ჩანს, დახმარება არ გამოუვიდა — ახლა იგი კვლავ აპირებს ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას და აქამდეც გაემგზავრებოდა, საბუთებთან დაკავშირებული პრობლემები რომ არ შექმნოდა. როგორც კი დიუვალიე პასპორტს მიიღებს, ჰაიტი კვლავ ექს-დიქტატორის გარეშე გააგრძელებს ცხოვრებას. დიუვალიე სამშობლოში მას შემდეგ ჩავიდა, რაც იქ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გადადების შესახებ გახდა ცნობილი, მაგრამ 18 იანვარს მას კორუფციისა და ფულადი სახსრების უკანონოდ მითვისების ბრალდება წაუყენეს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კარშელეწილი ეკლესია, გაჩეხილი ტყე და დარდუბალა მინისტრი

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიორგი ხაჩიძე საზოგადოებას ჯგუფ „სახიდან“ ახსოვს. მომღერალ დათო ფორჩხიძის წყალობით, ეს ჯგუფი ერთ დროს საკმაოდ პოპულარული იყო. მაშინ გიორგი ხაჩიძე მომღერლის კარიერის გაკეთებაზე ზრუნავდა და ვერც წარმოიდგენდა, ოდესმე მინისტრის პორტფელი თუ ხვდებოდა წილად.**



**ხაჩიძეს ბევრი დრო აქვს და მერაბიშვილის დაკვეთით წერს ჰიმნებს, რაშიც უზარმაზარ ხელფასს იღებს**

ბიოლოგი გიორგი ხაჩიძე, რევოლუციამდე, 1993-2002 წლებში, „რადიო 105“-ისა და გაზეთ „რეზონანსის“ სარეკლამო სამსახურის ხელმძღვანელადაც მუშაობდა. როგორც მისი ოფიციალური ბიოგრაფიიდან ირკვევა, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის რეჟისორი და ტელეკომპანია „იბერვიზიის“ გადაცემის თანაავტორიც ყოფილა; სტუდია „დვრიტა ტვ“-ის მთავარი რეჟისორი და რამდენიმე გადაცემის ავტორი, „რადიო 101“-ის მუსიკალური რედაქტორი, მულტსერიალ „დარდუბალას“ რეჟისორი და კომპოზიტორი; ტელეკომპანია „202“-ის ტექნიკური და მუსიკალური რედაქტორი. „დარდუბალას“ პროექტის წყალობით, „ვარდების რევოლუციის“ ლიდერების გული ბევრმა ადამიანმა მოიგო, სწორედ მათ რიცხვში გახლდათ გიორგი ხაჩიძეც. ამიტომაც 2004 წელს, მან საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი მოიპოვა. შემდეგ იგი სააკაშვილმა სამცხე-ჯავახეთში რწმუნებულად დანიშნა, 2008 წლიდან კი გარემოს დაცვის მინისტრია.

**მთელი მსოფლიო გაოგნებულია, როგორ შეიძლება ასეთ ყინვაში ხანძრები ჩნდებოდეს ყველგან. ეს არის ნამდვილი დივერსია**

**გიორგი ხაჩიძე ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ფიგურად მოიაზრება მინისტრთა კაბინეტში, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე მიმტევებელია. მას რევოლუციის შემდეგ მამაც კი დაუჭირეს.**

**ხაშურის გამგებლის მოადგილე მევლუდ ხაჩიძე ოქრუაშვილის უწყებამ, ჯარების უკანონო გატანის გამო, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავა. საქმე „ტრუბების“ მოპარვას ეხებოდა. თუმცა ხაჩიძეს სულაც არ ჩაუთვლია საჭიროდ, თანამდებობა დაეტოვებინა და ამაზე არც პრეტენზია ჰქონია თავის თანაგუნდელებთან.**

ხაჩიძე რომ პარტიული ინტერესების დამცველი და პარტიული ბრძანებების კარგი შემსრულებელია, იმაშიც გამოიხატება, რომ ცოტა ხნის წინათ მან 12-წლიანი მუშაობის შემდეგ შტატი გაუუქმა აწ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას რძალს, რომელიც ამ სამინისტროში მოხვედრამდე „მწვანეთა პარტიის“ წევრი იყო და თანამდებობაზე დანიშვნამდე გარემოს დაცვის სამინისტროში თითქმის ყველა საფეხური გაიარა.

ხაჩიძის მამას თუ „ტრუბებს“ ედავებოდნენ, თავად ხაჩიძესთან საქართველოს მოსახლეობას უამრავი პრეტენზია აქვს.

ყველაზე მძიმე ბრალდება მისი მისამართით ეკლესიის კარის შემტვრევაში მონაწილეობა იყო. პარლამენტის წევრი, „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია 2008 წლის 10 დეკემბერს თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარე „ხარების“ სახელობის ეკლესიის კარის შემტვრევაში თანამონაწილეობის გამო, რომლის ვიდეომასალაც არსებობდა, საქართველოს მთავარ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, ხოლო პარლამენტში კი გიორგი ხაჩიძის წინააღმდეგ იმპიჩმენტის წესით გადაყენების პროცედურების დაწყებას ითხოვდა. მაგრამ ხაჩიძე მშვიდად აგრძელებს მუშაობას, იმის მიუხედავადაც კი, რომ მის უწყებაში თითქმის ყველა თანამშრომელი დაიჭირეს.

**გიორგი ხაჩიძის მიმართ მოსახლეობას სხვა ბრალდებებიც აქვს, ცოტა ხნის წინათ თელავის რაიონის სოფელ რუისპირის მოსახლეობა აქციებით ემუქრებოდა მინისტრს, რადგან სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე თურდოს ხეობაში კომპანია „სერპანტინის“ ასფალტის ქარხანა და ქვის სამტვრევი საამქროს მუშაობის გამო მთელი სოფელი გამონაბოლქვსა და კვამლში იყო გახვეული, თუმცა ხაჩიძის უწყებას ამით თავი არ შეუწუხებია. გიორგი ხაჩიძეს ადანაშაულებდნენ საქართველოში ტყეების მასობრივ განადგურებაშიც. ხეტყის ბიზნესი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია.**

გადავხედოთ გიორგი ხაჩიძის დეკლარაციასაც:

გიორგი ხაჩიძე 2005 წელს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულად მუშაობის პერიოდში დეკლარაციაში 20000 ლარად შეფასებულ საცხოვრებელ სახლს უთითებს დაბა სურამში. მეტი უძრავ-მოძრავი ქონება, დეკლარაციის მიხედვით, არ გააჩნია. მას 12000 დოლარად აქვს დაგირავებული ბინა თბილისში, ატენის ქუჩაზე. ამავე წელს მას წერეთლის ქ. № 89-ში მდებარე ბინა — 13500 დოლარად, ხოლო ავტომანქანა „ჰონდა“ 3000 დოლარად გაუყიდია.

## გიორგი ხაჩიძეს ტყეების მასობრივ განადგურებაშიც ადანაშაულებდნენ

2006 წელს ხაჩიძე ქონების შეძენას იწყებს. მის სახლს სურამში 4000 ლარად შეფასებული მიწის ნაკვეთი (518 კვ.მ) ემატება დაბა ბაკურიანში და 1992 წელს გამოშვებული ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო“, რომლის ღირებულებადაც ხაჩიძე 5000 დოლარს უთითებს. აღნიშნულ შენაძენებს კი ასე განმარტავს: „საცხოვრებელი სახლი სურამში მივიღე მემკვიდრეობით, აწ გარდაცვლილი ბებიის ანდერძის საფუძველზე. ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო“, 1992 წლის გამოშვება, შევიძინე განვადებით, პირადი დანაზოგით. მიწის ნაკვეთი ბაკურიანში (518კვ.მ) შევიძინე საბანკო კრედიტით. საბარათე ანგარიშზე ირიცხება სახელფასო თანხა. 10000 დოლარი, არის ჩემი პირადი დანაზოგი ხელფასიდან და ნაწილი — უახლოესი ნათესავების პირადი დანაზოგი“.

**ასე უგროვებენ თურმე უახლოესი ნათესავები ფულს ბატონ ხაჩიძეს. შედეგად მის 2010 წლის დეკლარაციაში უკვე საცხოვრებელ სახლს ვხვდებით თბილისში. მისამართი მითითებული არ არის, ფართობი კი 75 კვ.მ-ია. ხაჩიძის 2010 წლის დეკლარაციაში აღარც სურამის ბებიისგან ნაანდერძები სახლია და აღარც ავტომანქანები, მხოლოდ ბაკურიანის მიწის ნაკვეთია დარჩენილი. მინისტრს იპოთეკური სესხიც აქვს — 45000 დოლარი უძრავი ქონების შესაძენად.**

**რა მდგომარეობაშია საქართველოს ბუნება, გიორგი ხაჩიძის სამწლიანი მინისტრობის პერიოდში, ამის შეფასება, საქართველოს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერს, გიორგი გაჩეჩილაძეს ვთხოვეთ.**

— გიორგი ხაჩიძე კი არა, „მწვანეთა პარტიის“ ყველაზე ძლიერი ექსპერტი რომ დანიშნონ გარემოს დაცვის მინისტრად, ისიც ველარაფერს გააკეთებს, იმიტომ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თუკი რამე ფუნქცია ჰქონდა გარემოს დაცვის სამინისტროს, წაართვეს; წაართვეს რესურსები, კონტროლის ფუნქცია. რამდენიმე ძალიან სუსტი კონტროლის მექანიზმი დაუტოვეს, რომელსაც არავინ აქცევს ყურადღებას. შესაბამისად, **ხაჩიძეს აქვს ბევრი დრო და მერაბიშვილის დაკვეთით წერს ჰიმნებს, ამაში იღებს იგი უზარმაზარ ხელფასს. პრემიასთან ერთად მას წელიწადში აღებული აქვს 160 თუ 170 ათასი ლარი.**

**— ხაჩიძეს ადანაშაულებდნენ, რომ მისი უწყება რეაგირებას არ ახდენს ტყეების ხელოვნურად გაკაფვასა და შემდეგ დანაშაულის დაფარვის მიზნით მის გადაწვაში.**

— რეინჯერებს იმხელა ტერიტორიები მისცეს, რომ იმას ერთი კაცი ვერც მოუვლის და ვერც გააკონტროლებს. შეუძლებელია, ზამთრის პერიოდში ხანძრები ჩნდებოდეს ყველა კუთხეში, როგორც ეს საქართველოს ტყეებში ხდება. ეს ადგილობრივი ხელისუფლების გაკეთებულია და კვალის წაშლის მცდელობაა იმ ბარბაროსობისა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა ტყეებთან მიმართებაში. **მთელი მსოფლიო გაოგნებულია, როგორ შეიძლება ასეთ ყინვაში ხანძრები ჩნდებოდეს ყველგან. ეს არის ნამდვილი დივერსია, ოღონდ დივერსია საქართველოს ხელისუფლებისა და ადგილობრივი წარმომადგენლების მიერ ჩატარებული.**

**ესენი არიან ერთი ბანდის წევრები, ერთი კრიმინალური დაჯგუფება, რომლის ინტერესია, რაც შეიძლება მეტი მოიპარონ და კვალი ხანძრებით, დაჭერებით, დააპატიმრებებით, მოწმეების დახოცვით, ბიზნესების გაკოტრებით და ა.შ. დაფარონ.** საქართველოს ტყეები, ფაქტობრივად, გადაცემულია უცხოელებზე, ხელისუფლებამ ჩინელებს და არაბებს დაუნაწილა ტყეები. მათ არ აინტერესებთ საქართველო, მოჭრიან ამ ხეებს, ჩაიჯიბავენ ფულს და წავლენ საქართველოდან. ასე რომ, სანამ ეს ხელისუფლება იქნება, ქვეყანას არაფერი ეშველება. ამათაც ფეხებზე ჰკიდიათ ეს ქვეყანა.

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ

### გერმანია მარკას არ დაუბრუნდება

**გერმანიის ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი ცალსახად გაემიჯნა გერმანიის საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილში საკმაოდ პოპულარულ იდეას იმის თაობაზე, რომ ქვეყანამ უარი უნდა განაცხადოს ერთიან ეროვნულ ვალუტაზე და დოიჩმარკას დაუბრუნდეს.** გერმანიის ლიდერმა უარყო ევროპის სავალუტო კავშირის კრიზისის დაძლევის მეორე ჰიპოთეზაც, რომლის თანახმადაც ევროზონა ორ ნაწილად — გაცილებით ძლიერ ჩრდილოეთად და შედარებით სუსტ სამხრეთად უნდა გაიყოს. გერმანია ერთიან ევროპულ ვალუტას მიემხრო და ამიტომ მომავალშიც გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭირო იქნება ევროს სტაბილურობის გარანტირებისთვის, — განაცხადა კანცლერმა და დასძინა, რომ გერმანია ამ ყველაფერს წარმატებით გაუმკლავდება.

### მსოფლიოს 100 ტრილიონი სჭირდება

**მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მოხსენების თანახმად, მსოფლიოს უახლოესი ათი წლის მანძილზე ზრდის კურსის შენარჩუნებისთვის 100 ტრილიონი დოლარის დამატებითი კრედიტი ესაჭიროება.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკის კრედიტირების ამჟამინდელი მოცულობა უნდა გაორმაგდეს. მოხსენების ავტორები ირწმუნებიან, რომ კრედიტირების ამგვარი ზრდა მსოფლიო საფონდო სისტემის დესტაბილიზაციას არ განაპირობებს, თუმცა ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველი სფეროებისა და ქვეყნების — „ცხელი წერტილების“ მიმართ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. მათ, შესაძლოა, ჭარბი კაპიტალი მიიზიდონ და ამით „ბუშტების“ დაბერვის პროვოცირება მოახდინონ.

### ევროკავშირს ახალი კრიზისი ელის

**მიუხედავად საუბრებისა იმაზე, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი დაძლეულია და მხოლოდ აღდგენის პროცესის დასრულებაა ელის მსოფლიო, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კომისიამ გამოაქვეყნა მონაცემები ახალი რისკების შესახებ.** ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, 2011 წელს ევროკავშირს კრიზისის ახალი ფაზა ელის და ეს ვარდნის განმეორებით ფაზაში შესვლას გულისხმობს. როგორც მოხსენებაში „მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა და პერსპექტივები 2011 წელს“ წერია, მიუხედავად ბიუჯეტის უმკაცრესი ეკონომიისა, რომელთა შესაბამისი ზომები ნაწილობრივ მიღებულია, ნაწილობრივ კი — დაგეგმილი, ევროკავშირი, შესაძლოა, კვლავ ვარდნის სტადიაში აღმოჩნდეს. მთავარ რისკს საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია და ესპანეთი წარმოადგენენ.

### თარგმანში დაკარგულები

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ხუ ძიანტაომ თეთრ სახლში გამართული ერთობლივი პრესკონფერენციისას თარგმანის სირთულეები საკუთარ თავზე იწვნიეს.** ჟურნალისტების პირველი შეკითხვა ადამიანის უფლებათა დარღვევას ეხებოდა, ობამამ მაშინვე უპასუხა, შემდეგ კი გაარკვია, რომ თარჯიმანს თარგმანისთვის დრო სჭირდებოდა. რაც შეეხება ხუ ძიანტაოს, მან საერთოდ არ უპასუხა შეკითხვას და მოგვიანებით განაცხადა, რომ „თარგმანის პრობლემების გამო“ არაფერი გაუგია. ზუსტად იგივე სიტუაცია განმეორდა შემდეგი შეკითხვის დასმისას, ოღონდ ამჯერად ჩინელი ჟურნალისტის შეკითხვა ვერ გაიგო ამერიკის პრეზიდენტმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# №996 ბრძანებამ ქართული ბიზნესი სახელისუფლო რეკეტის მძევლად აქცია

**ბიზნესის დაწყება (რომლის სიმარტივითაც თურმე ვლიდერობთ მსოფლიოში) არ არის მთავარი და განმსაზღვრელი, მთავარია, ჯანსაღი კონკურენტული გარემო და მეწარმეობის თავისუფლება. ამ მაჩვენებლების მიხედვით კი საქართველოში საგანგაშო მდგომარეობაა. ახალი ეკონომიკური კურსის ინიცირებისას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საგადასახადო ორგანოს მუშაობაში უნდა შემოვიდეს არა აუცილებლად დაჯარიმების, არამედ ე. წ. გაფრთხილების სისტემა და სახელმწიფო, ზოგადად, ბიზნესის მიმართ გაცილებით ლოიალური გახდეს.**



## მერაბ ჯანიაშვილი: ფინანსთა მინისტრის ბრძანება მეწარმეების დაჯარიმების მორიგ ტალღას გამოიწვევს

პრეზიდენტი, მთავრობა თავს იწონებენ მორიგი „ახალი კურსით“ და ამჯერად გვპირდებიან რადიკალურად შეცვლილ საგადასახადო ადმინისტრირების კულტურას.

ჩვენი ხელისუფლებისთვის სიტყვა და საქმე ერთია, შედეგმა არც ამჯერად დააყოვნა და — **ინებეთ, ბატონო, ფინანსთა მინისტრის 31 დეკემბრით დათარიღებული ბრძანება №996, რომელიც სასაქონლო ზედნადების ახალი ფორმის შემოღებას და, შესაბამისად, ახლებურად შევსებას გულისხმობს. ერთი შეხედვით უწყინარი ცვლილებაა, მაგრამ სინამდვილეში ეს არის შენელებული მოქმედების ნაღმი.** ბაინდურაშვილმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, მოულოდნელად მთელი საქართველოს ბიზნესი მძევლად ექცია, შემდგომი დაყაჩაღებისთვის გაეწირა. ამ ბრძანებით, გამოდის, რომ, ვინც კი ძველ ზედნადებს წერს, დამნაშავეა, რადგან, კანონის თანახმად, „შესაბამის სტრუქტურებს“ უფლება აქვთ, მეწარმეებს საერთოდ გაუუქმონ ძველი ზედნადებით შესრულებული ოპერაცია. შესაბამისად, ამ ოპერაციის მეწარმე ხარჯშიც ვერ უჩვენებს, რაც უფლებას აძლევს სახელმწიფოს, „კანონიერ საფუძველზე“ არათუ დააჯარიმოს, კუდის ძირამდე გაატყაოს ნებისმიერი ბიზნესმენი.

**ბრძანების მოულოდნელობას ისიც ადასტურებს, რომ არც ერთ საკანცელარიო მაღაზიაში თუ სტამბაში ჯერ კიდევ არ არის ახალი ფორმები გაყიდვაში. ამიტომ მეწარმეებმა არ იციან, რომ ასეთი კანონი გამოვიდა.**

საეჭვოა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ერთ ღამეში შეცვლილი ბრძანება ყველამ შეასრულოს. ასე რომ, უკვე 1 იანვრიდან ლამის მთელი საქართველო კანონდამრღვევი გახდა.

როგორც ჩანს, მთავრობის მიერ დეკლარირებული ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკა რეალურად ბიზნესზე ზეწოლა და, ფაქტობრივად, სახელმწიფო რეკეტი აღმოჩნდა. **ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში ფორმალური შეღავათების შემოღების დაპირების პარალელურად, ქუჩის მოვაჭრეები აყარეს და ათასობით ოჯახი ლუკმაპურის გარეშე დატოვეს.**

გამოიკვეთა არასახარბიელო ტენდენცია — **ხელისუფლებისთვის მიუღებელ ბიზნესმენებს დამსჯელ რაზმებს მიუგზავნიან, რომლებიც ახალი ბრძანების „წყალობით“, რა თქმა უნდა, იპოვიან გადაცდომებს. ამით ხელფეხი ეხსნებათ მხოლოდ უცხოელ ინვესტორებს; კერძოდ მათ, ვინც ხელისუფლებაში მყოფი ვიწრო წრის რომელიმე წარმომადგენელს შემოჰყავს და მასთან არის ფარულ ალიანსში. გამკაცრებულია ჯარიმები ფიზიკური პირებისთვის, მაშინ, როდესაც ასობით მილიონიან ვალებს პატიობენ და დიდძალ საჯარიმო სანქციებს უუქმებენ ხელისუფლებასთან დაახლოებულ მსხვილ კომპანიებს.**

მართალია, კოდექსშიც წერია, რომ მეწარმის მიმართ შეიძლება გამოიყენონ გაფრთხილება, მაგრამ ეს არის ერთგვარი ნილაბი, რადგან, **თუ საგადასახადო ორგანოს იმის უფლებას მივანიჭებთ, რომ თვითონ გადაწყვიტოს, ვის გააფრთხილებს და ვის დააჯარიმებს, ეს უკვე ნიშნავს, რომ ლოიალურებს გააფრთხილებენ, არალოიალურებს კი დააჯარიმებენ.** თუ ასეთი ნორმა შემოგვაქვს, მაშინ კანონში მკაცრად უნდა გაიწეროს, რომ, ვთქვათ, პირველი დარღვევის დროს საგადასახადო ვალდებულია, რომ გადამხდელი გააფრთხილოს, მეორე დარღვევისას — დააჯარიმოს და ა.შ.

ამის პარალელურად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბიზნესის წარმომადგენლებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს: **„ჩვენ პირველ ადგილზე გავედით ბიზნესის რეგისტრაციის კუთხით. ჩვენთან ყველაზე ახლოს არის ესტონეთი. ჩვენ შევძელით ამ ლიგაში შესვლა, მაგრამ დანარჩენი უნდა გააკეთოს კერძო ბიზნესმა და ამ მხრივ მათ სჭირდებათ გამოფხიზლება“.** როგორც ჩანს, „გამოფხიზლებაში“ ბატონი სააკაშვილი კანონში ისეთი ცვლილებების შეტანას გულისხმობს, რომლებიც ბიზნესს მუდმივი ტერორის რეჟიმში ამყოფებს.

**„თქვენი დახმარებით, ქვეყანამ გადალახა ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდი. ჩვენ ერთად შევინარჩუნეთ რეფორმატორული კურსი, რის შედეგადაც მსოფლიო ბანკმა საქართველო პლანეტის პირველ რეფორმატორად აღიარა,“** — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში კერძო ბიზნესმენთა მიმართ.

არადა, ლიბერალური საგადასახადო გარემო, უპირველეს ყოვლისა, დახვეწილ, გამარტივებულ საგადასახადო კოდექსსა და დახვეწილ საგადასახადო ადმინისტრირების პროცესს გულისხმობს. დღეს კი, **ჩვენი საგადასახადო კოდექსი, ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებების ერთგვარ ნაკრებად იქცა, რომელთა მრავალფეროვანი ინტერპრეტირების შესაძლებლობის გამო, ხშირ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოების წარმომადგენლებსა და ექსპერტებსაც კი „თავგზა ებნევათ“, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიზნესმენებსა და ბუღალტრებზე.**

საგადასახადო შემოწმება და რევიზია კი საქართველოში, უკვე დიდი ხანია, ბიზნესის დაწიოკებას უფრო ჰგავს, ვიდრე სახელმწიფოსა და ბიზნესსექტორს შორის ცივილურ ურთიერთობას, რომლის შედეგიც ორივე მხარის მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულფასოვანი შესრულება უნდა იყოს.

**მერაბ ჯანიაშვილი, ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტი:**

— ყოჩაღ ფინანსთა მინისტრს, კარგად ახორციელებს ეკონომიკის ახალ კურსს, რომელიც, უპირველესად, სამართლიანი და მარტივი საგადასახადო ადმინისტრირების სისტემას უნდა გულისხმობდეს (მთავრობის განცხადებით). უბრალოდ, წარმოუდგენელია, რომ 31 დეკემბერს მიღებული ბრძანების შესახებ საქართველოს ყველა გადამხდელმა 1 იანვრისთვის დროულად მოახდინოს რეაგირება. თან აქ გასათვალისწინებელია, რომ ცვლილება შეეხო არა ერთ, არამედ 50-მდე მინისტრის მიერ წინა წლებში გაცემულ ბრძანებებს. ბრძანება №996 მეწარმეების დაჯარიმების მორიგ ტალღას გამოიწვევს.

ბიზნესის განვითარებისთვის მთავარი ფაქტორი სტაბილური გარემოა, რაც, უპირველესად, სტაბილურ საგადასახადო კოდექსში უნდა გამოიხატოს. არ შეიძლება, რომ კოდექსში ცვლილებები ყოველ კვირა შედიოდეს, საგადასახადო კოდექსში თითოეული ცვლილება მინიმუმ 3-6 თვის შემდეგ უნდა შედიოდეს ძალაში, რათა მეწარმეებს საშუალება ჰქონდეთ, საკუთარი ბიზნეს-სტრატეგიები ახალი ვითარებების შესაბამისად გადააწყონ. **რა აზრი აქვს ქვეყანაში დაბალი გადასახადების არსებობას, თუ მეწარმეს წლის მანძილზე ოფიციალურ გადასახადებზე მეტი ჯარიმებისა და საურავების გადახდა უწევს?**

ასეთი სახის ცვლილებით ხელისუფლება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ არანაირი ახალი კურსი არ არსებობს. ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური ბიზნესთან მიმართებაში კვლავ ჩასაფრებულ პოზიციაში არიან, რათა შემცირებული ეკონომიკური აქტივობების ფონზე ბიუჯეტი ჯარიმების მეშვეობით შეავსონ.

**ირაკლი შავიშვილი, აუდიტორი, ეკონომიკის ექსპერტი:**

— არ ვიცი, რაში მდგომარეობს კონკრეტულად ეს ეკონომიკური კურსი და, თუ არის სადმე გამოქვეყნებული, კარგია. იქნებ, მირჩიოთ, სად ვნახო. იმიტომ, რომ მე ვერ მოვიძიე ისეთი სახით, რომ წავიკითხო. განცხადებებს რაც შეეხება, **ახალი საგადასახადო კოდექსი დღევანდელზე უარესია.** ამიტომ, თუ ახალი ეკონომიკური კურსი ახალ საგადასახადო კოდექსს გულისხმობს, მაშინ ის უფრო ცუდი ეკონომიკური კურსი იქნება.

**გია ჯანდიერი, „ახალი ეკონომიკური სკოლა — საქართველოს“ ვიცე-პრეზიდენტი:**

— საგადასახადო სფეროშიც, გარდა ტექნიკური გაუმჯობესებისა, იგივე გადასახადების ზომებისა და ოდენობის შემცირებისა, კარგი არაფერი ხდება. საგადასახადო ადმინისტრირება აქამდეც საზიზღარი იყო და ეჭვი მაქვს, ახალ კოდექსშიც ისეთივე იქნება. ეს ახალი კურსი კი რას გულისხმობს, არ ვიცი. საგადასახადო ინსპექტორს ეწერება კანონში, რომ დასაჯე და დააჯარიმე ბიზნესები და ისინი არ გააკეთებენ ამას? ვფიქრობ, რომ გააკეთებენ, რადგან მათ ამას კანონი ავალებს. ტელევიზიით რას ისაუბრებს ფინანსთა მინისტრი, ეს საგადასახადო ინსპექტორისთვის სულერთია. და თუ დავალებას არ შეასრულებს, მასვე დასჯიან ციხეში ჩასმით. საგადასახადო ინსპექტორებს ხომ ვერ დავაბრალებთ ყველაფერს; ეს მოდის იქიდან, რომ ამოცანაა ამგვარად დასმული, რადგან **ხელისუფლებამ 700 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი უნდა უზრუნველყოს მომავალ წელს, მაგრამ საიდან — საინტერესოა.** საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე ოცნება და თან, პარალელურად, ბიზნესთან დამეგობრება? გადასახადების ზრდაც არის და ზრდაც. ხუთი და ათი პროცენტით რომ გაზარდო, მესმის. მაგრამ, როდესაც საუბარია 20-30%-იან ზრდაზე, მაშინ ეს სულაც არაა მეგობრობა.

**ლილი მიროტაძე**

## მოკლედ

### რუსეთი ბელარუსს ნავთობის მიწოდებას აღუდგენს

**ბაჟის გარეშე დადგენილი ფასით ნავთობის მიწოდების ახალ კონტრაქტებზე ხელის მოწერამდე შეჩერებული პროცესი მომდევნო კვირიდან განახლდება და ბელარუსი რუსეთისგან კვლავ მიიღებს ნავთობს.** ეს საკითხი მოსკოვში ვიზიტით მყოფი ბელარუსის პრემიერისა და რუსეთის პრემიერის შეხვედრისას განხილვის მთავარი თემა იყო. შეხვედრის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ბელარუსი რუსეთისგან 4,124 მილიარდი დოლარის სუბსიდიას მიიღებს დაუბეგრავი ნავთობის ხარჯზე. თავის მხრივ, მისმა ბელარუსმა კოლეგამ მიხაილ მიასნიკოვმა დააზუსტა, რომ ამ სუბსიდიის გაცემის მექანიზმი ჯერ კიდევ განსასაზღვრია და ნაწილობრივ, შესაძლოა, ეს ნავთობზე ფასების საშუალებით იქნეს რეალიზებული.

### მინსკი ევროპას ემუქრება

**პოლონეთის მიერ ბელარუსის პრეზიდენტისა და მთელი რიგი მაღალჩინოსნებისთვის საკუთარ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვის დაწესების შემდეგ ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ანდრეი სავინიხმა პირობა დადო, რომ მინსკის პასუხი ადეკვატური იქნებოდა.** „პოლონეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება არჩევანს არ გვიტოვებს. ბელარუსი იძულებული იქნება შინაარსის მხრივ ადეკვატურ შემხვედრ ზომებს მიმართოს“, — აღნიშნა მან და დასძინა, რომ ბელარუსი თანაბარუფლებიანი და გახსნილი დიალოგის მომხრეა საერთო ინტერესების შემცველ ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში. პარალელურად, ევროპარლამენტმა ბელარუსთან დაკავშირებულ რეზოლუციას უნდა უყაროს კენჭი.

### ბრიტანელ პარლამენტარებს «Twitter»-ზე წერა აუკრძალეს

**დიდ ბრიტანეთში თემთა პალატის წარმომადგენლებს პარლამენტის სხდომებისას მიკრობლოგ „Twitter“-ზე შეტყობინებების გამოქვეყნება აუკრძალეს.** გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა წევრმა კევინ ბრენანმა იჩივლა, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი ჯულიანა ჰაპერტი პარლამენტში წამოჭრილი საკითხების ხმამაღლა კომენტირების ნაცვლად ამ კომენტარებს ბლოგზე წერდა. შედეგად, პარლამენტარები მის არგუმენტებზე პასუხის გაცემას ვერ ახერხებდნენ. ბრიტანეთის პარლამენტისთვის ეს პირველი აკრძალვა არაა — 2010 წლის ივნისში მათ სხდომებისას მობილური ტელეფონების გამოყენება აეკრძალათ, თუმცა ელექტრონული წერილების გაგზავნის უფლება მათთვის ჯერ არ ჩამოურთმევიათ.

### გაქცეული პრეზიდენტის კლანის წევრებს დაერივნენ

**ტუნისის ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნიდან გაქცეული ყოფილი პრეზიდენტის — ზინა ალ-აბიდინ ბენ ალის საოჯახო კლანის 33 წარმომადგენელი დააკავა.** უკლებლივ ყველა მათგანი ეჭვმიტანილია სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებში და პასუხისგებაში მისაცემად მათ წინააღმდეგ გამოძიება უკვე დაწყებულია. ექს-პრეზიდენტის დაკავებული მომხრეების სახლებიდან ამოღებულია ოქრო და ძვირფასი ნივთები. თავად ექსპრეზიდენტი ხელისუფლებას 23 წლის განმავლობაში ედგა სათავეში და ქვეყნიდან საუდის არაბეთში 14 იანვარს გაიქცა. საზღვარგარეთ გაქცევით უშველეს თავს მისმა უახლოესმა ნათესავებმა და ოჯახის წევრებმაც. ყველა მათგანს კორუფცია და სახელმწიფოს კუთვნილი სახსრების მითვისება ედება ბრალად.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პოლიტიკოსები, ვინც შვიდი წლის წინათ «მიშა, მიშას» ყვიროდა, ხელისუფლებას ვერ შეცვლიან

**ჟურნალისტ ნანა დევდარიანის განცხადებით, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის წინააღმდეგ მიზანმიმართული, საშიში კამპანია მიმდინარეობს. რატომ და ვინ ებრძვის საქართველოში მართლმადიდებლობასა და ქართულ ღირებულებებს, ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ გაზეთ „ტრიბუნა.ge“-ს მთავარი რედაქტორი ნანა დევდარიანი ესაუბრება.**



**თუ ხალხმა სტიქიურად დაიწყო გამოსვლა, მაშინ შედეგები იქნება უმძიმესი არამარტო ხელისუფლებისთვის, არამედ ოპოზიციისთვისაც და არც ქვეყანას დაადგება კარგი დღე**

## ნანა დევდარიანი: სახეზეა ტერორი პატრიარქის წინააღმდეგ

— როცა არანაირი საჭიროება არ არის, აქტუალური ხდება პატრიარქის თემა: ან კრიტიკა იწყება მისი მისამართით, ან რაღაც გაუგებარი შეკითხვები, ან ავრცელებენ ხმებს, რომ ის ავად არის და დღე-დღეზე აღარ იქნება და ასე შემდეგ. აღარ არის საუბარი იმაზე, რომ სხვადასხვა მედიასაშუალებებით, ძალადობრივად ინერგება ულტრალიბერალური იდეოლოგია.

**— რატომ ებრძვიან პატრიარქს?**

— დააკვირდით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რა ხდება — ყველა ავტორიტეტს ებრძვიან, ზოგი ჩარეცხეს, ზოგი მოკლეს, ზოგი მოკვეთეს. **ყველაზე დიდი ავტორიტეტი აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას და პატრიარქს. ადამიანების მართვა, როცა მათ ჰყავთ ზნეობრივი ორიენტირები და ავტორიტეტები, ძალიან ძნელია; თუ ამას დაუნგრევ, მერე უკვე იოლია ადამიანების საბოლოოდ დამონება და დაჩოქება...**

**— ანუ „ვარდების რევოლუციის“ ლიდერების მხრიდან მიმდინარეობს ეს კამპანია?**

— „ვარდების რევოლუციას“ ჰყავდა რამდენიმე დაჯგუფება, მათგან ზოგი ხელისუფლებაში აღარ არის, მაგრამ იდეოლოგია ამ ხალხს არ შეუცვლია. მე მათ ვეძახი „თავისუფლების ინსტიტუტს“, ყველანი „თავისუფლების ინსტიტუტში“ კი არ არიან, მაგრამ იდეოლოგიურად იმავე სიბრტყეზე იმყოფებიან. **რა თქმა უნდა, პატრიარქთან ბრძოლა „ნაციონალური მოძრაობიდან“ მოდის.**

**— „თავისუფლების ინსტიტუტი“ მუშაობდა „ვარდების რევოლუციამდეც“, ახლა მათ მეტი ბერკეტი აქვთ ამისთვის?**

— მაშინ არ არსებობდა ბევრი საშუალება იმისთვის, რომ მათ თავიანთი აზრი საზოგადოებისთვის თავს მოეხვიათ. იყო ერთი „რუსთავი 2“, რომელიც, ძირითადად, დაკავებული იყო რევოლუციის მზადებით და ამისთვის არ ეცალა. ახლა ყველა ელექტრონული საშუალება, ყველა ტელევიზია ხომ მათ ხელშია (ნაციონალურ არხებს ვგულისხმობ), ამას ემატება კიდევ ახალი ლიბერალური გამოცემები: ჯერ ჟურნალი „ლიბერალი“ გაჩნდა მედიასივრცეში, შემდეგ გაჩნდა „ტაბულა“;... თავიანთი გაზეთები აქვთ, სატელევიზიო სივრცეს, რადიო სივრცეს აკონტროლებენ და ახლა ეს ყველაფერი, უბრალოდ, ძალიან თვალსაჩინო გახდა. მათ უამრავი ბერკეტი აქვთ ხელში, აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ ხელისუფლების დონეზე სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღება ხერხდება.

იცით, ალბათ, რა ხდება უცხოელ პედაგოგებთან დაკავშირებით. **ხალხი ვერ ისტუმრებს ოჯახიდან ისეთ ადამიანს, რომლის ქცევაც მისთვის მიუღებელია. ერთ-ერთი პიროვნება, როგორც მე ვიცი, დააპატიმრეს კიდეც იმის გამო, რომ იჩივლა — არ მინდა, რომ ეს უსაქციელო და უზნეო კაცი ცხოვრობდეს ჩემს ოჯახშიო. იმის ნაცვლად, რომ გაეყვანათ მისი ოჯახიდან უცხოელი პედაგოგი, ის პიროვნება დააპატიმრეს და მერე საპროცესო გარიგებით ძლივს გაათავისუფლეს. ეს არის ტერორის ერთ-ერთი ფორმა.** რომელიმე ქვეყანაში სახელმწიფო წყვეტს, შენს ოჯახში ვინ უნდა იცხოვროს? ეს მხოლოდ საქართველოში ხდება.

**— ანუ იმ ადამიანებს, ვინც უცხოელი მასწავლებლები მიიღეს ოჯახში, აღარ აქვთ მათი გაშვების უფლება?**

— მე გეუბნებით ერთ ფაქტს, რომელიც ცნობილი გახდა ჩემთვის. არ მაქვს უფლება, იმ ადამიანის სახელი და გვარი დავასახელო, რადგან თავად არ სურს თავისი ვინაობის გამხელა. ყველაზე ვერ გეტყვით, ყველა არც არის, ალბათ, მიუღებელი პიროვნება ჩამოსული პედაგოგებიდან. ორი ფაქტი ვიცი ამის შესახებ, რომ **უცხოელმა მსუბუქი ყოფაქცევის პედაგოგმა ოჯახი დაუნგრია ქალს სამეგრელოში. ამ ქალმა ვერაფრით მოახერხა დღემდე იმ პედაგოგის ოჯახიდან გაშვება და დედამისთან გადავიდა საცხოვრებლად,** და მეორე — ამ მამაკაცის ფაქტი, რომელიც სამინისტროში მივიდა ამაზე საჩივლელად და სამინისტროშივე გამოიძახეს პატრული მის დასაპატიმრებლად.

**— ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უცხოელი პედაგოგების მასობრივად ჩამოყვანის იდეა საქართველოში ქართული ტრადიციების მოშლას ემსახურებოდა.**

— ფაქტებით გამოდის, რომ ასეა, იმიტომ, რომ არც ერთი ამ პედაგოგის კომპეტენცია, ბიოგრაფია არავის შეუსწავლია. ადრე საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე არ იღებდნენ ადამიანს, სანამ სამედიცინო ცნობას არ მიიტანდა და ანალიზებს არ ჩააბარებდა, რადგან მას შეიძლებოდა დაესნებოვნებინა ის ადამიანები, ვინც იქ საჭმელად შევიდოდა. ასევე იყო სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებშიც. პერსონალი ყოველთვის გადიოდა სამედიცინო შემოწმებას, რომ საფრთხე არ შეექმნა ბავშვებისთვის. შესაძლოა, სამედიცინო და ლაბორატორიული შემოწმება ვერ ჩაუტარონ, მაგრამ **რა დიდი შესწავლა უნდა იმას, რომ ადამიანი, რომელსაც დარღვეული აქვს ზნეობრივი ნორმები, ბავშვს ასწავლის, როგორც თვითონ აღიქვამს ისე, ზნეობრივ ნორმებს.** ქართული ტრადიციები მართლაც განსხვავებული ტრადიციებია და ბავშვს ჯერ კარგად უნდა ასწავლო ქართული, უნდა შეასწავლო ქვეყნის ისტორია, რაზეც დგას მისი ქვეყანა და რამაც მოიყვანა დღემდე და მერე ასწავლო რაღაც სხვა. ყველაზე მთავარი ზუსტად ეს არის. მითუმეტეს, რომ ამ პედაგოგების კომპეტენცია, არავინ იცის, როგორია, უმრავლესობას არც არასდროს უმუშავნია პედაგოგად. ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. შედეგებიდან გამომდინარე, ეს არის მიზანმიმართული კამპანიის ნაწილი.

**— არის თუ არა საფრთხის ქვეშ პატრიარქის სიცოცხლე და ჯანრთელობა იმ პირობებში, რომელშიც მას უწევს ცხოვრება?**

— ყოველდღე მუდმივად ასეთი სიურპრიზები რომ დაგახვედრონ, ყოველდღე რომ წერონ და ისაუბრონ თქვენზე ისეთი რაღაცები, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, გაუძლებთ? **პირდაპირ ფიზიკურ საფრთხეზე ვერაფერს გეტყვით, საამისო ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ეს არის მორალური ტერორი პატრიარქის წინააღმდეგ. სხვა ამას არაფერი ჰქვია. პატრიარქს ეგ, რა თქმა უნდა, არ ემუქრება, მაგრამ ნებისმიერი ადამიანისთვის, მით უფრო წლებით და ამ ტვირთით დამძიმებული ადამიანისთვის, ეს იოლად ასატანი არ არის.**

**— სკოლებში მიმდინარე რეფორმებზე რას იტყვით, რომელსაც შაშკინი ატარებს?**

— შაშკინის საწინააღმდეგო პიროვნულად არაფერი მაქვს, მაგრამ ნებისმიერი ადამიანი უნდა ინიშნებოდეს თანამდებობაზე მისი კომპეტენციის მიხედვით. ის, რომ იგი კარგად ართმევდა თავს სასჯელაღსრულების სისტემას, არ ნიშნავს, რომ კარგი განათლების მინისტრი იქნება. ციხეებივით და კოლონიებივით დაიწყო სასკოლო სისტემის მოწესრიგება. **ვინ გახდა პირველი პირი? — მანდატური, ისევე როგორც ზედამხედველია ცენტრალური ფიგურა ციხეში. ის უყურებს პატიმრებს და აგვარებს სიტუაციას. ეს სისტემაა გადმოღებული სკოლებში.** ჩემი აზრით, განათლების სისტემამ უნდა გაზარდოს თავისუფალი და მოაზროვნე ადამიანები, ამ შემთხვევაში კი გაიზრდება პოტენციური პატიმარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება ამას არ დაუშვებს.

**— ხართ თუ არა ცვლილებების მოლოდინში; საკმაოდ დაძაბულია სოციალური, პოლიტიკური ფონი; არსებობს თუ არა შანსი, რომ რეალურად ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალოს?**

— შანსი ყოველთვის არსებობს, მაგრამ მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენი ოპოზიცია ხანგრძლივ საშობაო არდადეგებზე იმყოფება. **თუ პოლიტიკური ოპოზიციის გარეშე დაიწყო პროცესები და ხალხმა სტიქიურად დაიწყო გამოსვლა, მაშინ შედეგები იქნება უმძიმესი არამარტო ხელისუფლებისთვის, არამედ ოპოზიციისთვისაც და არც ქვეყანას დაადგება კარგი დღე.**

**— თუმცა ოპოზიციამ, როცა არდადეგებზე არ იყო, ვერც მაშინ მოახერხა სიტუაციის შეცვლა.**

— ვერ მოახერხებენ სიტუაციის შეცვლას ის ადამიანები, ვინც შვიდი წლის წინათ „მიშა, მიშას“ ყვიროდნენ და ახლა ამბობენ, რომ მიშამ დაამხო ეს ქვეყანა. ჩნდება კითხვა, რომ ან მაშინ არ ესმოდათ (და თუ არ ესმოდათ, შეიძლება დღესაც ვერ ხვდებოდნენ, რა უნდა აკეთონ), ან **მაშინ იცოდნენ, რომ მიშა არ იყო ამ ქვეყნის გადამრჩენი და შეცდომაში შეიყვანეს ხალხი. ასეთ მატყუარებს ხელისუფლებაში ხალხი არ მოიყვანს.**

**— თქვენ იყავით სახალხო დამცველი. შესაბამისად, ალბათ, ყველაზე კარგად შეგიძლიათ შეაფასოთ, რა სიტუაციაა დღეს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.**

— ქვეყანაში არის უუფლებობის სიტუაცია. შეფასების კრიტერიუმების მიღმაა უკვე ყველაფერი. ეს ეხება ყველა სფეროს, სოციალური და შრომითი უფლებებიდან დაწყებული, პოლიტიკური უფლებებით დამთავრებული. სხვათაშორის, წინა სახალხო დამცველის მოხსენებებში პოლიტიკური პატიმრების თემა იყო, ახალი სახალხო დამცველის მოხსენებიდან კი ეს თემა ამოიღეს, **მაინტერესებს, აღარ გვყავს პოლიტპატიმრები? თუ დაავიწყდა ყველას ამის შესახებ? ტყულში ყოველთვის გაურბის აღიარებას, რომ ქვეყანაში არიან პოლიტიკური პატიმრები და, ვიდრე ის საკუთარ თავში ძალას ვერ მონახავს, რომ თქვას: დიახ, არიან ასეთი ადამიანები საქართველოში, მანამდე ყოველთვის იქნება კრიტიკა მის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი განცხადება იყო საკმაოდ მწვავე და ადეკვატური დევნილებისა და ვეტერანების აქციის დარბევასთან დაკავშირებით.**

პოლიტიკოსებს უნდა ეყოთ ძალა (მე აღარ დავყოფ ბანაკებად) ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც, რომ ხმამაღლა განაცხადონ მათ მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ, შეცდომები კი არა, ზოგს დიდი დანაშაულიც მიუძღვის და ეს დანაშაული საჯაროდ უნდა ითქვას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერანაირ წარმატებას ისინი ვერ მიაღწევენ; **გამოსავალი არის სიმართლეში. პოლიტიკოსებს ძალიან ხშირად ჰგონიათ, რომ ხალხზე უფრო ჭკვიანები არიან, თვითონ ივიწყებენ თავიანთი ბიოგრაფიის იმ ფურცლებს, რომლებიც არ მოსწონთ, მაგრამ ნუ ფიქრობენ, რომ ჩვენც დაგვავიწყდა. ყველას ყველაფერი კარგად ახსოვს.**

ესაუბრა
**სოფო ბელაშვილი**

**პიროვნება, რომელმაც საკუთარი სახლიდან აღვირახსნილი უცხოელი მასწავლებლის გასახლება მოითხოვა, დააპატიმრეს**

26 იანვარი — 1 თებერვალი, 2011 წელი. №02 (93)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# საეკლესიო ტერმინების განმარტებები

**აიაზმა** — ნაკურთხი წყალი, არის დიდი და მცირე. დიდი აიაზმა: 1) ნათლისღების დღესასწაულზე ნაკურთხი წყალი, რომელსაც მორწმუნეები მთელი წლის განმავლობაში იყენებენ; 2) ნათლობის საიდუმლოს შესრულების დროს ნაკურთხი წყალი.

**ემბაზი** (ბერძ. შესვლა) — ნათლისღებისთვის განკუთვნილი ქვის, ხის ან ლითონის ჭურჭელი. „ემბაზის შვილი“ ნიშნავს მონათლულს.

**კატეხიზმო** (ბერძ. ზეპირი დარიგება, განცხადება) — ეკლესიაში ახალმოსულთა სასწავლად გამიზნული წიგნი. ქრისტეს მოძღვრების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

**მიტრა** (ბერძ. თავსაკრავი) — მღვდელმთავართა თავსაბურავი ღვთისმსახურების ჟამს. სიმბოლურად აღნიშნავს ეკლესიის გვირგვინს.

**მნათე** — სტიქაროსანი, რომელსაც ევალება ზეთის ჩასხმა კანდელში და ანთება, ნახშირის გაღვივება საცეცხლურებში, ზარების რეკა და სხვადასხვა დამხმარე საქმიანობა საკურთხეველში.

**ნეოფიტი** — რაიმე რელიგიის ახალი მიმდევარი, ახლად რჯულმიღებული.

**პანაღია** — ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ეპისკოპოსი გულზე ატარებს.

**სტოა** — ტაძრის დასავლეთი ნაწილი, სადაც დგანან მოუნანიებელი ცოდვილნი და მოსანათლად გამზადებული კათაკმეველნი.

# წმინდა მამათა აზრით...

**გთავაზობთ წმინდა მამათა შეხედულებებსა და ნააზრევს ამა თუ იმ საკითხზე, რომელთა უკეთ გააზრება დაგვეხმარება, ვიცხოვროთ ეკლესიური წესების დაცვით.**

**„თამბაქო ადუნებს სულს, ამრავლებს და აძლიერებს ვნებებს, აბნელებს გონებას და ანგრევს ჯანმრთელობას ნელი სიკვდილით**. გაღიზიანებადობა და სევდა — ეს შედეგია თამბაქოს წევისაგან ავადმყოფურად განმცდელი სულისა“.

**ღირსი ამბროსი ოპტინელი**

**„თვალშისაცემია სიმდაბლე და უსუსურობა დამწყებ მწეველთა მოტივებისა** — სურვილი (მოიქცნენ ისე, როგორც ყველა), დაცინვის შიში, სხვის თვალში ამაღლების სურვილი. ეს ერთდროულად ლაჩრისა და გაიძვერას ფსიქოლოგიაა. ამას მოჰყვება გაუცხოება ოჯახთან და მეგობრებთან. ესთეტიკური თვალსაზრისით, ეს უმსგავსობაა, განსაკუთრებით აუტანელი — ქალიშვილებში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი, თამბაქოს წევა კარს უხსნის ყველაფერ აკრძალულს, მანკიერს. თამბაქოს წევა და ყოველგვარი ნარკოზი ახშობს ჩვენს გრძნობას სიწმინდისა და უბიწოებისადმი. პირველი სიგარეტი — ეს პირველი დაცემაა, უმანკოების დაკარგვა. არა ცრუ პურიტანობა, არამედ უშუალო გრძნობა და ღრმა რწმენა მიბიძგებს, ეს ვთქვა. ჰკითხეთ ნებისმიერ მწეველს და დარწმუნდებით, რომ თამბაქოს წევის დაწყება მისთვის, რაღაც თვალსაზრისით, დაცემა იყო“.

**მამა ალექსანდრე ელჩანინოვი**

**„ვერცხლისმოყვარე ადამიანი ყველაზე უსამართლოა.** მას არაფერი მოუტანია თან დაბადებისას და იმდენს ზრუნავს მიწიერ საუნჯეზე, თითქოს ყველაფერს თან წაიღებს აღსასრულისას. ყველა ცოდვის დასაწყისი ამპარტავნებაა, ხოლო ყველა ბოროტების ფესვი — ვერცხლისმოყვარეობა. პირველი ადამიანს ღმერთს აშორებს, მეორე კი ცხოველებთან აახლოებს. ვერცხლისმოყვარე ღმრთისაგან განდგომილია, რადგან ვერცხლისმოყვარეობა კერპთაყვანისმცემლობაა“

**მღვდელი ნ. სოკოლოვი.**

**„ისე არავინ უყვარს ეშმაკს, როგორც მემთვრალე**, რადგან ისე არავინ ემორჩილება მის ნებას, როგორც ლოთი“.

**წმ. ტიხონ ზადონელი.**

„შეამჩნევდით, **უპატიოსნო ადამიანი განუწყვეტლივ ლაპარაკობს პატიოსნებაზე.** ნუ ენდობით მას, ვინც პატიოსნებისა და სიუხვის ზედმეტად მაქებარია და ნუ გგონიათ, რომ დაგიცავთ ის, ვინც უზომოდ და ყველგან ლაპარაკობს სიმამაცეზე. თვალთმაქცები, ჩვეულებრივ, სხვებს იმისთვის კიცხავენ, რასაც თვით აკეთებენ, თანაც გაცილებით ხშირად. მძიმე მდგომარეობაა, როდესაც ბაგეზე სიწმინდეა, ხოლო გულში უკანონობა და ბოროტება“.

**აბბა ისაია**

„ერიდეთ, მარხვა საჭმლისგან უბრალო თავშეკავებით განსაზღვროთ. **ისინი, ვინც საჭმლისაგან იკავებენ თავს, მაგრამ შეუფერებლად ცხოვრობენ, ემსგავსებიან ეშმაკს,** რომელიც, მართალია, არაფერს ჭამს, მაგრამ თავს არ ანებებს ცოდვას“.

**წმ. ბასილი დიდი**

## დეკანოზი დავით ისაკაძე:

# დროა, გამოფხიზლდეთ და ხმა ამოვიღოთ ალვირახსნილობის პროპაგანდის წინააღმდეგ



**გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ყოველკვირეულად შემოგთავაზებთ სასულიერო პირთა ქადაგებას. ამჯერად გაგაცნობთ სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ დავით ისაკაძის ქადაგებას მართლმადიდებლური ეკლესიის შევიწროებაზე.**

მინდა შევეხო თემას, რომელიც ყველას გვაღელვებს. საქმე ეხება დედაეკლესიის დევნას. ეს დევნა, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ დაიგეგმა. მოდიოდნენ ჩვენთან და გვემუქრებოდნენ. **სატელევიზიო გადაცემებიც კი ეკლესიის დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული. თითქმის ყველა არხი მოცული იყო ასეთი გადაცემებით. ერთსა და იმავე არხზე სხვადასხვა თემებით ლანძღავდნენ პატრიარქს და ამ ფონზე — საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.**

ეკლესიის დევნის ერთ-ერთ მაგალითად შემიძლია დავასახელო კათოლიკეთა ალვირახსნილი საქმიანობა თბილისში, სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. რა ხდებოდა, ყველამ კარგად იცის. ცნობილია, თუ როგორ აიგო უკანონოდ ტაძარი ქავთარაძის ქუჩაზე, ეს უკვე ყველა თბილისელმა იცის. აღშფოთებას ვერ მალავენ თვითონ ასირიელი მართლმადიდებლები. ისინი ამბობენ, რომ მოგვატყუეს, თითქოს ასირიულ-ქალდირიული კულტურული ცენტრი შენდებოდაო. როცა იქ მივედით, აღმოვაჩინეთ, რომ იქ კათოლიკური ტაძარი იყო და აღარ შევედითო. მიუხედავად მოსახლეობის პროტესტისა, ეს ტაძარი მაინც ფუნქციონირებს.

**ჩემთვის, როგორც მართლმადიდებლისთვის, შეურაცხმყოფელია მეჩეთების მშენებლობა საქართველოში იმ ფონზე, როცა საინგილოში არ გვიშვებენ, როდესაც იქ ტაძარი დაიხურა. როცა ქართველ საინგილოში მცხოვრებ მოსახლეობას ქართული წიგნების კითხვის საშუალებასაც კი არ აძლევენ.**

**ჩემთვის, როგორც მართლმადიდებლისთვის, შეურაცხმყოფელია მეჩეთების მშენებლობა საქართველოში იმ ფონზე, როცა საინგილოში არ გვიშვებენ, როდესაც იქ ტაძარი დაიხურა. როცა საინგილოში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას ქართული წიგნების კითხვის საშუალებასაც კი არ აძლევენ.**

არაფერი საწინააღმდეგო არ გვაქვს აზერბაიჯანელ ხალხთან, პირიქით, ნორმალური, კეთილგანწყობილი ურთიერთობა გვაქვს. მაგრამ, აქ რომ მეჩეთი შენდებოდეს, ამას ვერ შევეგუებით.

რწმენის წინააღმდეგ ბრძოლა სკოლებშიც გრძელდება, არის მცდელობა გარყვნილების სწავლებისა. ცნობილი პროგრამა, რომელსაც წინ აღუდგა საზოგადოება, შეჩერდა. ეს ყველაფერი თანდათან გუბდებოდა და აი აივსო მათი მოთმინების ფიალა, ვინც საქართველოს ფიზიკურ და სულიერ განადგურებას უქადდა და მეორე ბრძოლა დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ დაიწერა წიგნი, რომლის პრეზენტაციაც მოხდა ილიას უნივერსიტეტში. შინაარსზე აღარ შევჩერდები. ესაა ღვთის გმობა, საკუთარი დედის შეურაცხყოფა. ამან ჩვენი პროტესტი გამოიწვია და, ბუნებრივია, ასეც უნდა ყოფილიყო. ამასთან, უპირველესად, თვითონ სტუდენტები გამოვიდნენ ამის წინააღმდეგ და მეამაყება, რომ ასეთი მომავალი თაობა გვეზრდება.

**მიდის ალვირახსნილობის, მამათმავლობის პროპაგანდა და ბრძოლა მათ წინააღმდეგ.**

**დროა, გამოფხიზლდეთ და ხმა ამოვიღოთ ამის წინააღმდეგ. შორს ვართ ყველანაირი ძალადობისგან, პირიქით შუაში ვიდექით, როდესაც ძალადობა იყო და ვაჩერებდით. უნდა დაფიქრდეთ ყოველივე ამაზე. დღეს რიგით მართლმადიდებელზე გათქმევინებენ, რომ მოძალადეა, შემდეგ — საეკლესიო პირზე, მერე — ეკლესიაზე.**

ეკლესიის წიაღში არიან ისეთი ადამიანები, ვინც სახელს უტეხს დედაეკლესიას. უპირველესად, უწმინდესი ყველაფერს აკეთებს, რომ შეაგონოს და სწორ გზაზე დააყენოს ასეთი პიროვნებები. ჩვენზე იმასაც ამბობენ, რომ კოლონიებში დადიან და იქიდან გამოყვანილები მათ რიგებში დგებიანო. ბუნებრივია, კოლონიაში იმიტომ დავდივართ, რომ ვანუგეშოთ და მერე იმიტომ, რომ დაიცვან მართლმადიდებლობა და ეროვნული ცნობიერება. ეს ადამიანები, რომლებიც ეკლესიაში არიან, ფაქტობრივად, დამნაშავენი არიან. ცოტა ხანში შეიძლება მოსარიდებელიც კი გახდეს, რომ თქვა, მე ეკლესიური ვარო და ესაა მათი მიზანი. ასეთი ადამიანები კი მხარს უჭერენ უზნეობას, ანტიეროვნულობას, გარყვნილებას, ასეთი ადამიანები, რომლებიც დღეს ეკლესიას ებრძვიან, გამოდიან და ითხოვენ მხარდაჭერას.

**უნდა შევეცადოთ, გავაძლიეროთ ლოცვა. ლოცვას ძალიან დიდი ძალა აქვს. ლოცვის მეშვეობით საოცრებები ხდება. რაოდენ დიდიც უნდა იყოს, მატერიალური თუ თანამედროვე თვალსაზრისით, მოწინააღმდეგე, ყველაფერი ცაში წყდება, უფლის მიერ.**

ეს არ უნდა დაგვავიწყდეს არც ჩვენ და არც მათ, ვინც ეკლესიასთან ბრძოლა წამოიწყო. **შედეგი ისეთივე ექნებათ, როგორც კომუნისტებს, რომლებმაც ჯერ ერთმანეთი დახოცეს და მერე დაემხო მათი იმპერია. შეინანეთ და დროზე მოდით ეკლესიის წიაღში!**

ჩვენ სხვა მეთოდი წინააღმდეგობისა არ გვაქვს, შეგნება და მხილება — ესაა ჩვენი საშუალებები და ესაა ლოცვა, რა თქმა უნდა.

იმის ფონზე, რომ ჩვენ გვდევნიან, ხდება მათი წახალისება, ვისაც ვამხილებთ. საზოგადოებას წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება ქვეყანაში და მრცხვენია, რომ ასეთი საზოგადოება არსებობს საქართველოში. ის ადამიანები უფრო მეტად დამნაშავენი არიან, ვინც ჩვენ გვებრძვის, თუნდაც სიტყვიერად უჭერს მხარს მათ ეკლესიის შევიწროებაში.

**ღმერთმა მოგვცეს ყველას სასოება ღვთისადმი, რომელიც ბრძანებს: მე მიძლევია სოფელსა!**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.**

**უნდა შევეცადოთ, გავაძლიეროთ ლოცვა. ლოცვას ძალიან დიდი ძალა აქვს. ლოცვის მეშვეობით საოცრებები ხდება**

## მანანა ნიკოლეიშვილი:

# იგეგმება პედაგოგთა მასობრივი შემცირება

**განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებსა და მის სამომავლო შედეგებზე გვესაუბრება „განათლების ლიგის" პრეზიდენტი მანანა ნიკოლეიშვილი.**



**— ქალბატონო მანანა, ბოლო დროს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ შაშკინის უწყებაში პედაგოგთა შემცირების მორიგი ტალღა მზადდება, მიზეზად კი ახალი წლის დღეებში განათებებსა და კულტურულ ღონისძიებებზე დახარჯული საბიუჯეტო თანხების შევსება სახელდება. თქვენ თუ გსმენიათ ამის თაობაზე და რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი სიმართლეს?**

— რა თქმა უნდა, მე ვფლობ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს და მომავალშიც იგეგმება პედაგოგთა მასობრივი შემცირებები. მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ამის მიზეზი და მიზანი კულტურულ ღონისძიებებზე დახარჯული თანხების შევსება არ არის. აქ საქმე გაცილებით უფრო რთულადაა... საერთოდ განათლების სისტემას ძალიან დიდი ფინანსები, თანხები სჭირდება და ამ თანხებს განათლების სამინისტრო, უბრალოდ, არ იღებს. პირიქით, იმ დღიდან, რაც ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ, მუდმივად ხდება გარკვეული პროგრამების დაბლოკვა, შეჩერება; ხშირად — გაუქმებაც კი და სწორედ ამ ყველაფერმა მიგვიყვანა ნელნელა იმ მდგომარეობამდე, რასაც სრული ქაოსი ჰქვია. **ესენი რომ ამბობენ, განათლების ბიუჯეტი ორმოცი მილიონით გავზარდეთო, სინამდვილეში გაიზარდა მხოლოდ ქაღალდზე, რეალურად კი სასწავლო პროცესს აქეთ მოაკლდა ორმოცი მილიონი და მეტიც; და ეს იმისთვის გაკეთდა, რომ გამოთავისუფლდეს თანხები სააკაშვილის პროგრამების დასაფინანსებლად.** ერთ-ერთი ასეთი პროგრამა იყო და არის ე.წ. ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანა საზღვარგარეთიდან, რაც, უხეში გათვლებით, დაახლოებით ოთხი მილიარდი უჯდება ჩვენს ქვეყანას და ბიუჯეტს. ხვდებით, ეს რამხელა თანხაა? და საიდან მერე ამდენი ფული? თუ იმის საშუალება არ გვაქვს, რომ პედაგოგები შევინახოთ და ამის გამო მასობრივი შემცირებები მიდის, როგორ ვახერხებთ ამის გადახდას?! **ამ ხელისუფლებას, უბრალოდ, ფეხებზე ჰკიდია განათლების სისტემა და, გვჭირდება თუ არა, მოგვიტანს თუ არ მოგვიტანს რამე სარგებელს, ფულს ხარჯავს მხოლოდ იმაზე, რაც ერთ ადამიანს, პირადად მიხეილ სააკაშვილს, მოეპრიანება...** აი, ამას ეწირება ყველაფერი, უპირველესად კი — პედაგოგები, რომლებიც მუდმივად იმის შიშში არიან, რომ სამსახურიდან გაათავისუფლებენ და ულუკმაპუროდ დარჩებიან.

**— სამაგიეროდ, როგორც გავიგე, ინგლისური ენის მცოდნე მასწავლებლებს ხელფასებს უმატებენ.**

— ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სახელმწიფო ენას უარყოფს სააკაშვილი და მისი ხელისუფლება. ამას ის პირდაპირ, დაუფარავად ამბობს, ვინაიდან, როგორც ჩანს, მასში იმდენად დიდია ზიზღი მშობლიური ენისადმი, რომ ვერ მალავს ამ ყველაფერს. სხვა ახსნა იმას, რასაც ესენი აკეთებენ, უბრალოდ, არ აქვს, იმიტომ, რომ გაუგებარია, რატომაა ინგლისურის ცოდნა აუცილებელი, ვთქვათ, ბიოლოგიის მასწავლებლისთვის მაშინ, როცა მას ეს აბსოლუტურად არაფერში სჭირდება.

**— თვითონ პედაგოგები რას ფიქრობენ მიმდინარე რეფორმებზე? თუ ისინი შეწუხებული არიან, რატომ აქამდე ერთხელ მაინც არ გამოხატეს თავიანთ პროტესტი?**

— იცით რა, იმ დამღუპველი და გამანადგურებელი რეფორმების შემდეგ, რომელიც თავის დროზე ლომაიამ დაიწყო და რომელსაც დღეს არანაკლებ წარმატებით აგრძელებს პატივცემული შაშკინი, მგონი, საერთოდ არ უნდა ჩნდებოდეს კითხვა, არსებობს თუ არა პროტესტი. რა თქმა უნდა, არსებობს და მეტიც, — **პედაგოგები უკიდურეს მდგომარეობამდე არიან მისული, მაგრამ, მეორეს მხრივ, ნუ დაგვავიწყდება, სად და რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. ეს არის დატერორებული სახელმწიფო, სადაც გაბატონებულია პოლიცია და ყველაფერს მართავს ერთი პიროვნება — სააკაშვილი.** როგორ გინდათ, ასეთ პირობებში ვინმე გამოვიდეს და პროტესტი გამოხატოს?! ეს ხომ, ფაქტობრივად, თვითმკვლელობის ტოლფასია?!

**— ისე, საინტერესოა, ამ რეფორმების შემდეგ განათლების ხარისხი ამაღლდა თუ გაუარესდა?**

— ზოგადად, განათლების დონე ყველაზე მაღალი იყო კომუნისტების დროს; მსგავსი საქართველოს პედაგოგიკის ისტორიაში არ ყოფილა. შემდეგ სამოქალაქო ომმა და იმ რღვევამ, რაც ზვიად გამსახურდიას ძალისმიერი მეთოდებით დამხობას მოჰყვა, ეს სისტემა მთლიანად მოშალა და სწავლების დონეც, ბუნებრივია, მკვეთრად გაუარესდა. დღეს კი განათლების ხარისხის მაჩვენებელი საერთოდ განულებულია. ეს იგრძნობა უმაღლეს სასწავლებლებშიც და განსაკუთრებით სკოლებში, ვინაიდან სკოლა არის ის სასწავლო დაწესებულება, რომელიც ამათ პირველივე დღიდან ამოიღეს მიზანში. **შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ დღეს ძლიერ კლასად ითვლება ის კლასი, სადაც სამი-ოთხი მოსწავლე კითხულობს გამართულად, დანარჩენებმა შეიძლება გამრავლების ტაბულა, ელემენტარული მათემატიკა, მიმატება-გამოკლება და ქართული ანბანიც კი არ იცოდნენ. ეს არის ამათი რეფორმების შედეგი და ამის შემდეგ რომელ ხარისხზე და დონეზეა ლაპარაკი? გამოათაყვანეს ბავშვები...**

**— კი მაგრამ, ის ნოვაციები და ახალი მეთოდები, რომლებსაც ესენი ნერგავენ, პირველად ჩვენთან ხდება თუ რომელიმე ქვეყნის განათლების მოდელიდანაა გადმოღებული?**

**მართლა რომ გაერთიანდნენ და თუნდაც ასკაციანი რაიმე დამოუკიდებელი ორგანიზაცია შექმნან პედაგოგებმა, მის ლიდერებს პირდაპირ ქუჩაში დახვრეტენ**



მიხეილ სააკაშვილი პირველ ექსპერიმენტალურ სკოლაში. 3 თებერვალი, 2010 წ.

— არ ვიცი, რა საიდანაა გადმოღებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, — არც ერთი ნორმალური და ცივილიზებული ქვეყნის განათლებაში ისეთი მდგომარეობა არ არის, როგორიც ჩვენთან. ის, რაც აქ ხდება, სრული ქაოსი და განუკითხაობაა, უპასუხისმგებლობა, რომელიც გაუნათლებლობისა და უვიცობის სიბნელეს უქადის მთელ ერს, განსაკუთრებით მომავალ თაობებს. შაშკინმა და მისმა გარემოცვამ ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ ეს ხალხი სწორედ იმისთვისაა მოსული, რომ გამოაშტერონ და გამოათაყვანონ ახალგაზრდები. სამწუხაროა, მაგრამ ხელს მათ არავინ უშლის და მიზანსაც ასი პროცენტით აღწევენ...

**— როგორც ვიცი, თქვენ აქტიურად თანამშრომლობთ განათლების უცხოელ ექსპერტებთან. რა აზრის არიან ისინი აქ მიმდინარე რეფორმებზე?**

— პირდაპირ გვეუბნებიან: იბრძოლეთ და თქვენ თვითონ მიაღწიეთ შედეგებსო. სხვათა შორის, **ამ რამდენიმე წლის წინათ უცხოეთიდან ჩამოვიდნენ გავლენიანი ექსპერტები და, რომ ნახეს რა ხდება და რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენს განათლების სისტემაში, გაგიჟდნენ, გადაირივნენ. ერთ-ერთმა მათგანმა პირად საუბარში მითხრა —რა მდგომარეობაშიც თქვენ ხართ,ეს არის ველური და ძალმომრეობითი ყოფა და ამას არ უნდა შეეგუოთო.**

იმავეს ამბობდნენ სხვა ექსპერტებიც ოფიციალურ შეხვედრებზე და, გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ საუბრებს განათლების სამინისტროს წარმომადგენლებიც ისმენდნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ მათ ძალიან კარგად იციან, რას ფიქრობენ უცხოელები ამ მკვდრადშობილ რეფორმებზე. მაგრამ, ამის მიუხედავად, ჯიუტად აგრძელებენ დაწყებულ საქმეს. ამიტომ ვამბობ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ამის საშუალება მომეცემა, რომ ესენი ყველაფერს აკეთებენ შეგნებულად და მიზანმიმართულად, გაცნობიერებულად და, შესაბამისად, ყოველთვის ზუსტად იციან, რომელ ქმედებას რა მოჰყვება. იციან, რომ ამ ვაირეფორმების წყალობით საქართველოს გაეზრდება გამოშტერებული, გამოთაყვანებული, დადებილებული თაობები და სწორედ ეს უნდათ ამათაც...

**— კი მაგრამ, ვინ უნდა შეუშალოს ხელი და შეეწინააღმდეგოს ამ დამღუპველ პროცესს, თუ არა, უპირველესად, პედაგოგები, რომლებიც დღესდღეობით სამარისებურად დუმან?**

— სრულიად ქართველმა ერმა, ხალხმა, თითოეულმა ჩვენგანმა. სხვანაირად არაფერი გამოვა. რაც შეეხება პედაგოგებს, მათ მიმართ არანაირი პრეტენზია არ უნდა გვქონდეს, იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, დღეს ისინი საშინელ წნეხსა და ტერორში იმყოფებიან. თქვენ კიდევ არ იცით, ხელისუფლება რა მკაცრად აკონტროლებს ამ ადამიანებს. ასე რომ, ნუ ვიქნებით ზედმეტად მომთხოვნი და ნუ ვიტყვით, რომ პედაგოგებს არაფრის გაკეთება არ უნდათ...

**— წნეხი და კონტროლი ერთია, მაგრამ, მეორეს მხრივ, თუ ერთმანეთის თანადგომა იქნება, როგორ ფიქრობთ, რამდენი პედაგოგის დატერორებასა და გათავისუფლებას შეძლებს ხელისუფლება?**

— ბევრისგან მომისმენია ეს მოსაზრება, მაგრამ ამას უმეტესად ის ხალხი ამბობს, რომელმაც არ იცის, რეალურად რა დღეში არიან მასწავლებლები, რომელ ერთიანობაზე და ერთმანეთის თანაგრძნობაზეა ლაპარაკი? ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ: **მართლა რომ გაერთიანდნენ და თუნდაც ასკაციანი რაიმე დამოუკიდებელი ორგანიზაცია რომ შექმნან პედაგოგებმა, მის ლიდერებს, უბრალოდ, არ აცოცხლებენ, მოკლავენ, პირდაპირ ქუჩაში დახვრეტენ.** ამიტომ ვამბობ, რომ საჭიროა მთელი ერისა და ბერის ფეხზე დადგომა. სხვანაირად არაფერს აზრი არ აქვს და ვერც ვერავინ გაბედავს ხმის ამოღებას, ვინაიდან, ყველამ კარგად იცის, რომ ამ ხელისუფლების სახით საქმე გვაქვს ავტორიტარულ რეჟიმთან, მონსტრთან, რომელიც, სხვათა შორის, არც ისე სუსტია და რომლისგანაც მართლა ყველაფერია მოსალოდნელი...

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**



დიმიტრი შაშკინი გურიის რეგიონის პედაგოგებთან. 18 მაისი, 2010 წ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჟურნალისტმა «ნაციონალური მოძრაობის» წევრს სასამართლო პროცესი მოუგო

**2010 წლის ნოემბერში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ქონების მართვის კომისიის თავჯდომარემ, გამგებლის ყოფილმა მოადგილემ გელა თეთრაულმა ინტერნეტ-გაზეთ „ქიზიყის“ რედაქტორ ილია მარტყოფლიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის 10000 ლარის გადახდა მოითხოვა. საქმე ეხებოდა გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს, სადაც ბატონი თეთრაული „კანონიერ ქურდებთან“ კავშირსა და კორუფციულ გარიგებებში იყო მხილებული. „ნაციონალმა“ დეპუტატმა გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია ცილისწამებად მიიჩნია და ჟურნალისტს სასამართლოში უჩივლა. მოსამართლე შორენა ყაველაშვილმა გადაწყვეტილება 29 დეკემბერს გამოაცხადა და საკრებულოს წევრს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრა, რითაც საბოლოოდ გამოიკვეთა გელა თეთრაულის კავშირი „კანონიერ ქურდებთან“. მოგვიანებით, მან თანხის რაოდენობა 10 ათასიდან 3 ათას ლარამდე შეამცირა, ბოლოს კი საერთოდ მოხსნა და მხოლოდ გავრცელებული ინფორმაციების საჯაროდ უარყოფა მოითხოვა ჟურნალისტისგან. თუ როგორ წარიმართა სასამართლო პროცესი, ამის შესახებ ინტერნეტ-გაზეთ „ქიზიყის“ მთავარი რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი გვესაუბრება.**

## გელა თეთრაულის უკან გატანილი სარჩელი კიდევ უფრო საეჭვოს ხდის მის კავშირს ქურდულ სამყაროსთან


ილია მარტყოფლიშვილი

— როგორც წესი, სასამართლო პროცესზე მოსამართლემ შემოგვთავაზა, რომ განხილვის გარეშე შემდგარიყო მორიგება და შევთანხმებულიყავით საპასუხო წერილის გამოქვეყნებაზე. ჩემი, როგორც რედაქტორის პოზიცია, თავიდანვე იყო გამოკვეთილი. მე, ნებისმიერ შემთხვევაში, თეთრაულს სასამართლოსთვის რომ არ მიემართა და თავიდანვე ეთხოვა ჩემთვის საპასუხო წერილი, უცვლელად, ფორმის და ზომის მიუხედავად, გავუშვებდი ჩემს გაზეთში. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. იუკადრისა თეთრაულმა წერილის დაწერა და ჩვენ დაგვავალდებულა, წერილი დაგვეწერა და მისთვის ბოდიში მოგვეხადა. ერთი სიტყვით, ამ საკითხზე შეთანხმება არ მოხერხდა. შესაბამისად, დაიწყო განხილვა (როგორც იცით, თეთრაული გაზეთში გამოქვეყნებულ ექვს მასალაზე მედავებოდა).

სასამართლო პროცესი ექვსჯერ გაიმართა. ბრალმდებლის მტკიცებით, ბრალდებას მას ჟურნალისტი უყენებდა. მაგრამ რეალურად **მე კი არ ვაბრალებდი თანხების გაფლანგვას, ქურდულ სამყაროსთან კავშირს, ამას მისი ამომრჩევლები და მოქალაქეები ამბობდნენ. ეს მოქალაქეებიც გამოცხადდნენ პროცესზე, დაიკითხნენ მოწმის სახით.**

**სხვათა შორის, ისეთი მოწმეებიც იყვნენ, რომლებსაც ჩვენს საქმესთან არანაირი კავშირი არ ჰქონიათ. ამ ქმედებით ხელისუფლება შეეცადა ბინძური წესებით თამაშს. რაში გამოიხატა?! ხელისუფლებამ მონახა ისეთი პიროვნებები, რომლებიც განაწყენებული იყვნენ ჩვენს გაზეთზე** (ჩვენ გავაშუქეთ ისეთი ფაქტები, როდესაც გამგეობის თანამშრომლის დედამ უფასო სასადილოში დაჭრა სოციალურად დაუცველი მოქალაქე). **ცხადია, ეს სტატია ამ ქალბატონის დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მოწმეებად სწორედ ასეთი განაწყენებული ადამიანები დაიბარეს.** ამით ერთგვარი ფონის შექმნა უნდოდათ, რომ ჩვენი გაზეთი სიმართლეს არ ემსახურებოდა და მასში გამოქვეყნებული სტატიები მხოლოდ პროვოკაციული ხასიათის იყო.

სასამართლო პროცესზე ერთი ასეთი ფაქტიც მოხდა: ჩვენი გაზეთის ერთ-ერთმა რესპოდენტმა, რომელიც კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებდა გელა თეთრაულს, სასამართლოზე უარყო ჩვენთან მოცემული ინტერვიუს აუთენტურობა. მისი ასეთი საქციელი ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. თუმცა ამ ფაქტს დიდად არ შეუშლია ხელი იმაში, რომ ჩვენი სიმართლე დაგვემტკიცებინა.

ასე და ამგვარად, **პროცესზე დადასტურდა ის, რომ თემა ჩვენი მოგონილი არ იყო და იგი მოსახლეობის ინიციატივით გავაშუქეთ, ისე, როგორც რეალურად მოხდა.** მოსარჩელის ბრალდებები მთლიანად გაბათილდა. შესაბამისად, გელა თეთრაული იძულებული შეიქნა, საბრალდებო პირობები შეეცვალა და 10 ათასის ნაცვლად 3 ათას ლარზე ჩამოვიდა. ექვსი სტატიიდან კი მხოლოდ ორზე დატოვა საჩივარი. ერთი შეეხებოდა „კანონიერი ქურდების“ თემას და მეორე — კორუფციულ გარიგებებს. თუმცა გელა თეთრაულმა არა ერთ მზაკვრულ ხერხს მიმართა, რათა როგორმე მიეღწია საწადელისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბრალდებები უკვე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა.

**ორშაბათს დანიშნულ სასამართლო პროცესზე იგი იმ მოტივით არ გამოცხადდა, რომ ცუდად იყო და არ შეეძლო სიარული. შესაბამისი საბუთიც წარადგინა, რომელსაც მისი კოლეგის ხელმოწერა ჰქონდა** (ცნობისთვის: ადგილობრივი საავადმყოფოს დირექტორი არის საკრებულოს დეპუტატი და თეთრაულის კოლეგა. სწორედ ის გასცემს ცნობებს. შესაბამისად, ცნობაში მან ის დაწერა, რაც გელა თეთრაულმა უთხრა). **წინა დღით, მიუხედავად იმისა, რომ უქმეები იყო, მე იგი საკრებულოში დავინახე, სადაც ორი საათით დაყოვნდა. ორშაბათის შემდეგაც დავინახე ქუჩაში, ანუ ეს მაფიქრებინებს, რომ ის ცუდად არ იყო ორშაბათს, სასამართლო პროცესის გამართვის დღეს.**

როდესაც სასამართლო პროცესი გადამწყვეტ ფაზაში გადავიდა, არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით ავიყვანე ადვოკატი (ჩემი ადვოკატი იყო კახეთში საკმაოდ გავლენიანი იურისტი ლია ხუროშვილი). მედიაც მხარში ამომიდგა და აშუქებდა სასამართლო პროცესს. ავრცელებდნენ ნიუსებს, რომ ჟურნალისტის პროცესის მონიტორინგს ახორციელებს „ადამიანის უფლებათა ცენტრი“. ერთი სიტყვით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის მხარდაჭერით, მივაღწიე სასურველ მიზანს.

საბოლოოდ, თეთრაულმა სარჩელი „კანონიერ ქურდებთან“ დაკავშირებულ მასალაზეც მოხსნა.

**— თუმცა, როგორც ჩემთვის ცნობილია, გელა თეთრაული რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.**

— მან ფულადი მოთხოვნა მთლიანად მოხსნა და ახლა ჩემ წინააღმდეგ შემოტანილ სარჩელში მხოლოდ ბოდიშის მოხდით შემოიფარგლა.

ესაუბრა
**ოთარ დალაქიშვილი**

# რუსეთში დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლებს არ ივიწყებენ, მათ ნათელ ხსოვნას თვალის ჩინივით უფრთხილდებიან

**ამის დასტური იყო ქ. მოსკოვში, პოკლონნაია გორაზე, ომში დაღუპულთა დიდებული მემორიალის გახსნა. მისი შექმნის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც 2009 წლის 19 დეკემბერს ქ. ქუთაისში ჩვენმა ხელისუფლებამ ვანდალური აქტი განახორციელა — ააფეთქა დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველთა ხსოვნის უკვდავყოფის მემორიალი.
მაშინ ამ ბარბაროსულ ქმედებას, დედასთან ერთად, 8 წლის გოგონას სიცოცხლე შეეწირა.**

მოგვიანებით გამარჯვების წინასადღესასწაულო დღეებში რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელმა **ვლადიმერ პუტინმა პოკლონნაია გორაზე მემორიალის სასაძირკვლე ქვის ჩადებისას საზეიმო ვითარებაში განაცხადა, რომ ახლო მომავალში იქ აღიმართებოდა დიდ სამამულო ომში საქართველოდან წარგზავნილ მებრძოლთა მემორიალი.** სიტყვა საქმედ იქცა და ზუსტად 7 თვის შემდეგ, შარშან, 21 დეკემბერს, ეს მემორიალი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

**საინტერესოა მემორიალის შექმნის ისტორია. მემორიალის პროექტზე გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ მრავალი გამოჩენილი არქიტექტორი და მოქანდაკე. მემორიალის სლოგანი იყო: „ფაშიზმთან ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით“. კონკურსში გაიმარჯვა მოქანდაკეების: ს. შჩერბაკოვისა და ა. კოვალჩუკის, არქიტექტორ ი. ვოზნესენსკის პროექტმა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა პოკლონნაია გორაზე აღმართული დიდებული მემორიალი. მშენებლობის დაფინანსებაში მთელმა რუსეთმა მიიღო მონაწილეობა; ესენი იყვნენ უბრალო ადამიანები — მოსამსახურეები, პენსიონერები, მეცნიერები, ომის ვეტერანები და მრავალი სხვა. შემოწირულობებს გზავნიდნენ საზღვარგარეთიდანაც. ერთი სიტყვით, მემორიალის მშენებლობამ ნამდვილად საერთაშორისო ხასიათი მიიღო.**

**მემორიალი „ფაშიზმთან ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით“ არქიტექტურულად ბრწყინვალედაა გადაწყვეტილი. ძეგლში გამოსახულია ეგოროვისა და ქანთარიას მიერ რაიხსტაგის თავზე დროშის აღმართვის მომენტი, ხოლო მათ გვერდით დგანან მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენელი მებრძოლები. ძეგლში თავმოყრილია ყველა რესპუბლიკაში არსებული მემორიალები, მათ შორის ქუთაისში აფეთქებული მემორიალი.**



გახსნის საზეიმო ცერემონიამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის საზოგადოებაში. მას უამრავი ადამიანი დაესწრო. მემორიალის გახსნაზე მიწვეული იყვნენ მელიტონ ქანთარიასა და მიხეილ ეგოროვის შვილები და შვილიშვილები. მემორიალი გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა, რომელმაც ილაპარაკა დიდ სამამულო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლის მნიშვნელობაზე მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენაში; საბჭოთა ადამიანების წვლილზე ამ გამარჯვებაში, მათ შორის საქართველოს ხალხის მიერ გაღებულ მსხვერპლზე; მემორიალის მნიშვნელობაზე ქართველ და რუს ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებაში. სიტყვით გამოვიდნენ: ქ. მოსკოვის მერი ს. სობიანინი; რუსეთში ქართველთა კავშირის თავმჯდომარე მიხეილ ხუბუტია; მოსკოვის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. დოლგიხი.

**მემორიალის გახსნას საქართველოდან დაესწრო დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანების 5-კაციანი დელეგაცია დ. იაკობაშვილის, ს. მირზოიანის, ლ. რომანოვას, შ. ბუაძისა და ლ. ომიაძის (დელეგაციის ხელმძღვანელი) შემადგენლობით.**

ჩვენი მოსკოველი მასპინძლების წყალობით ვეწვიეთ ქართულ საბავშვო ბაღს, დავესწარით ქართულ ეკლესიაში ღვთისმსახურებას. საინტერესო იყო რიგით მოსკოველებთან შეხვედრები ქუჩაში თუ სხვაგან. ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ ჩვენ შორის ძველი მეგობრული ურთიერთობები მოკლე დროში აღდგება. გამოჩენილი ყურადღებისთვის მადლობა გვინდა ვუთხრათ ჩვენს მასპინძლებს: მიხეილ ხუბუტიას, ნუგზარ ჯიმშელეიშვილს, ნონა მატუას, მაკა ბექურიას, თამთა ბულარიანს, მარინა გაგინას, ლაშა ჯურღულიასა და არტემ აზოროვს.

**დ. იაკობაშვილი,
ლ. ომიაძე,
ს. მირზოიანი,
ლ. რომანოვა,
შ. ბუაძე.
მოსკოვი, 19-22 დეკემბერი, 2010 წელი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გულიკო ჩაფიძე გირჩევთ

**დღეს ჩვენს საზოგადოებრიობას იმდენი პრობლემა დააწვა მხრებზე, რომ ადამიანებს არც დრო რჩებათ, არც საშუალება აქვთ მიხედონ საკუთარ ჯანმრთელობას.**
**რუბრიკა, რომელსაც დღეს იწყებს „საქართველო და მსოფლიო“ ამ საზოგადოებრივი ხარვეზის ერთგვარ გამოსწორებას ისახავს მიზნად: ჩვენს მკითხველებთან შესახვედრად სისტემატურად მოვიწვევთ გამოჩენილ ქართველ ექიმებს, რომლებიც საყურადღებო რჩევას მისცემენ შეჭირვებულ ადამიანებს.**
**დღეს რუბრიკის სტუმარია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის დირექტორი გულიკო ჩაფიძე.**



— გულ-სისხლძარღვთა დაავადება, სამწუხაროდ, დაავადებათა შორის პირველ ადგილზეა არა მარტო საქართველოში, არამედ — მთელ მსოფლიოში, — **ამბობს ქალბატონი გულიკო,** — ის უფრო მეტია, ვიდრე ინფექციური და სიმსივნური ერთად აღებული, რომლებიც თავისთავად საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული.

**მკვლელი №1 — ასე მოიხსენიებენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებას სამედიცინო წრეებში.**

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ეს დაავადება ძალიან მძიმე გართულებებით ხასიათდება. ძირითადად იმ პაციენტებში, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ იცავენ საჭირო რეჟიმს და, რაც უმთავრესია, სათანადოდ ვერ მკურნალობენ. არადა, ეს ისეთი დაავადებაა, რომელიც სისტემატურ მკურნალობას მოითხოვს. არის შემთხვევები, როცა პაციენტმა, პრაქტიკულად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა მიიღოს ესა თუ ის წამალი.

**— ესე იგი, განწირულია მუდმივი ავადმყოფობისთვის?**

— პირიქით, — მუდმივად ჯანმრთელი რომ იყოს, ამისთვისაა აუცილებელი. **მედიკამენტოზური მკურნალობა არც ტრაგედიაა, არც — პრობლემა. მაგრამ, რატომღაც, ხალხი სწორედ ასე აღიქვამს მას, ითვლის რამდენი წამალი მიიღო, რამდენი აბი გადაყლაპა...** აქვე ისიც უნდა გითხრათ, რომ მე, პირადად, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ დიდი რაოდენობით წამლების მიღებისა და ბევრი წამლის დანიშვნის. შეიძლება აქ ზოგჯერ ექიმებიც სცოდავენ: პაციენტს უნიშნავენ ძირითად წამალს, დამატებით კი ისეთებს, რომლებიც, მართალია, კარგია, რომ დაენიშნოს, მაგრამ აუცილებელი არ არის. **თუ პირველ ხანებში ადამიანი ზუსტად ასრულებს ექიმის დანიშნულებას, შემდეგ — ბეზრდება და თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რომელი წამალი მიიღოს, რომელი — არა.** ამას იგი თავისი შეხედულებით აკეთებს. რატომ მოსწონს, რატომ — არა, რითი აფასებს, ვერ გეტყვით. **ამ დროს ხდება, რომ ის მედიკამენტი, რაც მისთვის აუცილებელია, იგნორირებული რჩება, იღებს კი იმას, რომელიც შეიძლება არც დალიოს.**

**— ყბადაღებული თვითმკურნალობა?**

— შეიძლება ასეც ითქვას. რაღაც მომენტში პაციენტი თავს უკეთ იგრძნობს (წამალს ხომ ამისთვის იღებს!) და გადაწყვეტს — მე კარგად ვარ. წამალი აღარ მჭირდება. ასეთი „თვითშემოქმედება“ დაუშვებელია!

მაგალითად, წნევა აწუხებს პაციენტს. დასარეგულირებლად სისტემატურად უნდა მიიღოს წამალი, რომელსაც კონკრეტულად მისთვის შეარჩევს ექიმი, შესაბამისი დოზირებით. შეიძლება, ეს იყოს ერთი წამალი, შეიძლება — კომბინაცია. **პერიოდულად საკონსულტაციოდ მან უნდა მიაკითხოს ექიმს, თუ საჭირო იქნება, კორექციის შესატანად: დოზის შესამცირებლად ან მოსამატებლად, წამლის შესაცვლელად ან მკურნალობის გასაგრძელებლად. ეს საკითხები ექიმის გადასაწყვეტია და არავითარ შემთხვევაში — პაციენტის. ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს გართულებებს, რომლებიც განსაკუთრებით მომრავლდა ახალგაზრდულ ასაკში.** სულ უფრო ხშირად მოდიან ჩვენთან ახალგაზრდა მამაკაცები და ქალები, რომელთაც გადატანილი აქვთ ინსულტი — ზოგს ჰემორაგიული (სისხლის ჩაქცევა), ზოგს — იშემიური. ეს კი, პრაქტიკულად, საკუთარი ჯანმრთელობისადმი მათი უყურადღებობის შედეგია, პროფესიულად არ იმკურნალა. ჩამოთვლის ასეთი ავადმყოფი მთელ არსენალს წამლებისას, რომლებსაც იღებდა, მაგრამ — უშედეგოდ.

როგორ ხდება, იცით? ერთი კვირის განმავლობაში იღებდა ერთ წამალს, შემდეგ ვიღაცამ ურჩია სხვა წამალი. ახლა იმის სმა დაიწყო, შემდეგ — მესამესი. ბოლოს აღარაფერი მიიღო, რადგან თავი კარგად იგრძნო. დაავადებამ კი, რომელიც მიყუჩებული იყო, მაგრამ არ იყო მოთოკილი, იფეთქა და უფრო მძიმე ფორმით გამოვლინდა.

ახლახან მყავდა პაციენტი, რომელიც ზუსტად ამ დაუშვებელი სქემით მოქმედებდა და ორი დღის წინათ ჰქონდა წნევა 220X140-ზე. ცუდად გახდებოდა, რასაკვირველია. კარგია, რომ იმ მომენტს არანაირი გართულება არ მოჰყვა. ასეთი შემთხვევები, როგორც წესი, ძირითადად, აზიანებს თავს, გულს და თირკმლებს.

ეს უნდა გვახსოვდეს და უარი არ უნდა ვთქვათ ექიმთან კონტაქტზე.

**— წამლებით სამკურნალო რომ ვხდებით, ანუ ჯანმრთელობა რომ შეგვერყევა, მაინც რისი ბრალია: საზოგადოებრივი ყოფის გაუარესების თუ ცხოვრების ინდივიდუალური არასწორი წესის? იმ ყოფითი კულტურის, რომელიც გვაკლია, თუ იმ პირობების, რომლებიც ხელისუფლებამ შეგვიქმნა?**

— რასაკვირველია, ერთისაც და მეორისაც, ყველაფრის ერთად. სიტუაცია რომ არანორმალურია, სიმშვიდე რომ არ არის, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ხალხს ძალიან დიდი პრობლემები აქვს, ძალიან ბევრი რამ აწუხებს: **უმუშევრობა, დაუსაქმებლობა, ლტოლვილების გართულებული საკითხები, უსახსრობა, არნახული სიძვირე... ასეთი სტრესული სიტუაცია, რაც უმეტესობის ხვედრი გახდა, რასაკვირველია, უაღრესად უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობაზე.** ეს მიზეზების ერთი წყებაა.

მეორე — ცხოვრების წესია. ზოგს ეს წესი არეული აქვს შექმნილი სიტუაციის გამო, ვერ შეძლო მოწესრიგება, ვერ დაარეგულირა, რადგან ვერ შეიქმნა საამისოდ აუცილებელი პირობები.

**ზოგი ტრადიციების არასწორად, გაუკუღმართებულად გაფეტიშებას ეწირება.** რაც გინდა, ურჩიო, ვერ დაარწმუნებ, მაინც თავისას აკეთებს.

**ეს ყველაფერი რისკფაქტორებად, საშიშროების შემცველ ფაქტორებად ყალიბდება; განსაკუთრებით, — ზედმეტი წონა, დიდი მუცელი — მამაკაცებშიც, ქალებშიც. ამასთან ბრძოლაა აუცილებელი, ვიტყვით ამ დროს. კი, უნდა ვებრძოლოთ, ავუხსნათ, დავარწმუნოთ, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანმა თვითონ უნდა შეიგნოს, როგორ სარისკოა ხორციელი ვნებების უკრიტიკოდ აყოლა. უნდა ვაღიაროთ, რომ ხალხი არ არის გათვითცნობიერებული ამგვარ პრობლემებში, ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის — ერთადერთი ჩემი სიამოვნება ჭამაა და იმაზეც უარი ვთქვაო?!**

**— ლუარსაბ თათქარიძე...**

— დიახ. ნუ იტყვი უარს, მაგრამ ნურც ზომიერებას დაივიწყებ. ძილის წინ კარგად რომ დანაყრდება და საკვებს დიდი რაოდენობით რომ მიიღებს, ასეთი ადამიანი არა მარტო იმ ღამეს დაიძინებს ცუდად, არამედ თავისი უგვანო მოქმედებით ჩართავს იმ ნელი მოქმედების ნაღმს, რომელიც ადრე თუ გვიან აფეთქდება. **სიმსუქნე, სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლი ძალიან დიდი რისკფაქტორებია.** მაგრამ ადამიანმა ამათ შეიძლება თვითონვე მოუაროს, თუ მოინდომებს.

ალბათ, შესაბამისი განათლებაცაა საჭირო. იყო პერიოდი, როცა ამას ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა. მახსოვს, სპეციალური პროგრამით ლექციებსაც კი ვკითხულობდით საწარმოებსა და დაწესებულებებში, რასაკვირველია, — ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. სისტემა მუშაობდა.

**— პროფილაქტიკა იყო.**

— ახლა პროფილაქტიკა პრაქტიკულად უგულებელყოფილია: **როგორც წესი, ადამიანი ექიმთან მიდის, როცა ძალიან, ძალიან ცუდად არის.** დღეს გავსინჯე ავადმყოფი, 44 წლისა, უმძიმეს, კატასტროფულ მდგომარეობაშია. იმდენად ცუდად არის, რომ საწოლიდან საპირფარეშომდე ველარ მიდის, გულის ისეთი უკმარისობა აქვს. მხოლოდ ბოლო დღეებში მიაკითხა ექიმებს, ხან ერთთან იყო, ხან — მეორესთან. გუშინ მოიყვანეს ჩვენთან, უმძიმეს მდგომარეობაში.

**— ცუდად გახდა და მივიდა ექიმთან. ეს გასაგებია. მაგრამ, როგორ შევატყო მე, ადამიანმა, რომელიც, პრაქტიკულად, ჯანმრთელად ვგრძნობ თავს, რომ იმ რისკფაქტორების ამოქმედების საშიშროების წინაშე ვდგავარ, რომლებზეც თქვენ ისაუბრეთ?**

— შესანიშნავია, თუ კარგად გრძნობთ თავს, მაგრამ **წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მიხვიდეთ პოლიკლინიკაში. ელემენტარულად მაინც გამოგიკვლევენ — წნევას გაგიზომავენ, კარდიოგრამას გადაგიღებენ, სისხლის ანალიზს აგიღებენ.** სხვა თუ არაფერი, ექიმი გაგესაუბრებათ. ამასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან საჭიროების შემთხვევაშიც გეტყვით, რომ ამა და ამ პროფილით მიმართეთო ექიმს, გჭირდებათ მკურნალობა. იმასაც გირჩევენ, კონკრეტულად ვისთან მიხვიდეთ.

ისიც სათქმელია, რომ ძალიან ბევრი რამის წამლების გარეშე თავიდან აცილება შეიძლება. მაგრამ აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს და არა მეზობელს, ნათესავს, ბებიას და ბაბუას, ვიღაცამ ასე თქვა, სხვამ კი სხვანაირადო.

**ხალხურ მედიცინას მე პირადად ძალიან დიდ პატივს ვცემ. მაგრამ მარტო მასზე დაყრდნობით ფონს ვერ გავალთ. თანაც პაციენტმა კი არ უნდა გადაწყვიტოს, რომელ მკურნალს მიმართოს, არამედ ექიმმა უნდა ურჩიოს — ტრადიციულ წამალსაც დაუნიშნავს და, თუ ხალხური მედიცინიდან რამე იქნება საჭირო, ალბათ, იმაზეც კონსულტაციას გაუწევს.**

ერთი რამეცაა: მიდიან, როგორ არ მიდიან პაციენტები ექიმებთან. ხომ ხედავთ, ჩემთანაც როგორი რიგი დგას. მოაქვთ დასტა-დასტა გამოკვლევები, უმეტესად — ისეთები, რომლებიც სრულებით არ სჭირდებათ. მივიდა არაპროფილით, ისეთთან, ვისზეც ახლობელმა თუ ნაცნობმა ურჩია, კარგი სპეციალისტიაო. შეიძლება, მართლაც კარგი ექიმია, მაგრამ — მედიცინის სულ სხვა დარგში.

**— ვინ უნდა დააკვალიანოს ასე „უკომპასოდ“ მოძრავი პაციენტი?**

— უწინარეს ყოვლისა, პოლიკლინიკის ექიმმა, თერაპევტმა.

**— ზედმეტი წონა, დიდი მუცელი, ანუ ღიპი — თქვენ რისკფაქტორთა შორის დაასახელეთ. არის ასეთი გამოთქმა: სიმსუქნე ღარიბების ავადმყოფობააო. ჩვენი სინამდვილე ამას ამტკიცებს.**

— გეთანხმებით. მაგრამ ეს ერთი მხარეა. იმასაც ვერ გამოვრიცხავთ, რომ **ქართველები დიდი გურმანები ვართ. ორი კატეგორიის ადამიანები არიან ამით „დაავადებულები“. პირველი, ვინც ზედმეტობის მოყვარულია და ასეც იქცევა, იმიტომ, რომ ამის საშუალება აქვს. მეორე, ანუ დიდი უმრავლესობა იმიტომაა დიდი მუცლით, რომ, როგორც კი საშუალება მიეცემა, დანაყრების ზღვარი არ იცის.**

**— ჩვენმა ხელისუფლებამ ისროლა ლოზუნგი, რომ მთავარია სპორტი, რომელიც უნდა განვავითაროთ ქვეყანაში. ფიზიკური კულტურა კი საბჭოთა გადმონაშთია. თქვენ რომ გისმენთ, საწინააღმდეგოში ვრწმუნდები: სწორედ ფიზიკური კულტურა დაიცავს ადამიანს დაავადებისგან. ილია ჭავჭავაძეს აქვს „მგზავრის წერილებში“, როცა მყინვარწვერსა და თერგს ადარებს ერთმანეთს და თერგს ანიჭებს უპირატესობას, რადგან „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ძალისა და ძლიერების მიმცემი“. მოძრაობის კულტია.**

— **უძრაობა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი უმძიმესი რისკფაქტორია.** ბევრისთვის მიკითხავს, დადის თუ არა ფეხით? არა, მანქანა მყავს და მანქანით დავდივარო. პრაქტიკულად, ხალხი გადაეჩვია ფეხით სიარულს.

**— „საყოველთაო კომპიუტერიზაციამ“ კიდევ უფრო დაამძიმა ეს ნეგატივი.**

**— ადამიანი უნდა სეირნობდეს, გადიოდეს სუფთა ჰაერზე, მონახოს საამისოდ დრო და ადგილი.** იცით, მე მყავდა პროფესორი, წარმოშობით ჩეხი, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობდა, უდიდესი თერაპევტი ვოტჩალი. მსოფლიო მოვიარე და მისნაირ ექიმს არ შევხვედრივარ. იგი ამბობდა, რომ ადამიანი, რომელსაც გარეთ გასვლა და სიარული ეზარება, აიძულეთ, იყოლიოს ძაღლი, რომელიც მას დილით და საღამოს აუცილებლად გაიყვანს სასეირნოდო.

**— წამლებით დავიწყეთ, ეგებ, წამლებითვე დავამთავროთ, ქალბატონო გულიკო. უჭირთ ადამიანებს წამლების ყიდვა. ძვირია.**

— გეთანხმებით, ძალიან ძვირია. ამიტომ **ექიმმა ეკონომიურად უნდა დაუნიშნოს ის, რაც ავადმყოფისთვის აუცილებელია.** თუ წესიერად იქნება დანიშნული წამლები, შეიძლება პაციენტს ძალიან ძვირი არ დაუჯდეს. **მკურნალობას აძვირებს დამატებითი პრეპარატები, რომლებიც ძირითადზე ბევრად უფრო მეტი ღირს და ავადმყოფს ძირითად წამალზე ნაკლებად სჭირდება.** წამალი ეფექტიანი უნდა იყოს აუცილებლად, მაგრამ ფასების პრობლემაც მეორეხარისხოვანი არაა.

**— დავუსვათ წერტილი წამლებს. ვთქვათ და, საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მივიდა. რა ვქნათ?**

— **რაც უფრო ხშირად მიაკითხავენ ექიმს, ნაკლები პაციენტები იქნება საოპერაციო.** ჩვენთან მუშაობს გერმანელი კარდიოქირურგი, რომელიც პირველ ხანებში გაოცებული იყო იმით, რომ კლინიკაში მძიმედ დაავადებული ახალგაზრდები მოდიან. გერმანიაში ეს გამორიცხულია, რადგან იქ დროულ პროფილაქტიკას უტარებენ ადამიანებს, დროულად მკურნალობენ. იქ პაციენტი იცავს რეჟიმს. ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა, მოშლილია. ამიტომ ხდება აუცილებელი ოპერაცია. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ არცთუ იშვიათად იმდენად მძიმე ავადმყოფები მოჰყავთ, რომ უარს ვეუბნებით ე. წ. სტენდირებაზეც და ოპერაციაზეც. ამას, ცხადია, ავადმყოფს პირდაპირ არ ვეუბნებით, ვურჩევთ მედიკამენტოზურ მკურნალობას.

**რაც კარდიოქირურგია დაინერგა ჩვენთან, ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობამ იმატა, ცხოვრების ხარისხიც გაიზარდა, პაციენტს ავიწყდება ტკივილები და მათი მოსახსნელი ნიტროგლიცერინი.** ადამიანი სრულფასოვნად მუშაობს, მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს, რა თქმა უნდა, დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**გაგრძელება იქნება**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ამერიკელებს რუსული ვერტმფრენები სჭირდებათ



**პენტაგონი მზად არის, რუსულ სახელმწიფო კომპანია „Рособоронэкспорт"-ს ავღანეთში ვერტმფრენების მიწოდებაზე ექსკლუზიური კონრაქტი შესთავაზოს.** „Wall Street Journal"-ის ინფორმაციით, ამ ეტაპზე საუბარი 21 „Ми-17"-ს ეხება. პოლიტიკურ შეთანხმებას ავღანეთში რუსული ვერტმფრენების მოწოდებაზე პრეზიდენტებმა: ობამამ და მედვედევმა გასული წლის ივნისში მიაღწიეს.

## იმედია, სწორად გადათარგმნის



**ამერიკულმა სააგენტომ „DARPA" შექმნა კომპიუტერული პროგრამა „TRANSTAC"-ი, რომელიც რეალურ დროში თარგმნის ინგლისურიდან ავღანურ ენებზე — დარი და პუშტუ** (და პირიქით). პროგრამა სიტყვების ამოცნობას და ტექსტად გარდაქმნას ახდენს, თარგმნის და ახმიანებს მას. პირველ ეტაპზე, პორტატული კომპიუტერებით, რომელშიც „TRANSTAC"-ია ჩატვირთული, 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის მე-4 ბრიგადის ჯარისკაცები აღიჭურვებიან.

## ამას მოფიქრება ხომ უნდოდა



**კომპანია „Israel Aerosapce Industries"-ი გააქირავებს საჰაერო ტანკერებს — „KC-767 MMTT" იმ ქვეყნებზე, რომელთაც მათი შეძენის შესაძლებლობა არ აქვს.** ანაზღაურება საათობრივი იქნება. აღსანიშნავია, რომ „Boeing 767"-ის საწვავგამწყობებში კონვერტაციის პროგრამა სწორედ ამ კომპანიამ შექმნა; „KC-767 MMTT"-ს 72 ტონა საწვავი გადააქვს (სიჩქარე 915 კმ/სთ; ფრენის სიშორე 12,2 — ათასი კმ.).

## პენტაგონი ინტელექტის ნაკლებობას უჩივის



**ორგანიზაცია „Education Trust"-ის მონაცემებით, ამერიკული სკოლების აღსაზრდელთა 23% აშშ-ის არმიისთვის გამოუსადეგარია.** იმისათვის, რომ სამსახური სახმელეთო ჯარებში დაიწყოს, კანდიდატმა ტესტის 99 კითხვიდან 31-ს სწორად უნდა უპასუხოს, ხოლო საზღვაო ქვეითთა კორპუსში, ფლოტსა და ავიაციაში მოსახვედრად — უფრო მეტს, თუმცა კანდიდატების 23 პროცენტი მინიმალურ ქულებსაც ვერ აგროვებს, მიუხედავად იმისა, რომ კითხვების უმრავლესობა დაწყებითი სკოლის პროგრამიდანაა.

# პენტაგონი ავღანეთში ანტიკვარულ მოიერიშეებს აგზავნის

**ახლო მომავალში პენტაგონი ამერიკულ კონტინგენტს ავღანეთში „OV-10 Bronco"-ს ტიპის მსუბუქი მოიერიშეებით გააძლიერებს. რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება? რა საჭიროა შედარებით ნელი და დაუცველი თვითმფრინავები იქ, სადაც აშშ-ის საჰაერო ძლიერების თითქმის ყველა ნიმუში ისედაც წარმოდგენილია?**



როგორც ცნობილია, თალიბებს საჰაერო თავდაცვის ძალიან ცოტა საშუალება აქვთ, მაგალითად, მხოლოდ ორი ერთეული „ЗУ-23-2", რომელთაც ძალიან უფრთხილდებიან. ასე რომ, ამერიკელი პილოტების უსაფრთხოების პრობლემა ამ კონტექსტში პრაქტიკულად არ დგას. თუმცა, **ავღანეთის მთაგორიანი რელიეფი დაბალ სიმაღლეზე ავიაციის გამოყენებას ართულებს, მანევრირებას ხშირად სასიკვდილო საფრთხე უკავშირდება. ამიტომაა, რომ რეაქტიული თვითმფრინავების პილოტები იერიშების განხორციელებას დიდი სიმაღლეებიდან ამჯობინებენ. შედარებით ნელ, მსუბუქ მოიერიშეებს კი შეეძლებათ მიწის ზედაპირთან უფრო ახლოს მოქმედება.** ამასთან, მათ, რეაქტიული თვითმფრინავებისგან განსხვავებით, არ სჭირდებათ მაღალ დონეზე მომზადებული აეროდრომები. მეორე მსოფლიო ომის სტანდარტების შესაბამისი იმპროვიზებული საველე აეროდრომი მათთვის სავსებით საკმარისია. ისინი ვერტმფრენებზე უფრო სწრაფი და, რაც მთავარია, უფრო ეკონომიურია.




**სამხედრო თვალსაზრისით, პენტაგონის გადაწყვეტილება შეიძლება სადავოდ მოგვეჩვენოს. ვერტმფრენი გაცილებით მოსახერხებელია როგორც მანევრირების, ისე შეიარაღების გამოყენების თვალსაზრისით. მაღალმთიანი რაიონები, სადაც ვერტმფრენების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, არც ისე ბევრია და ვერტმფრენების არგამოყენების კომპენსირება კოალიციის ჯარების ხელთ არსებული სხვა საშუალებებით შეიძლება.** ►

# «შავი პანტერა» სანადიროდ ემზადება

**არის მსოფლიოში ტანკები, რომელიც შეიძლება „ერთი ნახვით" შეგიყვარდეს"; სამხრეთკორეული „K2 Black Panther"-ი ერთ-ერთი მათგანია. მისი სერიული წარმოება უახლოეს მომავალში დაიწყება. „შავი პანტერები" თანდათანობით ჩაანაცვლებს სხვადასხვა მოდიფიკაციის მოძველებულ „M47" და „M48" „Patton"-ებს, რომლებიც დაახლოებით 1500 „K1" და „K1A1" ტიპის ტანკებთან ერთად სამხრეთ კორეის სატანკო პარკის ბირთვს წარმოადგენს.**


K2 BLACK PANTHER

თავის დროზე „K1", რომელიც „Abrams"-ში ჩადებული იდეების ადგილობრივი პირობებისადმი ადაპტაციას წარმოადგენდა, იყო პასუხი ჩრდილოკორეელების მიერ ტანკ „Chonmaxo"-ს შექმნაზე („T-62"-ის მოდიფიკაცია, რომელიც ძალიან კარგად მოამზადეს ბრძოლისთვის მთაგორიანი ლანდშაფტის პირობებში). **„K2 Black Panther"-ი კი ახალი გამოწვევის პასუხია. ჩრდილოელთა ახალი ტანკი „pop-hunko" მსოფლიოში ყველაზე გასაიდუმლოებული ტანკია, ის „T-72"-ის ბაზაზე შეიქმნა და თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით „T-90"-ს უახლოვდება.** ქვემეხის კალიბრი (125 მმ.) ცნობილია, თუმცა ჯავშნის, დინამიური დაცვისა და ძრავის ზუსტი მახასიათებლები დღემდე დაუდგენელია. სავარაუდოდ, დღეს ჩრდილოეთ კორეას 300-მდე ასეთი ტანკი ჰყავს.

**სამხრეთელების სატანკო პარკი 30%-ით უფრო მცირეა, ვიდრე ჩრდილოელების, თუ** (სავარაუდო ომში) **კომუნისტები ფრონტის გარღვევას შეძლებენ და ომი მანევრულ ხასიათს შეიძენს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ფხენიანის მოძველებული ტექნიკით დაკომპლექტებულ, მაგრამ მრავალრიცხოვან სატანკო შენაერთებს** (ერთგვარ სატანკო ურდოებს) **ადეკვატური მოწინააღმდეგე დახვდეს.**



„K2 Black Panther"-ი აღჭურვილია „Rheinmetall"-ის გლუვლულიანი 120 მმ. ქვემეხით — „L55" (ლულის სიგრძე 6,6 მ.). მას, დამიზნების კუთხის მიუხედავად, შეუძლია წუთში 15-ჯერ გაისროლოს. შესაძლებელია ნატოს სტანდარტული 120 მმ. სატანკო ჭურვების გამოყენება, თუმცა ჭურვის თითოეული სახეობისთვის სამხრეთკორეელებმა ადგილობრივი გაუმჯობესებული ვარიანტი შექმნეს. **განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკული „ხს943 STAFF"-ის ადგილობრივი ანალოგი „KSTM-120"; ეს „ინტელექტუალური" ინერციული ჭურვია, რომელიც** ►

## საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ თუმცა ავღანური კლიმატი ამერიკული ვერტმფრენებისთვის ძალზე პრობლემურია. უამრავი ავარია, რომელიც მათ ავღანეთში შეემთხვა, ამის ნათელი დადასტურებაა. **თალიბების გააფთრებული წინააღმდეგობის გამო, ვერტმფრენები ნავარაუდევზე 4-ჯერ უფრო ინტენსიურად გამოიყენება.**

ვერტმფრენების 70%, რომელიც ავღანეთიდან ბრუნდება (როტაცია 12-15 თვეში ერთხელ ხდება) **სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს.** მათ შლიან და საჭიროების მიხედვით გეგმიურ ან კაპიტალურ რემონტს უტარებენ. 2009 წლის განმავლობაში გარემონტდა 8 „Apache“, 469 „Alpha“და „Lima“, „Black Hawk“-ი, 85 „Chinook“-ი და 125 „Kiowa“. **2010 წელს ჩამოწერეს ავღანეთსა და ერაყში გამოყენებული 375 ვერტმფრენი. 3-4 წლიანი ინტენსიური ექსპლუატაცია ავღანეთის პირობებში ნებისმიერ ამერიკულ ვერტმფრენს ბოლოს მოუღებს.**

შეტევის განხორციელება მცირე სიმაღლეებიდან ხანდახან ჰაერივით აუცილებელია, ავიაცია კი რიგ შემთხვევებში უძლურია. საიტზე „Warthog News“ ჩვენ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ავღანეთში „A-10“-ების მოქმედების ქრონიკას და ვნახავთ, რომ მასში „დაკვირვება“ და „ძალის დემონსტირება“ ისევე ხშირად გვხდება, როგორც იერიში მოწინააღმდეგეზე, ხოლო „F/A-18E Super Hornet“-ის, „F-15E Strike Eagle“ და „F-16C Falcon“-ის შემთხვევებში იერიშები მხოლოდ 10-15%-ს შეადგენს. **მთელი ეს ავიაშოუ**



OV-10 BRONCO

**ამერიკელ გადამხდელს ძალზე ძვირი უჯდება და კოალიციას გამარჯვებასთან არ აახლოებს.**

**ამერიკელებს აქვთ „Bronco“-ს ტიპის თვითმფრინავების გამოყენების გამოცდილება ერაყში. ადგილობრივი სამთავრობო ძალებისთვის მათ მოამზადეს პილოტები „Hellfire“-ით აღჭურვილი „AC-208 Cessna Caravan“-ებისთვის.**

**საინტერესოა, რომ ბოლო დროს კოალიციამ მკვეთრად გაზარდა ავღანეთის სამთავრობო ძალების 8 „Ми-35“-ის** („Ми-24Б“-ს საექსპორტო ვარიანტი) **გამოყენება** (რვიდან ოთხის პილოტი ამერიკელია). **ისინი, ისევე, როგორც რუსული ვერტმფრენები ზოგადად, ავღანეთის პირობებისთვის უფრო გამოსადეგია, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონგრესმა, რომელმაც, ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ახლახანს დათანხმდა პენტაგონის მიერ რუსული სატრანსპორტო ვერტმფრენების შეძენას, მოიერიშე ვერტმფრენების ყიდვა დაუშვას. თუმცა სამხედროებმა გამოსავალი ნახეს და მათ ხელთ არსებული „Ми-17“-ების აღჭურვას რაკეტებით** (თექვსმეტი 57 მმ. „S-5“; პროგრამა ყანდაგარის აეროდრომზე ხორციელდება) **და ტყვიამფრქვევებით ახდენენ.**

მაგრამ ეს მაინც შუალედური გადაწყვეტილებაა. თუ თალიბების ხელთ უფრო სერიოზული შეიარაღება გაჩნდება, მოთხოვნა „მფრინავ ტანკებზე“ („Ми-24“, მიუხედავად იმისა, რომ ვერტმფრენია, II მსოფლიო ომის ლეგენდარული მოიერიშე თვითმფრინავის „Ил-2“-ის იდეოლოგიის გამგრძელებელია) უფრო გაიზრდება.

**რაც შეეხება ძველ მსუბუქ მოირიშეებს, მიუხედავად იმისა, რომ „OV-10 Bronco“ შეიარაღებიდან ჯერ კიდევ 1994 წელს მოიხსნა, პენტაგონს შესაძლებლობა აქვთ ისინი უსასყიდლოდ მიიღოს და ფული მხოლოდ რემონტზე დახარჯოს.** აგერ, ფილიპინების საჰაერო ძალები 11 „Rockwell OV-10 Bronco“-ს ახალი თვითმფრინავებით ცვლიან (თანამედროვე ანალოგებია ბრაზილიური „Embarer EMB-314 Super Tucano“, კორეული „KAI KT-1“ და ამერიკული „Beechcraft T-6 Texan II“). ამ თვითმფრინავებს ფილიპინების ხელისუფლება მეამბოხეებთან ბრძოლაში იყენებდა, ამჟამად არ იცის, რა მოუხერხოს და მეზობელ ტაილანდს უფასოდ სთავაზობს. თუ ამერიკელები თადარიგს დაიჭერენ, შეიძლება მოასწრონ მათი ხელში ჩაგდება, გარემონტება და ავღანეთში გამოყენებაც კი სცადონ. ვინ იცის, იქნებ ეშველოთ რამე...



◀ **ჯავშანტექნიკის ყველაზე ნაკლებად დაცულ ზედა სფეროს უტევს. მისი დამიზნების აქტიური სისტემა მილიმეტრული დიაპაზონის რადარს, ინფრაწითელ და რადიომეტრიულ აპარატურას შეიცავს, რომელიც ჭურვს შესაძლებლობას აძლევს, ეფექტურად დააფიქსიროს სამიზნე მისი რადიოელექტრონული სიგნატურის მიხედვით.**

ჭურვი ნარმსატყორცნიდან გასროლილი ნალმის ტრაექტორიით მიფრინავს, მისი კორექტირება ოთხი სტაბილიზატორის მეშვეობით ხდება, ტრაექტორიის ყველაზე მაღალ წერტილში პარაშუტი იშლება, რაც სისტემას სივრცის სკანირებისთვის და სამიზნის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ დროს აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ჭურვი ოპერატორის მიერ არ იმართება, არსებობს მართვის სარეზერვო არხი, რომელიც ადამიანის ჩარევის შესაძლებლობას ტოვებს. ამ ჭურვის გამოყენება შესაძლებელია 2-დან 8 კილომეტრამდე მანძილზე, როგორც პირდაპირი დამიზნებით, ისე დახურული პოზიციებიდან.

ძრავა და ტრანსმისია: 12-ცილინდრიანი დიზელის სიმძლავრე, რომელიც „STX Engine“-ეს „MTU MT 883“-ს ანალოგს წარმოადგენს, 1500 ცხენის ძალაა, ამასთანავე, „K1“-ზე დაყენებულ ძრავასთან შედარებით, ძრავის ზომის შემცირებამ 400 ცხ.ძ. სიმძლავრის „Samsung“-ის წარმოების გაზოტურბინული დანადგარის დაყენების შესაძლებლობა შექმნა. როდესაც მთავარი ძრავა არ მუშაობს, ეს დანადგარი ტანკის ყველა ქვესისტემას კვებავს. ეს გადაწყვეტილება საწვავის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა, ტანკის ავტონომიურობას ზრდის და მის ინფრაწითელ და აკუსტიკურ ხილვადობას ამცირებს. „K2“-ის სიჩქარეა 50 კმ/სთ, შოსეზე — 70 კმ/სთ, 32 კმ/სთ-ის აკრეფას 7 წამი სჭირდება. **ტანკს შნორკელით შეუძლია გადალახოს 4,1 მეტრი სიღრმის მდინარეები და ცეცხლი წყლიდან ამოსვლისთანავე გახსნას. „შავი პანტერა“ აღჭურვილია დაკიდების აქტიური სისტემით, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კლირენსი ლანდშაფტის თავისებურებებიდან გამომდინარე შეცვალოს.** სპეციალური მოწყობილობა 50 მეტრის რადიუსში ლანდშაფტის ლაზერულ სკანირებას ახდენს, ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, ტანკის კომპიუტერული სისტემა ოპტიმალურ მარშრუტს ირჩევს. **„შავი პანტერა“ ოპტიმალურად ადაპტირებულია მთაგორიანი ლანდშაფტისთვის.**

ცეცხლის მართვის სისტემა დუბლირებულია, სამიზნის იდენტიფიკაცია 10 კილომეტრამდე მანძილზეა შესაძლებელი, ბალისტიკურ გათვლებსა და ტრაექტორიის მუდმივ კორექტირებას ტანკის კომპიუტერული სისტემა რეალური დროის რეჟიმში ახდენს. ტანკის დაცვის სისტემებზე არ შევჩერდებით, რადგან მოდულური კომბინირებული კომპოზიტური ჯავშნის მახასიათებლები დღემდე გასაიდუმლოებულია და ჯერაც გაუგებარია, რა ტიპის დინამიური დაცვით აღიჭურვებიან პირველი სერიის ტანკები; თუმცა ცნობილია, რომ სისტემა მთლიანობაში უმაღლეს თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს.

**ტანკს მაშინაც შეუძლია ბრძოლა თუ მასში ეკიპაჟის მხოლოდ ერთი წევრი იმყოფება** (თეორიულად კი შეუძლია საერთოდ ეკიპაჟის გარეშე იმოქმედოს), **ის ადამიანის მონაწილეობის გარეშე ავტომატურად ადევნებს თვალს სამიზნეებს, სხვა ტანკებს ინფორმაციას უცვლის და ცეცხლს ხსნის. „შავი პანტერის“ საბრძოლო მასა 55 ტონაა, კორპუსის სიგრძე — 7500 მმ. (ლულასთან ერთად 10 800 მმ.), კორპუსის სიგანე — 3600 მმ., სიმაღლე — 2200 მმ.**

ეს ტანკი თითქმის იდეალური ჩანს, მაგრამ არის ერთი მინუსი, რომელმაც შეიძლება ყველა პლიუსს ხაზი გადაუსვას. **ამ მაღალტექნოლოგიური ტანკის ღირებულება 8 მილიონ დოლარს აღემატება, ამიტომაა, რომ მისი სერიული წარმოება რამდენიმეჯერ გადაიდო.** ამ ტანკების წარმოება და უზრუნველყოფა სამხრეთ კორეას, რომელიც ღარიბი სახელმწიფო ნამდვილად არ არის, სერიოზულ ტვირთად დააწვება. ამ თვალსაზრისით, **ჩრდილოელთა ნახევრად მითიურმა ტანკმა „pophunkom“** („შავი პანტერა“ პასუხია მის გამოჩენაზე), **სამხრეთელებს სერიოზული დარტყმა** (გასროლის გარეშე) **უკვე მიაყენა.**

მოამზადა
**გიორგი გიგიბერია**



## გაფრიზებული

### ვლადიმერ პუტინი, რფ-ის პრემიერ-მინისტრი:



კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩვენს წინაშე დგას ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობის კარდინალური შეცვლა და უპირველეს ყოვლისა, საუბარია ადამიანების ცხოვრების დონეზე, იმაზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოება და საკუთარ მიწაში მშვიდობიანად შრომის შესაძლებლობა.

*Российская газета*

### ვიქტორ იანუკოვიჩი, უკრაინის პრეზიდენტი:



ჩვენ განვაგრძობთ ხელისუფლების რეფორმას. ახალი ძირითადი კანონის მოსამზადებლად მუშაობას კონსტიტუციური ასამბლეა დაიწყებს. იგი გააერთიანებს ყველა დაინტერესებული პოლიტიკური ძალისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც მზად იქნებიან კონსტიტუციური პრობლემების შესახებ პროფესიონალური დისკუსიისთვის. ხელისუფლება ქვეყანას თავს არ მოახვევს კონსტიტუციური ცვლილებების საკუთარ ხედვას და მოამზადებს პირობებს საკონსტიტუციო ასამბლეის დამოუკიდებელი და ღია მუშაობისთვის.

*rbc.ru*

### ალექსანდრე ლუკაშენკო, ბელარუსის პრეზიდენტი:



ფერადი რევოლუციების ვირუსი მხოლოდ სუსტ ქვეყნებს ერევა. ბელარუსში მისთვის უბრალოდ არ არსებობს ნოყიერი ნიადაგი. რევოლუციის ლიმიტი ამოწურულია. არანაირი მაიდანები და მოედნები ჩვენ არ გვემუქრება.

*rian.ru*

### ჰამიდ ყარზაი, ავღანეთის პრეზიდენტი:



რუსეთი დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალაა. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი ურთიერთობები ამ ქვეყანასთან მნიშვნელოვნად გამყარდა. ჩვენ ვუყურებთ რუსეთს, როგორც მეზობელს, მნიშვნელოვან პარტნიორს და გვსურს, ამ პარტნიორთან კარგი ურთიერთობა ავაწყოთ.

*rian.ru*

### რაზმან კადიროვი, ჩეჩნეთის მეთაური:



უკიდურესად შეშფოთებული და აღშფოთებული ვარ ხუთშაბათ საღამოს ქვეყნის ერთ-ერთ ფედერალურ არხზე მომხდარით. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ და ვისი ინტერესების გამო მისცეს უფლება ჟირინოვსკის, მთელი რუსეთის გასაგონად გაეკეთებინა შოვინისტური განცხადება, რომელიც ეროვნებათშორის მტრობასა და სიძულვილს არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანებსა და ჯგუფებს შორის, არამედ მთელ ხალხებს შორის გაააღვივებს.

*rian.ru*

### ალექსანდრე პროხანოვი, გაზეთ „ზავტრას“ რედაქტორი:



ცუდი პროგნოზისტის სახელი კი მაქვს, მაგრამ მაინც მგონია, რომ უახლოეს ხანებში ბელარუსი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. დამთავრდა ის დრო, როცა ლუკაშენკოს ევროპა სჭირდებოდა. მინსკის მოსკოვთან მზარდ დაახლოებას კი ბელარუსის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მოჰყვეს.

*„Эхо Москвы“*

### სერგეი მავროდი, რუსი მეწარმე:



მინდა, მსოფლიო ფინანსური სისტემა დავანგრიო, ვთვლი, რომ ის არასამართლიანია. მინდა, ფინანსური აპოკალიფსი მოვაწყო და მოვაწყობ კიდეც. ეს მოხდება ყველგან, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მე უკვე ვღებულობ წინადადებებს, სხვათა შორის, ყველა ქვეყნიდან: აშშ-დან, ინდოეთიდან — „დაეხმარეთ ინდოელ ხალხს“, ისრაელიდან...

*gazeta.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ხეფინი და შორაპანი

## მარგვეთი

**„არგუეთი, ანუ მარგუეთი იწოდა ქვეყნის ნაყოფიერებისაგან და მრგვლობისა მუშაკობისათვის — მრგვლნი მუნებურნი და არა აღმომფხვრელნი“, — ამგვარად ახასიათებს ვახუშტი ბატონიშვილი ზემო იმერეთს და ასე გვიხსნის მის ტოპონიმს. ეს გზა ყოველმა ქართველმა თვალდახუჭული იცის: წიფის გვირაბის აღმოსავლეთით ქართლია, წიფის დასავლეთით — იმერეთი...**






მაგრამ, ყოველთვის ასე როდი იყო. ადრე, როცა იმერეთი არ არსებობდა, კოლხეთის საზღვარი ძალიან ხშირად ძირულამდე (ხეფინის ხევამდე) ვერ აღწევდა და აღმოსავლეთის სამანი შორაპნის ციხე და მდინარე ყვირილა იყო. უფრო მეტიც — ყვირილისა და ძირულის ხეობები მოგვიანებით მარგვეთის უძლიერეს საერისთავოს ეკავა. შემდგომში იგი ხან იბერიის და ხანაც ეგრის-აფხაზეთის ტერიტორიაში შედიოდა, მაგრამ ფაქტობრივად, უმეტესად ნეიტრალურ საერისთავოს წარმოადგენდა.

ლეონტი მროველის ცნობით, სწორედ ამ მარგვეთში გაგზავნა ერთ-ერთი ერისთავი ფარნავაზ მეფემ **„და მისცა მცირით მთიდგან, რომელი არს ლიხი ვიდრე ზღუარამდე ეგრისისა, რიონს ზემოთ და ამანვე ფარნავაზ აღაშენა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა“.**

საქართველოს ხელახალი დაშლის შემდეგ, მარგვეთი მთლიანად იმერეთის სამეფოში შედიოდა, XVI საუკუნის ბოლოდან კი მისი ერთი ნაწილი — ხეფინის ხევი (იგი მიკროპოლიტიკურ რეგიონად XIII საუკუნის შუახანებიდან ჩამოყალიბდა და სამეფო დომენს წარმოადგენდა) ნელ-ნელა კვლავ ქართლის შემადგენლობაში ჩაეწერა. საზღვარი ზედ მდინარე ძირულაზე გადიოდა — სათავიდან ვერტყვიჭალამდე, მერე კი თარაზულად ეშვებოდა ნუნისამდე. ასეა ეს ნაჩვენები ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე.

მკითხველს უეჭველად გაუჩნდება შეკითხვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ძველი საზღვრების გარკვევას. ზოგადად — არც არანაირი, მაგრამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მისი დადგენა მაინც დაგვჭირდა. ეს შეეხება სოფელ გედსამანიას და გვიანი შუასაუკუნეების მის ეკლესიას. როგორც ჩანს, იგი ქართლის მეფის — ლუარსაბ პირველის დროს უნდა იყოს აგებული, რადგან XVI საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლს წააგავს.

* * *

...დეკემბრის თოვამ სულ უფრო უმატა, ცა პეპლისხელა ფანტელებს ბერტყავს. „თოვს, რანაირად თოვს... დროს... სევდა მიაქვს დროს“ — მახსენდება სიმღერის ტექსტი და აღმართ-აღმართ შეკიდულ შუკას ღიღინით მივუყვები. ზევიდან ხარებშებმული მარხილი მოსრიალებს, წინ პატრონი მოუძღვის და ისიც ღიღინებს, ოღონდ სხვა მელოდიას და თანაც სტვენა-სტვენით. დიდება შენდა, ღმერთო... მგონი ადამის პირველ ზამთარს შევესწარი...

გვერდით რომ მცირე ხევის წყალი მიჩხრიალებს, ადგილობრივები დოხომს უწოდებენ. ეკლესია სიგრძეში 11,5, ხოლო სიგანეში 7,5 მეტრია. ბოლოდროინდელი აღდგენისას იგი ერთიანად შეულესავთ, მაგრამ ბათქაში ჩამოყრილია და კარგად ჩანს, რომ დედამიწის ზედაპირიდან 100-120 სანტიმეტრის სიმაღლეზე კედელი დიდრონი ფლეთილი ქვითაა აყვანილი, მერე კი აგურია გამოყენებული.

ტაძრის ზომები, მაღალი ნიშები, გვიანდელი შეკეთების კვალი და იქვე არსებული მოზრდილი გალავნის კედელი თანდათანობით გვარწმუნებს, რომ გედსამანიის საწინამძღვრო ეკლესია სწორედ ეს არის.

...გედსამანიის შემდეგ ბორითსა და ამაშუკეთის მიჯნაზე არსებულ სავანეთად წოდებულ ტერიტორიაზე ვჩერდებით ძირულის მარცხენა სანაპიროზე. აქ, სასაფლაოს შემაღლებულ ადგილზე, აღმართულია წმ. გიორგის დარბა-



გედსამანიის ეკლესია



ამაშუკეთის „კოზმა და დამიანი“

ზული ეკლესია (8,5X4,5 მ). ტაძარი ნაგებია ოქროსფერი და რუხი ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებით. აღმოსავლეთ ფასადის ქვათა წყობა საგანგებოდ ირეგულარულია, რითაც უსამკაულო ეკლესიისათვის მხატვრული ელფერი მიუციათ. ჩვენ აქ შეგვიძლია ერთ ქვაში გამოჭრილი სარკმელი და ვერძის თავის ქანდაკება ვნახოთ, რომელიც დასავლეთის ფრონტონში ჩაუდგამთ.

სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან გვიან ხანებში ტაძრისათვის სათავსები მიუდგამთ, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან კონტრფორსით გაუმაგრებიათ.

**სავანეთის ეს საყდარი, ხუროთმოძღვრული ნიშნებიდან გამომდინარე, XII-XIII საუკუნეთა ძეგლია, ხოლო ე.წ. „ხალხური მხატვრობით“ შესრულებული ფრესკები — XVII-XVIII საუკუნეების. ტაძარი იმერეთის მმართველის გიორგი-მალაქია აბაშიძის (გიორგი V) ჟამსაა მოხატული. შემონახულია მისი ქტიტორული გამოსახულებაც.**

სავანეთის ტაძრის დროინდელი უნდა იყოს წმ. კოზმანისა და დამიანის სახელობის ის მცირე საყდარი, რომელიც ამაშუკეთის თავზე, ანძის გვერდით დგას. „კოზმანი და დამიანე“ მოცულობით სავანეთის ეკლესიის ნახევარიც არ არის და ძალიან ყოფილა დანგრეული. მას ძველი არც საბურველი აქვს შემორჩენილი და არც კედლების ნახევარი, რომელიც ამჟამად ბლოკითა და აგურითაა აღდგენილი. აქედან საოცარი სურათი იშლება: საყდარი ზედ ქარაფის პირზე დგას და ქვევით ღრმა უფსკრულია.



შორაპნის ციხე, ჩანგრეული გვირაბი

ამაშუკეთის შემდეგ წესითა და რიგით უბისაში უნდა შევგველო, მაგრამ მის გაცნობას თითქმის მთელი დღე სჭირდება და მომავალი მოგზაურობისათვის გადავდოთ. ახლა კი, ჯობს, შორაპნის ციხე მოვინახულოთ.

ვახუშტი ბატონიშვილი ზუსტად გვაძლევს შორაპნის კოორდინატებს: **„ყვირილასა და ძირულას შორის, შესართავს შინა არს შორაპანი, რომელი აღაშენა მეფემან ფარნაოზ, ქალაქი და ციხე... და არს დიდშენობა ფრიად“...**

ყველაზე ადრინდელი ცნობა შორაპნის შესახებ ეკუთვნის სტრაბონს (ძვ. და ახ. წ. I ს.). იგი ამბობდა, რომ **იბერიაში მოხვედრა შორაპნის ციხის გავლით შეიძლებაო.** შორაპნის („სარაპი“) დამახინჯებული ფორმა „სარახი“ აქვს გამოყენებული „გეოგრაფიის“ მე-5 თავში პტოლემეს (ახ. წ. II ს.). იგი ამბობს, რომ **ეს ციხე 160 სტადიონითაა დაცილებული მდინარე ფაზისის შესართავს** (ყვირილისა და რიონის შესართავს. იხ. სიმონ ყაუხჩიშვილი: „ბიზანტიური ეპოქის ციხესიმაგრეები ლაზიკაში“). ამის შემდეგ, უცხოურ წყაროებში, შორაპნის ციხე VI საუკუნეში იჩენს თავს მენანდრეს, იუსტინიანეს და პროკოპის ნაწერებში. საინტერესოა პროკოპი კესარიელის მონათხრობი. იგი გვიამბობს, რომ, **როცა 550 წელს ბიზანტიელმა მხედართმთავარმა ბესამ გააფთრებული ბრძოლების შემდეგ პეტრას ციხესიმაგრე აიღო** (მასში სპარსელები და ლაზები იდგნენ), **„სპარსელთა მხედართმთავარმა მერმეროემ იბერიიდან კოლხეთში, ანუ ლაზიკაში, გადამავალი ის ადგილები დაიკავა, საიდანაც ფაზისის** (აქ. მდ. ფაზისში ყვირილა იგულისხმება) **გადალახვა შეიძლებოდა...“** უსარგებლიათ რა პონტოსა და არმენიაში ბესას ჯარის გადასვლით, სპარსელებს შედარებით იოლად აუღიათ სკანდისა და შორაპნის ციხეები. ამაში მათ ერთი, დამატებითი გარემოებაც დახმარებია. აქ პროკოპი კესარიელი ძალიან საინტერესო, ყოველ მხრივ ძვირფას საისტორიო ინფორმაციას გვაწვდის: **„ლაზთა ორი ციხე სკანდა და სარაპანისი ზედ იბერიის საზღვრებთან რომ მდებარეობს, მკაცრსა და მეტად ძნელსავალ ადგილებშია. კაცი იმათ ძნელად მიუდგება. ეს ციხეები ლაზებს ძველად აუგიათ დიდი გაჭირვებით, რადგან იქ საზრდო სრულიად არ მოდის და მშენებლებს სურსათის იქ მიტანა ზურგით უხდებათ. იუსტინიანე მეფემ ამ ომის დასაწყისში ციხიდან ლაზები გააძევა და რომაელთა რაზმი ჩააყენა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, სურსათის ნაკლებობის გამო, მათ ეს ციხეები დატოვეს. მათ არ შეეძლოთ დიდი ხნის განმავლობაში ქვრიმით ესაზრდოვათ. კოლხები კი სწორედ ამით იკვებებოდნენ ხოლმე“.** როგორც ქართველი ეთნოლოგებისაგან შევიტყვე, ქვრიმს დღესაც ამზადებენ თურქეთში მცხოვრები ლაზები. ეს არის მწვანილეულით, იშვიათად კი ყველით შეკმაზული და გამხმარი ცომეულის გუნდა. პროკოპის მონათხრობში მთავარი მაინც სკანდისა და შორაპნის მდებარეობაა — **„ზედ იბერიის საზღვართან“.**

შორაპნის ციხე რამდენიმეჯერ დანგრეულა და აღუდგენიათ, რაც თვალნათლივ გამოსჭვივის მისი საამშენებლო შრეებიდან. ციხესიმაგრის ზედა ნაწილი მდინარეთა ზედაპირიდან 100 მეტრის სიმაღლეზეა. კედლებით შემოზღუდული ციხის ძირითადი ნაწილი 6650 კვადრატული მეტრია. რიყის ქვით ნაგები გალავანი შუასაუკუნეებშია აღმართული და მისი სიმაღლე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცალკეულ მონაკვეთებში 4 მეტრს აღწევს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გალავნის ის ფრაგმენტები, რომლებიც ნაგებია თლილი ოთხკუთხა ქვებისაგან, მათ შუაში ზოლად გასდევს უძველესი, ანტიკური, აგურების წყობა. ეს აგურები თავისი კვადრატული ფორმითა და მოცულობით (34X34 სანტიმეტრზე) უფრო ბერძნული სტილისაა. მსგავსი სამშენებლო ფენები გვხვდება სკანდეს, როდოპოლისისა და არქეოპოლისის ქართულ ანტიკურ ციხესიმაგრეებში.

შორაპნის ციხე რომ უძველესი ხანიდან VI საუკუნემდე სამშენებლო ფენებს ინახავს, ამას ორმაგი კედელიც ადასტურებს. აქ ორ წყებას შორის რამდენიმე სანტიმეტრი სივრცეა დატოვებული. უძველესი პერიოდისაა ასევე აღმოსავლეთ მხარეს შემორჩენილი კოშკის ნაშთიც.

როგორც ყველა დიდი ციხე-ქალაქი, შორაპანიც საიდუმლო ჩასასვლელით იყო დაკავშირებული მდინარესთან. შემორჩენილია ყვირილამდე ჩამავალი 60-მეტრიანი გვირაბის ნაშთი. მისი ზედა მონაკვეთი ჩანგრეულია და გახსნილი, ქვედა 17 მეტრი კი — დახურული. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ამ გახსნილი გვირაბით სარგებლობა. იმ კედლებს, რომელთაც ახლა ჩვენ მივუყვებით, ახსოვთ რომაული, ბიზანტიური და ირანული არმიის კოჰორტები, ლოდსატყორცნები, ციხის სანგრევი ტარანები და საბრძოლო სპილოები, ყიჟინა, კვნესა და სისხლი, გამარჯვება და დამარცხება, ლაზიკის დიდებაც და დაცემაც.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**





სავანეთის „წმ.გიორგი“ და იმერეთის მმართველი გიორგი (მალაქია) აბაშიძის ფრესკა

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-48 (2010 წ.) - №1

## ბაიაზეთის საფაშოს დაპყრობა

**აგვისტოს დასაწყისში არარატთან განლაგდა არც თუ ისე დიდი რუსული რაზმი, რომელსაც თან ახლდა სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი, თავადი ჭავჭავაძე. ამ ადგილას მათ დახვდათ ნაშებურგის ქვეითთა პოლკი, სევასტოპოლის პოლკის სამი ასეული, ექვსი ქვემეხი, ორი ათასი კაზაკი, სომხურ-თათრული მილიციის ოთხი ასეული — სულ ათას ოთხასი ხიშტი და ხუთასამდე მხედარი. ამ უმნიშვნელო ძალებით და საფაშოს სომეხი მოსახლეობის თანადგომის იმედზე აპირებდა თავადი ჭავჭავაძე ბაიაზეთზე შეტევის განხორციელებას და ანატოლიის სიღრმეში შეღწევას მდინარე ევფრატის ნაპირზე. ამოცანა მეტისმეტად რთული იყო, მაგრამ მისი განხორციელება ითავა უაღრესად მამაცმა, ტალანტმა და ჭკვიანმა ადამიანმა.**

**თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე გახლდათ შვილი ცნობილი გარსევან ჭავჭავაძისა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სამეფო? ისტორიულ ბედში. იგი პეტერბურგში დაიბადა, როცა მამამისი იქ იმყოფებოდა როგორც საქართველოს მეფის უფლებამოსილი მინისტრი.**

მან საუკეთესო განათლება მიიღო დედაქალაქის ერთ-ერთ პანსიონში და შემდეგ სწავლა ტფილისში გააგრძელა მამის მზრუნველობის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მამამისი არაფერს იშურებდა ერთადერთი ვაჟიშვილისთვის, იგი მაინც ვერ ასცდა ახალგაზრდულ შეცდომებს. ეს იყო პ. დ. ციციანოვის მმართველობის პირველ წლებში, როცა მთელი საქართველო სავსე იყო ტახტისთვის მებრძოლი მეფისწულებით. **15 წლის თავადი მალე გაება ინტრიგების ქსელში და იმდენად გაიტაცა თავისუფალი საქართველოს ძველი დიდების აღდგენის იდეამ, რომ 1804 წელს გაიპარა მშობლიური სახლიდან და უფლისწულ ფარნაოზთან გაიქცა,** რომელიც იმ დროს საქართველოს სამხედრო გზაზე თავის ხალხთან ერთად იყო.

როგორც ცნობილია, უფლისწული ანანურთან დამარცხდა და ერევანში გაიქცა, მაგრამ თბილისიდან ორმოცი ვერსის მოშორებით მდინარე მტკვარზე გადასვლისას იგი შეიპყრო ქართულმა მილიციამ ოცდაათ კახელ თავადთან ერთად. მათ შორის იყო ახალგაზრდა ჭავჭავაძე. **მამის დამსახურებებმა გადაარჩინა იგი გადასახლებაში გაგზავნას. რუსეთის იმპერატორმა მას არათუ შეუნდო ახალგაზრდული გატაცების გამო, არამედ თავისთან გამოიძახა პეტერბურგში და კადეტთა კორპუსში გაამწესა.**

1811 წელს იგი ისევ დაბრუნდა სამშობლოში უკვე მთავარსარდალ, მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად, რომელსაც თან ახლდა კახეთის ამბოხების დასაშოშმინებლად, საგარეჯოსთან ფეხში დაიჭრა და საქართველოში დაბრუნდა. შემდგომ მონაწილეობდა სამამულო ომის მზადებაში.

ლაშქრობებს გერმანიაში, საფრანგეთში უკვალოდ არ ჩაუვლია ახალგაზრდა ოფიცრისთვის. 1817 წელს უკვე პოლკოვნიკის ჩინით იგი კავკასიაში გადაიყვანეს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც მის მშობლიურ კახეთში იდგა.

სამხედრო კარიერა მას ბევრ რამეს ჰპირდებოდა. სამხედრო სამსახურის მერვე წელს უკვე პოლკოვნიკი იყო, კლიმოვის სიკვდილის შემდეგ თითქმის მთელი წელი დროებით მეთაურობდა ნიჟეგოროდის პოლკს. **ერმოლოვმა მას, როგორც საუკეთესო კავალერისტ ოფიცერს, რეკომენდაცია გაუწია ხელმწიფესთან ამ პოლკის მეთაურად დანიშვნის თაობაზე. მაგრამ, როცა პეტერბურგიდან ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურად ჭავჭავაძეზე სამი წლით უმცროსი შაბელსკი გამოგზავნეს, თავადმა დატოვა სამსახური და თბილისში დასახლდა.**

იმ დროს ალექსანდრე გარსევანის ძის ოჯახი თბილისში ის ოჯახი იყო, რომელიც ჩრდილოელ სტუმრებს ძველი ქართული პატრიარქალური სტუმართმოყვარეობით იღებდა. ამას თან ემატებოდა განათლებული ევროპული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება. **თვითონ ჭავჭავაძე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამ მხარეში: მას ყველა იცნობდა, როგორც თანამედროვე ქართველ პოეტს, როგორც კორნელისა და რასინის ჩინებულ მთარგმნელს. იმ სიმღერებიდან, რომლებსაც მაშინ მღეროდნენ ქართველები, დაახლოებით ორი მესამედი ალექსანდრე ჭავჭავაძის ნიჭის ნაყოფი იყო; მასვე ეკუთვნოდა რუსი, გერმანელი, ფრანგი, სპარსი პოეტების ლექსთა საუკეთესო თარგმანები.**

ეს უცხო ენები ქართულზე არანაკლებად იცოდა თავადმა ჭავჭავაძემ. ამდენად, მისი თარგმანები არაფრით ჩამოუვარდებოდა ორიგინალებს.

ამ მშვიდობიან, სუფთა ლიტერატურულ მოღვაწეობას იგი სპარსეთის ომმა მოსწყვიტა. ის მასში ქართულ მილიციასთან ერთად მონაწილეობდა, ხოლო გენერალ კრასოვსკის რუსეთში გამგზავრების შემდეგ სომხეთის ოლქის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა.

აი, ასე მივიდა იგი 1828 წლამდე.

* * *

**25 აგვისტოს მცირე რუსული რაზმი არარატის მთიდან ბაიაზეთისკენ დაიძრა. მოწინაამდეგის მხედრიონი რუსულმა არტილერიამ ქალაქში მისვლამდე უკუაგდო. ამბობენ, რომ ვიღაც ბაირახტარი, ნაცრისფერ ცხენზე ამხედრებული, დიდი დროშით ხელში დიდხანს ერთგვარად მართავდა რუსულ მხედრიონს, მაგრამ როცა ცხენი მოუკლეს, ის დაეცა, თუმცა ისევ წამოიმართა ფეხზე და ისევ ვაჟკაცურად იდგა. თურქები და ქურთები, როგორც ფრინველთა გუნდი, სხვადასხვა მხარეს „გაფრინდნენ“.**

27 აგვისტოს რაზმმა კიდევ წაიწია წინ, ქალაქისკენ და გაჩერდა მისგან სამი ვერსის მოშორებით.

მეორე დღეს, ჯერ კიდევ გამთენიისას, ციხესიმაგრიდან შიკრიკი მოვიდა წერილით, რომლითაც ფაშა ბაიაზეთის ჩაბარებას სთავაზობდა მათ. სანაცვლოდ მოითხოვდა, რომ საშუალება მიეცათ თურქთა გარნიზონისთვის, წინააღმდეგობის გარეშე დაეტოვებინა ქალაქი. თავადი დაეთანხმა. ის იყო კრუიერი გაბრუნდა, რომ კაზაკებმა ინფორმაცია მოიტანეს, რომ ბაიაზეთისკენ ქურთთა ძლიერი დაჯგუფებები მოდიოდნენ. ამ ამბავმა დააეჭვა თავადი ჭავჭავაძე — შეიძლება კურიერის გამოგზავნა ფაშამ დროის მოგების მიზნით მოიფიქრა, სინამდვილეში კი არანაირ მოლაპარაკებას არ აპირებდა. ამიტომ, თავის დაზღვევის მიზნით, მეთაურმა ბრძანება გასცა, ქალაქის სამხრეთ მხარეს დაეკავებინათ სიმაღლეები და მოწინააღმდეგისათვის წყალი გადაეკეტათ.



ალექსანდრე ჭავჭავაძე

ამ ასეულების გადაადგილებას მოჰყვა ის, რომ ციხესიმაგრიდან გამოვიდა მოწინააღმდეგის მხედრიონი და გზა გადაუღობა რუსებს. მაგრამ ციხესიმაგრეში ცოტა ვინმე თუ აპირებდა წინააღმდეგობის გაწევას. **ფაშას მოუსვენრობა ჯარსაც გადაედო. აღმოჩნდა რა პირისპირ რუს ქვეითებთან, მხედრიონი დახმარებას ელოდა. ბელიულ-ფაშამ, ყოველ წუთს ელოდა რა სომეხთა აჯანყებას, სულ დაკარგა თავი, არც მხედრიონის დასახმარებლად მიდიოდა და ვერც სხვა გადაწყვეტილებას იღებდა. სიტუაცია კრიტიკული ხდებოდა. ამით ისარგებლეს ნაშებურგის ასეულებმა, გაანადგურეს კავალერია და იქ სიმაღლეებზე თავიანთი ბატარეა დააყენეს.** მეზობელი მთებიდან გამოჩენილმა ორი ათასმა ქურთმა დაინახა, რომ მათ იქ აღარაფერი ესაქმებოდათ და უკან გაბრუნდნენ, წაართვეს რა ქალაქის გარნიზონს უკანასკნელი იმედი.

**დაიქუხეს თუ არა რუსმა ზარბაზნებმა, დაფდაფების ცემით ჯარი ქალაქისკენ დაიძრა. ყველანი გარბოდნენ. ციხესიმაგრე დამცველების გარეშე აღმოჩნდა. მაშინ გაიღო კარი და სომეხთა სასულიერო პროცესია წმ. ხატებით ხელში შეეგება რუსთა ჯარს. შუადღისას ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და ბელიულ-ფაშა, რომელმაც ვერ მოასწრო გამოსვლა თავისი სასახლიდან, გამოცხადდა სამხედრო ტყვედ. „ჩვენ მას შევხვდით ციტადელთან,** — გვიამბობს თვითმხილველი, — **ეს იყო მაღალი, ჯერაც ახალგაზრდა კაცი, მიმზიდველი სახით, რომელსაც დამცირების და შეურაცხყოფის კვალი დასჩენოდა“.**

ბაიაზეთის აღების დღის აღსანიშნავად თავადმა ჭავჭავაძემ თურქული მეჩეთის მართლმადიდებლურ ეკლესიად გადაკეთება განიზრახა. პასკევიჩმა თავის შეკავება ბრძანა და იმპერატორს მისწერა: — **„მე არ მივეცი ამის უფლება, რამეთუ მსგავსი ქმედება არც ერთ საფაშოში არ განხორციელებულა, რადგან ჯერ კიდევ ცნობილი არაა, შემოუერთდებიან თუ არა ისინი რუსეთის იმპერიას“.**

საფაშოს მთავარი ქალაქის დაცემის შემდეგ, ბუნებრივია, მას მიჰყვა ხამურისა და დიადინის საფაშოები. თურქეთის ჯარები იქ არ იყო, სომხები კი რაოდენობრივად ისე სჭარბობდნენ ქურთებს და თურქებს, რომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა წინააღმდეგობის გაწევაზე. სომეხთა მხედრიონმა დიადინი ერთი გასროლის გარეშე აიღო. ხამურიდან ქალაქის გასაღები ბაიაზეთში თავისი ხელით მოუტანეს რუსებს. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს იყო დიდი ნაბიჯი რუსეთის გასაძლიერებლად გადადგმული ამ მხარეში.

ახლა რჩებოდა მარტო ერთი — ალაშკერტი, რომელსაც არ სურდა, დანებებოდა რუსებს და თავდაცვისთვის ემზადებოდა.

ქალაქი ალაშკერტი დიდი არ იყო, მაგრამ მისი ძველი, დროისგან ჩაშავებული ციხესიმაგრე მრისხანედ იდგა მიუვალი შიშველი კლდის თავზე. თურქები ამ ციხეს ტოპრახკალეს ეძახდნენ და შიგ დაცულად გრძნობდნენ თავს.

სანამ ჭავჭავაძე ბაიაზეთში საოლქო მმართველობის საქმეებს აგვარებდა, მოვლენები თანმიმდევრულად ვითარდებოდა. უნდა ითქვას, რომ **ბაიაზეთის დაცემამ ისეთი პანიკა გამოიწვია არზრუმში, რომ ბევრმა დატოვა ქალაქი იმის შიშით, რომ რუსები დაიკავებდნენ ალაშკერტს და ჰასან-კალეს გავლით არზრუმისკენ გაემართნენ. ტოპრახკალეში სასწრაფოდ იქნა გაგზავნილი პატარა რაზმი აბდულა-რიზახ-ბეგის მეთაურობით, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, ციხიდან ყველა სასურსათო მაღაზია გამოეტანა, გაეცარიელებინა მხარე და ყველა სომხური სოფელი გადაეყვანა ანატოლიის სიღრმეში. ასობით ქრისტიანული ოჯახი ამ ამბის შეტყობით შეშინებულ რუსებს დახმარებას სთხოვდა. საქმე არ ითმენდა და თავადმა ჭავჭავაძემ გადაწყვეტილება მიიღო. მან სასწრაფოდ ალაშკერტზე გალაშქრება ბრძანა.**

დილით 9 სექტემბერს, პირველი ცნობები მიიღეს რიზახ-ბეგის გადაადგილების შესახებ. საღამოსთვის ნაშებურგის პოლკი, სევასტოპოლის ასეული მარშით მიდიოდა სომეხთა დასახმარებლად. გაბედული და სარისკო იყო ეს გადაადგილება, რადგან ორი ბატალიონი მოწინააღმდეგის სამფლობელოში ღრმად შედიოდა, ამასთან, სრულიად დაუცველი ზურგიდან. მართალია, ბაიაზეთში მათ დატოვეს ჯარის უმნიშვნელო ნაწილები, მაგრამ, სხვა რომ არაფერი, ალაშკერტიდან ბაიაზეთამდე ას ორმოცდაათი ვერსი იყო. და აი, **12 სექტემბერს ქალაქიდან ორი ვერსის დაშორებით გამოჩნდა რუსის ჯარი. ქალაქში საშინელი აურზაური ატყდა. თურქთა მხედრიონი პირველი გაიქცა. მას მიჰყვა ქვეითი ჯარიც. მიუვალ ციხესიმაგრეს თავის დასაცავად ერთხელაც არ გაუსვრია. რუსები გაქცეულებს დაედევნენ, ბევრი თურქი ტყვედ აიყვანეს.**

**ვასილი პოტო**
ხუთტომეული ნაშრომიდან
**„კავკასიის ომი“**

გაგრძელება
შემდეგ ნომერში




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეცამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტების მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## 102-კლავიშიანი როიალი



**მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელმა ავსტრალიურმა კომპანიამ, ჩვეულებრივი როიალებისგან განსხვავებით, რომლებსაც 88 კლავიში აქვთ, 102-კლავიშიანი როიალი გამოუშვა. მას ბასის დიაპაზონი სუბკონტროქტავა დო ნოტამდე აქვს გაფართოებული, მაღალი ნოტების დიაპაზონი კი — მეხუთე ოქტავის ფამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივ 88-კლავიშიან როიალს 9 კლავიში მარცხნიდან აქვს დამატებული და 5 — მარჯვნიდან.**

ინსტრუმენტის შემქმნელის — უეინ სტიუარტის თქმით, დამატებითი კლავიშები ინსტრუმენტს ჟღერადობის სიძლიერეს ჰმატებს. „ამ ინსტრუმენტზე დაკვრის შემდეგ ჩვეულებრივ როიალზე ველარ დავუკრავ“, — ამბობს აღფრთოვანებული სტიუარტი.

გაფართოებული კლავიატურის გარდა, ახალ როიალს დამატებით მეოთხე სატერფული აქვს. მასზე დაჭერისას როიალის ჩაქუჩები სიმებს უახლოვდება და ბგერები ნაკლებად ჟღერადია. როიალის შემქმნელის თქმით, საკრავში სიმების ჟღერადობის მექანიზმიც შეცვლილია, რის წყალობითაც ნოტების გარჩევადობის ხარისხი უფრო მაღალია. ახალი როიალის ღირებულება 300 ათას დოლარს აღწევს.

## რვაფეხა პაულის მემორიალი



**გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში, იმ შენობაში, სადაც რვაფეხა პაულის აკვარიუმი მდებარეობდა, მისი მემორიალური კომპლექსი გაიხსნა.**

მემორიალზე რვაფეხას 1,8 მეტრის სიმაღლის ძეგლი დადგეს. პაული ფეხბურთის ბურთზეა შემოხვეული თავისი რვავე ფეხით და მის გვერდით წინასწარმეტყველის ფერფლიანი ურნაა განთავსებული.

შეგახსენებთ, რვაფეხა პაული 2010 წლის ფეხბურთის ჩემპიონატზე გახდა პოპულარული. მან ჩემპიონატის რვა მატჩის შედეგი იწინასწარმეტყველა.

## „გამჭვირვალე“ ცემენტი



**შანხაიში გამართულ გამოფენაზე იტალიელმა არქიტექტორებმა ყველა გააოცეს, როცა თავიანთი უჩვეულო ქმნილება — „გამჭვირვალე ცემენტი“ წარმოადგინეს. ამ ცემენტის გამოყენების შემთხვევაში დღის სინათლე ოთახს ისე გაანათებს, რომ კედლები გიგანტურ ფანჯრებს დაემსგავსება.**

მასალაში განთავსებული ათობით ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი 2-3 სმ-იანი ჭრილის მეშვეობით ოთახში სინათლე კედლებიდან იჭრება, თავად კედელი კი მთლიანობას მაინც ინარჩუნებს.

იტალიელმა არქიტექტორებმა არაჩვეულებრივი ცემენტი სპეციალური ფისის მეშვეობით შექმნეს და ის 18 მ-იანი ექსპოს პავილიონის 40 პროცენტის ასაშენებლად გამოიყენეს. ყოველ გამჭვირვალე პანელში თვალით შეუმჩნეველი 50 ჭრილია, რაც კონსტრუქციას 20 პროცენტით გამჭვირვალეს ხდის, ხოლო ნახევრად გამჭვირვალე პანალები შენობის 10-პროცენტიან გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

# კლიმატური იარაღი — ალიასკაზე პროგრამა HAARP-ის უკან პენტაგონი დგას




**ნებისმიერი იარაღი, რეალური იქნება ის თუ პოტენციური, უპირველესად, საშიშია არა თავისთავად, არამედ იმისდა მიხედვით, თუ ვის ხელში შეიძლება აღმოჩნდეს. როდესაც სამხედრო ელიტის წარმომადგენელი ქვეყნები, რომლებმაც ფანტასტიური და ყალბი მიზეზებით ერაყში სისხლიანი ქაოსი მოაწყვეს, „დომინირების სრულ სპექტრზე“ აპელირებენ, სიმშვიდისა და ოპტიმიზმისთვის ადგილი აღარ რჩება.**

**სიმშვიდე კიდევ უფრო ღრმა წარსულს ჩაბარდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ სწორედ პენტაგონია ალიასკაზე HAARP-ის კვლევითი პროგრამის ერთ-ერთი მთავარი დამკვეთი.**

HAARP-ი სიტყვასიტყვით მაღალსიხშირიანი გეომაგნიტური აქტივობების კვლევის პროგრამაა, მეცნიერულ და ოფიციალურ ენაზე კი ეს არის „იონოსფეროს თვისებებისა და ქცევის თავისებურებათა შემსწავლელი პროგრამა, რომელშიც განსაკუთრებულ ინტერესს როგორც სამოქალაქო, ასევე თავდაცვით სფეროში კომუნიკაციური და სადაზვერვო სისტემების გაუმჯობესების მიზნით მისი შესაძლებლობების აღმოჩენა და გამოყენება წარმოადგენს“.

**გასაგებია, რომ იონოსფეროები ელექტრომაგნიტური ზემოქმედების გარეშე, პირდაპირი დანიშნულების გარდა, სხვაგვარი გამოყენების საშუალებას არ იძლევა. ეს კი სრულიად ამართლებს იმის შიშს, რომ HAARP-ის მსგავსი ერთობლივი სამთავრობო-კორპორატიული პროგრამების ბაზები** (აშშ-ში კოლორადო, არესიბო პუერტო-რიკოში — მრავალტანჯული ჰაიტის გვერდით, გაკონა ალიასკაზე, არმიდეილი ავსტრალიაში და ასე შემდეგ) **კლიმატური იარაღის შემუშავებისა და ექსპერიმენტული გამოყენების პუნქტებს წარმოადგენენ. იმ იარაღისა, რომელიც 1977 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ „გარემოზე სამხედრო ზემოქმედების აკრძალვის კონვენციით“ აკრძალა.**

სწორედ ამან განაპირობა ევროპარლამენტის საერთაშორისო საქმეთა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტის 1999 წლის ოფიციალური ნოტა, რუსეთის სახელმწიფო დუმის თავდაცვისა და მეცნიერების კომიტეტების კომისიის 2002 წლის ნოტა, ვენესუელის პრეზიდენტის — უგო ჩავესის ბრალდებები, მსოფლიო მასმედიაში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაცია და ასე შემდეგ. **მეორეს მხრივ, როგორც აღნიშნულ თემაზე ბოლო დროს გამოქვეყნებულ და, ძირითადად, ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით მომზადებულ ერთ-ერთ საუკეთესო მასალაშია აღნიშნული, ამერიკული სამხედრო-სამრეწველო ლობი პირდაპირ მიანიშნებს „კლიმატური იარაღის“, როგორც პლანეტა დედამიწაზე „დომინირების სრული სპექტრის“** (გამოთქმა full spectrum dominance მთელი დედამიწის, როგორც სტრატეგიული მიზნის მიმართ ოფიციალურად გამოიყენება აშშ-ის სამხედრო ძალების შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის მიერ, 2006 წლის დოკუმენტში „Joint Vision 2020“) **მიღწევისთვის საჭირო „ფსიქოლოგიური ოპერაციების“ განხორციელების „ფანტასტიურ“ პერსპექტივებზე.**

მიუხედავად იმისა, იონოსფეროზე ზემოქმედების შედეგად სინამდვილეში არსებობს თუ არა კლიმატური იარაღი, მას უკვე ეფექტურად იყენებენ საინფორმაციო ომების სივრცეში. თანაც იყენებს ყველა — ამერიკელი და ჩინელი სამხედროები და მეწარმეები, ვენესუელის პრეზიდენტი, ევროპელი „მემარცხენეები“, ანტიგლობალისტები და უფოლოგებიც კი. შედეგად თემა იმდენად გაიცრიცა, რომ **აბსოლუტურად გაუგებარია, რა არის ნამდვილი ინფორმაცია რეალურ კვლევებსა და ქმედებებზე და რა — ინფორმაციული მაქინაციები თუ აჟიოტაჟი.** გარდა ამისა, კიდევ ერთი შედეგი ისაა, რომ სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების მიზნით, მიმდინარე კლიმატური კვლევებიც კი კომპრომეტირებულია.

**ალიასკაზე პროგრამა HAARP-ის უკან სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და თავდაცვითი პერსპექტივების კვლევების სააგენტოს სახით თავად პენტაგონი დგას. მთავარი დამკვეთი სწორედ ისაა, კონტრაქტორის როლს კი საერთაშორისო სამხედრო-სამრეწველო კომპანია „BAE SYSTEMS“-ი ასრულებს.**

ამ უკანასკნელს სათავეში უდგას ბრიტანეთის პირმშო — გაერთიანებული სამეფოს ბიზნესელჩი, სააგენტო „როიტერის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, საბანკო კორპორაცია „HSBC“-ის მრჩეველი დიკ ოლვერი. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ის ედგა სათავეში გაზის სექტორს კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმში“, რომელმაც მექსიკის ყურეში ნავთობის დაღვრით სულ ახლახან წარმოადგინა „კლიმატზე ზემოქმედების“ ნათელი მაგალითი. დიკ ოლვერი კომპანიაში აღმასრულებელი თავმჯდომარე არაა, მას მხოლოდ „მაყურებლის“ ფუნქცია აქვს. აღმასრულებელ დირექტორებს იქ საჭირო სფეროების პროფესიონალები წარმოადგენენ. სამაგიეროდ, არააღმასრულებელი დირექტორების შემადგენლობა თვალნათლივ ასახავს იმ სურათს, რომ **ანგლოსაქსური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო-სამრეწველო კომპანია ბრიტანეთის იმპერიის ჩამნაცვლებელი ბრიტანული თანამეგობრობის ინტერესების გამტარებელია.**

**ის, რომ „BAE Systems“-ის მთავარი დამკვეთი პროგრამა HAARP-ის შემთხვევაშიც და საერთოდაც პენტაგონია, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს პროგრამა,** ისევე, როგორც „ამერიკული დომინირების“ მთელი „ისტორია“, უფრო მეტად ანგლოსაქსონურია, ვიდრე ამერიკული და **ეკუთვნის ჩრდილოვანი ტრანსატლანტიკური ანგლოსაქსური იმპერიის ბრიტანეთის ისტებლიშმენტზე ბევრად უფრო ძლევამოსილ ისტებლიშმენტს.**

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ევროპის სამეცნიერო ასოციაციის პროექტზეც (EISCAT), რომელიც გამოსხივების არაკორეგენტულ გაფანტვას შეისწავლის. მისი ფესვები, ისევე, როგორც HAARP-ისა, 1970-იანი წლებიდან მოდის. ეს არის ევროკავშირის პროექტი, რომელსაც გერმანია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, სკანდინავიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ჩინეთი და იაპონია ერთად ახორციელებენ. არავითარი „სადაზვერვო“, „თავდაცვის“ ან თუნდაც „საკომუნიკაციო“ მიზნები მის მისიაში მოხსენიებული არაა. საუბარია მხოლოდ სტიქიური მოვლენებისთვის წინააღმდეგობის მიზნით კლიმატის მექანიზმების შესწავლაზე, ანუ თითქოსდა წმინდა წყლის მეცნიერებაზე. მაგრამ სამხედრო და კორპორატიული ბიუჯეტების არარსებობა პროექტზე იმდენად ცუდად აისახა, რომ ახლახან მისმა მესვეურებმა სოლიდური თანხის სანაცვლოდ ცაზე სარეკლამო სლოგანი დაწერეს.

**სწორედ ამ პროექტის ერთ-ერთი ექსპერიმენტული რადარი განათავსა HAARP-მა კონსპირაციულად კუნძულ სვალბარდზე (შპიცბერგენის არქიპელაგი), სადაც, აბსოლუტურად ოფიციალური ინფორმაციით, მსხვილი ბიზნესის მესვეურები საერთაშორისო სტრუქტურებთან ერთად გენეტიკურად სუფთა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ნიმუშების შესანახ ბუნკერს აშენებენ.**

საბჭოთა კავშირში იონოსფეროსა და ელექტრომაგნიტური გამოსხივების გენერირების შესაძლებლობებს პროექტი „სურა“ შეისწავლიდა, მაგრამ პროექტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიხურა. რუსეთში ამის შემდეგ გეოფიზიკა, ცხადია, არ გამქრალა, მაგრამ HAARP-ისა და EISCAT-ის პროექტებში რუსი სპეციალისტები არ მონაწილეობენ.

**რაც შეეხება ჩინეთს, ევროკავშირის პროექტში მისი მონაწილეობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას საკუთარი „დახურული“ პროექტი არ აქვს, რომელიც სიჩუანის 2008 წლის მიწისძვრისას ამერიკელების მიმართ ატეხილ ბრალდებებს ამოეფარა.**

***win.ru***

## კუნძულ სვალბარდზე (შპიცბერგენის არქიპელაგი) გენეტიკურად სუფთა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ნიმუშების შესანახ ბუნკერს აშენებენ

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სუდანის დაყოფა

**15 იანვარს აფრიკის უდიდესი სახელმწიფოს — სუდანის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად გაყოფასთან დაკავშირებით მიმდინარე ეროვნული რეფერენდუმი დასრულდა. წინასწარი მონაცემებით, მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 80%-მა და, როგორც ხართუმში რუსეთის კონსულმა განაცხადა, უკვე ცხადია, რეფერენდუმის შედეგების თანახმად, მსოფლიოს რუკაზე ახალი სახელმწიფო გაჩნდება.**




სუდანის ეთნოკონფესიურ კონფლიქტს დიდი ხნის ისტორია აქვს. ერთის მხრივ, არაბებით, მეორეს მხრივ კი, დასავლეთევროპელი მისიონერების მიერ, ასე თუ ისე, გაქრისტიანებული შავი აფრიკელების ტომებით დასახლებული მიწები საკმაოდ მკვეთრადაა ერთმანეთისგან გამიჯნული. გაყოფილია არა მხოლოდ ლანდშაფტით, არამედ — ეთნიკურად და კონფესიურადაც. პოლიტიკურ ასპექტშიც ამ საზღვრის საკითხი აფრიკის ყველაზე დიდი სახელმწიფოს ისტორიაში არაერთხელ წამოჭრილა. კოლონიალურ პერიოდში სამხრეთ სუდანის მუსლიმანური ჩრდილოეთისგან განცალკევება აქ დაპირისპირების ცეცხლზე ნავთის დამსხმელი ინგლისელების ოფიციალური პოლიტიკა იყო.

**ბრძოლა იმისთვის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საზღვარი** — ადმინისტრაციული თუ სახელმწიფოთაშორისი — **ასიათასობით ადამიანს** (თუ არა მილიონს) **სიცოცხლის ფასად დაუჯდა,** რომ აღარაფერი ვთქვათ ადგილობრივი პოლიტიკოსების შეწირულ კარიერაზე. **ერთმა ეგვიპტელმა ჟურნალისტმა სამხრეთის პრობლემას „სუდანის მთავრობების სასაფლაოც“ კი უწოდა.**

თუ რეფერენდუმამდე ხართუმისთვის მნიშვნელოვანი იყო კეთილი ნების გამოჩენა და ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციის შესუსტება, აშშ-ისთვის პრიორიტეტი „აფრიკაში რადიკალური ისლამიზმის იდეების მესაჭედ“ მიჩნეული ხართუმის დასუსტება და კონტინენტის ენერგეტიკული რესურსებისადმი წვდომის გამარტივებაა. **ქვეყანაში ნავთობს ფრანგები და ჩინელები ზვერავენ. გარკვეულ დრომდე სუდანი იყო მსოფლიოში ერთადერთი მსხვილი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა, რომელიც ნედლეულის ექსპორტს ჩინეთში, ინდოეთსა და მალაიზიაში ახორციელებდა, აშშ-ში, ევროპასა თუ იაპონიაში ექსპორტირების ნაცვლად.**

**ვაშინგტონში ხაზს უსვამენ, რომ საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნები მდიდარია ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით, მთლიანად კონტინენტი კი კოლოსალურ ეკონომიკურ პოტენციალს ფლობს და ამერიკისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.**

როგორ განვითარდება მოვლენები სუდანში რეფერენდუმის შემდეგ? გასათვალისწინებელია ისეთი საერთო იდენტიფიკაციის ნიშნების არარსებობა, როგორიცაა, ვთქვათ, ერთიანი ენა. სამხრეთის 600-მდე ტომი თავის ენებს იყენებს და ერთმანეთთან გარკვეული ანგარიშები აქვს გასასწორებელი. ნუერის ტომი სამხრეთ სუდანის ხელისუფლებაში, სადაც ლიდერობა, ტრადიციულად, გაცილებით მრავალრიცხოვან დინკას ტომს ეკუთვნის, თანასწორუფლებიანობას მოითხოვს. ახლა ბრძოლა ენერგორესურსების გაყიდვით მიღებული შემოსავლებისთვისაც გამძაფრდა. **მმართველი ჯგუფი ეთნიკურ „ფრაქციებად“ იშლება და, ამ ხალხის მებრძოლი ხასიათიდან გამომდინარე, შეიარაღებული შეტაკებების ალბათობა ძალზე მაღალია. ოფიციალურად დადგენილი მეგობრობის ხათრით, ყველაფერი ჩრდილოეთს დაბრალდება და უკვე ორად გაყოფილ, ერთ დროს ერთ სახელმწიფოდ მცხოვრებ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი გაჩაღდება.**

ამისთვის უამრავი მიზეზი გამოიძებნება — უპირველესად, ნავთობით მდიდარი აბიეის პროვინციის სახით. იქაა **სუდანის ნავთობის ძირითადი პერსპექტიული საბადოები, ბუნებრივი გაზის მარაგები, პოლიმეტალის საბადოები, რაც, ასევე, გახდება წინააღმდეგობების მიზეზი ვაშინგტონს, პარიზსა და პეკინს შორის.**

ხართუმსაც და ჯუბასაც დამხმარეები გამოუჩნდებათ, მათ შორის იარაღის მიწოდების საქმეშიც. ახლაც გასაგებია, ვინ იქნება ჩრდილოეთის მხარეს და ვინ — სამხრეთის, თუმცა პეკინი არა მხოლოდ ხართუმზე, არამედ ჯუბაზეც შეეცდება გავლენის მოპოვებას. ჯუბა ახლაც ცდილობს, სამხრეთი სუდანი ღატაკი ქვეყნების გაეროს რეესტრში ჩაწეროს, მაგრამ თავად გაერო შეეცდება, სამხრეთსუდანური თავისტკივილი აფრიკის კავშირს გადააბრალოს, რაც კონფლიქტს მხოლოდ გაამწვავებს.



**ამრიგად, დესტაბილურობის კერა აფრიკის ამ ნაწილში დიდი ხნით გარანტირებულია. მხოლოდ დასავლეთისა და ჩინეთის ინტერესები არ აძლევს სუდანს საშუალებას, ისიც დროებით, რუანდისა და სომალის გზით იაროს.**

სამხრეთი ჩრდილოეთთან, სადაც მთელი საპორტო ინფრასტრუქტურა, მარაგები და ნავთობსადენებია თავმოყრილი, მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს ვერ გაწყვეტს. ახლა ჩრდილოეთში სამხრეთის რაიონებიდან გადასული ორ მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. ისინი ადმინისტრაციული მმართველობისა და ეკონომიკის სფეროში მყარად არიან ფეხმოკიდებული და სულაც არ სურთ ქვეყნის ორად გაყოფა, მაგრამ მათი სურვილი არავის გაუთვალისწინებია.

**მრავალი მკვლევარი ამა თუ იმ სახით სუდანის ერთიანობის შენარჩუნების საკითხს აყენებდა და სამხრეთისთვის მაღალი ხარისხის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას უშვებდა. სწორედ ამისკენ იყო მიმართული რამდენიმე წლის წინათ მიღებული ქვეყნის კონსტიტუციაც. მაგრამ იმძლავრა „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ გახლეჩისკენ მიდრეკილებამ.**

ვინმე რიგითმა კი არა, **თვით ბარაკ ობამამ „THE NEW YORK TIMES“-ში გამოქვეყნებულ მასალაში სამხრეთ სუდანში ჩატარებულ ხმის მიცემას „ისტორიული“ მოვლენა უწოდა.**

რუსეთის ფედერაციას სუდანში პირდაპირი ინტერესები არ აქვს. რუსეთის ნავთობისა და გაზის კორპორაციებმა, საეჭვოა, აფრიკის ამ ქვეყნის (ან უკვე ქვეყნების) ენერგორესურსების ათვისებისთვის სერიოზულად იბრძოლონ, პირველ რიგში, ამერიკულ-ჩინური კონკურენციის გამწვავების პირობებში. დასავლეთთან საქართველოსა და დნესტრისპირეთის პრობლემების გამო უთანხმოების ფონზე, რუსეთის დიპლომატიისთვის მნიშვნელოვანია დასავლეთთან სოლიდარობის დემონსტრირება იმ რეგიონთან მიმართებაში, რომელიც ამჟამინდელ სიტუაციაში მისთვის ნაკლებად საინტერესოა.

**სუდანის რეფერენდუმის შედეგები დიდი ანგარიშით წინასწარ იყო განსაზღვრული და არა მხოლოდ ხართუმისა და ჯუბას ისტორიული დაპირისპირების, არამედ შუამავალთა ძალისხმევის მთელი ლოგიკის წყალობითაც. ეს ლოგიკა ყველასთვის ძალზე კარგადაა ცნობილი სერბეთიდან კოსოვოს გამოყოფის ისტორიის მაგალითზე.**

ორი ათწლეულის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები სუდანის სამხრეთით სეპარატისტულ მოძრაობას შეიარაღებულ მხარდაჭერას პირდაპირაც უწევდა და ირიბადაც. სუდანის სამხრეთი მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია როგორც საბადოებზე კონტროლის, ასევე აფრიკული ნავთობის ტრანსპორტირების თვალსაზრისითაც. ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ ჩატარებული რეფერენდუმი, რომელსაც ხართუმი მხოლოდ იმიტომ დასთანხმდა, რომ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, სწორედ ამ პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია.

*fondsk.ru*



## ზოდიაქოს მე-13 ნიშანს დაუმატებენ



**ასტროლოგების საერთაშორისო ასოციაციამ ზოდიაქოს ნიშნების სისტემაში რეფორმის გატარება და მეცამეტე ნიშნის დამატება მოითხოვა. ნიშანმა სახელწოდება „გველისმპყრობელი“ ამავე სახელწოდების თანავარსკვლავედისგან მიიღო.**

„ზოდიაქოს ნიშნების ამჟამინდელი სტრუქტურა, რომელიც 12 ნიშნისგან შედგება, ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში შემუშავებულ სისტემას ეფუძნება. მის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს შეადგენდა ის, რომ მზე უნდა ყოფილიყო თითოეული ადამიანის დაბადების დღისთვის განკუთვნილი ნიშნის თანავარსკვლავედში. თუმცა, ასწლეულების მანძილზე დედამიწის მოძრაობის ორბიტის შეცლის გამო, ეს მდგომარეობა ამჟამად დარღვეულია“, — განაცხადა ამერიკელმა მეცნიერმა პარკ კუნკლემ და ამით ახსნა ზოდიაქოს ნიშნებში მე-13 ნიშნის დამატების საჭიროება. ზოდიაქოს ახალი ნიშნის ქვეშ მოხვდებიან ის ადამიანები, ვინც 30 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე არიან დაბადებულნი.

Aამავე დროს, შემცირდება სხვა ნიშნებისთვის განკუთვნილი დღეების რაოდენობა. შესაბამისად, ადამიანებს ციური მფარველები შეეცვლებათ.

## კატა ნაფიც მსაჯულად გამოიძახეს



**კატა, სახელად სელი, რომელიც აშშ-ში, ბოსტონში, ესპოზიტოების სახლში ცხოვრობს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გამოიძახეს. შესაბამისი მოწვევა ცხოველის პატრონებმა მიიღეს.**

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი სელის სრულუფლებიან წევრად მიიჩნევს, მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის დროს ანა ესპოზიტომ კატის სახელი შინაური ცხოველებისთვის განკუთვნილ სპეციალურ გრაფაში შეიტანა. ამ გაუგებრობის შედეგად, სასამართლოში სელი თავის მეპატრონესთან ერთად უნდა გამოცხადდეს.

## 23 წლის წინათ დაკარგული ბავშვი იპოვეს



**ამერიკელმა ჯოი უაიტმა 23 წლის წინათ დაკარგული შვილი იპოვა. ახალშობილი კარლინა უაიტი გერლემის საავადმყოფოში 1987 წლის 4 აგვისტოს ციებცხელების გამო მოხვდა. მაშინ ის ერთი თვისაც არ იყო. ერთხელაც დედამ ბავშვი მოიკითხა და აღმოჩნდა, რომ გოგონა საავადმყოფოდან დაიკარგა.**

ჯოი მაშინ 16 წლის იყო. მან დაუყოვნებლივ მიმართა პოლიციას და გოგონას მპოვნელისთვის ჯილდოც კი დაწესდა, მაგრამ ვერც გოგონას და ვერც მის გატაცებაში ეჭვმიტანილებს პოლიციამ ვერ მიაგნო. 1992 წელს ჯოიმ და ბავშვის მამამ საავადმყოფოს პერსონალის დაუდევრობისთვის ნიუ-იორკის შტატს სასამართლოში 750 ათასი დოლარი მოუგო. კარლინა კი მუდამ გრძნობდა, რომ თავის ნამდვილ მშობლებთან არ ცხოვრობდა და თავის დაბადების მოწმობას უშედეგოდ ეძებდა. ერთხელაც დაკარგული ბავშვების ძებნით დაკავებულ ინტერნეტ-საიტზე შევიდა და ერთ-ერთი განცხადების ავტორს — ჯოის დაუკავშირდა. სიმართლე დნმ-ის ტესტის შედეგებით დადგინდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მედესანტე ძია ვასია

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი" — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**



გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალი 1996-2003 წლებში:



მარინა ჩუბკინა

1973 წლის იანვარი. საჰაერო-სადესანტო ჯარების მეთაური ვასილი მარგელოვი თავის ერთ–ერთ ოფიცერთან ერთად გვიანობამდე თამაშობდა ბილიარდს. მეორე დღეს ახალი სადესანტო კომპლექსის — „კენტავრის" ტესტირება უნდა ჩაეტარებინათ. სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის მთავარი მედესანტის მთელი სიცოცხლე. უფრო მეტიც, ეს ჭეშმარიტების მომენტი უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის საჰაერო-სადესანტო ჯარის მთელი შემადგენლობისთვის და პირადად მისთვის.

## დასაწყისი




ბილიარდის თამაშისას მარგელოვს ამგვარ მღელვარებას ვერავინ შეამჩნევდა. იგი ჩვეულებისამებრ დასცინოდა მოწინააღმდეგეს და ბურთს ბურთზე აგდებდა, როგორც კი ოფიცერი შეეცდებოდა, შეუმჩნევლად დაეთმო გამარჯვება მეთაურისთვის, მაშინვე ზურგში ხვდებოდა ჯოხი — გენერალს მძიმე ხელი აქვს, ნუ მეთამაშები!

**გამთენიისას მედესანტეებმა „კენტავრი" შეკაზმეს და დესანტირებისთვის განკუთვნილ პლატფორმაზე აიყვანეს და თვითმფრინავში შეიტანეს. „კენტავრი" დესანტის „БМД-1" ტიპის საბრძოლო მანქანაა, რომელიც საპარაშუტო კომპლექსს ითავსებდა.** ლუქიდან თავამოყოფილი მებრძოლი ნამდვილად წააგავდა კენტავრს — სამხედრო-გამომგონებლებს გონებამახვილობა არასდროს ღალატობდათ, ისევე, როგორც მედესანტეებს. თუმცა ამ დღეს ხუმრობისა და მახვილგონიერებისთვის არავის ეცალა.



**გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისთვის მსოფლიოში ჯერ არავის განეხორციელებინა პარაშუტით ხტომა ჯავშნიანი მანქანით. ამბობენ, რომ ფრანგები ცდილობდნენ დესანტირებას ჯავშნიან მანქანასთან ერთად, მაგრამ ამ ექსპერიმენტში სიკვდილმისჯილი ადამიანი მონაწილეობდა. წარმატების შემთხვევაში მას შეწყალებას დაჰპირდნენ, მაგრამ შესაწყალებელი აღარავინ იყო. ცდა მისი მონაწილის სასიკვდილო შედეგით დასრულდა.**

**ამერიკელი მედესანტეები მსგავსი ექსპერიმენტებისას სერიოზულად დასახიჩრდნენ. ბოლოს და ბოლოს საბჭოთა კავშირის სტრატეგიულმა მოწინააღმდეგეებმა უარი თქვეს ბრძოლის ველზე საბრძოლო მანქანით დაშვების იდეაზე და კიდევ ერთი მარცხი განიცადეს.**

**ჯავშნიანი მანქანით დესანტირება მორიგი სახიფათო ტრიუკი არ იყო და სულაც არ ჰგავდა იმას, რითაც აშშ და საბჭოთა კავშირი მუდმივად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს კოსმოსში. კოსმოსში გაფრენაზე არანაკლებ სარისკო ტრიუკს კონკრეტული, წმინდად პრაქტიკული საბრძოლო მიზნები ჰქონდა, როგორც მარგელოვის უკლებლივ ყველა პროექტს.** მანამდე მედესანტეები და მათი საბრძოლო ტექნიკა მიწაზე ცალ–ცალკე ეშვებოდნენ. უამინდობისას, მით უფრო ღამით, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ მებრძოლები თავიანთი შეიარაღებიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით დაშვებულიყვნენ მიწაზე. ამგვარი რამ არაერთხელ მომხდარა დიდი სამამულო ომის პერიოდში. დესანტი ხშირად მანამდე იხოცებოდა, ვიდრე ბრძოლაში ჩართვას მოასწრებდა.



ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:

— დესანტისთვის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ორიოდე წუთს, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს დავალების შესრულება-შეუსრულებლობისთვის. ამიტომ ტარდებოდა მანქანის შიგნით დესანტირების ექსპერიმენტები.

„კენტავრი", რომლის შიგნითაც ეკიპაჟი იმყოფებოდა, ბრძოლაში ჩართვას მიწაზე დაშვებისთანავე, თითქმის მომენტალურად შეძლებდა. საკმარისი იყო მხოლოდ პარაშუტებისა და პლატფორმებისგან გათავისუფლება და მოტორის ამუშავება. წინა გამოცდებმა უსაფრთხოების საკმაოდ მაღალი პროცენტი უჩვენეს. ეს თითქმის უტოლდებოდა პარაშუტით ჩვეულებრივ ხტომას.

მანქანები კოსმოსური ხომალდის ანალოგიური სავარძლებით იყო აღჭურვილი. მიწაზე დაშვებისას დარტყმა საკმაოდ ძლიერი იყო, თუმცა — არა სასიკვდილო. ცდებში მონაწილე ძაღლები ამ დარტყმას უძლებდნენ, თუმცა ყოველთვის ვერა. გენერალი ნატრობდა, თავად შეძლებოდა მანქანაში ჩაჯდომა, მაგრამ იმ დღეს მისი ვაჟი, ალექსანდრე, უნდა გაფრენილიყო.

**ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:**

— მას მშვენივრად ესმოდა, რომ ეს სიცოცხლისთვის სარისკო იყო და ამიტომ აღნიშნულ





ექსპერიმენტზე საკუთარი შვილის გაგზავნა გადაწყვიტა.

მეთაური ოდნავაც არ გამოხატავდა თავის გრძნობებსა და ემოციებს, როდესაც საკუთარ შვილს ფოლადის ყუთით ჯოჯოხეთური ნახტომისთვის აცილებდა. ამ მომენტში ყველას აწვალებდა აზრი, მაინც რა ადამიანია ეს ძია ვასია — გმირი მეთაური, არმიის გენერალი;საშკა ხომ მისი ღვიძლი შვილია?! არავინ იცოდა, რომ **პოლიგონისკენ მიმავალ გზაზე გენერალმა მარგელოვმა შინელის ჯიბეში ერთადერთი ტყვიით დატენილი პისტოლეტი ჩაიდო. პოლიგონიდან შვილის გარეშე დაბრუნებას ის არ აპირებდა.**

**ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:**

— ვიცნობდი რა პირადად მასაც და მის ვაჟებსაც, დარწმუნებული ვარ, რომ სინამდვილეში ასეც იყო. მისმა შვილებმა, ალბათ, კიდევ უფრო უკეთ ისცოდნენ ეს. მოგვიანებით მან არა მხოლოდ უამბო, არამედ აჩვენა კიდეც ალექსანდრეს, რომ ყველაფერი სწორედ ასე იყო.

1932 წლის იანვარი იდგა. მინსკიდან მოთხილამურეების რაზმი გავიდა. საბოლოო სამიზნე მოსკოვი იყო. დემონსტრაციული გადარბენის მიზანი იმპერიალისტური საფრთხის წინაშე მუშურ-გლეხური წითელი არმიის კურსანტების გამძლეობის დემონსტრირება იყო. მოთხილამურეებს ჩვეულებრივი შინელები ეცვათ, თხილამურები კი სქელ, მძიმე დაფებს წარმოადგენდა. ეს ყოველივე ყინულზე სირბილისთვის ნაკლებად მოსახერხებელი იყო. ის თასმები კი, რომლითაც მოთხილამურეები თხილამურს ფეხზე იმაგრებდნენ, ამ ფუნქციას, ფაქტობრივად, არ ასრულებდნენ. საეჭვოა, რომელიმე თანამედროვე სპორტსმენმა ამგვარი აღჭურვილობით თუნდაც ორიოდე კილომეტრის გავლა მოახერხოს. მათ კი წინ ბევრად უფრო გრძელი გზა ელოდათ.



მარგელოვი აბსოლუტურად შეუსვენებლად გარბოდა. ის ტანკივით მიისწრაფოდა მიზნისკენ. ეს შურისძიებას ჰგავდა იმის გამო, რომ **თავის დროზე სატანკო ჯარებში არ მიიღეს — ზედმეტად მაღალი იყო, შესაბამისი ზომის ტანკებს იმხანად საბჭოთა წარმოება, უბრალოდ, არ უშვებდა. მარგელოვი არც სხვა მოდურ ჯარებში მიიღეს, ავიაციაშიც უარი უთხრეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩააბარა მფრინავთა სასწავლებელში, სადაც დიდი ხნით არ დარჩენილა.**

ამბობენ, რომ ვოროშილოვისა და ბუდიონის შესახებ ხუმრობისთვის გამოაგდეს სასწავლებლიდან. ასე რომ, კიდევ კარგად გადარჩა.

მალე მოთხილამურეთა რაზმმა შეამჩნია, რომ სპორტსმენების ჯგუფს ერთი წევრი აკლდა. კურსანტი ვასილი დაიქანცა, ჩამორჩა და ქარბუქმა თითქმის მთლიანად ჩამალა თოვლში. მეორე ვასია, მარგელოვი, უმალ მობრუნდა გზიდან და მეგობრის დასახმარებლად გაემართა. დაკარგული მებრძოლი თოვლის გორიდან ამოშვერილი თხილამურის წყალობით იპოვა.

— ის დაიღალა, ჩამოჯდა და ქარმა თოვლში ჩააფლო. აბსოლუტურად შემთხვევით ჯგუფი, რომელსაც მარგელოვი ხელმძღვანელობდა, უკან დაბრუნდა და იპოვა იგი, ლამის გარდაცვლილი, მაგრამ მაშველებმა ტანი დაუზილეს, გამოაცოცხლეს და მოსკოვამდე გზა ერთად განაგრძეს. აი, ასე იყო მისი სამხედრო კარიერის პირველივე დღეებიდან — მარგელოვს კარგი ხელმძღვანელისა და მეთაურის თვისებები აღმოაჩნდა.

გუნდი მოსკოვში ჩავიდა. ბელარუს კურსანტებს თავად თავდაცვის სახალხო კომისარი ვოროშილოვი დახვდა. ჩამორჩენილები და გზაში გაყინულები ამ გუნდს არ ჰყავდა, ანუ არც ბრძოლაში ეყოლება. გუნდის ხელმძღვანელს, ზემდეგ მარგელოვს ვოროშილოვმა მეთაურის ოქროს საათი გადასცა. ეს მისთვის პირველი ჯილდო იყო, თუნდაც არც თუ მთლად საბრძოლო ჯილდო. თავის პირველ, თუნდაც არასაომარ მსვლელობაში მან მებრძოლის სიცოცხლე გადაარჩინა, მოთხილამურის უნარჩვევები კი სულ მალე გამოადგება.



**ზამთრის ფინური კომპანია საბჭოთა კავშირისთვის უკიდურესად წარუმატებლად დაიწყო. ამ ბრძოლის განმავლობაში საშინელი ზამთრის დასასრულამდე მრავალმა მებრძოლმა საერთოდ ვერ მიიღო თბილი სამოსი. ისინი ჩვეულებრივი შინელებით და ჩექმებით ომობდნენ. მოთხილამურეთა მთელი შემადგენლობა სადღაც გზაში ისე გაიჭედა, რომ ფრონტის ხაზამდე საერთოდაც ვერ მიაღწია.**

კანდალაკშკის მიმართულებაზე შეტევა ალყის შემორტყმითა და განადგურებით დასრულდა. სიცივისა და შიმშილისგან გაწამებული ჯარისკაცები იარაღს ყრიდნენ, ტყეში გარბოდნენ და ნებდებოდნენ. სიმხდალისა და ამგვარი ქცევისთვის ერთ-ერთი დივიზიის მთელი ხელმძღვანელობა ჯარისკაცების თვალწინ დახვრიტეს.

**გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდლი 1996-2003 წლებში:**

— ამ ომში ვასილ მარგელოვი მოთხილამურეთა ბატალიონს ედგა სათავეში. მან ამ რაზმის წევრები ლენინგრადის სპორტსმენი-მოთხილამურეებისგან შეარჩია და ეს ბატალიონი ფინეთის ჯარის ზურგში ახორციელებდა რეიდებს. მათ უამრავი კეთილი საქმე გააკეთეს ფრონტის ხაზიდან შეტევაზე გადმოსული ჩვენი ჯარების დასახმარებლად. მაგრამ ფინელები კერკეტი კაკლები გამოდგნენ. მათ ძალზე კარგად მომზადებული ჯარისკაცები ჰყავდათ, ამ ჯარისკაცებს კი — ასევე კარგად მომზადებული ოფიცრები.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «შავი არაბი» — იგივე «ცალხელა ახმედი»





**პროფესიონალი ტერორისტი — ასე უწოდებდნენ ამირ იბნ ალ-ჰატაბს, რომლის ნამდვილი სახელი სამარ სალეჰ ას-სუვეილამი თითქმის არავინ იცოდა. იგი 1995-2002 წლებში ჩეჩნეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა იჩქერიის რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ შეიარაღებულ ფორმირებას ედგა სათავეში, ჩეჩნეთში ისლამური სახელმწიფოს შექმნის მომხრე იყო და ვაჰაბიზმთან ერთად რელიგიური წმინდა ომის (ჰაზავათი) იდეებს ქადაგებდა. სწორედ ამ იდეების ცხოვრებაში პრაქტიკული განხორციელებით იყო დაკავებული ჩეჩნეთამდეც, როდესაც 1987-1992 წლებში ავღანეთსა და 1993 წელს ტაჯიკეთში ისლამისტების მხარეს იბრძოდა. ტერორისტული ორგანიზაციები: „ისლამისტური საერთაშორისო მშვიდობისმყოფელი ბრიგადა“ და „კავკასიის მოჯაჰედების გაერთიანებული ძალების უმაღლესი სამხედრო მეჯლისულ შურა“ მას თავიანთ ერთ-ერთ ხელმძღვანელად აღიარებდნენ.**



ემირი იბნ ალ ჰატაბი, იგივე „ცალხელა აჰმედი“, იგივე „შავი არაბი“ სხვადასხვა მონაცემებით 1963, 1966 ან 1969 წელს საუდის არაბეთის ქალაქ არარში დაიბადა, მაგრამ ეთნიკური ჩეჩენი და იორდანიის ჩეჩენთა მრავალრიცხოვანი დიასპორის წარმომადგენელი იყო. დაახლოებით 176-178 სანტიმეტრი სიმაღლის, ჩაფსკვნილი, შავგვრემანი ჰატაბი, რომელსაც მარჯვენა ხელის ყველა თითზე 1-2 ფალანგი აკლდა (სხვა წყაროს ცნობით, მარჯვენა ხელზე მას მხოლოდ ორი თითი ჰქონდა), მუდამ გრძელ თმასა და წვერს ატარებდა. ზოგიერთი მონაცემით, ჰატაბი სანახევროდ ჩერქეზი იყო. ახმად კადიროვმა ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურობისას აღნიშნა, თითქოს სინამდვილეში იგი იემენელი ებრაელი იყო. ეს განცხადება კადიროვმა მას შემდეგ გააკეთა, რაც პირადად ეწვია იორდანიას და აბსოლუტურად უშედეგოდ სცადა ჩეჩენთა იქაურ დიასპორასთან კონტაქტის დამყარება.

**ასე იყო თუ ისე, ჰატაბი ნამდვილად შეძლებული ოჯახის შვილი გახლდათ, შვიდი ძმა და უამრავი ნათესავი ჰყავდა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, მისი ერთ-ერთი და აშშ-ში, ნიუ-ჯერსის შტატში ცხოვრობს და იქ იარაღის საკუთარი მაღაზია აქვს.**

ჩეჩნური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თავად ჰატაბმა ერთხელ განაცხადა, რომ თავის დროზე ის ჩვეულებრივი ბიჭი იყო, უმაღლესი განათლების მიღება სურდა და ფიზიკოსობაზე ან მათემატიკოსობაზე ოცნებობდა. **1987 წელს ნათესავებს სურდათ, სასწავლებლად აშშ-ში გაეგზავნათ, თავადაც ოცნებობდა ამაზე, მაგრამ მოულოდნელად ჰატაბმა ამ წინადადებაზე სასტიკი უარი თქვა, განაცხადა, რომ შარიათის მიხედვით, მშობლებისა და ნათესავების ნებართვის გარეშე, ჰაზავათში მონაწილეობის უფლება აქვს და სახლიდან გაიქცა.**

იმავე 1987 წელს ჰატაბი ავღანეთში გაემგზავრა და საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლებში აქტიურად ჩაერთო, ჯალალაბადისა და ქაბულისთვის ბრძოლებში კი განსაკუთრებულად ისახელა თავი. ამავე ბრძოლებში 12,7-მილიმეტრიანი კალიბრის ტყვიით მუცლის არეში მძიმედ დაიჭრა, ხელის თითებიც სწორედ ავღანეთის ომს შეეწირა — ყუმბარაზე აფეთქების შედეგად მარჯვენა იმდენად დაუზიანდა, რომ მისი სრულად შენარჩუნება შეუძლებელი გახდა.

**1993 წელს, ავღანეთის ხელისუფლებაში მოჯაჰედების კოალიციის მოსვლის შემდეგ, ჰატაბი სახლში დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხნით — მალე კვლავ ავღანეთისკენ აიღო გეზი და თავისი მომხრეების ჯგუფთან ერთად ტაჯიკეთიდან და უზბეკეთიდან ჩასული ისლამისტი ოპოზიციონერების მომზადებისა და შეიარაღების საქმეს ჩაუდგა სათავეში. ამ დროიდან დაიწყო მისი ტერორისტული მოღვაწეობაც.**

პირველი მასშტაბური ოპერაცია, რომელშიც ჰატაბი აქტიურად ჩაერთო, მოსკოვის მესაზღვრეთა რაზმზე თავდასხმა იყო. შედეგად 25 რუსი მესაზღვრე დაიღუპა. ზოგიერთი წყაროს მტკიცების მიუხედავად, ჰატაბი ამ თავდასხმის ორგანიზატორი არ ყოფილა, იგი მხოლოდ მასში მონაწილე ერთ-ერთ დაჯგუფებას მეთაურობდა.

**1994 წლის დეკემბერში „ცალხელამ“ ტელეკომპანია სი-ენ-ენის რეპორტაჟიდან შეიტყო ჩეჩნეთში ომის შესახებ და 1995 წლის იანვარშივე 18 თანამოაზრესთან ერთად გროზნოში ჩავიდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩეჩნეთის პირველ ომში და რუსეთის ჯარის წინააღმდეგ მრავალი წარმატებული ოპერაცია განახორციელა.**

**ჰატაბი საკმაოდ გამოცდილი და კარგად მომზადებული ტერორისტი იყო, ცეცხლსასროლი იარაღის უკლებლივ ყველა სახეობის გამოყენება ზედმიწევნით კარგად იცოდა, მშვენივრად ერკვეოდა დანაღმვისა და აფეთქებების საქმეში. იგი პირადად წვრთნიდა თავის დაქვემდებარებაში მყოფ ბოევიკებს და პირადადვე ამზადებდა თვითმკვლელ ტერორისტებს.** თავად ედგა სათავეში საბრძოლო მასალებისა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ბოევიკების მოსამზადებელი ბანაკების აღჭურვილობისთვის საზღვარგარეთიდან დაფინანსების მოპოვების საქმეს. მასმედიის ინფორმაციით, **1996 წელს მას ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრორუსული მეთაურის — დოკუ ზავგაევის ლიკვიდაცია ან, უკიდურეს შემთხვევაში, გატაცება ჰქონდა განზრახული.**

ჰატაბს რამდენიმე ცოლი ჰყავდა, მაგრამ დაზუსტებით არავინ იცოდა, — რამდენი. ინფორმაცია ვერ დაზუსტდა ვერც მისი ნათესავების შესახებ. სამაგიეროდ, ცნობილი იყო, რომ თავად ჰატაბის საცხოვრებელი ადგილი სოფელ ვედენოში მუდმივი დაცვის ქვეშ იყო — სახლის ეზოში 2-3 უცხოელი დაქირავებული ბოევიკი დღე და ღამ იდგა.

თავის დროზე ჩეჩნეთის რესპუბლიკის — იჩქერიის შეიარაღებული ძალების მაიორი ჩეჩნეთის რამდენიმე სამხედრო ჯილდოთიც შეამკეს.

უზომოდ რელიგიური ჰატაბი ჩეჩნეთს „ალაჰის მიწად“ მიიჩნევდა და მზად იყო, იქამდე ებრძოლა, ვიდრე მას მთლიანად არ გაწმენდდა არამუსლიმანთაგან. თავს პაკისტანელად ასაღებდა და ირგვლივ მყოფთ ძალიან ცუდი რუსულით ესაუბრებოდა. თავის დაქვემდებარებულთა შორის კი შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა, ეს უკანასკნელნი აბსოლუტურად მორჩილებდნენ თავიანთ მეთაურს და უსიტყვოდ ასრულებდნენ მის ნებისმიერ განკარგულებას. ამგვარი დამოკიდებულების გამო არ ჭირვეულობდა, **ბოევიკები პატივს, შიშის კი არა, იმის გამო სცემდნენ, რომ უზომოდ სამართლიანი და მზრუნველი მეთაური იყო.**

**სამაგიეროდ, განსაკუთრებით სასტიკი გახლათ მძევლებისა და ტყვეების, მათ შორის, დაჭრილების მიმართაც. ტყვეებთან ანგარიშსწორებისას უპირატესობას ცივ იარაღს ანიჭებდა. დახოცილებს ხან ყურებს აჭრიდა, ხან — ცხვირებს, ხანაც — სკალპს.**

საკუთარ „გმირობებს“ ვიდეო და ფოტოფირებზე აღბეჭდავდა და ამ მასალის დემონსტრირებით საკუთარ პრაქტიკულ საქმიანობაში არწმუნებდა საუდის არაბეთის, არაბეთის გაერთიანებული ემირატების, ყატარის, იორდანიისა და თურქეთის მუსლიმანურ ორგანიზაციებს, რათა მათგან დაფინანსება არ მოკლებოდა.

ხანდახან წვერს იპარსავდა და, ერთ-ერთი არაბული გაზეთის ჟურნალისტის დოკუმენტებით, აღნიშნული ვიდეო მასალა თავად გაჰქონდა საზღვარგარეთ, უკან კი დიდძალი ფულით ბრუნდებოდა. ჰატაბის მიერ საუდის არაბეთის შეიხ ალ-ფადელ მუჰამედ აშ-შიხის მიმართ ბოევიკების მოსამზადებელი ბანაკების აღჭურვილობის შესაძენი ფულის თხოვნა დაფიქსირებულიც კი აღმოჩნდა.

**ამის შემდეგ ჰატაბის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა ისეთი მსხვილმასშტაბიანი დივერსიული აქტები, როგორიც იყო ხარაჩას დასახლებულ პუნქტში ფედერალური ჯარების ბლოკ-პოსტზე თავდახმა 1995 წელს, სოფელ იარიშმარდისთან ფედერალურ ჯარებზე თავდასხმა, სოფელ შუანში შინაგანი ჯარის 28 სამხედრო მოსამსახურის მძევლად აყვანა და ასე შემდეგ. გარდა ამისა, რუსეთთან მშვიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ, ასლან მასხადოვზე გავლენის მოსახდენად იჩქერიის კოლონის გზაზე აფეთქება განახორციელა.**

ჰატაბის რაზმში, ძირითადად, დაქირავებული მებრძოლები იყვნენ და ყველა მათგანს ეგრეთ წოდებულ ცხელ წერტილებში საბრძოლო მოქმედებებისას ჰქონდა გამოცდილება მიღებული. იგივე ადამიანები მონაწილეობდნენ რუსეთისა და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ არაერთ ტერაქტში. 1996 წელს წითელი ჯვრის ჰუმანიტარული მისიის მონაწილე ექიმების წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტიც მათი ნახელავი იყო.

**ჰატაბის ძირითადი ბაზა ყოფილი პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე, მდინარე ხულხულაუს მარცხენა სანაპიროზე, სოფელ სერჟენ-იურტში, იყო განლაგებული. იქ განთავსებული შვიდი სასწავლო ბანაკიდან ხუთს უშუალოდ ჰატაბი მეთაურობდა, ორს კი — შირვანი და შამილ ბასაევი. ცენტრალურ ბანაკს სხვაგვარად ჰატაბის შტაბსაც უწოდებდნენ. იქ ასამდე დაქირავებული მებრძოლი და რამდენიმე ჩეჩენი ბოევიკი იყო. მეორე შტაბში პარტიზანულ ომსა და ყველა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ასწავლიდნენ, მესამეში — საბრძოლო ხელოვნების სიახლეებსა და მძიმე შეიარაღების გამოყენებას, მეოთხეში — დივერსიულ-ტერორისტული აქტების განხორციელებას მოწინააღმდეგის ზურგში, მეხუთეში კი ყურანის ღრმა შესწავლითა და ისლამური დოგმების გათავისებით ბოევიკების ფსიქოლოგიურ-იდეოლოგიური დამუშავება ხორციელდებოდა.**

ველაფერი ეს იმდენად კარგად იყო აწყობილი, რომ ჰატაბი მხოლოდ ხანდახან ამოწმებდა მდგომარეობას. კურსანტების საერთო რაოდენობა ორი ათასს აჭარბებდა. მათ გარდა ბანაკის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდა 50-60 უცხოელი, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რომელთაც ჰატაბმა პასპორტები წაართვა და დაქირავებულ მებრძოლებად აქცია. სწავლება 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, კურსანტებს კარგად კვებავდნენ.

**გარდა ამისა, ხარაჩაში ჰატაბის მიერ შექმნილ სკოლა-მედრესეში 80-მდე ადამიანს დაქირავებული არაბები რეაქციულ მუსლიმანურ მიმდინარეობას — ვაჰაბიზმს ასწავლიდნენ, მოსწავლეები პარალელურად საბრძოლო ხელოვნებასაც ეუფლებოდნენ. „შავი არაბის“ საბოლოო მიზანი „კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე“ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნა იყო.**

ჰატაბს ახლო ურთიერთობა ჰქონდა შამილ ბასაევთან, რომელსაც თავად ასწავლიდა მთებში ომის თავისებურებებს, აფეთქებების მოწყობას, დივერსიულ-ტერორისტული მოღვაწეობის მეთოდებსა და საშუალებებს.

**1998 წელს ჰატაბი ტერორისტულ ორგანიზაცია „იჩქერიისა და დაღესტნის ხალხთა კონგრესში“ გაწევრდა და სათავეში ჩაუდგა ისლამის მშვიდობისმყოფელთა ბრიგადას. 1999 წელს შამილ ბასაევთან ერთად სათავეში ედგა დაღესტნის ტერიტორიაზე რადიკალი ისლამისტების შეიარაღებული მხარდაჭერის ჩეჩნურ-დაღესტნურ რეიდებს. ააფეთქა უამრავი საცხოვრებელი სახლი ბუინაკსკში, მოსკოვსა და ვოლგოგრადში.**

ჰატაბის ლიკვიდაცია მხოლოდ 2002 წელს მოხერხდა რუსეთის სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციის წყალობით — ტერორისტს გადასცეს წერილი, რომელიც თითქოსდა დედისგან უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი აღმოჩნდა საწამლავით დამუშავებული ქაღალდი, რომელსაც ემსხვერპლა კიდეც.





**«შავი არაბის» საბოლოო მიზანი «კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე» ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნა იყო**

გვერდები მოამზადა
მაია სვიანაძემ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ციხესიმაგრეები, სადაც მოჩვენებები ბინადრობენ

## გლემისის ციხესიმაგრე



**ციხესიმაგრეში, რომელიც შოტლანდიაში მდებარეობს, უამრავი მოჩვენება დასახლდა.** ადრე მის მიდამოებში ორი ერთმანეთთან მოქიშპე ტომი — ოგილვი და ლინდსეი ცხოვრობდა. ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, ოგილვის ტომის რამდენიმე წევრმა გლემისის ციხესიმაგრის მფლობელს თავშესაფარი სთხოვა. მან ისინი შიგნით შეუშვა, მაგრამ, რადგანაც ლინდსეის შურისძიების ეშინოდა, ერთ ოთახში ჩაკეტა და იმ ოთახთან ახლოსაც კი არ გაუვლია არასდროს. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ გლემისის ციხესიმაგრის მცხოვრებლებმა დარტყმის ხმები გაიგონეს და, როდესაც ეს ოთახი იპოვეს, იქ უამრავი ჩონჩხი დახვდათ. კარებზე კაკუნი პერიოდულად მეორდებოდა, თითქოს შიგნით გამოკეტილი ხალხი თავის დაღწევას ცდილობდა. გლემისში ეს ხმები ამ დრომდეც ისმის, გარდა ამისა, ციხესიმაგრეში ხშირად ხედავენ წითელი ნათებით გარშემორტყმულ ქალს. ამბობენ, რომ ეს ლედი გლემისია, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინათ ჯადოქრობაში დაადანაშაულეს და ცეცხლზე დაწვეს.

## ბუკინგემის სასახლე



**ყოველ წელს, შობის ღამეს, ბუკინგემის სასახლეში ჯაჭვების რახარუხით დადის ბერის ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცი. იგი საშობაო კარნავალის მონაწილე არ არის, ბერი-მოჩვენებაა, რომელთანაც არაერთხელ წასწყდომიან სასახლის მცხოვრებნი.** ადგილობრივმა სპეციალისტებმა იდუმალი ბერის ხეტიალს ახსნა მოუძებნეს. მათი თქმით, ძალიან დიდი ხნის წინათ სასახლის ადგილას კეთროვანთათვის საავადმყოფო ფუნქციონირებდა, რომელიც რელიგიურმა ორდენმა ააშენა. სავარაუდოდ, ზუსტად ამ ორდენის ერთ-ერთი წევრი აშინებს სასახლის მცხოვრებლებს.

## მღვდლის იდუმალი სახლი ბორლი

**ლონდონიდან 60 მილის დაშორებით 1863-1939 წლებში იდგა სახლი, სადაც მღვდლები ისვენებდნენ ხოლმე. ადგილს ბორლი რექტორი ერქვა. 1939 წელს სახლი დაიწვა, მაგრამ მის ადგილას დარჩენილი ნახანძრალი ინგლისში ყველაზე „შეწუხებულ“ ადგილად დარჩა. მოჩვენებებზე მონადირე ბარი პრაისმა 1940 წელს გამოსცა წიგნი „ყველაზე შეწუხებული სახლი ინგლისში: ბორლი რექტორის შესწავლა 10 წლის განმავლობაში“.**



ბარი პრაისი



ბარი ბალი



ბორლი

იმ უცნაურობას, რაც ამ სახლში ხდება, უამრავი მოწმე ჰყავს — იქ მცხოვრებლები, სტუმრები, ექიმები, სტუდენტები, ბი-ბი-სის თანამშრომლები და უამრავი ცნობისმოყვარე.

უცნაური შემთხვევების წრე ძალზე მრავალფეროვანია. მოჩვენებებად დაძრწიან მონაზონი, სახლის პირველი მეპატრონის შვილი **გარი ბალი**, უთავო ადამიანები, მწვანეში გამოწყობილი გაურკვეველი ფიგურა, გოგონა თეთრი სამოსით, ცხენები, მწერები და ასე შემდეგ. პერიოდულად ისმის ქალის ხმა, ჩურჩული, ცხენების ბაკუნი, ძაღლის სირბილი ოთახში, ზარების რეკვა, ნაბიჯების ხმა კიბეზე, კაკუნი და ჩხარუნი, ავეჯის გადაადგილების ხმა და ასე შემდეგ, მაგრამ ამ ხმების წყაროებს ვერასდროს პოულობენ.

ხშირად კედლებზე ჩნდება დახმარების თხოვნის, ლოცვისა და წირვის ჩატარების მოთხოვნის შემცველი წარწერები ან უბრალო ნაკაწრები. ისინი მაშინაც კი ჩნდებოდა, როდესაც ოთახი მეთვალყურეობის ქვეშ იყო, საიდანღაც ცვიოდა ქაღალდის ნაგლეჯები მსგავსი წარწერებით. ხანდახან კარის გაღება და დაკეტვა შეუძლებელი იყო. სახლის ფანჯრებში ბევრჯერ უნახავთ ცეცხლის ნაპერწკლები, გასაღები კარიდან თავისით ვარდებოდა, რამდენიმეჯერ სახლში ხანძარიც კი გაჩნდა, მერე თავისით გაქრა და ისევ გაჩნდა. ახალ თოვლზე ხშირად ჩნდებოდა არაბუნებრივი ნაფეხურები... და ამ ყველაფერზე ძალიან უცნაურად რეაგირებდნენ ცხოველები.

ყველაზე შეწუხებული სახლი ინგლისში მეთოთხმეტე საუკუნის ბენედიქტური მოსანტრის ადგილას ჰენრი ბულლომმა 1863 წელს ააშენა. ძნელი სათქმელია, ვინ და როდის ნახა პირველი მოჩვენება ბორლიში, მაგრამ უკვე თავად ჰენრის მეზობლები ხშირად ყვებოდნენ მათთან შეხვედრების შესახებაც და იმ მონაზონზეც, რომელიც ბერზე იყო შეყვარებული და მონასტრიდან მასთან ერთად გაიქცა. ეს წყვილი სიყვარულისთვის სასტიკად დაისაჯა — ბერი ჩამოახრჩეს, მონაზონი კი მშენებარე კედელში ჩაატანეს. ამ ქალის აჩრდილი იმ დროიდან სახლის ტერიტორიას არ მოშორებია, მას ხშირად ხედავდნენ სკვერში ერთი და იმავე მიმართულებით მოსეირნეს და არასდროს არავის შეშინებია მისი.

სამაგიეროდ, სახლის მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლევდა უამრავი აჩრდილი, რომელთაგან ზოგი არსაიდან გაჩენილ ბოთლებს ისროდა, ზოგი კარს აბრახუნებდა. იქ დასახლებული უამრავი ოჯახიდან არავის ეყო ნებისყოფა, ორიოდე თვეზე მეტი გაეტარებინა უცნაური მოვლენებით აღსავსე სახლში.

1944 წლამდე მეცნიერები ბორლის სახლს იკვლევდნენ და ბოლოს მისი დანგრევა გადაწყვიტეს. დაანგრიეს კიდეც, მაგრამ ისტორია ამით არ დასრულებულა — ნასახლარის ირგვლივ მოჩვენებები კვლავაც დაძრწიან.





ბორლის დანგრევა

## ფორტ მაკნეირი

**1992 წლის 12 თებერვალს, დილის 4 საათზე, აშშ-ის არმიის კაპიტანი დევიდ ოსბორნი ქალის განწირულმა კივილმა გააღვიძა. „გევედრებით, დამეხმარეთ, დამეხმარეთ“, — ყვიროდა იგი. ყველაფერი პრეზიდენტ ლინკოლნის დაბადების დღეს მოხდა. ფორტის დაცვა ირწმუნებოდა, რომ დევიდს დახმარებას 42 წლის ქალბატონი, მერი სურატი სთხოვდა.** იგი ფორტის ტერიტორიაზე 1865 წლის 7 ივლისს კიდევ 3 კაცთან ერთად ჩამოახრჩეს. მათ ბრალად ლინკოლნის მკვლელობაში მონაწილეობა ედებოდათ. კაპიტანი ოსბორნი ფორტში სწორედ იმ მეოცე ოთახში ცხოვრობდა, რომელშიც ოდესღაც მერი იმყოფებოდა. ადრე ეს ციხის საკანი იყო. მის წინააღმდეგ რეალური ბრალდებები ვერ მოიძებნა, მაგრამ განაჩენისთვის ამას ხელი არ შეუშლია. იმ დღიდან ფორტის მცხოვრებლებს არ მოუსვენიათ. ბავშვები ხშირად ყვებიან, როგორ ეთამაშება მათ შავებში ჩაცმული ქალი. ამბობენ, რომ ამ ოთახში ღამით ავეჯი გადაადგილდება, ხოლო კედლებზე ჩამოკიდული სურათები თავისით იხრებიან აქეთ-იქით.





საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სოდომის ზღვის საიდუმლოება

**ოდესღაც ეს ტერიტორია მსოფლიოში ყველაზე ცოდვიანი ადგილი იყო, დღეს კი იქ პლანეტის ყველაზე იდუმალი ზღვაა. იქ ადამიანი არასდროს იძირება, ზღვის წყალი ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა, მაგრამ — სასიკვდილოც. ამისთვის ნახევარი ჭიქა მკვდარი ზღვის წყლის დალევაც კი საკმარისია.**



„ძვირფასო მეგობრებო, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დედამიწის ფსკერზე ვიმყოფებით“, — ბევრი მეგზური სწორედ ასეთი სიტყვებით იწყებს მკვდარი ზღვის ტურისტებისთვის წარდგენას. დედამიწის ზურგზე ყველაზე დაბალი ადგილი, რომელიც მსოფლიო ოკეანეების დონიდან 400 მეტრით დაბლა მდებარეობს, იერუსალიმიდან ერთი საათის სავალ გზაზეა.

მკვდარ ზღვაში თევზები, წყალმცენარეები და მოლუსკები არ ცოცხლობენ, მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ ის ბაქტერიებითაა სავსე. მარილიან ზღვაში ჩაედინება ლეგენდარული იორდანიის მდინარე, რომელიც დროთა გამავლობაში ორთქლდება, რაც მარილის კონცენტრაციას ზრდის. ამ მოვლენის გამო ზღვის თავზე ყოველთვის ნისლია, ხოლო აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე იორდანიის მთები ყოველთვის ბუნდოვნად მოჩანს. ამ ზღვას იუდეველები ოდითგანვე მარილიანს უწოდებდნენ, ხოლო მკვდარი ზღვა მას, ლეგენდის თანახმად, პირველად ჯვაროსნებმა შეარქვეს.

XI საუკუნეში, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ჯვაროსნებმა გზა წმინდა მიწის სამხრეთით განაგრძეს. მათ იუდეველთა უდაბნო უნდა გაევლოთ. 40 გრადუს სიცხეში უწყლობით გაწამებულებმა, მოულოდნელად ზღვა დაინახეს. გახარებულმა მებრძოლებმა ტანსაცმელი გზადაგზა გაიხადეს და წყალში ყიჟინით ჩაცვივდნენ, მაგრამ რამდენიმე წუთში უკან ისე გამორბოდნენ, თითქოს შავ ჭირს ემალებოდნენ. პატარა ჭრილობაზე მოხვედრისთანავე, მარილიანი წყალი ჯოჯოხეთურ ტკივილს იწვევდა.

მკვდარ ზღვაში ჩაძირვა წარმოუდგენელია, რადგან ბლანტი წყალი, რომელიც თავისი კონსისტენციით მზესუმზირის ზეთს წააგავს, სხეულს ფსკერისკენ წასვლის საშუალებას არ მისცემს. იქ ჩასული ტურისტები აუცილებელ ინსტრუქტაჟს გადიან. პლაჟის მაშველები წყალქვეშა ცურვას კრძალავენ. ისინი დამსვენებლებს წყალში ზურგზე დაწოლას ურჩევენ, რადგან გაუნძრევლად წოლა საათობით შეიძლება. მკვდარ ზღვაზე, პირდაპირი მნიშვნელობით, გავლაც კი შეიძლება.



აღსანიშნავია, რომ ბევრი ქრისტიანი პილიგრიმი წყალში არა თუ ჩადის, მას ახლოსაც კი არ ეკარება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ, ძველი აღთქმის თანახმად, მკვდარი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე გარყვნილებით ცნობილი სოდომი მდებარეობდა, მის შორიახლოს კი — ქალაქი გომორა, რომლის მოსახლეობამაც აღვირახსნილობით ღვთის რისხვა გამოიწვია.

მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ეინ-გედი ოაზისში უნიკალური ჯიშის ხე ხარობს. მისი მსგავსი დედამიწაზე სხვაგან არსად შეგხვდებათ. ამ ხის ტოტებზე სოდომის ვაშლები იზრდება და ისინი ადამიანისთვის ძალიან საშიშია. ვაშლის წვენის თვალში მოხვედრისას, ადამიანი მყისვე ბრმავდება.

მკვდარი ზღვის სამკურნალო თვისებების შესახებ ჯერ კიდევ კლეოპატრამ იცოდა. ამ რაიონში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს კოსმეტიკური ფაბრიკის მსგავსი ნაგებობა, რომელიც ეგვიპტის უკანასკნელ დედოფალს, იულიუს კეისრის საყვარელსა და მარკუს ანტონიუსის მეუღლეს — კლეოპატრას ეკუთვნოდა. ალბათ, კლეოპატრას გაუკვირდებოდა, რომ გაეგო, რა მასშტაბებს მიაღწია დღეს მკვდარი ზღვის მინერალებზე დამზადებული საპნის, კრემებისა და ლოსიონების წარმოებამ. მარილიანი ზღვა ყველაზე დადებით ეფექტს ახდენს კანზე. ერთკვირიანი ბანაობის შემდეგ, ზრდასრული ადამიანის კანი ბავშვის კანივით ნაზი და მკვრივი ხდება.

აქ მზეც განსაკუთრებულად ანათებს. მკვდარი ზღვის სანაპირო მსოფლიოში ერთადერთი ადგილია, სადაც მზის აბაზანის მიღება ყოველგვარი დამწვრობის გარეშე შეიძლება, ხოლო მავნე ულტრაიისფერი გამოსხივება, სქელი ატმოსფერული შრის წყალობით, თითქმის ნულის ტოლია. რამდენიმე ასწლეულის შემდეგ, მსოფლიოში ყველაზე ცოდვილი ადგილი სიწყნარის, სიმშვიდისა და განკურნების მსოფლიო ცენტრად იქცა. ამასთან, მკვდარი ზღვა მსოფლიოში ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე სუფთაა: ჰაერში ჟანგბადის შემცველობა 9 პროცენტით მეტია, ვიდრე დედამიწის სხვა ნაწილში.






# კუნძული ბორნეო — უთავოდ დარჩენის რეალური პერსპექტივა

**კუნძულ ბორნეოს უკავშირდება გაუვალი ჯუნგლების საშიში ისტორიები და შავბნელი ლეგენდები, რომლებშიც სიმართლისა და გამოგონილის ერთმანეთისგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია. კუნძულზე, რომელიც რუკაზეც კი არ არის აღნიშნული, დაუპატიჟებელ სტუმრებს ადამიანის თავებზე მონადირე შიშველი, თავიდან ფეხებამდე ტატუებით დაფარული ადამიანები – დაიკები ხვდებიან.**

ბევრი ევროპელი დაიკების კუნძულის მონახულებას ვერც კი გაბედავს, ხოლო ისინი, ვინც ამ ნაბიჯს მაინც დგამენ, ხშირად უკან ველარ ბრუნდებიან. კუნძულს ეკვატორი ორ ნაწილად ჰყოფს. მისი ჩრდილოეთი მალაიზიასა და ბრუნეის ეკუთვნის და ბორნეო ჰქვია, ხოლო სამხრეთი ინდონეზიის ტერიტორიაზე მდებარეობს და ჰქვია კალიმანტანი, რაც ძვირფასი ქვების მდინარეს ნიშნავს.

კუნძულის მცხოვრებნი ბორნეოს მკვიდრნი არიან, როგორც ამერიკელი ინდიელები.

ორასი ტომი აბსოლუტურად სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს. მათ წარმოდგენა არ აქვთ, რომელ საუკუნეში და რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ — მათთვის ინდონეზიისა და მალაიზიის საზღვრის გადალახვა პრობლემას არ წარმოადგენს. ამბობენ, რომ დაიკები ბორნეოზე, უკვე ხუთი ათასი წელია, ცხოვრობენ.



ეს აბორიგენები ერთი ჩვევის წყალობით დღემდე „ხელუხლებელნი“ გადაურჩნენ ცივილიზაციას – ყველა უცნობ ადამიანს ისინი ხმის ამოღებამდე კვეთენ თავს. აღნიშნული მკაცრი ტრადიცია მალაიზიასა და ინდონეზიაში სასტიკად იკრძალება, მაგრამ საეჭვოა, დაიკებმა ამ აკრძალვის შესახებ რაიმე იცოდნენ.

აბორიგენები ადამიანის თავებზე იმიტომ კი არ ნადირობენ, რომ სასტიკები და აგრესიულები არიან, უბრალოდ, ასეთი ტრადიცია აქვთ, რაც მათ ხელში ჩავარდნილი განწირულისთვის არცთუ დიდი შვებაა. დაიკების რწმენის მიხედვით, ადამიანის თავში მოთავსებულია სასიცოცხლო ძალა — სემანგატი, რომელიც თავის მოკვეთის შემდეგ მთელ ტომს გადაეცემა და მისთვის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის მომტანია. ასე რომ, რაც უფრო მეტ თავს „მოიპოვებენ“ ტომის წევრები, აბორიგენების სოფელში ცხოვრება უფრო საამური გახდება. მოკვეთილი თავები დაიკებისთვის ოჯახური იდილიის დასამყარებლადაც საჭიროა. ყველაზე სასურველი სასიძოც კი ვერ მიუახლოვდება ტომის ბელადის ქალიშვილს, თუ მას ძღვენის სახით რამდენიმე მოკვეთილ თავს არ მიართმევს. ხოლო თუ ტომის რომელიმე წევრი სახლს იშენებს, მაშინ ახალმოკვეთილი თავი მშენებლობის აუცილებელი ატრიბუტია, რადგან, ადგილობრივი არქიტექტურული ტრადიციის მიხედვით, მტრის მოკვეთილი თავი ქვაკუთხედს ცვლის: მას იმ ადგილას მარხავენ, სადაც შესასვლელი კარის გაკეთებას გეგმავენ.

## რვათითა ბავშვი

**ჩინელი ლი იანპენგი, რომელიც ახლა უკვე 6 წლისაა. მას მარჯვენა ხელზე — შვიდი, მარცხენაზე — რვა და ფეხებზე რვარვა თითი ჰქონდა.** ხუთსაათიანი ურთულესი ოპერაციის შედეგად ბავშვს ექიმებმა, როგორც იქნა, მოაშორეს ზედმეტი თითები. პატარა ლი ძალიან გახარებულია იმით, რომ სიცოცხლეში პირველად ფეხსაცმლის ჩაცმის საშუალება მიეცა.



## რქიანი ჩინელი

**ჩინელ ხუან იუანფანგს თავის უკანა ნაწილზე არც მეტი, არც ნაკლები, რქა ამოუვიდა.** რქა 5 სანტიმეტრის სიგრძისაა და ამოსვლას ორი წელი მოანდომა. პროცესის შეჩერება შეუძლებელი გახდა. ექიმები ირწმუნებიან, რომ პლასტიკური ქირურგიის დახმარებით მის ამოკვეთას აზრი არ აქვს — რქა ისევ გაიზრდება.



## გავავსოთ ლოს-ანჯელესი

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, პლანეტაზე მოსახლეობის კატასტროფული ზრდის შესახებ საუბრობენ და გვიჩიჩინებენ, რომ ველარ ვეტევით, სინამდვილეში მთლად ასე ტრაგიკულადაც არაა საქმე. დედამიწის ყველა მცხოვრები ერთად რომ შეგროვდეს და გვერდიგვერდ დადგეს, მთელი მოსახლეობა მხოლოდ ლოს-ანჯელესის თუ შეავსებს.

# სულგაყიდულებო, სულგაყინულებო, შეჩერდით!

**რაიონის ხელმძღვანელობამ სამტრედიელებს ახალი წელი სტალინის ბიუსტის მიწასთან გასწორებით მიულოცა.**

დღევანდელ ერთპოლუსიანობის პირობებში ბერბიჭაშვილობას ყველაზე ნეტარი დღეები უდგას. კარგად ნაჭამ-ნასვამი, ნაპატიები ბუთხუზა ლიდერების სამიზნედ ამჯერად ჩვენი — კომუნისტების მიერ ქალაქის ცენტრში დადგმული სტალინის ბიუსტი აირჩიეს. მათ უხმეს თავიანთ ერთგულ გოშიებს და პროლეტარიატის დიდი ბელადის ბიუსტის კვარცხლბეკის ნაბილწვა დაავალეს. **ბერბიჭაშვილებმა ძეგლის კვარცხლბეკზე სამარცხვინო წარწერები გააკეთეს: „სტალინი ჩათლახი!", „სტალინი ბოზი!", „სტალინი — პედერასტი ოსი!"...**

ვინ არიან ამის დამწერნი, თუ არა ბერბიჭაშვილთა ხროვის წევრები?! ისინი კი, ვინც ასეთი სიბინძურის წაკითხვისას იცინოდნენ, ანუ კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ, ამის ჩამდენებზე უარესი არიან.

არაფერს ვამბობთ იმაზე, „აღთქმული თავისუფლების" მოპოვებამდე როგორი იყო რკინიგზელთა დასახლების იერსახე, რა როლს ასრულებდა აქ არსებული სახალხო თეატრი, მედროვეებმა რომ დაანგრიეს და აგურ-აგურ დაიტაცეს... უახლოეს წარსულში აქ იყო სტალინის „მუზეუმი", რომელიც კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების მოვალეობასაც ასრულებდა. ბერბიჭაშვილებმა კვლავ უხმეს თავიანთ შეგირდებს და მისი დანგრევა-გაძარცვის დავალება მისცეს.

**შეტევა ღამით განახორციელეს და „შტურმით" აიღეს იგი. გაანადგურეს იქ არსებული ექსპონატები** და დღეს სტალინის ყოფილი მუზეუმი მაწანწალა ძაღლების თავშესაფრადაა ქცეული.

სტალინის წინააღმდეგ აგორებული მარათონი ბელადის ბიუსტის სატანური დემონტაჟით დასრულდა: ჯერ ფარულად მოხსნეს გრანიტის პირველი ფილა, გატეხეს და იქვე დადეს, აქაოდა ჩვენ კი არ მოგვიხსნია, თავისით ჩამოვარდა, ჩვენ კი ავიღეთ და იქვე აკურატულად დავდეთო. მოგვიანებით ჩამოხსნეს მეორეც და იქვე დააგდეს.

**ჯერ კიდევ ბელადის ბიუსტის საზეიმო გახსნის ცერემონიალის ჩასაშლელად ადგილობრივ ხელისუფალთა დავალებით რკინიგზის ელექტრომეურნეობის მონტიორებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ყველა მიკროფონი.**

აზრი არ აქვს, ბერბიჭაშვილთა პარპაშის აღსაკვეთად ადგილობრივ პოლიციას მივმართოთ, რადგან ამჟამად საქართველოში კრიმინალთა დიქტატურაა და პოლიციელი, პირველიც და უკანასკნელიც, გაბატონებული კლასის, ანუ ბერბიჭაშვილების დამცველია. ამიტომ **გაზეთის საშუალებით, მთელი საქართველოს გასაგონად მივმართავ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს — კობა კანდელაკს, საკრებულოს თავმჯდომარეს — ალექსანდრე ჯვარშეიშვილს, შს რაიონული განყოფილების უფროსს — ალექსანდრე სვინტრაძეს:**

**რა გინდათ, რის მიღწევას ცდილობთ დიდი ადამიანების ხსოვნის შეურაცხყოფით?! უსათუოდ აქეთ შემოგვედავებით! დაე, უზენაესმა მიაგოს ყველას თავისი. მააპატიოს უფალმა, თუ თქვენს ანათემას, შეჩვენებასა და დაწყევლას მოვითხოვ.**

„ჩარეცხილთა" სახელით
**სოსო ხაჟალია,**
სამტრედია

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო


# «ბალკანი»

**ხარისხის მკაცრი კონტროლი საწარმოს წარმატების საწინდარია, მისი ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხის შემოწმება ყოველდღიურად მიმდინარეობს.**



პროდუქციის წარმოებისთვის „ბალკანი" ირჩევს თანამედროვე ტექნოლოგიებს. თავიდან ნედლეული მიეწოდება საკარანტინო ზონას, სადაც ხდება მისი კომპლექსური გამოკვლევა და მხოლოდ ამის შემდეგ — მისი გადამუშავება, „ბალკანის" მთავარი მიზანია, რომ წარმოებას განაპირობებდეს ეკონომიურობა, ეფექტურობა, საიმედოობა, გარანტირებულობა, ჰიგიენის მაღალი მაჩვენებლები და მზა პროდუქციის ხარისხიანობა.

წარმოების ლაბორატორიაში მოწმდება პროდუქციის ხარისხი, ნედლეულის შემადგენლობა და საგემოვნო თვისებები.

„ბალკანი" გთავაზობთ პროდუქციის ფართო ასორტიმენტს, მოხარშულ, ნახევრადშებოლილ, შებოლილ ძეხვებს, სოსისებს, კუპატებს, ლორს და ა.შ.

ტექნოლოგიის საშუალებით წარმოებას შეუძლია არა მარტო ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუნარჩუნოს პროდუქტს საუკეთესო თვისებები, არამედ რამდენადმე გაზარდონ მისი რეალიზაციის ვადები.

დაბალი ორთქლგამტარიანობა მნიშვნელოვნად აფერხებს წონის დაკარგვას და გამოშრობას, წარმოებისა და შენახვის ყველა სტადიაში.

„ბალკანი" აწარმოებს ძეხვებს („მონადირული", „კრაკოვური", საექიმო, „ჩაისათვის" მოხარშული, ნახევრადშებოლილი); სოსისებს (ვაკუუმში „რძიანი", „ივერია"); შაშხს („გლეხური", შაშხი ვაკუუმში); კუპატსა და სხვ.

„ბალკანის" პროდუქცია საუკეთესოა დღეს საქართველოში წარმოებულ პროდუქტთა შორის. ამდენად, მასზე მოთხოვნა დიდია.

მიირთვით ბალკანის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები კონსერვანტებისა და ემულგატორების გარეშე!




მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაცია



# უნივერსალური წყალი „ისიდა"

## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



სუფრის წყალი „ისიდა" აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო") მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა" გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net